

# ეგრისის სამეცნის ტამაზრების ცისტება

ნიკოლოზ მურვალია



**სამეცნიერო რედაქტორი – SCIENTIFIC EDITOR:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დავით ლომიტაშვილი – Ph.D Davit Lomitashvili

**რედაქტორი – EDITOR:**

ლალი ქადაგიძე – Lali Kadagidze

**რეცეზენტები – REVIEWERS:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დარეჯან კაჭარავა – Ph.D Darejan Kacharava

ისტორიის დოქტორი ბესიკ ლორთქიფანიძე – Doctor of History Besik Lortkipanidze

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ ლორთქიფანიძე – Ph.D Guram Lortkipanidze

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ჯაფარიძე – Ph.D Vakhtang Japaridze



საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
GEORGIAN NATIONAL MUSEUM



ნოქალაქევის ჩართულ-ინგლისური  
არქეოლოგიური ექსპედიცია  
ANGLO-GEORGIAN EXPEDITION TO NOKALAKEVI



ისტორიისა და ეთნოლოგიის  
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი  
THE INSTITUTE FOR STUDIES  
OF HISTORY AND ETHNOLOGY



ეს წრომი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით  
[ჩრანტის ნომერი: SP-22-379]  
THIS WORK WAS SUPPORTED BY SHOTA RUSTAVELI  
NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA (SRNSFG)  
[GRANT NUMBER: SP-22-379]

ნიკოლოზ მურგულია

ეგრისის სამეფოს გამაგრეპის სისტემა  
IV-VI საუკუნეებში

არქეოლოგიური მასალებისა  
და ცერილობითი წყაროების მიხედვით

NIKOLOZ MURGULIA

THE FORTIFICATION SYSTEM  
OF THE KINGDOM OF LAZIKA (EGRISI)  
IN THE 4<sup>TH</sup>-6<sup>TH</sup> CENTURIES AD  
ACCORDING TO THE ARCHAEOLOGICAL  
MATERIALS AND WRITTEN SOURCES

თბილისი 2023 TBILISI

*Dedicated to the memory of Parmen (Napo) Zakaria*

The work is dedicated to the fortification system of Egrisi (lazika) Kingdom. The System was founded in a period of strength of Egrisi Kingdom (4th-6th cc) and was serving for local, regional and global security of the country.

The work represents complex study of the more than 50 fortresses, investigated in West Georgia over the years. The type, function and role of each castle in the fortification system of the Egrisi (lazika) Kingdom has been defined based on the archaeological materials, written sources, historic geography, landscape archaeology and modern technologies.

According to the results of research we may say, that Egrisi (Lazika) Kingdom had a strong defending system, which was controlled by the royal government.

The current work is entertained to the specialists and students interested with history of Egrisi (Lazika) Kingdom and generally with the military history.

\* \* \*

Special thanks to the people who supported me during investigation and publication of the current work:

Ph.D. Davit Lomitashvili for scientific supervision;

Ph.D. Dimitri Akhvlediani and Ph.D. Guram Grigolia for scientific and technic support and advices;

Ph.D Darejan Kacharava, Academician Guram Lortkipanidze, Doctor of History Besik Lortkipanidze and Ph.D. Vakhtang Japaridze for interesting and valuable remarks;

Roman Tolordava, Gogita Chitaia, Giorgi Nadiradze and Jaba Labadze for the support during the expeditions;

The members of the Anglo-Georgian expedition to Nokalakevi, especially to: Ian Colvin and Doctor of Archaeology Paul Everill;

All the local people, living in West Georgia, who hosted and guided me many times, while I was in expedition. These people have shown me great friendship, hospitality and support;

My friends and Family!!!

## ეძღვნება პარმენ (ნაპო) ზაქარაიას ხსოვნას

ნაშრომი ეძღვნება ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემას. ეს სისტემა ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში (IV-VI სს-ში) მოქმედებდა და ქვეყნის შიდა, რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებაზე ზრუნავდა.

ნაშრომში წარმოდგენილია მრავალწლიანი საველე კვლევების შედეგად დასავლეთ საქართველოში, ეგრისის სამეფოს პერიოდის, ორმოცდაათზე მეტი სიმაგრის კომპლექსური კვლევა. არქეოლოგიური მასალების, წერილობითი წყაროების მონაცემების, ისტორიული გეოგრაფიის, ლანდშაფტის არქეოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დადგენილი იქნა თითოეული ციხესიმაგრის ტიპი, დანიშნულება და ადგილი ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ეგრისის სამეფოს ძლიერი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება უწევდა ორგანიზებას.

ნაშრომი გათვალისწინებულია ეგრისის სამეფოსა და ზოგადად სამხედრო ისტორიით დაინტერესებული სპეცილისტებისთვის და სტუდენტებისთვის.

\* \* \*

კვლევის დროს და ნაშრომის გამოცემისას განვითარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუზდი:

ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს დავით ლომიტაშვილს;

სამეცნიერო თუ ტექნიკური ხასიათის დახმარებისა და კონსულტაციებისთვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს დიმიტრი ახვლედიანს და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს გურამ გრიგოლიას;

საინტერესო რჩევებისა და ღირებული შენიშვნებისთვის ნაშრომის რეცენზენტებს: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს დარეჯან კაჭარავას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გურამ ლორთქიფანიძეს, ისტორიის დოქტორს ბესიკ ლორთქიფანიძეს და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ვახტანგ ჯაფარიძეს;

საველე ექსპედიციის დროს განვითარებისთვის რომან თოლორდავას, გოგიტა ჩიტაიას, გიორგი ნადირაძეს და ჯაბა ლაბაძეს;

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებს, განსაკუთრებით კი იან ქოლვინსა და არქეოლოგიის დოქტორ პოლ ევერილს;

დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ჩვენი ექსპედიციების დროს დიდი სითბოთი მიგვიღეს, შესანიშნავად გვიმასპინძლეს და დიდი დახმარება გაგვინიეს ძეგლების მონახულებისას და აღწერისას;

ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს!!!



# სარჩევი

|   |     |
|---|-----|
| შესავალი .....  | 7   |
| თავი I. ეგრისის სამეფო IV-VI სს.-ში წერილობითი წყაროების მიხედვით .....                                   | 11  |
| თავი II. ეგრისის სამეფოს ციხეების შესწავლის ისტორია XIX-XX სს. ....                                       | 20  |
| თავი III. კვლევის მეთოდიკა.....   | 26  |
| არქეოლოგიური მასალების ანალიზი.....   | 26  |
| წერილობითი წყაროების ანალიზი .....  | 27  |
| ისტორიული გეოგრაფიის როლი საკითხის კვლევისათვის .....   | 29  |
| ლანდშაფტის არქეოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიების<br>გამოყენების მნიშვნელობა საკითხის კვლევისათვის ..... | 32  |
| თავი IV. ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეების კლასიფიკაცია.....  | 37  |
| ქრონოლოგიური კლასიფიკაცია .....   | 37  |
| ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.....   | 38  |
| ფუნქციური კლასიფიკაცია .....  | 41  |
| თავი V. ეგრისის სამეფოს ერთიანი გამაგრების სისტემის<br>ქვესისტემები და ციხესიმაგრეები .....               | 45  |
| შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრების ხაზი .....   | 45  |
| ეგრისის სამეფოს სამხრეთი სექტორის გამაგრების ქვესისტემა .....   | 59  |
| ეგრისის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სექტორის გამაგრების<br>ქვესისტემა .....                               | 74  |
| ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთი სექტორის გამაგრების ქვესისტემა .....  | 83  |
| მოხირისის „ქვეყნის“ გამაგრების ქვესისტემა.....  | 90  |
| ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის გამაგრების<br>ქვესისტემა .....                                  | 102 |
| ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების ქვესისტემა .....   | 129 |

|   |     |
|---|-----|
| <b>თავი VI. ნოქალაქევი-არქეოპოლისის გამაგრების სისტემა და<br/>მისი როლი სამეფოს თავდაცვით სისტემაში</b> .....       | 193 |
| ნოქალაქევი-არქეოპოლისის წერილობითი წყაროების<br>მიმოხილვა და შესწავლის ისტორია .....                                | 193 |
| ნოქალაქევი-არქეოპოლისის საფორტიფიკაციო ნაგებობები.....  | 198 |
| ნოქალაქევი-არქეოპოლისის მშენებლობის ქრონოლოგია.....   | 207 |
| <b>თავი VII. ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემა<br/>ადგილობრივ, რეგიონულსა და გლობალურ კონტექსტში</b> ..... | 214 |
| ადგილობრივი კონტექსტი .....   | 214 |
| რეგიონული კონტექსტი .....   | 216 |
| გლობალური კონტექსტი .....   | 217 |
| <b>ძირითადი დასკვნები</b> .....   | 222 |
| <b>The Fortification System of the Kingdom of Lazika (Egrisi)<br/>in the 4th-6th centuries AD (Summary)</b> .....   | 227 |
| <b>გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია</b> .....   | 231 |

## შესავალი

დასავლეთ საქართველოში მრავალწლიანი დაზვერვითი და არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესწავლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეგრისის სამეფოში ერთიანი თავ-დაცვითი სისტემა არსებობდა. წლების განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეგრისის სამეფოს პერიოდის ათეულობით ციხესიმაგრე გამოვლინდა, რამაც გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პარმენ ზაქარაიას აფიქრებინა, რომ ეს ძეგლები ერთიანი თავდაცვითი სისტემის შემადგენელ რგოლებს წარმოადგენდა და შესაბამისად, აუცილებელი იყო მათი საერთო კონტექსტში შესწავლა (ზაქარაია... 1991: 126). მოგვიანებით ეს მოსაზრება დაადასტურეს და ახალი მასალებით შეავსეს დ. ლომიტაშვილმა, ვ. ჯაფარიძემ და ო. ლანჩავაშ. დღეისათვის, ძირითადად ზემოთ დასახელებული, ასევე სხვა მეცნიერებისა და უშუალოდ ჩვენს მიერ წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ორმოცდაათზე მეტი სიმაგრე (ციხე-ქალაქები, დიდი და მცირე ზომის ციხეები, კოშკები).

ჩვენი აზრით, ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ლაზიკის ისტორიის შესწავლისათვის. სამნუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია საკმარისი წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები ეგრისის სამეფოს ისტორიის საკვლევად. ქართულ წერილობით წყაროებში მხოლოდ რამდენიმე ცნობაა დაცული ეგრისის შესახებ და ისიც მეტად ზედაპირულია (ჯუანშერი; ლეონტი მროველი; დავით და კონსტანტინეს მარტვილობა). ძირითადი ცნობები ეგრისის (ლაზიკის) შესახებ ბიზანტიურ წერილობით წყაროებში მოიპოვება. ეს წყაროები დღემდე მთავარი დოკუმენტური დასაყრდენია ეგრისის სამეფოს ისტორიის კვლევისათვის. თუმცა, სამნუხაროდ, არც ბიზანტიელ ავტორებთან გვხვდება ამომწურავი ინფორმაცია ეგრისის შესახებ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია IV და V საუკუნეების მოვლენების აღწერისას, სადაც უმეტესად ცალკეული ამბების ზედაპირული აღწერა გვხვდება და შესაბამისად, ამ პერიოდის ისტორიის მეტ-ნაკლებად სრული რეკონსტრუქცია როტულია. შედარებით უკეთ არის გადმოცემული ეგრისის სამეფოს VI საუკუნის ისტორია.

ასევე მეტად მნირია ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეებზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მონაცემები. ორმოცდაათზე მეტი შესასწავლი სიმაგრიდან მხოლოდ ოცდახუთზე თუა ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და ისიც სხვადასხვა მასშტაბებით.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეებისა და თავდაცვითი სისტემის პირველ, მეტ-ნაკლებად სრულყოფილ კვლევას და შესაბამისად, მასში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სწორედ სიმაგრეებისა, თავდაცვითი ქვესისტემების აღწერილობასა და კლასიფიკაციაზე და მათი დანიშნულებების განსაზღვრაზე. თუმცა ვფიქრობთ, სამომავლოდ ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეების შესწავლა მეტ სიცხადეს შეიტანს ზოგადად ლაზიკის ისტორიის სხვადასხვა საკითხის კვლევაშიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი ციხესიმაგრეების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება,

არა მხოლოდ სამეფოს თავდაცვითი სისტემის, არამედ ზოგადად ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სოციალური ისტორიის კვლევისათვის.

ეგრისის სამეფოს ისტორიის შეკვეთები ნაწილი მიიჩნევს, რომ სამეფოს საზღვრები IV-VI სს.-ში ძირითადად დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში თავსდებოდა. შესაბამისად, ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოში არსებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებაში.

დასავლეთი საქართველო გეოგრაფიულად მოქცეულია დასავლეთიდან შავ ზღვას, ჩრდილოეთიდან კავკასიონის, სამხრეთიდან მცირე კავკასიონისა და აღმოსავლეთიდან ლიხის (სურამის) ქედს (რომელიც კავკასიონისა და მცირე კავკასიონის დამაკავშირებელი ქედია) შორის (სურ. 1). დასავლეთ საქართველოს მთათაშორის ბარს კოლხეთის დაბლობი ეწოდება. ის შემორკალულია გორაკ-ბორცვებით, რომელთა სიმაღლე 600 მეტრს არ აღემატება. შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ქობულეთიდან გაგრამდე, გავრცელებულია 2-10 მ სიმაღლის ქვიშრობიანი სერები, რომლებიც ისტორიულად, გარდა იმისა, რომ ბუნებრივად შემაღლებული კარგი სამოსახლო ადგილები იყო, იმავდროულად შეიცავს მაგნეტიტიან ქვიშებს, რომლისგანაც იქ მოსახლე ტომები მაღალხარისხოვან რკინის ნედლეულს დებულობდნენ (კალანდაძე 1970: 16).


დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი აღმოსავლეთი საზღვარია ლიხის ქედი, რომელის სიგრძეც კავკასიონიდან მცირე კავკასიონამდე 102 კმ-ს აღწევს, აბსოლუტური სიმაღლე კი 900-2471 მეტრის ფარგლებში ცვალებადობს. ქედზე არსებული ულელტეხილებიდან გამოსარჩევია რიკოთი (999 მ) და ჯვარი (936 მ) (მარუაშვილი 1983a: 271).

მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედი დასავლეთ საქართველოს სამხრეთი საზღვარია. ის გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროდან ბორჯომის ხეობამდე; სიგრძე 140 კმ-ს აღწევს; მაქსიმალური სიგანე 45 კმ-ია, ხოლო აბსოლუტური სიმაღლე – 2850 მ. ქედი დასერილია ხანისწყლის, სულორის, გუბაზოულის, სუფსის, ნატანების, კინტრიშისა და სხვა მდინარეების ღრმა ხეობებით (მარუაშვილი 1983b: 602).

ჩრდილოეთის მხრიდან დასავლეთ საქართველოს კავკასიონის ქედი და მისი სამხრეთი განშტოებები – გაგრის, ბზიფის, აფხაზეთის, კოდორის, ეგრისის, სვანეთის, ლეჩხუმისა და რაჭის ქედები ესაზღვრება, რომლებიც მდინარეების: ბზიფის, გუმისთის, კოდორის, ლალიძების, ენგურის, ჭანისწყლის, ტეხურის, ცხენისწყლისა და რიონის ხეობებითა დასერილი.

რიონი დასავლეთ საქართველოს უდიდესი და უმთავრესი მდინარეა, რომელიც ვიწრო ხეობებიდან გამოსვლის შემდეგ კოლხეთის დაბლობზე მიედინება. მას ორივე მხრიდან ერთვის ლიხის, სვანეთის, ეგრისისა და მესხეთის ქედებიდან ჩამომავალი მდინარეები. რიონი დასავლეთ საქართველოს უმთავრეს ეკონომიკურ არტერიას წარმოადგენდა და სამოსახლოების დიდი ნაწილიც ისტორიულად რიონის ან მისი შენაკადების ნაპირებზე ჩნდებოდა. მდ. რიონზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზა (აბრეშუმის გზა), რომელიც ევროპას, შავი ზღვის, მდ. რიონის, ლიხის ქედის, მდ. მტკვრისა და კასპიის ზღვის გავლით, ინდოეთთან აკავშირებდა (ლორთქიფანიძე 2010: 97-102).

შავიზღვისპირა დასახლებული პუნქტები (ფაზისი, დიოსკურია-სებასტოპოლისი, პიტიუნტი და სხვ.) ოდითგანვე გამოიყენებოდა ნავსადგურებად. ეს ყურეები და მდინარეების შესართავები თევზის რეწვის ადგილები იყო. ზოგადად, დასაცლეთ საქართველოს მდინარეები ახლაც მდიდარია თევზით და ცხადია, ძველადაც ასე იქნებოდა, თუ უკეთესად არა.



**1. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკა**

დასავლეთ საქართველოს მთიანეთის გორაკ-ბორცვები, ხეობები, სერები და დაბლობი, თავიანთი ბუნებრივი გარემოთი ხელსაყრელ, პირობებს ქმნიან დასახლებების გაჩენისათვის. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა – ხე, სხვადასხვა ჯიშის ქვა და თიხა, ასევე მრავლად არის აღმოჩენილი მინერალები, რომლებიც ძველთაგანვე გამოიყენებოდა სამკაულის და სხვადასხვა სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღის დასამზადებლად – გიშერი, მთის ბროლი, აქატი, ქალცედონი, სარდიონი, ობსიდიანი და სხვ. (გამყრელიძე 1999: 12-13).

რეგიონში საკმაო რაოდენობით მოიპოვება სპილენძის, რკინის, ტყვიის, ვერცხლის მადნეული. ასევე ცნობილია, რომ ენგურის, ცხენისწყლის, ტესურისა და რიონის ქვიშებში ოქრო მოიპოვება.

დასავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობა ძირითადად კოლხეთის დაბლობის მშრალ ნაწილსა და მთისწინეთში იყო განვითარებული. ეს ტერიტორია თანამედროვე იმერეთისა და სამეგრელოს მთისწინა რაიონებს მოიცავს. წვიმების სიუხვე, თბილი ზამთარი, ზომიერად ცხელი ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აგრარული საქმიანობისათვის, კერძოდ მემარცვლეობის, მებოსტნეობისა და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის (გამყრელიძე 1999: 19).

დასავლეთი საქართველო მდიდარი იყო ბუნებრივი რესურსებით. ძვ. წ. I ს.-ის ავტორი სტრაბონი წერს, რომ კოლხეთი მდიდარი ყოფილა რკინით, ოქროთი, ვერცხლით, გემთსაშენი ხით. ასევე იქ ამუშავებდნენ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს, ქვეყანაში მრავალი შესანიშნავი ნაყოფი ხარობდა (ლორთქიფანიძე 2010: 103-111).

დასავლეთ საქართველოში არსებული რელიეფის მრავალფეროვნება – ქედებად, სერებად და ხეობებად დანაწევრებული რელიეფი (მდინარის ხეობა, მაღალი მთა ან გორა), სასიმაგრო სისტემის ჩამოყალიბებისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა და ციხის ასაგებად შესაფერისი ადგილის შერჩევა ძნელი არ იქნებოდა (ზაქარაია... 1991: 161).

ვინრო ხეობები, მაღალი მთები, გასამაგრებლად ხელსაყრელი გორები, ხშირი ტყეები და წყალუხვე მდინარეები თავდაცვის დამატებით კომპონენტს წარმოადგენდა. გარდა ამისა, მაღალი ქედებით გარშემორტყმულ დასავლეთ საქართველოში მოხვედრა ზამთარში, დიდთოვლობის დროს, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნებოდა და იქ საომარი ოპერაციების საწარმოებლად წელიწადის მხოლოდ ნახევარი დრო თუ იქნებოდა გამოსადეგი.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს გავრცელებული გეოგრაფიული გარემო არა მხოლოდ უწყობდა ხელს როგორც სამოსახლოების გაჩენას, ისე იქ მცხოვრები ხალხის უსაფრთხოებას, არამედ განაპირობებდა კიდეც იქ მოსახლე ტომების წეს-ჩვეულებებისა და სამეურნეო ტრადიციების ფორმირებას. ამასთანავე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ გეოგრაფიულმა გარემომ ითამაშა გადამწყვეტი როლი ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ხასიათისა და მისი შემადგენელი ქვესისტემების ფორმირების პროცესში.

## თავი I

### ეგრისის სამეცნ IV-VI სს.-ში ცორილობითი ცყაროების მიხედვით

როგორც ცნობილია, ძვ. წ. I საუკუნიდან კოლხეთის სამეფო საბოლოოდ იშლება, რაც კოლხეთში წარმოებულ მითრიდატეს ომებთან და პომპეუსის ლაშქრობასთან არის დაკავშირებული (მელიქიშვილი 1970: 474, 500, 504-507; გამყრელიძე 2002: 46-69; ლორთქითანიძე 2010: 229-244). ამის შემდეგ კოლხეთი ჯერ პონტოს პროვინციაში შევიდა, ხოლო მოგვიანებით (ახ. წ. 63 წლიდან), პონტოსთან ერთად, გალატიის პროვინციის შემადგენლობაში მოექცა. 72 წლიდან კი, სავარაუდოდ, „კაპადოკიის კომპლექსში“ შედიოდა (მელიქიშვილი 1970: 537-538). კოლხეთის დასუსტება და საბოლოო დაშლა ნათლად არის ასახული დასავლეთ საქართველოს ახ. წ. პირველი ორი საუკუნის არქეოლოგიურ ძეგლებზე, სადაც აღნიშნული პერიოდის არქეოლოგიური ფენები და მასალა მეტად ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი (ნოქალაქევი, ვარდციხე, შორაპანი, მთისძირი და სხვ.). აღნიშნული არ ეხება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებულ ძეგლებს, რომლებიც ახ. წ. I ს.-იდან მოყოლებული რომაელებმა დაიკავეს და მოგვიანებით ე. წ. „პონტოს ლიმესი“ შექმნეს.

ახ. წ. პირველ საუკუნეებში, კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე სამეფო-სამთავრო ჩამოყალიბდა. II ს.-ის 30-იან ნეობში შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მოგზაურობის აღწერისას რომის იმპერატორ ადრიანეს (117-138) ნაცვალი კაპადოკიაში ფლავიუს არიანე, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ტრაპეზუნტიდან სეპასტოპოლისამდე ასახელებს შემდეგ ტომებს – კოლხებს, სანებს, მაკრონებს, ჰენიონებს, ძიდრიტებს, ლაზებს, აფ-სილებს, აბასკებსა და სანიგებს. არიანე იქვე აღნიშნავს, რომ მაკრონ-ჰენიონებს, ლაზებს, აფ-სილებს, აბასკებსა და სანიგებს ჰყავთ მეფები, რომლებსაც მეფობა ადრიანესგან და მისი მამისაგან მიუღიათ (მაკრონ-ჰენიონთა მეფე ანქიალეას გარდა) (არიანე 1983: 158-159). მოყვანილი ცნობიდან აშკარაა, რომ ამ პერიოდში ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ტომობრივ-პოლიტიკური გაერთიანებაა, რომლებსაც მეფები მართავენ, ისინი კი, თავის მხრივ, რომის იმპერატორის ვასალები არიან. ასეთი მდგომარეობაა III ს.-შიც (ზაქარია... 1984: 9-11).

III ს.-ის პირველ ნახევარში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ეტაპობრივად შემოდიან გუთები, იწყება რომის იმპერიის დასუსტების ხანა (მელიქიშვილი 1970: 553), იმავდროულად, II-III სს.-ში, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა პირველობისათვის, რომელშიც ლაზები იმარჯვებენ და უკავე III ს.-ის ბოლოსათვის გარკვეულ წარმატებებსაც აღნევენ (მელიქიშვილი 1970: 552-553).

IV ს.-ში გართულებული საგარეო პოლიტიკის გამო (გუთებისა და პუნების სისტემატური თავდასხმები რომის იმპერიაზე, სპარსეთის გაძლიერება და მის მიერ ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის დამორჩილება) რომი ვეღარ ახორციელებს სათანადო კონტროლს თავის აღმოსავლეთ პროვინციებზე და მათ შორის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე. შესაბამისად, იძულებული ხდება, შეეგუოს ლაზების გააქტიურებას დასავლეთ საქართველოში (მუსხელიშვილი 2012: 39). როგორც ჩანს, ლა-

ზებმა სწორად შეაფასეს არსებული მდგომარეობა და ეტაპობრივად დაიმორჩილეს მეზობელი ტომები – აფსილები, აბაზგები და სანიგები (ლომოური 2011: 119-120). ლაზების მიერ დასავლეთ საქართველოს ტომების გაერთიანება და ძლიერი სამეფოს ჩამოყალიბება რომის იმპერიის ინტერესებშიც შედიოდა. მკვლევრების აზრით, რომი არათუ ხელს შეუშლიდა ამ პროცესს, პირიქით, ხელს შეუწყობდა მას, რადგანაც დასავლეთ საქართველოში ძლიერი სამეფოს არსებობა, რომელიც სხვადასხვა გადმოსასვლელს და შავი ზღვისპირა ციხე-ქალაქებს გააკონტროლებდა, ერთგვარი დამცავი ზღუდე იქნებოდა რომის აღმოსავლეთ პროვინციებისათვის ჩრდილოელი მომთაბარე ტომებისაგან თავის დასაცავად (მელიქიშვილი 1970: 556-557; ლომოური 2011: 120; მუსხელიშვილი 2012: 39). პროკოპი კესარიელი ამ გარემოებას განსაკუთრებით უსვამს ხაზს. მისი თქმით „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხირი“ (პროკოპი კესარიელი 1965: 94).

როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, IV ს.-ის ბოლოდან მოყოლებული ლაზებს დამორჩილებული ჰყავთ სვანებიც და რაჭა-ლეჩხუმიც (მენანდრე 1936: 224-225; ჯანაშია 1952: 314; მუსხელიშვილი 2003: 102-103). ამრიგად, III საუკუნიდან მოყოლებული ლაზებმა ეტაპობრივად შემოირთეს დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომები და საფუძველი ჩაუყარეს ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს, რომლის საზღვრებიც დაახლოებით დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ეკცეოდა (სურ. 2). აღმოსავლეთიდან მას ლიხის ქედი ესაზღვრებოდა, დასავლეთიდან – შავი ზღვა, სამხრეთიდან ეგრისის საზღვარი მესხეთის ქედზე და მდ. ჭოროხის შავ ზღვასთან შეერთების ადგილას გადიოდა, ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარ ქედს ებჯინებოდა, ჩრდილო-დასავლეთით კი მდ. ფსოუმდე აღწევდა (ლომოური 2011: 120-121).



2. ქართლის და ეგრისის სამეფოები, IV-VI საუკუნეები

აგათია სქოლასტიკოსი წერს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ტომებსაც მბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც ისე უსაფუძვლოდ.

იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მე-გულება არც ერთი სხვა ესეოდენ სახელგანთქმული და მორჩმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მინაწელის სიჭარით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობა-შიაც ნახულობენ დიდ საორგებლობას... რომაელებთან კავშირის წყალობით თავი-ანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ“ (აგათია სქოლასტიკოსი, 1936: 50-51). მოყვანილი ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ იმ დროისათვის ლაზიკაში კარგად იყო განვითარებული ვაჭრობა (მათ შორის საზღვაო ვაჭრობაც) და სოფლის მეურნეობა. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ლაზიკაში მოქმედებს ძლიერი სახელმწიფო აპარატი, რაც სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის მთავარი განმსაზღვრელია.

ბიზანტიური წერილობითი წყაროების თანახმად, დამორჩილებულ ტომებს ლაზები უნიშნავდნენ მმართველებს. პროკოპი კესარიელის ცნობით, სკვიმნია და სვანეთი „ლაზთა ქვეშევრდომნი არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს ადსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ“ (პროკოპი კესარიელი 1965: 126-127). იმავე პროკოპის გადმოცემით, „აბაზები ძველითვანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ“ (პროკოპი კესარიელი 1965: 133). რაც შეეხება აფშილებს, პროკოპი კესარიელი არ ასახელებს მათ მთავარს, რაც აკადემიკოს დ. მუსხელიშვილს აფიქრებინებს, რომ აფშილეთი „იყო არა ვასალური ერთეული, არამედ ეგრისის სამეფოში უშუალოდ შემავალი პროვინცია“ (მუსხელიშვილი 2012: 42). ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და დამატებითი არგუმენტის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ თავდაცვით სისტემაში შემავალი ციხესიმაგრეები დღევანდელი სამეგრელოსა და აფხაზეთის (ისტორიული ეგრისისა და აფშილეთის) ფარგლებში ვრცელდებოდა და, სავარაუდოდ, ანაკოფის ციხემდე აღწევდა.

ლაზების მეფეს დამორჩილებული ჰყავდა მეზობელი ტომები, მაგრამ, თავის მხრივ, ის ფორმალურად რომის (ბიზანტიის) იმპერატორის ვასალს წარმოადგენდა. პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზები „რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარჯს იხდიდნენ, არც სხვა რამები ემორჩილებოდნენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს, ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმინებით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათი (ლაზების) მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკეზე გამოვლით რომაელთა მინაწყალში არ შემოჭრილიყვნენ. ისინი მტკიცედ იცავდნენ იმათ, ისე, რომ არც ფულს დებულობდნენ რომაელებისაგან, არც ჯარს, და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად“ (პროკოპი კესარიელი 1965: 72-73). მოყვანილი ფრაგმენტიდან აშკარაა, რომ ეგრისის მეფეები სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ რომაელებისაგან და თითქოს მათ შორის არსებობდა შეთანხმება ჩრდილოეთ

კავკასიის გადმოსასვლელების დაცვის თაობაზე, რომელიც ლაზებს უნდა აეღოთ თავის თავზე ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, სამაგიეროდ, არც მათ მოუწევდათ რომაელებისათვის ხარკის გადახდა და მათ ლაშქრობებში მონაწილეობის მიღება. როგორც ჩანს, ასეთი ურთიერთობა V ს.-ის შუა ხანებამდე გაგრძელდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეგრისი ფორმალურად რომის (მოგვიანებით – ბიზანტიის) ვასალად ითვლებოდა, მის მეფებს მაინც უწევდათ ბალანსის დაცვა აღმოსავლეთის ორ უძლიერეს სამეფოს – რომისა (ბიზანტიის) და სასანურ ირანს – შორის. V-VI საუკუნეების მანძილზე ეგრისის მეფები ხან ირანს ემორჩილებოდნენ, ხან ბიზანტიელებს. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი ორიენტაცია იყო სასარგებლო ქვეყნისათვის კონკრეტულ დროში. ამას უკავშირდება ისიც, რომ მართალია, ეგრისის მეფეებმა IV საუკუნეში მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება, რაზეც ძეგლი მატიანები და არქეოლოგიური მონაცემები მეტყველებენ, მაგრამ 523 წლამდე მათ რამდენჯერმე შეიცვალეს სარწმუნოება.

როგორც ჩანს, V ს.-ის შუა ხანებიდან ეგრისის მმართველები ბიზანტიის იმპერიის ფორმალურ ვასალობასაც აღარ ეგუებიან. ამ დროისათვის ბიზანტიიში მძიმე პოლიტიკური მდგომარეობაა – V ს.-ის დასაწყისიდან იმპერიას თავს ესხმიან ვანდალები, 40-50-იან წლებში კი – ჰუნები და საკმაო ზარალსაც აყენებენ. პარალელურად, იმპერიაში არ ცხრება საეკლესიო უთანხმოებები, პროვინციათა აჯანყებები და სამეფო კარზე სხვადასხვა დაჯვეუფების პოლიტიკური პრძოლა პირველობისათვის (ზაქარაია... 1984: 13). პრისკე პანიონელის გადმოცემით, იმპერატორ მარკიანეს (450-457) დროს ეგრისის მეფე გუბაზ । იყო. მას, როგორც ჩანს, გაუთვალისწინებია ბიზანტიის რთული მდგომარეობა და იმპერატორის უნებართვოდ ტახტზე თანამმართველად თავისი ვაჟი დაუსვამს. ამის გამო იმპერატორს ლაზიკაში ჯარი გაუგზავნია და ლაზებსა და ბიზანტიელებს შორის ომი დაწყებულა. პრისკე პანიონელი არ აზუსტებს საბრძოლო მოქმედებების არეალს და მიმდინარეობას. 6. ლომოურის აზრით, ბიზანტიელთა ლაშქრობის შედეგი უნდა იყოს ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი V ს.-ით დათარიღებული სამნავიანი ბაზილიკის ნერევა, რომელიც, სავარაუდოდ, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში უნდა დანგრეულიყო (ზაქარაია... 1984: 14). ეს საგულისხმო მოსაზრებაა, თუმცა, ჩვენი აზრით, გასამტკიცებლად დამატებით არგუმენტებს მოითხოვს. ნოქალაქევის ნაქალაქარის ნერევა, შესაძლოა, ვახტანგ გორგასალის ლაშქრობასთანაც იყოს დაკავშირებული (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

საბოლოოდ, პრისკე პანიონელის ცნობით, იმპერატორს მოუთხოვია, რომ ან გუბაზი დარჩენილიყო მეფედ, ან თავისი ვაჟი დაემტკიცებინა. გუბაზმა არჩევანი ვაჟის სასარგებლოდ გააკეთა და ბიზანტიელებს სამეფოდან ჯარის გაყვანა მოსთხოვა. კონფლიქტი ამით ამონტულად და გუბაზი კონსტანტიინოპოლიშიც ჩასულა. მას საიმპერატორო კარზე მისვლისას სპარსული სამოსი სცმია. კარისკაცებს ის ჯერ გაუკიცხავთ ამბოხებისათვის, შემდეგ კი „კეთილგანწყობილად მოეპყრნენ და ისე გაისტუმრეს უკან. გუბაზმა მოხიბლა ისინი თავისის სიტყვა-პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით“ (პრისკე პანიონელი 1962: 254-256, 259). ეს უნდა მომხდარიყო 465 წლის შემდეგ, ლეონ I-ის ზეობის დროს (457-474). ამ ცნობაში ყურადღებას იცცევს ორი დეტალი. ერთი ის, რომ გუბაზი სპარსულ სამოსში გამოწყობილი მისულა საიმპერატორო კარზე და მეორე – მას საქრისტიანო ნიშნების

ტარებით მოუხიბლია იქაური კარისკაცები. ჩვენი აზრით, გუბაზის ასეთი საქციელი აშკარა მინიშნება უნდა ყოიფილიყო იმაზე, რომ ლაზიკას ნებისმერ დროს შეეძლო სპარსული ორიენტაციის აღება და ბიზანტიისათვის პრობლემების შექმნა. იმავდროულად, მეფის მიერ ქრისტიანული სიმბოლოების ტარება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იმ დროისათვის ქრისტიანობა ეგრისში სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა.

იმავე პრისკე პანიონელის ცნობით, ბიზანტია-ეგრისს შორის მომხდარი ამ ინციდენტიდან მაღევე, 60-იან წლებში, სვანები ასჯანყებიან ლაზებს და ადრე წარმეული ციხეების დაპრუნება განუზრაასავთ. ლაზებს დასხმარებისათვის ბიზანტიური ჯარები მოუხმიათ, ხოლო სვანებს იბერიელები და სპარსელები უჭერდნენ მხარს (პრისკე პანიონელი 1962: 261-262). ეს კონფლიქტი საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ სვანებმა თავი დაალწიეს ეგრისის ვასალობას (მენანდრე 1936: 225; ჯანაშია 1952: 313-315). მკვლევრების ნაწილი (მუსხელიშვილი 1977: 203; ბოგვერაძე 1976: 191-192; გოლაძე 1991: 89-105 და სხვ.) პრისკე პანიონელთან დაცულ ცნობას, სვანეთის გამო იბერიელების, სპარსელების, ლაზებისა და ბიზანტიელების კონფლიქტის შესახებ აიგივებს ჯუანშერთან დაცულ ცნობასთან იმის შესახებ, რომ V ს.-ის 70-იან წლებში ვახტანგ გორგასალს ეგრისში ულაშქრია და მთელი ეგრისი დაუპყრია ციხეგვჯის ჩათვლით (ჯუანშერი 1955: 157). ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი ნგრევის კვალი, რომელიც V ს.-ის მიწურულით თარიღდება (ზაქარაია... 1991: 39), შესაძლოა, სწორედ ვახტანგ გორგასალის ლაშქრობასთან იყოს დაკავშირებული და არა ბიზანტია-ეგრისის ომთან. ჯუანშერის ცნობას გაზვიადებულად და არადამაჯერებლად მიიჩნევს ნ. ლომოური და აღნიშნავს, რომ პრისკე პანიონელისა და ჯუანშერის მონათხრობების გაიგივება შეუძლებელია (ლომოური 2004: 7-14).

V ს.-ის 60-70-იანი წლებიდან VI საუკუნის 20-იან წლებამდე ეგრისის შესახებ წერილობით წყაროებში ინფორმაცია დაცული არ არის და ჩვენ არ ვიცით, როგორი პოლიტიკური მდგომარეობა იყო ამ დროისათვის სამეფოში. ფაქტი ერთია, რომ ბიზანტია-ეგრისის ომისა და შემდგომ სვანეთის დაკარგვის შემდეგ ლაზიკა ისეთი ძლიერი ველარ იქნებოდა, როგორიც V ს.-ის პირველ ნახევარში. საფიქრებელია, რომ ბიზანტიასთან წარმოებულ ბრძოლებში ეგრისმა დიდი მატერიალური ზიანი განიცადა და თან ვერ მოახერხა მისგან სრული დამოუკიდებლობის მიღწევა. პირიქით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ შორის არსებული ფორმალური ვასალური მდგომარეობა უფრო რეალურ სახეს მიიღებდა. საინტერესო ცნობაა დაცული მენანდრესთან, რომელიც აღნიშნავს, რომ სვანები პურს ეგრისისაგან იღებდნენ და როდესაც ლაზებმა პურის მიწოდება შეუწყვიტეს, სვანები აჯანყდნენ და იქ სპარსელები შეუშვეს (მენანდრე 1936: 214). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება, დავუშვათ, რომ ლაზებმა სვანებისათვის პურის მიწოდება, ბიზანტიასთან გადახდილი ბრძოლების შემდეგ, სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითების გამო შეწყვიტეს, რაც სვანებისათვის განდგომის საბაბი გამოდგა.

VI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მწვავდება. როგორც ცნობილია, 523 წელს სპარსელებმა ქართლი სრულად დაიმორჩილეს და იქ მეფობა გააუქმეს. მათი შემდეგი ნაბიჯი ეგრისის დამორჩილება უნდა ყოფილიყო. ამავე პერიოდში ეგრისში მეფე გარდაცვლილა და სამე-

ფო ტახტზე ასვლას წათე გეგმავდა. იუსტინე კეისარმა ის კონსტანტინოპოლში დაიბარა და მეფობის მისანიჭებლად გაქრისტიანება მოსთხოვა. როგორც ჩანს, იმ დროისათვის ეგრისის მმართველებს კვლავ შეუცვლიათ სარწმუნოება და წათეს კვლავ გაქრისტიანებას სთხოვდნენ. ის წავიდა კონსტანტინოპოლში, ქრისტიანად მოინათლა და სამშობლოში დაბრუნდა. ეს უნდა მომხდარიყო 523 წელს. ეს თარიღი ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად საბოლოოდ გამოცხადების დროდ არის მიჩნეული.



### 3. ახლო აღმოსავლეთი VI საუკუნეში

როგორც ჩანს, ეს იყო საბაბი სპარსელებისათვის და ირანის შაპმა კავად I-მა (488-531) ეგრისში დამსჯელი ჯარი გაგზავნა. ლაზებს ბიზანტიელები მიემხრნენ და 528 წელს სპარსელები სამეფოდან გააძევეს (ბოგვერაძე 1973: 250-251).

VI საუკუნის შუა ხანებში ეგრისის ტერიტორია ბიზანტიასა და ირანს შორის დაწყებული ომის ერთ-ერთი ეპიცენტრი გახდა (სურ. 3). 527 წელს ბიზანტიის საიმპერატორო კარზე იუსტინიანე I დიდი (527-565) ავიდა, ხოლო 531 წლიდან ირანში გამეფდა ხოსრო I ანუ შირვანი (531-579). მათი ზეობის წლებში ბიზანტიაც და ირანიც საგრძნობლად გაძლიერდა. თავდაპირველად, 532 წელს, მათ ერთმანეთში „უვადო“ ზავი დადეს და თავიანთი სამფლობელოებისა და ჯარების გაძლიერებას შეუდგნენ. იმავდროულად, იუსტინიანეს ბრძანებით, ეგრისში, შავი ზღვის სანაპიროზე, ბიზანტიელებმა ააშენეს ძლიერი საზღვაო პორტი – ციხე-ქალაქი პეტრა (თანამედროვე ციხისძირი), სადაც მთავარ მოხელედ იოანე ციბე დაინიშნა. მან პეტრა ეგრისში ვაჭრობის სამართავ მთავარ ცენტრად აქცია. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, ის იჯდა პეტრაში „და სძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს უკვე ხომ ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისთვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რამე ეყიდინე-

ბინათ, არამედ მან (ე. ი. ოოანეგმ) შემოიღო ეგრეთწოდებული მონოპოლი და თვით გარდაიქცა მთავარ მენვრილმანედ და მთელი ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომელად” (პროკოპი კესარიელი 1965: 74-75). მოყვანილი ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ბიზანტიიელებმა ლაზებს სრულად ჩამოართვეს ვაჭრობის უფლება. შესაბამისად, სამეფო ხაზინაში შესასვლელი მოგებაც, იოანე ციბეს მეშვეობით, ბიზანტიას რჩებოდა. ამან, ცხადია, აღაშფოთა ლაზები. ისინი ბიზანტიიელებს განუდგნენ და სპარსელებს მიემხრნენ. პროკოპი კესარიელი იოანე ციბეს მოქმედებას მისი სიძუნითა და უზნეობით ხსნის, თითქოს მან გააფუჭა ურთიერთობა ბიზანტიიელებსა და ლაზებს შორის. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს იყო ზოგადად იუსტინიანეს პოლიტიკა იმპერიის სხვადასხვა პროვინციიდან, ფინანსების სამიმერატორო ხაზინაში აკუმულირებისათვის (ჯანაშია 1949: 24-25; პროკოპი კესარიელი 1965: 79 (ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა)).

ამ დროს ეგრისში მეფობდა გუბაზ II. ბიზანტიიელი მოხელეებისა და მხედართ-მთავრების თვითნებობამ გუბაზის მოთმინების ფიალა აავსო, ირანის შაჰ ხოსრო I-თან ფარულად ელჩები გაგზავნა და მოკავშირეობა შესთავაზა. საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია ამ ელჩების მიერ შაჰის კარზე წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელშიც ისინი ლაპარაკობენ ამ ნაბიჯის მიზეზებსა და იმ სარგებელზე, რომელსაც ირანელები ეგრისელთა მოკავშირეობით მიიღებდნენ: „საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს ჩვენს წინააღმდეგ წყეულმა ბიზანტიიელებმა. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს: მეფეც მოსამსახურის ძედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ჩვენი ქვეყანა შემწუხებლისვან, არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ... იმ სარგებლის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთავან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ახლავე მოვახ-სენებთ: სპარსელთა ძალას თქვენ შემატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ლირსება განდიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით შავ ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფეც, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიის დედაქალაქს მიაღწიო. უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ ბიზანტიიელთა მიწაწყალი. თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენს“ (პროკოპი კესარიელი 1965: 77-81).

542 წელს ირანელთა ჯარი ეგრისში შემოვიდა და გუბაზთან ერთად ბიზანტიიელებს შეუტია. თავიდან მათ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ხოსროს არ მოსწონდა ეგრისის მეფის დამოუკიდებელი ხასიათი. ამიტომ მან გუბაზის მოკვლა გადაწყვიტა. ამ მიზნით ის დაუკავშირდა ეგრისელ წარჩინებულს ფარსმანს, რომელსაც მეფესთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და გუბაზის მოკვლა დაავალა. თუმცა ფარსმანი მოღალატე არ აღმოჩნდა და ყველაფერი მეფეს შეატყობინა. განრისსებული გუბაზი კვლავ ბიზანტიიელთა მხარეს გადავიდა და სიკვდილის ბოლომდე მათთან ერთად ებრძოდა ირანელებს. ამ ომში ქვეყნის დედაქალაქს ციხეგოჯ-არქეოპოლისს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 551 წელს ირანელთა სარდალი მერ-

მეროე ამ ქალაქის ასაღებად გაემართა. ამ დროს ქალაქს, ეგრისელებთან ერთად, 3 000-კაციანი ბიზანტიური გარნიზონიც იცავდა. ირანელების ჯარმა მთელი ძალით შეუტია ქალაქს. მათ ამ ბრძოლებში 8 საბრძოლო სპილოც გამოყენებიათ. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა და მრავალრიცხოვანი კედლის სანგრევი მანქანების გამოყენებისა, სპარსელებმა ვერ აიღეს ქალაქი. მეტიც, მათ ამ ბრძოლებში 4 000 მეომარიც დაკარგეს. ერთი წლის შემდეგ მერმეროე კვლავ შეუცადა ციხეგოჯ-არქეოპოლისის აღებას. მას კვლავ მრავალი საბრძოლო სპილო და ასევე ჰუნ-საბირთა ძლიერი რაზმი ჰყავდა. ირანელებმა ისევ მარცხი განიცადეს და უკან გაპრუნდნენ. მიუხედავად დედაქალაქის დაცვის დროს მიღწეული წარმატებებისა, ბიზანტიელი სარდლები საკმაოდ უნიათოდ ირჯებოდნენ. ეგრისის მეფე გუბაზ II ენერგიული ადამიანი იყო და ბიზანტიელი სარდლებისგანაც შესაბამის ქმედებებს მოითხოვდა. ის ხშირად აკრიტიკებდა მათ უმოქმედობის გამო და იმპერატორ იუსტინიანე I-თან ასმენდა. ამის საპასუხოდ, ბიზანტიელმა სარდლებმა გუბაზს ღალატი დასწამეს და იმპერატორს შეატყობინეს. იუსტინიანემ გუბაზი კონსტანტინოპოლიში დაიბარა. ამან სარდლები შეაჭყოთა, რადგან იქ სიმართლე გაირკვეოდა. ამიტომ მათ გუბაზის მოკვლა გადაწყვიტეს. 554 წელს ბიზანტიელმა სარდლებმა გუბაზი ვითომდა სათათბიროდ მიიწვიეს და მდ. ხობისწყალთან მოღალატურად მოკლეს (პროკოპი კესარიელი 1965: 82-87, 97-117, 146-154, 165-211; აგათია სქოლასტიკოსი 1936: 30-62). ამ ფაქტმა ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ეგრისელებმა მოიწვიეს სახალხო კრება, სადაც უნდა გადაეწყვიტათ – კვლავ ბიზანტიელთა მოკავშირედ დარჩენილიყვნენ თუ ირანელთა მხარეზე გადასულიყვნენ. ირანელთა და ბიზანტიელთა მომხრებმა საკუთარი არგუმენტები წარმოადგინეს. ირანელთა მომხრების მოსაზრებები ცნობილმა ორატორმა აიეტმა გააჟღერა, რომელიც ამტკიცებდა, რომ არ შეიძლებოდა მათი მეფის მკვლელებთან კვლავ კავშირი დაემყარებინათ. ამის საპასუხოდ ლაზმა წარჩინებულმა ფარტაძემ განაცხადა, რომ ჯობდა ისევ ბიზანტიელების მხარე დაეჭირათ, რადგანაც სპარსელები მათ ყველა წეს-ჩვეულებას შეუცვლიდნენ, ხოლო ბიზანტიელებისათვის აუცილებლად უნდა მოეთხოვათ გუბაზ მეფის მკვლელების სათანადო დასჯა. საბოლოოდ საღმა აზრმა გაიმარჯვა და ეგრისელებმა გადაწყვიტეს, გარკვეული პირობებით კვლავ ერთმორწმუნე ბიზანტიელთა მოკავშირედ დარჩენილიყვნენ შემდეგი პირობებით: იუსტინიანეს მკაცრად უნდა დაესაჯა მკვლელები და ეგრისში მეფედ გუბაზის მემკვიდრე წათე II დაემტკიცებინა. ბიზანტიის იმპერატორმა ეს პირობები მიიღო – მან გუბაზის მკვლელები ზოგი სიკვდილით დასაჯა, ზოგსაც პატივი აყარა და გადასახლა, ეგრისში კი მეფედ წათე II დაამტკიცა. საბოლოოდ ბიზანტია-ირანის ომი 562 წელს „ორმოცდათნლიანი“ ზავით დასრულდა. ეგრისი კვლავ ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ დარჩა (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 63-85, 125-154, 179-181). VI საუკუნის ბოლოს ბიზანტიელებმა ეგრისში მეფობა გააუქმდეს. ქვეყანას მათ მიერ დანიშნული მოხელე, პატრიკიოსი მართავდა, რომელიც აუცილებლად ეგრისელი წარჩინებული უნდა ყოფილიყო. ეს მდგომარეობა გაგრძელდა VII საუკუნის ბოლომდე.

არაბები სამხრეთ კავკასიაში VII საუკუნის შუა ხანებში გამოჩნდნენ, თუმცა დასავლეთ საქართველოში არ ულაშქრიათ. VII საუკუნის ბოლოს ბიზანტიელებზე განაწყენებულმა ეგრისის პატრიკიოსმა, სერგიმ, ქვეყანა არაბებს გადასცა (თეო-

ფანე უამთააღმწერელი 1941: 105). თუმცა მალე ეგრისელებმა არაბების წინააღმდეგ აჯანყებულ ქართლის მეფეებს მირსა და არჩილს დაუჭირეს მხარი. ლეონტი მროველის თანახმად, აჯანყების ჩასახშობად 735-737 წლებში არაბმა სარდალმა მურვან იბნ-მუჰამედმა, იგივე მურვან ყრუმ, საქართველოში იღაშქრა. მირმა და არჩილმა თავი ეგრისს შეაფარეს. არაბთა ჯარმა მათ სდია. გზად არგვეთი დალაშქრა და სწორედ აქ ჩაიგდეს ხელში არგვეთის მთავრები დავითი და კონსტანტინე, რომლებსაც სარმმუნოების შეცვლა მოსთხოვეს. მათ კატეგორიულად უარყვეს ეს წინადადება და არაბებმა ისინი წამებით მოკლეს. შემდეგ მურვან ყრუმ დაანგრია ეგრისის დედაქალაქი ციხეგოჯიც (ჯუანშერი 1955: 234-236). ფაქტოპრივად, ამ დროიდან ეგრისმა, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა და VIII საუკუნის ბოლოდან ჩამოყალიბდა ახალი, დასავლეთ ქართული აფხაზეთის სამეფო (Анчабадзе 1959: 96-105; ლორთქიფანიძე 1963: 180-185; მისივე 1973: 416-445).

## თავი II

### ეგრისის სამეფოს ციხეების შესწავლის ისტორია XIX-XX სს.

ეგრისის სამეფოს ციხეების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. დასავლეთ საქართველოში მდებარე ძეგლების ისტორიულ წყაროებში მოცემულ პუნქტებთან გაიგივება, პირველად შევიცარიელმა მოგზაურმა, სიძველეთმცოდნემ და გეოლოგმა, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (1798-1850) სცადა, რომელმაც კავკასიაში 1831-1835 წლებში იმოგზაურა და შედეგები მოგვიანებით, 1839-1845 წლებში, 8 ტომად გამოაქვეყნა.

მან, დასავლეთ საქართველოში, ეგრისის სამეფოს პერიოდის არაერთი სიმაგრე მოინახულა და მათ შესახებ მნიშვნელოვნი ცნობები დაგვიტოვა: ფაზისი, ვაშნარი, ნოქალაქევი, ქუთაისი, ბიჭვინთა, ვარდციხე, ასკანა, ლიხაური, შორაპანი და სხვ. ასევე შემონახულია მის მიერ გაკეთებული ნოქალაქევის, შეეფის, ასკანისა, და სხვა ძეგლების ჩანახატები.

დიუბუა იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც ნოქალაქევის ნაქალაქარი არქეოპოლისთან გააგივია (Dubois 1939, III: 55-56). მასვე ეკუთვნის ვაშნარის ნაქალაქარისა და პეტრის იდენტიფიკაციის მცდელობა (Dubois 1939, III: 86-94), თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ვაშნარი საკმაოდ მოცილებულია ზღვის სანაპიროს, მისი ეს მოსაზრება უგულებელყოფილია. დიუბუას ეკუთვნის ასევე მოსაზრება უქიმერიონისა და ქუთაისის შიდა ციხის იგივეობის შესახებ (Dubois 1939, II: 340), რომელიც, ასევე, მეტად საეჭვოა. მისი აზრით, გეგუთის ადგილას უნდა ყოფილიყო ბიზანტიური წერილობითი წყაროების მოხირისი (Dubois 1939, II: 200-210). ამ მოსაზრებას იზიარებდნენ სხვა მეცნიერებიც – კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე და ვლ. ჩაკვეტაძე (ლანჩავა 2007: 146).

დიუბუას დღიურებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ ფოთში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირიდან 700 მ-ის დაშორებით დაფიქსირებული სიმაგრე, რომელსაც ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა, ზომები 175 X 175 ნაბიჯზე, კუთხეებში წრიული კოშკებით (დიამეტრი 30 ნაბიჯი) (Dubois 1939, IV: 67-76). სამწუხაროდ, ეს სიმაგრე დღემდე არ შემორჩენილა.

XIX საუკუნის მკვლევართაგან ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეების შესახებ ცნობები მოიპოვება მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქარაძის, პლატონ იოსელიანისა და სხვა მოგზაურებისა და მკვლევრების ნაშრომებში, სადაც დაცულია ცნობები ციხესიმაგრეების იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ (Nocevianhi 1850; Brosset 1851; ბაქრაძე 1878).

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეების კვლევის ახალი ეტაპი იწყება. 1930 წელს ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით და განათლების სახალხო კომისარიატის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი ბიზანტინისტ-არქეოლოგი, ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ალფონს მარია შნაიდერი. გერმანელ მეცნიერს ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელობა დაეკისრა, ველზე მას ახლდნენ გ. გოზალიშვილი და ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური სამუშაოების საერთო ხელმძღვანელობა დაევალა სპეციალურად შექმნილ კომისიას ივ. ჯავახიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, გ. ნიორაძის, ს. ყაუხეჩიშვილისა და სხვათა შემადგენლობით. ექსპედიციამ 1930 წლის

დეკემბრიდან 1931 წლის იანვრის ჩათვლით იმუშავა. გათხრების შედეგები გამოქვეყნდა გერმანულ სამეცნიერო ჟურნალში: „Forschungen und forschritte 1931,” (შნაიდერი 1981: 240-242) ასევე შემონახულია გ. გოზალიშვილისა და დ. მუსხელიშვილის როგორც საველე დღიური, ისე მოხსენებით ანგარიში (ყაუხეჩიშვილი 1948: 188-195; გოზალიშვილი 1981; მუსხელიშვილი 1987: 288-304).

ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრებისა და ზოგადად ისტორიის შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ს. ყაუხეჩიშვილს. უპირველს ყოვლისა, აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი და გამოცემული „ბიზანტიელი ავტორების ცნობები საქართველოს შესახებ“, ანუ გეორგიკა, 8 ტომად (I (1961), II (1965), III (1936), IV.1 (1941), IV.2 (1952), V (1963), VI (1966), VII (1967), VIII (1970)). გარდა იმისა, რომ ყაუხეჩიშვილმა ამ კრებულში თავი მოუყარა ყველა მნიშვნელოვან ცნობას საქართველოს შესახებ, იქვე გააკეთა მნიშვნელოვანი კომენტარები ეგრისის სამეფოს ისტორიისა და ამა თუ იმ ძეგლის იდენტიფიკაციისა თუ ლოკალიზაციის შესახებ. ამ მხრივ გამოსარჩევია გეორგიკის მე-3 ტომში დაბეჭდილი სტატია „ბიზანტიური ეპოქის ციხესიმაგრები ლაზეთში“ (ყაუხეჩიშვილი 1936: 301-320). ნაშრომიდან ირკვევა, რომ 1935 წელს მას მოუნახულებია 7 ძეგლი: შორაპანი, სკანდა, ვარდციხე-როდოპოლისი, ტოლები-ტელეფისი, ისულა (ნესოსი) სენაკის რაიონში, ნოქალაქევი-არქეოპოლისი და ციხისძირი.

ეგრისის სამეფოს წარმოშობას და განვითარებას, ასევე მის ციხესიმაგრებს სწავლიობდა ს. ჯანაშია (ჯანაშია 1949, 1952, 1959, 1987). მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სამეფოს ფორმაციის პროცესს და მის განმაპირობებელ საშინაო და საგარეო ფაქტორებს. ჯანაშია იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც პეტრა-ციხისძირის იგივეობის შესახებ გამოთქვა მოსაზრება (ჯანაშია 1949: 29-44).

მნიშვნელოვანი ისტორიული კვლევები ეგრისის სამეფოს შესახებ ეკუთვნის გ. მელიქიშვილს (Меликишвили 1959; მელიქიშვილი 1970).

ეგრისის სამეფოს საზღვრებისა და სხვადასხვა გამაგრებული პუნქტის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს დაწერილი ნ. ბერძენიშვილს (ბერძენიშვილი 1964, 1966, 1975). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დასკვნები აქვს მას გაკეთებული ეგრისის ისტორიული გეოგრაფიისათვის და ზოგადად ისტორიული გეოგრაფიის პრინციპების შესახებ „საქართველოს ისტორიის საკითხების“ მე-8 ტომში, სადაც დეტალურად აქვს აღწერილი 1960 წლის სექტემბერში მონახულებული ძეგლები და ადგილები: შორაპანი, სკანდა, ვარდციხე, ჯიხაიში, ხომული, ქვილიშორი, პატრიკეთი, ხონი, ხიდი, მათხოვი, მარტვილი, ბანდა, ნოჯიხევი, ონოლია, ნოქალაქევი, ციხურია, დიმი, ტოლები და სხვ. ბერძენიშვილი იქვე ახდენს მონახულებული ადგილებისა და ბიზანტიურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების შედარებით ანალიზს და საინტერესო დასკვნებსაც აკეთებს. ამავე ნაშრომიდან ირკვევა, რომ მას დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს, სამტრედია-ქუთაისის სამანქანო გზის პირას, უნახავს თავდაცვითი თხრილებითა და მიწაყრილებით გარშემორტყმული სამხედრო ბანაკის ნაშთი (ბერძენიშვილი 1975: 442-537).

მოგვიანებით, ნ. ბერძენიშვილის მიერ შემუშავებული პრინციპების საფუძველზე, ეგრისის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კვლევები გამოსცეს დ. მუსხელიშვილმა და გ. გრიგოლიამ.

დ. მუსხელიშვილის კვლევებში (მუსხელიშვილი 1977, 1980, 2004) განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეგრისის სამეფოს საზღვრების ფორმირების და საუკუნეთა განმავლობაში მათი ცვლილებების პრობლემას. გეოგრაფიული მონაცემებისა და უხვი წერილობითი წყაროების (ქართული, რომაული, ბიზატიური, სომხური) გამოყენებით მკვლევარი საინტერესო დასკვნებს აკეთებს ეგრისის სამეფოს საზღვრების ცვლილებებზე IV-VII სს.-ში და მათ ცვლილებებს ისტორიული პერიოდებისა და მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობების გათვალისწინებით აღნერს.

მეტად საინტერესო და ორიგინალური მოსაზრებები აქვს გამოთქმული ეგრისის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემებთან დაკავშირებით გ. გრიგოლიას (გრიგოლია 1989, 1994a, 1994b). განსაკუთრებით გამოსარჩევია მისეული ხედვა ეგრისის სამეფოს საქალაქო ცენტრების – ნესოსის, ტელეფისის, სებასტოპოლისისა და პეტრის ლოკალიზაციის შესახებ. მკვლევარი საკუთარ მოსაზრებებს დასავლეთ საქართველოში მრავალწლიანი დაზერვითი ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალებით ამყარებს და იმავდროულად წერილობითი წყაროების ინტერპრეტაციითა და ტოპონიმიკის ანალიზით ადგენს დასახელებული პუნქტების მდებარეობას. განსაკუთრებით საგულისხმოა მის მიერ წამოყენებული მოსაზრება პეტრის ციხის თანამედროვე ხოფასთან (თურქეთი) ლოკალიზების შესახებ და შესაბამისად ეგრისის სამეფოს სამხრეთი საზღვრის არა ჭოროხის, არამედ ხოფის სიახლოეს გატარების შესახებ (გრიგოლია 1994a: 9-78). ჩვენი აზრით, მკვლევრის მიერ მოყვანილი არგუმენტები გასათვალისწინებელია, თუმცა ბოლო წლებში ციხისძირის ციტადელის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მონაცემებით პეტრის ციხის ხოფასთან ლოკალიზაციის საკითხი ფაქტობრივად გამოირიცხა (ამ საკითხზე ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი).

ეგრისის სამეფოს ისტორიისა და განსაკუთრებით ეგრისის, რომისა და ბიზანტიის იმპერიებთან ურთიერთობის საკითხების კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვის 6. ლომოურს. მის მიერ გამოქვეყნებულ შრომებში (ლომოური 1958, 1968, 1973, 1989, 2004, 2011 და სხვ.) განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, საგარეო პოლიტიკური ვითარების ჭრილში, ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების, განვითარებისა და დაცემის საკითხებს. მის ნაშრომებში დეტალურად არის განხილული წერილობითი წყაროების ცნობები და არქეოლოგიური მასალები. შედეგად საინტერესო დასკვნებია გაკეთებული სამეფოს საზღვრების, სასიმაგრო თუ საკულტო ცენტრების ფორმირების შესახებ.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-სასიმაგრო პუნქტების გენეზის საკითხების კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვ. ლექვინაძის შრომებს (ლეკვინაძე 1961, 1966, 1967, 1968, 1969, 1972, 1973). სწორედ ვ. ლექვინაძის სახელს უკავშირდება ტერმინ „პონტოს ლიმესის“ შემოტანა და დამკვიდრება ქართულ ისტორიოგრაფიაში. მიუხედავად იმისა, რომ ლექვინაძის შრომებში ხშირად არის ხაზგასმული, თითქოს, ეგრისის ქალაქების უმეტესობა ბიზანტიელების და-არსებული იყოს, მის მოსაზრებები მაინც ფასეულია ეგრისის სამეფოს საქალაქო ცენტრების შესწავლისათვის.

ზემოთ დასახელებული მეცნიერების გარდა, ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემისა და ზოგადად ქვეყნის ისტორიის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი

აქვთ შეტანილი გ. ანჩაბაძეს, ა. აფაქიძეს, თ. ბერაძეს, ა. ბოგვერაძეს, გ. გამყრელიძეს, ვ. გოლიაძეს, ი. ვორონოვს, მ. თრაპშს, ა, ინაიშვილს, ნ. ინაიშვილს, ა. კახიძეს, დ. ლეთოდიანს, ბ. ლორთქიფანიძეს, გ. ლორთქიფანიძეს, მ. ლორთქიფანიძეს, ო. ლორთქიფანიძეს, შ. მამულაძეს, თ. ყაუხჩიშვილს, დ. ხახუტაიშვილსა და სხვებს. ცალკე გამოსარჩევია გ. ლორთქიფანიძის მონოგრაფია „ბიჭვინთის ნაქალაქარი“ (1991) და ნ. ინაიშვილის ნაშრომი „ციხისძირის ახ. ნ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები“ (1993). აღნიშნულ ნაშრომებში ავტორები დეტალურად განიხილავენ ნაქალაქარებზე გამოვლენილ არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებს და ნარმოადგენენ დასკვნებს ნაქალაქარების დანიშნულებებისა და მათი ქრონოლოგის შესახებ.

ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრების ერთიან თავდაცვით სისტემაში გააზრების პირველი მცდელობა პ. ზაქარაიას სახელს უკავშირდება. მის შრომებში ციხესიმაგრების შესწავლისას გაერთიანებულია წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და ხუროთმოძღვრების მონაცემები და შედეგად მეტად საგულისხმო დასკვნებია გაკეთებული სიმაგრეთა ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიისათვის. სწორედ პ. ზაქარაიას (ვ. ლექვინაძესთან ერთად) ეკუთვნის არაერთი სიმაგრის ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, უმეტესად ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე (ზაქარაია 1971, 1974, 1980, 1984, 1987, 1991, 1999, 2002).

პ. ზაქარაიას მიერ ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემის შესახებ შემუშავებული თეორია მოგვიანებით განაცრცეს და ახალი მასალებით შეავსეს დ. ლომიტაშვილმა (ლომიტაშვილი 2003), ვ. ჯაფარიძემ (ჯაფარიძე 2006), ო. ლანჩავამ (ლანჩავა 2007, 2015) და მ. ჭუმბურიძემ (ჭუმბურიძე 2009). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად, დასახელებული ოთხი მეცნიერი, პ. ზაქარაიასთან ერთად, ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის მთავარი მკვლევარია.

დ. ლომიტაშვილმა პ. ზაქარაიას მიერ შესწავლილ სიმაგრეებს ოთხი ახალი ძეგლი (სორტა, კოტიანეთი, თამაკონი, „უსახელო ციხე“) შემატა სამეგრელოს რეგიონიდან. მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა საკვლევი ციხესიმაგრეების დანიშნულებები და მათი ურთიერთმიმართებები. მის სახელს უკავშირდება ოცინდალეს, ხომაკირდესა და კვაუთის ციხეებს სამეცნიერო წრეებისათვის გაცნობაც (ლომიტაშვილი... 2010). გარდა ამისა დ. ლომიტაშვილს ვრცელი კვლევა აქვს მიძღვნილი ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი (ლომიტაშვილი 1990, 2014).

ვ. ჯაფარიძის სახელს უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი სიმაგრეების შესწავლა, როგორებიცაა ვარდციხე-როდიოპოლისი (ჯაფარიძე 1989), შორაპანი (ჯაფარიძე 1990), და ნამაშევი (ჯაფარიძე 2006). ვახტანგ ჯაფარიძე დეტალურად მომოხილავს აღმოსავლეთ კოლხეთში (ეგრისში) გამოვლენილ და არქეოლოგიურად შესწავლილ ძეგლებს და მნიშვნელოვან სიახლეებს გვაწვდის ამ რეგიონის ისტორიის შესახებ. მის ნაშრომებში, არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, კარგად არის გაშუქებული ამ ძეგლების ქრონოლოგია და დანიშნულება. ასევე მნიშვნელოვანი გამოკვლევა აქვს ვ. ჯაფარიძეს მიძღვნილი წებელდური კულტურის პრობლემებისადმი (ჯაფარიძე 1979). ვახტანგ ჯაფარიძის მრავალწლიანი კვლევა-ძიების შედეგები წარმოდგენილია 2006 წელს მისი ავტორიბით გამოცემულ მონოგრაფიაში „ეგრისის ახ. ნ. I-VIII სს. მატერიალური ძეგლები [არქეოლოგიური გათხრები, გამოკვლევა]“, რომელშიც დეტალურადაა მიმოხილული შორაპანში წარმოებული

არქეოლოგიური გათხრების შედეგები. ავტორი მონოგრაფიაში ცალკე თავს უთმობს ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ თავდაცვით სისტემაში შემავალ სიმაგრეებს: სკანდას, მწყერისციხესა და დიმს. ეგრისის შიდა ქალაქებს: ნოქალაქევს, ვარდციხეს, ვაშნარს, მოხირისა და შავი ზღვისპირა თავდაცვით ხაზს. ცალკე თავი აქვს დათმობილი ეგრისის ქალაქების გენეზისისა და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის პრობლემებს.

ო. ლანჩავას სახელს უკავშირდება ქუთაისისა და მისი „ქვეყნის“ ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი. მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები თავმოყრილია 2007 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ქუთაისის არქეოლოგია“ (მეორე გამოცემა – 2015 წელი), სადაც ავტორი მიმოიხილავს ქუთაისისა და მისი „ქვეყნის“ ისტორიას უძველესი დროიდან ას. წ. XI საუკუნეებიდან ნაშრომში დეტალურად არის აღნერილი ქუთაისის ციხის განვითარების ეტაპები IV, V და VI საუკუნეებში. მოცემულია საფორტიფიკაციო, სამეურნეო, საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობების დეტალური აღწერა და მათი შენებისა და ნგრევის ქრონოლოგია. ცალკე თავები აქვს დათმობილი ეგრისის თავდაცვით სისტემას. ლანჩავა სულ 4 ქვესისტემას გამოყოფს: შავი ზღვისპირას, რიონ-ყვირილის ხეობების თავდაცვით ხაზს, მთისწინა ზოლის სისტემას და ჭოროხის ხეობის თავდაცვით ხაზს. ავტორს დეტალურად აქვს აღნერილი სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალი სიმაგრები, მიმოხილული აქვს მათ შესახებ არსებული ისტორიულ წყაროების ცნობები და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები. იქვე აქვს გამოთქმული საკუთარი მოსაზრებები სამეფოს თავდაცვითი სისტემის დანიშნულებისა და მოქმედების არეალების შესახებ.

2009 წელს არქეოლოგმა მ. ჭუმბურიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ას. წ. I-VIII სს.)“. ნაშრომში ავტორი დეტალურად აღნერს ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემას და მის შემადგენელ ნაწილებს ას. წ. I საუკუნიდან VIII საუკუნის ჩათვლით. ნაშრომში უხვად არის გამოყენებული ქართული, რომაული, ბიზანტიური და სხვა უცხოური წერილობითი წყაროებს ცნობები ეგრისის შესახებ. ასევე, თითქმის სრულად არის წარმოდგენილი არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

ნაშრომში სამეფოს თავდაცვითი სისტემა განხილულია პერიოდებისა და რეგიონების მიხედვით: ზღვისპირა თავდაცვითი ხაზი I-III საუკუნეებში. შიდა ეგრისის ციხე-ქალაქები I-III საუკუნეებში. ზღვისპირა თავდაცვითი ხაზი IV-VIII საუკუნეებში. შიდა ეგრისის ციხე-ქალაქები IV-VIII საუკუნეებში. ამ ნაწილში ის ეყრდნობა ო. ლანჩავას თეორიას და ეგრისის შიდა თავდაცვით სისტემაში გამოყოფს რიონ-ყვირილის თავდაცვით ხაზს და მთისწინა ზოლის სისტემას (ჭუმბურიძე 2009: 21-169). ცალკე თავი აქვს დათმობილი სამხედრო გარნიზონებისა და შეიარაღების საკითხს გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების ხანის ეგრის-ლაზიკაში (ჭუმბურიძე 2009: 187-209).

მიუხედავად იმისა, რომ მ. ჭუმბურიძის ნაშრომი ფაქტობრივად ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის პირველი კომპლექსური კვლევაა – მასში განხილულია მერეთის, სამეცნიეროს, აჭარისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სიმაგრეები და მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ საკითხის კვლევისათვის, მასში მაინც შეინიშნება გარკვეული სახის ნაკლოვანებები:

1. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემას I-VIII საუკუნებში განიხილავს, რაც, ჩვენი აზრით, ქრონოლოგიურად გაუმართლებელია. როგორც ცნობილია, ეგრისის სამეფო III-IV სს.-ის მიჯნაზე შეიქმნა, ხოლო მანამდე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთი-საგან დამოუკიდებელი რამდენიმე სამთავრო (სანების, ჰენიოხების, მაკრონების, ლაზების, აფშილების, აბაზების) არსებობდა და შესაბამისად, იმ დროისათვის ერთიან თავდაცვით სისტემაზე ლაპარაკი გადაჭარბებულად გვეჩვენება. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ დასავლეთ საქართველოში შესწავლილი გვიანრომაული და ადრებიზანტიური ხანის სიმაგრეების უმრავლესობა, არქეოლოგიური და ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე, სწორედ IV ან მომდევნო ორ საუკუნეში ჩანს დაარსებული ან განახლებული და შესაბამისად, I-III საუკუნებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მძლავრი თავდაცვითი სისტემის არსებობა საკამათოა. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება რომაელების მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაარსებული თავდაცვითი ხაზი – „პონტოს ლიმესი“ ან „კავკასიის საზღვარი“, რომელიც იმპერიის თავდაცვითი სისტემის ნაწილის იყო და არა ეგრისის სამეფოსი. ასევე საკამათოა ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად VIII საუკუნის აღება, გამომდინარე იქიდან, რომ VI-VII საუკუნეების მიჯნიდან ეგრისში მეფობა უქმდება და ბიზანტიის იმპერატორის მიერ დანიშნულ პატრიკიოსებს აღარ გააჩნიათ სათანადო პოლიტიკური თუ ეკონომიკური რესურსი ერთიანი სისტემის შესაქმნელად. აქაც ყურადღება მისაქცევი არქეოლოგიური მასალებისა და სიმაგრეების ხუროთმოძღვრული ანალიზის შედეგებისთვის, საიდანაც მკაფიოდ ირკვევა, რომ შესასწავლი ძეგლების უმეტესობაზე VI საუკუნის ბოლოდან ცხოვრება ან ჩერდება ან მკაფიოდ ქვეითდება და ძეგლების ნაწილზე მხოლოდ VII-VIII საუკუნეებიდან ახლდება.

2. სამწუხაროდ, ნაშრომში განხილული არ არის დღევანდელი გურიის ტერიტორიაზე გამოვლენილი სიმაგრეები: ასკანა, ბუკისციხე, ლიხაური, შუხუთი და ზოტი, რომელებზეც ეგრისის სამეფოს პერიოდის სამშენებლო კულტურული ფენების არსებობა სრულიად რეალურია.

3. მ. ჭუმბურიძე ცალ-ცალკე განიხილავს ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალ ციხესიმაგრეებს, თუმცა სამწუხაროდ, ავტორი, როგორც თავად ნაშრომიდან ჩანს, ძირითადად ემყარება სხვა მეცნიერების მიერ სხვადასხვა წლებში მიკვლეული და შესწავლილი სიმაგრეების ნუსხას და ახალი (ავტორის მიერ მოძიებული და შესწავლილი) ძეგლები ნაშრომში არ ფიქსირდება. ასევე თვალსაჩინოა, რომ ძეგლების უმეტესობა თავად არ მოუნახულებია და მათი აღნერისას უმეტეს შემთხვევაში სხვა ავტორების აღნერილობებსა და მონაცემებს ეყრდნობა, შესაბამისად, მითითებული არ აქვს ძეგლების ზუსტი კოორდინატებიც.

## თავი III

### კვლევის მეთოდიკა

#### არქეოლოგიური მასალების ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრებისა და ზოგადად თავდაცვითი სისტემის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს, დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი, IV-VI სა.-ით დათარიღებული, ციხესიმაგრებიდან ნახევარზე მეტ ძეგლზე არქეოლოგიური კვლევა-ძეგება ჯერ არ ჩატარებულა. შესაბამისად, ამ ძეგლების კვლევისას არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი კულტურული ფენებისა და მასალების გამოყენება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ძეგლების უმეტესობაზე ქრონოლოგიის განსაზღვრა მშენებლობის ტექნიკის განსაზღვრით არის შესაძლებელი.

შესასწავლი ძეგლებიდან არქეოლოგიური სამუშაოები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მასშტაბით შემდეგ ციხესიმაგრებზეა ჩატარებული:

**სტაციონარული:** აბედათი, ანაკოფია, ბათუმი, ბიჭვინთა-პიტიუნტი, ბუკისციხე, გონიო-აფსაროსი, გუდავა-ზიგანეოსი, ვარდციხე-როდოპოლისი, ვაშნარი, კოტიანეთი, ლესალე, მაჩხომერი, მთისძირი, ნამაშევი, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, სოხუმი-სებასტოპოლისი, ქუთაისი, შორაპანი, შექფი, ციხესულორი, ციხისძირი-პეტრა, წებელდა, ჭავინჯა და ხუნწი;

**საცდელი შურფები:** დიმი, მწყერისციხე და შუხუთი.

საერთო ჯამში, ეგრისის სამეფოს პერიოდის 54 ციხესიმაგრიდან მხოლოდ ოცდაშევიდზეა ჩატარებული მცირე თუ დიდი მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ კულტურულ ფენებსა და მასალებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრების კვლევაში. უპირველს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ გათხრების შედეგად გამოვლენილმა სამშენებლო თუ კულტურულმა ფენებმა კიდევ უფრო განამტკიცა მანამდე არსებული მოსაზრებები ამა თუ იმ ძეგლისა და წერილობით წყაროებში მოხსენიებული პუნქტის იდენტიფიკაციის შესახებ. ნოქალაქევ-არქეოპოლისში, პეტრა-ციხისძირში, ვარდციხე-როდოპოლისში, ქუთაისში, წებელდა-ნიბილიუმში, სებასტოპოლისში, პიტიუნტისა და სხვა ციხე-ქალაქებში გამოვლენილი კულტურული ფენები შესაბამისობაში მოდის წერილობით წყაროებში დაცულ აღნერილობებთან, რაც მათი იდენტიფიკაციის სარწმუნოობას კიდევ უფრო ზრდის.

ძეგლებზე ჩატარებული გათხრების მეშვეობით გამოვლინდა არაერთი ნაგებობა (ეკლესიები, სასახლეები, აბანოები, კოშკები, გალავნები) და სამშენებლო დეტალები (აგური, კრამიტი), რაც ციხესიმაგრეთა კომპლექსური შესწავლისათვის უმნიშვნელოვანესი იყო (ზაქარაია... 1984: 22-45; ლანჩავა 2007: 109-115; 124-132, 138).

არქეოლოგიური გათხრებით მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ ძეგლის (ციხესიმაგრის) მშენებლობისა და დანგრევის სხვადასხვა ფაზის ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა. მაგალითისათვის: არქეოლო-

გიური კვლევების დროს დადგინდა ნოქალაქევი-არქეოპოლისის I, II და III გალავ-ნების მშენებლობისა და დანგრევის მეტ-ნაკლებად ზუსტი ქრონოლოგია (მურლულია 2007: 68-73). იგივე შეიძლება ითქვას ვარდციხე-როდოპოლისის, ქუთაისისა და სხვა სიმაგრეების შესახებაც (ლანჩავა 2007; ჯაფარიძე 1986; ჯაფარიძე 2006).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძეგლებზე გამოვლენილი, საპრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებული, არტეფაქტების ანალიზი, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სიმაგრეებისთვის ნარმოებულ ბრძოლებში გამოყენებული სხვადასხვა სახის ინვენტარის – ქვის ჭურვების, ისრისა და შუბის პირების, გარნიზონის სასმელი წყლით მომარაგებისათვის ან მდუღარე წყლის მოსამზადებლად განკუთვნილი ჭურჭლის (ქვევრების, ამფორების) შესწავლა.

დასასრულ, არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე სრული წარმოდგენა გვეძლევა ამ თუ იმ ძეგლის ტერიტორიაზე ადამიანთა ცხოვრების ქრონოლოგიაზე. სწორედ კვლევების შედეგად გახდა ცნობილი, რომ შესასწავლი სიმაგრეების (სადაც არქეოლოგიური გათხრებია ჩატარებული) ნაწილზე ცხოვრება ციხის აშენებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე დაწყებულა და ციხის დანგრევის შემდეგაც არ შეწყვეტილა, რაც თავისი ადგილის მნიშვნელოვან სტრატეგიულ მდებარეობაზე მიუთითებს. ასეთი ტიპის აღმოჩენები საშუალებას გვაძლევს, ქრონოლოგიური თვალსაზრისით უფრო კომპლექსურად გავიაზროთ სიმაგრეების გაჩენისა და განადგურების წინაპირობები და მიზეზები: ადგილზე არსებული კულტურული ტრადიციები სიმაგრის დაარსებამდე, დანგრევის შემდეგ გაგრძელებული ცხოვრების დინამიკა, ტიპი და სხვ.

## ცერილობითი ცყაროების ანალიზი

ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემისა და მასში შემავალი ციხესიმაგრეების კვლევისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება წერილობითი წყაროების ანალიზს. სამწუხაროდ, IV-VI სს.-ის დასავლეთ საქართველოს შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში მნირი ინფორმაციაა დაცული. ეგრისის ციხე-ქალაქებსა და იქ წარმოებულ ბრძოლებზე ინფორმაცია შემონახულია ჯუანშერთან („ცხოვრება მეფის ვახტანგისი“), ლეონტი მროველთან („ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“), „მატიანე ქართლისაში“, იოანე საბანისძის „აპო თბილელის მარტვილობაში“ და უცნობი ავტორის „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში“.

ჯუანშერი და „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ ავტორი ძირითადად ვახტანგ გორგასლისა (ჯუანშერი 1955: 156-157) და მურვან ყრუს (ჯუანშერი 1955: 234-236; „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“ 1981: 177-178) მიერ დასავლეთ საქართველოში ლაშქრობაზე მოგვითხრობენ. ხოლო „მატიანე ქართლისაი“ და „აპო მარტვილობა“ აფხაზეთის სამთავროს და მის მთავრებს მოიხსენიებს („მატიანე ქართლისა“ 1955: 251; იოანე საბანისძე 1981: 128-130).

ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის და ზოგადად ქვეყნის ისტორიის კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზანტიურ წერილობით წყაროებს. მათ შორის კი განსაკუთრებით გამოსარჩევია VI ს.-ის მნერლების პრო-

კოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომები. პროკოპი კესარიელი დეტალურად აღწერს ეგრისის სამეფოს ბუნებრივ პირობებს, მეზობელ ტომებს, ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. მის ნაშრომებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ეგრისში მიმდინარე ბიზანტია-ირანის ომების აღწერას. ავტორი ეგრისში დაწყებული ომის მიზეზებსა და ნინაპირობებზე დეტალურად ლაპარაკობს და ომის პირველ ეტაპს (542-551 წლები) აღწერს (პროკოპი კესარიელი 1965: 43-234). მისი თხრობის უშუალო გამგრძელებელია აგათია სქოლასტიკოსი, რომელიც ომის შემდეგ ეტაპზე (552-558 წლები) მოგვითხრობს. აგათია სქოლასტიკოსთან არის აგრეთვე დაცული მეტად მნიშვნელოვანი ცნობები გუბაზ მეფის სიკვდილისა და ლაზი წარჩინებულების – აიეტისა და ფარტაძის მიერ წარმოთქმული სიტყვების შესახებ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 25-187). ამ ორ ავტორთან არის დაცული ძირითადი ცნობები ეგრისის სამეფოს უმთავრესი ციონესიმაგრებების: არქეოპოლისის, როდოპოლისის, ქუთაისის, აფსაროსის, სკანდის, შორაპნის, მოხირისის, უქიმერიონის, ონოგურისის, ნესოსის, ტელეფისის, ფაზისის, სებასტოპოლისის, პიტიუნტისა და სხვა მნიშვნელოვანი სიმაგრეების შესახებ.

მნიშვნელოვანი ცნობებია აგრეთვე დაცული პრისკე პანიონელის, ზოსიმეს, VII ს.-ის ანონიმი ავტორისა და მენანდრე პროტიქტორის თხზულებებში, იუსტინიანე დიდის „ნოველაში“ და სხვა ბიზანტიელი ავტორების ნაწარმოებებში. ასევე საინტერესოა თეოფილაქტე სიმოკატასა და თეოფანე უამთაალმწერელის ცნობები, განსაკუთრებით, ეგრისის სამეფოს VII ს.-ის ისტორიის კვლევისათვის.

პრისკე პანიონელი (V ს.) გვანვდის ორ საინტერესო ცნობას ეგრისის სამეფოს ისტორიიდან: 1. გუბაზ მეფის მიერ საკუთარი ვაჟის თანამოსაყდრედ გამოცხადება და ამის გამო ბიზანტია-ეგრისის კონფლიქტის დაწყება, რაც საბოლოოდ იმით დასრულებულა, რომ გუბაზმა თავის ვაჟი აღიარა ეგრისის ერთადერთ მმართველად. ეს ფაქტი V ს.-ის 50-60-იან წლებში მომხდარა. ამ ცნობაში მოცემულია ბიზანტიელების მიერ დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც, ეგრისის მმართველებს უფლება არ ჰქონდათ, ერთდროულად ორი მეფე ჰყოლოდათ, აქევე დაცული ცნობა გუბაზის მიერ სპარსული სამოსით კონსტანტინოპოლში ჩასვლის შესახებ (პრისკე პანიონელი 1961: 254-259); 2. იმავე საუკუნის 70-იან წლებში სვანები განუდგნენ ეგრის. ამ კონფლიქტის დროს სვანებს ლაზებისა და ბიზანტიელების წინააღმდეგ მხარს უჭერდნენ სპარსელები (პრისკე პანიონელი, 1961: 261-262);

ზოსიმე (491-518) გადმოგვცემს მეტად საგულსხმო ცნობას გუთების მიერ პიტიუნტისა და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის სხვა პუნქტების დარბევის შესახებ 256 წელს (ზოსიმე, 1961: 266-269). აღნიშნული ცნობა პიტიუნტის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოს III ს.-ის ისტორიიდან ბევრი არაფერია ცნობილი;

V ს.-ის ანონიმი ავტორის თხზულება „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ ძირითადად არიანეს (95-175) ამავე სახელწოდების ნაწარმოების გამეორებაა, მცირედი ცვლილებებით. ავტორი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ მდებარე პუნქტებს და დასავლეთ საქართველოს მდინარეებს ასახელებს, ასევე უთითებს მათ შორის მანძილებს (ანონიმი, 1965: 3-19). ანონიმის თხზულება, მიუხედავად არიანეს მონაცემების გამეორებისა, ჩვენი აზრით, მაინც მნიშვნელოვანი წყაროა ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული გამაგრებული პუნქტების შესწავლი-

სათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არიანეს თხზულების თარიღი სცდება ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, იქ დაცული ცნობები, დასავლეთ საქართველოს გამაგრებული პუნქტებისა და იქ მოსახლე ტომების შესახებ (არიანე 1983: 158-159), ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესის შესასწავლად.

იუსტინიანე დიდის (527-565) ბრძანებით შექმნილი დოკუმენტი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში იუსტინიანეს „ნოველების“ სახელითაა ცნობილი, ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს ეგრისის ციხე-ქალაქების შესახებ. „ნოველაში“ დასახელებულია პეტრა, ლისირი (ლისარიონი, ბათუმის ციხე?), მუხურისი, როდოპოლისი, სკანდისი, სარაპანისი, არქეოპოლისი, სებასტოპოლისი და პიტიუნტი. გარდა ქალაქებისა, „ნოველაში“ ჩამოთვლილია ლაზთა მეზობელი ტომებიც: ჭანები, სუანები, სკვიმნები, აფსილები და აბაზები (იუსტინიანე, 1965: 31-37). პუნქტებისა და ტომების ეს ჩამოთვალი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ მოცემულია VI ს.-ის პირველი ნახევრის მდგომარეობა: ჭანები უკვე ემორჩილებიან ბიზანტიას; პეტრა ახალი დაარსებულია იუსტინიანეს ინიციატივით, ლაზიკაში იმ დროისათვის უდიდეს და ძველ სიმაგრეებს წარმოადგენს არქეოპოლისი და როდოპოლისი; დოკუმენტის მიხედვით, იმ დროისათვის პიტიუნტი და სებასტოპოლისი „უფრო ციხესიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში“.

მენანდრე პროტიქტორი (VI ს.) მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ეგრისში ბიზანტია-ირანის ომის დამათავრებელი ეტაპების შესახებ, მისი ნაშრომი, ფაქტორივად აგათია სქოლასტიკოსის თხზულების გაგრძელებაა. მასთან არის დაცული ცნობა ბიზანტია-ირანს შორის 562 წელს დადებული საზაო მოლაპარაკებისა და ასევე სვანეთის სტატუსის შესახებ (მენანდრე, 1936: 209-252).

## ისტორიული გეოგრაფიის როლი საკითხების კვლევისათვის

IV საუკუნეში, ახლად ჩამოყალიბებულ ეგრისის სამეფოში, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა და შესაბამისად, სამეფოს თავდაცვითი სისტემის, მისი ციხე-ქალაქების, სავაჭრო-სტრატეგიული პუნქტების, „ქვეყნებისა“ და სამეფოში გამავალი გზების შესწავლაში ისტორიული გეოგრაფიას ერთ-ერთი უმთავრესი როლი ენიჭება. როგორც ნ. ბერძენიშვილი განმარტავდა, „ისტორიული გეოგრაფია მკვდარი (თუ ცოცხალი) პუნქტებისა, ციხე-სასახლეთა ნანგრევებისა, თუ გზების აღნიშვნა კი არ არის, არამედ ამ ნაშთების შესწავლის საფუძველზე და მისი საშუალებით აღდგენა ამა თუ იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათისა“ (ბერძენიშვილი 1975: 10). სწორედ ამიტომ ეგრისის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევით (დასახლებულ და გამაგრებულ პუნქტთა ლოკალიზებით, გზების და საზღვრების მდებარეობის დადგენით) შესაძლებელია სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებისა და ძირითადი დანიშნულებებისა თუ მიზნების განსაზღვრა.

საკითხების კვლევისათვის ისტორიული გეოგრაფიის გამოყენებას მით უფრო ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რომ შესასწავლი ძეგლების ნახევარზე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა და შესაბამისად, მათი დანიშნულების დასადგენად, უმთავრესად, ციხესიმაგრეთა მდებარეობა და გარემოა შესასწავლი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაზღვრება „ქვეყანა“ პირველად 6. ბერძენიშვილმა შემოიტანა, როგორც ცალკეული ხევის, რეგიონის აღმნიშვნელი ტერმინი (ბერძენიშვილი, 1975: 17-19), მისივე განმარტებით, „ქვეყანაში“ შედიოდა ერთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრზე დამოკიდებული მხარე თავისი დასახლებული, გამაგრებული, სავაჭრო-ეკონომიკური პუნქტებით. ეგრისის სამეფოს რეალობაში ასეთ დიდ „ქვეყნებად“ შეიძლება მოვიაზროთ წებელდის, პიტიუნტის, გუდავა-ზიგანეოსის, ნოქალაქევის, ქუთაის-მოხირისის, ვარდციხისა და სხვა მხარეები. გარდა ამისა, ეგრისში უნდა ყოფილიყო შედარებით მცირე „ქვეყნებიც“, მაგალითისათვის, ოცნდალესა და შეეფის სიმაგრეები, რომლებიც თვიანთი მდებარეობით, გეგმარებით, არქიტექტურული კომპონენტებითა და მასშტაბურობით აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი რიგითი სიმაგრეები კი არა, მცირე ადმინისტრაციული ცენტრები იყო, რომლებშიც გარშემო მდებარე სასოფლო დასახლებები შედიოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბება მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევდა დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში და საზღვრების მდებარეობაშიც. მართალია, ეგრისი ძველი კოლხეთის სამართალმემკვიდრე იყო, მაგრამ მისი წარმოშობა რამდენიმე ტომობრივი ერთეულის გაერთიანებით მოხდა და შესაბამისად, ახლად ჩამოყალიბებული სამეფოს საზღვრები და რეგიონები განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალებში მოექცეოდნენ. ამასთანავე, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ამ დროისათვის მიმდინარეობდა ფეოდალიზაციის პროცესი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან კორექტივებს შეიტანდა სამეფოს ეკონომიკური ცენტრებისა და სასოფლო-სამეურნეო რეგიონების ფორმირების პროცესში.

ქართულ მეცნიერებაში, ისტორიული გეოგრაფიის განვითარებასთან ერთად, ვითარდება სხვადასხვა კონცეფცია ეგრისის სამეფოს საზღვრების შესახებ. დღეისათვის კამათის საგანს ყველაზე მეტად სამეფოს სამხრეთი საზღვრების მდებარეობა წარმოადგენს. ერთნი ფიქრობენ, რომ ეგრისის სამეფოს სამხრეთი საზღვარი, დღევანდელის მსგავსად, გონიო-აფსაროსის სიახლოეს გადიოდა (ლომოური 2011: 120), ზოგი მეცნიერის აზრით კი, ის თანამედროვე ხოფა-ხუფათამდე აღნევდა (გრიგოლია, 1994: 61). ასევე, არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ IV ს.-ის ბოლოსათვის, ეგრისის ძლიერების ხანაში, სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები ტრაპეზუნტამდეც კი აღწევდა (ლეთოდიანი 2003: 50-51; მუსხელიშვილი 2003: 105).

ჩვენი აზრით, გონიოდან ტრაპეზუნტამდე ჭანების მოსახლეობდნენ, რომლებიც, ეთნიკურად, ლაზების მონათესავე ტომს წარმოადგენდნენ, თუმცა, პოლიტიკურად, არც მათ ემორჩილებოდნენ და არც რომაელებს ან ბიზანტიელებს. ასეთი ვითარება, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, იუსტინიანე დიდის ზეობამდე (527-565) გაგრძელებულა, როდესაც ბიზანტიელებს ჭანები დაუმორჩილებიათ (პროკოპი 1965: 121-125; იუსტინიანე, 1965: 31).

ისტორიული გეოგრაფიის საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა, განვსაზღვროთ ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემაში შემავალი ქვესისატემების მდებარეობა და გავრცელების არეალები. რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ შემოთავაზებუ-

ლი ქვესისტემების რაოდენობა და მათი მდებარეობა ერთგვარად პირობითია და უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისტორიული გეოგრაფიის პრინციპებს ეყრდნობა – ციხესიმაგრეთა ამა თუ იმ „ქვეყანაში“ ერთიანობას, მათი მდებარეობის საერთო მახასიათებლებს, მათ რომელიმე მდინარის აუზში ან ხეობაში მდებარეობას და ასე შემდეგ. ამ პრინციპებით ხელმძღვანელობისას ჩვენ ეგრისის სამეფოს თავ-დაცვით სისტემაში სულ 7 ქვესისტემა გამოყვავით:

**1. შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრების ხაზი** – ამ ხაზში შავი ზღვისპირა გამაგრებული პუნქტები ერთიანდებოდა. ყველა მათგანი საპირტო პუნქტს წარმოადგენდა (ანაკოფიის გარდა). შესაბამისად, მათი მთავარი დანიშნულება ზღვიდან შემოსული სავაჭრო ხომალდების მიღება, მათი უსაფრთხოების დაცვა და ზღვიდან მოსალოდნელი თავდასხმის განეიტრალება იყო.

**2. სამეფოს სამხრეთი სექტორის გამაგრების ხაზი** – მოიცავდა მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებს. მასში გაერთიანებული სიმაგრეები იქაური მდინარეების ხეობებს უწევდნენ კონტროლს.

**3. სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სექტორის გამაგრების ქვესისტემა** – ეს სისტემა მდ. ხანისწყლის გაწვრივ მდებარეობდა და აერთიანებდა ორ ციხეს – დიმსა და ვარდციხე-როდოპოლისს. მათი ძირითადი დანიშნულება სამეფოში სამხრეთ-აღმოსავლეთ მხრიდან არსებული მნიშვნელოვანი გადმოსასვლელის ჩაკეტვა და კონტროლი უნდა ყოფილიყო. ეს გზა „Tabula Peutingeriana“-ზეც არის დაფიქსირებული და როგორც ცნობილია, ქ. არტაშატს ოძრხესა და ზეკარის უღელტეხილის გავლით ეგრისთან აკავშირებდა.

**4. სამეფოს აღმოსავლეთი სექტორის გამაგრების ქვესისტემა** – მოიცავდა ლიხის ქედის დასავლეთ კალთებს. მასში ერთიანდებოდა სკანდისა და შორაპნის ციხეები. შესაძლებელია, რომ ამ სისტემის ნაწილი ყოფილიყო მწყერისციხეც. სკანდაც და შორაპნიც სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრებთან არსებულ გადმოსასვლებს კეტავდა.

**5. მოხირისის „ქვეყნის“ გამაგრების ქვესისტემა** – როგორც სახელიდან ჩანს, მოხირისის „ქვეყნის“ საზღვრებსა და იქ გამავალ სავაჭრო გზებს იცავდა. ტერიტორია მოიცავდა დღევანდელი წყალტუბოს, ქუთაისის, ზესტაფონის, ხონისა და სამტრედიის რაიონების ვაკე ნანილებს.

**6. სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის გამაგრების ქვესისტემა** – ეს სისტემა ეგრისისა და კოდორის ქედების სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე აგებულ სიმაგრეებს მოიცავდა. თითოეული მათგანი ამ ქედებიდან გამომავალი მდინარეების ხეობებზე იყო განთავსებული და ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ იყო მიმართული.

**7. სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების ქვესისტემა** – რაოდენობრივად ყველაზე მეტ სიმაგრეს (20) აერთიანებდა, მათ შორის, სამეფოს დედაქალაქ ნოქალაქევი-არქეოპოლისს. აღნიშნული ქვესისტემა დღევანდელ სამეგრელოს რეგიონში მდებარეობდა და განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალებს მოიცავდა. შესაბამისად, ის, რელიეფის გათვალისწინებით, რამდენიმე თავდაცვით ხაზს აერთიანებდა: უნაგირა მთის, ურთის მთის, მდინარეების ხობისწყლისა და ჭანისწყლის აუზების თავდაცვით სისტემებს.

## ლანდშაფტის არქეოლოგია და თანამედროვე ტექნიკების გამოყენების მნიშვნელობა საკითხის კვლევისათვის

ლანდშაფტის არქეოლოგია (Landscape Archaeology) ერთ-ერთი არქეოლოგიური დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის წარსულში ადამიანთა მიერ ნებსით თუ უნებლიერ ლანდშაფტში შეტანილ ცვლილებებს. ასეთი ცვლილებები შეიძლება იყოს დიდი რაოდენობის მიწის ან ქვის მასის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება: რელიეფის სტრუქტურის რღვევა ადამიანის მიერ – მიწის მოქრა, ორმოს ამოთხრა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, მშენებლობა, თავდაცვითი, სარწყავი არხების გაჭრა, მიწისქვეშა ან ნახევრად მიწური საცხოვრებლების მოწყობა და სხვ.

ლანდშაფტის არქეოლოგიის, როგორც დისციპლინის, განვითარებას განსაკუთრებით ხანგრძლივი ისტორია აქვს დიდ ბრიტანეთში, სადაც ეს დარგი XVII საუკუნიდან ვითარდება (Bowden, 1999: 11, 19). ეს დისციპლინა მჭიდრო კავშირშია ისტორიულ გეოგრაფიასთან და მის დამხმარე დარგად მიიჩნევა. კვლევებისას გამოვლენილი ძეგლების ანალიზით შესაძლებელი ხდება ისტორიული გეოგრაფიისათვის საინტერესო საკითხის გამოკვლევა (Bowden 1999: 11).

ლანდშაფტის არქეოლოგიური კვლევისას ძირითადი ყურადღება ექცევა რელიეფში ადამიანის მიერ შეტანილი ცვლილებების გამოვლენას, აღნუსხვას და მოგროვებული მონაცემების ანალიზს. შესაბამისად, კვლევები, უმეტეს წილად, მულტიდისციპლინური ხასიათისაა ატარებს და მოიცავს ამა თუ იმ რეგიონის (ისტორიული მხარის) შესახებ არსებული წერილობითი წყაროების, გეოგრაფიული მონაცემების, მანამდე არსებული კვლევების მოგროვებასა და დამუშავებას, უშუალოდ ადგილზე დაზვერვითი სამუშაოების წარმართვას, გამოვლენილი საკვლევი ძეგლის სრულ აღნუსხვას: ძეგლისათვის საერთო გლობალური კოორდინატების დადგენას, მასშტაბებისა და კომპლექსურობის გარკვევას, ძეგლის ჩაზაზვას, ფოტოგრაფირებასა და სპეციალური საველე ბლანკების და/ან დღიურის დახმარებით წერილობით დოკუმენტირებას.

ერთი შეხედვით, ლანდშაფტის არქეოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის კვლევის მეთოდები ერთმანეთის მსგავსია და გარკვეული თვალსაზრისით, ამ ორ დასციპლინას საერთო მიზნები და მეთოდებიც აქვს, თუმცა არსებობს მცირედი განსხვავებებიც. ისტორიული გეოგრაფია შეისწავლის კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ამ თუ იმ რეგიონის დასახლებული პუნქტებისა და საზღვრების წარმოშობას, განვითარებასა და ცვლილებას. ხოლო ლანდშაფტის არქეოლოგიის მთავარი დანიშნულება ადამიანის მიერ ლანდშაფტში (რელიეფში) შეტანილი ცვლილებებისა და ეკოლოგიაზე ზემოქმედების კვლევაა. დღეისათვის ლანდშაფტის არქეოლოგიას ისეთივე სტანდარტიზებული კვლევის მეთოდები აქვს, როგორც საველე არქეოლოგიას და შესაბამისად, კვლევები სისტემურ და მეთოდურ ხასიათს ატარებს. მოგროვებული მასალები ერთი სტანდარტის მიხედვით გროვდება და თავს იყრის საერთო მონაცემთა ბაზაში, რაც სამომავლო კვლევა-ძიებისათვის მეტად მნიშვნელოვანია (Bowden, 1999: 29-104).

ლანდშაფტის არქეოლოგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამა თუ იმ ძეგლის შესწავლის საქმეში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების გარეშე. როგორც ცნობილია, სტაციონარულ არქეოლოგიურ გათხრებს შედარებით დიდი მატერიალური


სახსრები სჭირდება, ვიდრე დაზვერვით ექსპედიციებს. გარდა ამისა, იმ ქვეყნებში, სადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას, გარკვეული თვალსაზრისით, ლანდშაფტის არქეოლოგიის მეთოდიების გამოყენებას ამჯობინებენ, რადგანაც მცირე დროში და მცირე ფინანსური სახსრებით ხერხდება ძეგლების ფიქსაცია და მაქსიმალური შესწავლა. თანაც, ამ ტიპის კვლევები ძეგლის უსაფრთხოებას (არქეოლოგიური გათხრებისაგან განსხვავებით) საშიროებას არ უქმნის, ანუ ის ხელუხლებელი რჩება.

იმ ციხესიმაგრეებისა და ზოგადად არქეიტექტურის შესწავლისათვის, სადაც არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა, ლანდშაფტის არქეოლოგიის კვლევითი მეთოდების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეთოდური დაზვერვის (აღნერა, ჩახაზვა, ფოტოგრაფირება) შედეგად შესაძლებელი ხდება საკვლევი ძეგლების ერთიანი მეთოდიკის ფარგლებში შესწავლა და მათი ურთიერთშედარებითი ანალიზის გავეთება. სწორედ, ამ მეთოდიკით დგინდება მიწით დაფარული (ან ნახევრად დაფარული) გალავნების, კოშკებისა და თუ სხვა ნაგებობების ზუსტი მდებარეობა და ზოგ შემთხვევაში დანიშნულებაც. ლანდშაფტის არქეოლოგიის მეთოდების ცოდნა მკვლევარს საშუალებას აძლევს, ზუსტად განსაზღვროს რელიეფის არაბუნებრივი ფორმების რაობა, როგორებიც შეიძლება იყოს ძველი თავდაცვითი თხრილის ნამთი, მიწის ფენით დაფარული ნაგებობის კვალი და სხვ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეოფიზიკურ კვლევებსაც (ბრაგვაძე 2012: 19–23), რის შედეგად ხერხდება მიწისქვემა სტრუქტურების (გეოლოგიური თუ არქეოლოგიური ფენების სტრატიგრაფიის) შესწავლა.

ლანდშაფტის არქეოლოგიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების (GIS, GPS) განვითარება. შედეგად შესაძლებელი ხდება მიწისზედა ძეგლების იდეალურ სიზუსტემდე (2 სმ) ფიქსაცია. GIS გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებს ნიშნავს (ინგ. Geographic Information System) და გულისხმობს ნებისმიერი პუნქტის გეოგრაფიული მახასიათებლების შეგროვებას, ანალიზსა და შედეგად ამ პუნქტის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრას დედამიწის მასშტაბით. GIS მონაცემების მისაღებად გამოიყენება GPS (Global Positioning System), რაც ქართულად გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ სისტემას ნიშნავს. ეს არის სხვადასხვა სიმძლავრის აპარატი, რომელიც საკვლევი პუნქტის მდებარეობას ათეულობით თანამგზავრიდან და დედამიწაზე განთავსებული სადგურებიდან მიღებული მონაცემების მიხედვით ადგენს. ასეთ კვლევებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ძეგლის ზუსტი მდებარეობის დასადგენად, ასევე მათი აგეგმვისა და ტოპოგრაფიული რუკების შესაღენად. მაგალითად, ასეთი კვლევები ნოქალაქევის ნაქალაქარზე 2009 და 2016 წლებში ჩატარდა. შედეგად მიღებულ იქნა ნაქალაქარის 2 სმ-იანი სიზუსტის გეგმა (სურ. 92), რომელიც მიბმულია მსოფლიო კოორდინატთა სისტემას. იმავდროულად შეიქმნა ნაქალაქარის რელიეფის ზუსტი სამგანზომილებიანი მოდელი (ევერილი... 2010: 102-115).


ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციებს იძლევა აეროფოტო და კოსმოსური გადაღებები (საფრენი აპარატების – „დრონების“, თვითმფრინავის, ვერტმფრენისა და კოსმოსური თანამგზავრების მეშვეობით). ასეთი გადაღებების მეშვეობით კარგად იკვეთება ადამიანის აქტივობის შედეგად ლანდშაფტში მომხდარი ცვლილებები (Bowden 1999: 105-118).

2007-2009 წლებში ჩვენ მოვინახულეთ დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ძეგლი (შენი, კოტიანეთი, სორტა, კვაუთი, მენჯი, საკალანდარიშვილი, გონიო, ქუთაისი და სხვ.), ხოლო 2010 წლის გაზაფხულზე, შევისწავლეთ დასავლეთ საქართველოში არსებული ორმოცდახუთი ძეგლი (სურ. 4)\*, რისთვისაც გამოვიყენეთ ლანდშაფტის არქეოლოგიის მეთოდიკის ძირითადი პრინციპები. პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იყო ბრიტანული სამეცნიერო ფონდ „FARIG“-ის მიერ, მოხერხდა სამეცნიერო, იმერეთის, გურიისა და აჭარის რეგიონების ძეგლების მონახულება, აღნერა, ჩახაზვა, ფოტოგრაფირება, გეოგრაფიულ გარემოზე დაკვირვება, GPS კოორდინატებისა და სიმაღლეების აღება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის დაწყებამდე ჩვენ მიერ მოპოვებული ძეგლების ნუსხები ხშირ შემთხვევაში დასაზუსტებელი იყო, მაგ., სოფ. სარაქონში, კოტიანეთში, ბიაში ციხეებისა და კოშკების ნაცვლად აღმოჩნდა ეკლესიების ნაშთები, რაც ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს, რა თქმა უნდა, სცდებოდა. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მაინც მოვახდინეთ ამ ძეგლების სრული ფიქსაცია. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც ციხესიმაგრე გვიანდელ შუა საუკუნეებში აღმოჩნდა აგებული და იქ IV-VI საუკუნეების სამშენებლო ფენები ვერ აღმოვაჩინეთ, მაგ. ზენისა და ხეთის ციხეებზე. საერთო ჯამში, პროექტის ფარგლებში მოხერხდა ადრეული შუა საუკუნეების (IV-VI სს.) ოცდაათამდე ციხესიმაგრის მონახულება.



#### 4. Google Earth სურათი – 2010 წლის ექსპედიციის დროს მონახულებული ძეგლები

\* აბედათი, თამაკონი, კოტიანეთი, ეკი, ხომაკირდე, ოცნდალე, სარაქონი (2 ძეგლი), ახუთი, ნაფირხოვო, კირცხი, სქური, კურზუ, ნოღა, მაჩხომერი, ნასკალუ, ყურუმულია, ჯახუთი, ბია, გაღმა საჯიჯაო (იგივე ხორშის ციხე), ზენი, ძველი ხიბულა, ნოჯიხევი, ჯეგეთა, ხეთა, ჭაქვინჯის ეკლესია, ჭაქვინჯის ციხე, რუხი, შორაპანი, ვარდციხე, ქვემო დიმის კოშკი, დიმი, საქარის კოშკი, საზამო, სკანდა, ტოლები, შუხუთი, ლიხაური, ასკანა, ბუკისციხე, ზოტი, ციხისფერდი, პეტრა-ციხისძირი, ბათუმი და მწყერისციხე.



## 5. Google Earth სურათი – ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალი ციხესიმაგრეები

ძეგლების შესწავლის ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდიკა რამდენიმე მიმართულებას მოიცავდა: არქიტექტურული ძეგლის (ამ შემთხვევაში, ციხესიმაგრეების) აზომვა და ჩახაზვა ციხეთა გეგმარების ტიპების დასადგენად (ჩავიხაზეთ 26 ძეგლი); ციხეების სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი და ძეგლზე არსებული ზედაპირული არქეოლოგიური მასალის მოძიება-აკრება, ციხეთა ქრონოლოგიის დასაზუსტებლად; ძეგლის გეოგრაფიულ გარემოზე დაკვირვება ციხეთა ამ ადგილზე აშენების მიზნებისა და მათი დანიშნულებების გასარკვევად;<sup>\*</sup> GPS კოორდინატებისა და სიმაღლეების აღება შემდგომში ამ ძეგლების ტოპოგრაფიულ რუკებსა და აეროფოტოებზე განთავსებისა და მათზე

\* დასავლეთ საქართველოში დაზვერვითი ექსპედიციის დროს დოდი დახმარება გაგვინიება:

**დავით ლომიტაშვილმა,** რომელმაც ინფორმაცია მოგვაწოდა ოცინდალესა და ხომაკირდეს სიმაგრეების შესახებ, მანვე საგულისხმო კონსულტაციები გაგვიწია სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემატიკასთან დაკავშირებით. გარდა ამისა დ. ლომიტაშვილმა დაგვაკავშირა ხობისა და ჩხოროწყვას მუნიციპალიტეტში სიძეველეებით დაინტერესებულ პირებთან;

**რომან თოლორდავამ,** რომელმაც ჩხოროწყვას მუნიციპალიტეტის ძეგლების შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია, მანვე გაგვაცნო რევაზ (ჟორა) ფაცაცია, რომელმაც მეგზურობა გაგვიწია ჩვენთვის მანძილე უცნობ ნაფიზოვოსა და კურზუს ციხეებზე;

**გოგიტა ჩიტაიამ,** რომელმაც ხობის მუნიციპალიტეტის ძეგლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა და ხშირ შემთხვევაში თავად გაგვიწია მეგზურობა ციხეებზე;

**გიორგი ნადირაძემ** და **ჯაბა ლაბაძემ** (ექსპედიციის წევრებმა), რომლებიც აქტიურად მეხმარებოდნენ ძეგლების მოძიებაში, აზომვაში, ფოტოგრაფირებასა და GPS მონაცემების აღებაში;

**ირაკლი მურლულიამ,** რომელმაც ჩვენ მიერ ველზე გაკეთებული ნახაზების მიხედვით სიმაგრეების ციფრული გეგმები შექმნა.

დაკვირვების მიზნით; ლანდშაფტის არქეოლოგიის ელემენტების გამოყენება, არქეოლოგიური გათხრების ჩატარების გარეშე მიწის ქვეშ მოქცეული იმ ძეგლების აღწერა-შესწავლა, რომლებიც წარმოდგენილია მიწის ზემოთ არსებული ხელოვნური ბორცვებით, შემაღლებებით, ჩაღრმავებებით და სხვ.

ძეგლებზე და მათ გარშემო არსებულ რელიეფებზე დასაკვირვებლად ვიყენებ-დით კომპიუტერულ პროგრამა Google Earth-ს, სადაც წარმოდგენილია დედამიწის კოსმოსიდან გადაღებული ფოტოები, რის შედეგადაც მიღებულია ვირტუალური გლობუსი, რომელზე ნებისმიერი სასურველი წერტილის პოვნაა შესაძლებელი როგორც საძიებელი პუნქტის სახელის, ისე მისი კოორდინატების მითითებით (სურ. 5). შედეგად შესაძლებელი ხდება ძეგლების გეგმარებასა და მათ გარემოზე დაკვირვება; ციხეებს შორის ზუსტი მანძილების გარკვევა და მათი კავშირების შესაძლებლობის დაშვება; მათკენ მიმავალი საცალფეხო და საურმე გზების ნახვა; ყველაფერი ეს, საბოლოო დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ციხესიმაგრეების დანიშნულებისა და მათი სამოქმედო არეალების შესახებ.

## თავი IV

### ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეების კლასიფიკაცია

#### ძრონოლოგიური კლასიფიკაცია

ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეების ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის ერთდროულად გამოიყენებოდა არქეოლოგიური მასალების, წერილობითი წყაროების ცნობები და ძეგლების მშენებლობის ტექნიკის ანალიზი. როგორც ზემოთ აღინიშნა, შესასწავლი ძეგლების უმეტესობა ქრონოლოგიურად IV-VI საუკუნეებში თავსდება. თუმცა, რა თქმა უნდა, არის ძეგლები, რომლებიც მანამდეც არსებობდა და შემდგომ პერიოდშიც განაგრძეს არსებობა, მაგალითად: გონიო-აფსაროსი, შორაპანი, ქუთაისი და სხვ. რა თქმა უნდა, აქ იგულსხმება მხოლოდ ის ძეგლები, სადაც ეგრისის სამეფოს წინა და შემდგომი პერიოდების საფორტიფიკაციო ნაგებობებია გამოვლენილი და არა უბრალოდ კულტურული ფენები ან სამოსახლოები, როგორც, მაგალითად, ნოქალაქევში – იქ ძ. წ. VIII-IX სს.-ში მდლავრი სამოსახლოს არსებობაა დადასტურებული, თუმცა იმავე პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობები ჯერ მიკვლეული არ არის.

ქრონოლოგიური კლასიფიკაციის შედეგად ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეები 3 ძირითად კატეგორიაში თავსდება:

1. ანტიკურ პერიოდში დაარსებული სიმაგრეები, რომლებმაც თავიანთი დანიშნულება IV-VI სს.-შიც შეინარჩუნეს – ამ კატეგორიაში ძირითადად ერთიანდება შავიზღვისპირა სიმაგრეები: გონიო-აფსაროსი, ფაზისი, სეპასტოპოლისი და პიტიუნტი, რომლებიც I-II სს.-ში რომის მიერ შექმნილ ე. წ. „პონტოს ლიმესში“ ერთიანდებოდნენ. ასევე ანტიკური ხანიდან არსებობდა შორაპნის ციხე, რაც წერილობითი წყაროების მონაცემებით და არქეოლოგიური მასალებითაც დასტურდება. იგივე შეიძლება ითქვას, მთისძირის სიმაგრეზეც (გამყრელიძე 1982: 52-107).

2. სიმაგრეები, რომლებიც IV-VI სს.-ში დაარსდა, მაგრამ თავისი დანიშნულება განვითარებულ და გვიანდელ შუა საუკუნეებშიც არ დაუკარგავს: კურზუ, ოცინდალე, თამაკონი, შუხუთი, ლიხაური, ასკანა, ბუკისციხე, ზოტი, ციხისძირი, ბათუმი, გონიო, ანაკოფია, წებელდა, ქუთაისი, აბედათი, შეეფი, ძველი ხიბულა და ჭაქვინჯა.

ჩამოთვლილი სიმაგრეების ნაწილში ცხოვრება, სხვადასხვა ინტენსივობით, შუა საუკუნეების სამივე ეტაპზე (ადრეული, განვითარებული და გვიანდელი) გრძელდებოდა და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მათი ფუნქციებიც იცვლებოდა. მაგალითისათვის, ქუთაისი ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი მთავარი ქალაქი იყო. მოგვიანებით ის აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი გახდა, X-XI სს.-ის მიჯნიდან, დავით აღმაშებელის მიერ თბილისის აღებამდე, გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქია, მოგვიანებით კი, საქართველოს სამეფოს დედაქალაქი გახდა.

3. დანარჩენი სიმაგრეები კი, სავარაუდოდ, მხოლოდ IV-VI სს.-ში არსებობდა და ეგრისის სამეფოს დასუსტების შემდეგ ფუნქცია დაკარგა.

ცალკე უნდა განვიხილოთ სიმაგრეების ქრონოლოგია უშუალოდ ჩვენს საკვლევ პერიოდში (IV-VI სს). როგორც ზემოთ აღინიშნა, სიმაგრეების უმეტესობა ან IV საუკუნეშია დაარსებული ან ამ პერიოდში მოხდა მათი განახლება. თუმცა არის სიმაგრეები, რომლებიც V და VI საუკუნეებისაა – ამ კატეგორიას უნდა განეკუთვნებოდეს ოცნებალეს ციხე. ცალკე გამოსაყოფია ის კატეგორია, სადაც აშკარად იკვეთება მშენებლობის 3 ეტაპი – IV, V და VI საუკუნეებში. ასეთებია ნოქალაქევი და ქუთაისი.

ეგრისის სამეფოს სიმაგრეების მრავალწლიანი კვლევის შედეგად მეცნიერებმა, სამშენებლო ტექნოლოგიების ანალიზის საფუძველზე, დაადგინეს მეტ-ნაკლებად ზუსტი სტანდარტები ძეგლების ქრონოლოგიასთვის.

დღეისათვის არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზოგადად, ეგრისის სამეფოს სიმაგრეების კედლების საპირე წყობის მასალად გამოიყენება კლდის ფლეთილი ქვა, დუღაბად – კირი. რიგები უმეტეს შემთხვევაში დაცულია, თუმცა გვხვდება კედლები, სადაც რიგები დაცული არ არის. კედლების სისქე 1,0-2,5 მეტრს შორის მერყეობს. საპირე წყობებს შორის ჩაყრილია სხვადასხვა სახეობის ქვები და კირი. საპირე წყობის ამოსაყვანად საერთოდ არ იხმარება რიყის ქვა, ის მხოლოდ საძირკვლის მოსაწყობად და საპირე წყობებს შორის სივრცის ამოსავსებად გამოიყენებოდა. ეგრისის სამეფოს სიმაგრეებზე ხშირად გვხვდება აგურის წყობაც (opus mixtum), რომელიც ერთი, ორი ან სამი სარტყელის სახით არის წარმოდგენილი (ზაქარაია... 1991: 161-164).

IV და V საუკუნეებთან შედარებით VI საუკუნის სამშენებლო ტექნიკა საგრძნობლად განსხვავდება. თუკი პირველ ეტაპზე კედლების საპირე წყობაში უფრო მეტად გამოიყენება კლდის, უხეშად გამოთლილი, მცირე ზომის ფლეთილი ქვები (10-20-30 სმ.), მოგვიანებით, ბევრ ძეგლზე გვხვდება კლდის ქვისაგან გამოთლილი დიდი კვადრებით ნაგები კედლები, სადაც ქვები კარგად არის გათლილი და მათი ზომები 40 X 60 სმ-დან 60 X 120 სმ-მდე მერყეობს. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი ტიპის მშენებლობა VI საუკუნით თარიღდება და იუსტინიანე დიდის მიერ ეგრისში წარმოებულ სამშენებლო საქმიანობას უკავშირდება (ზაქარაია 1987: 160; მურალულია 2007: 71).

სამწუხაროდ, ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეების მშენებლობის უფრო ზუსტი ქრონოლოგიის განსაზღვრა, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც არქეოლოგიური მასალების ზუსტი ქრონოლოგიის განსაზღვრით შესაძლებელი ხდება სამშენებლო ფენების დათარიღება.

## ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

ჩვენ მიერ წლების განმავლობაში მოგროვებული მონაცემების ანალიზით შესაძლებელი ხდება შესწავლილი სიმაგრეების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ჩამოყალიბება.

ეგრისის სამეფოს სიმაგრეების ტიპოლოგიის განსაზღვრისათვის ძირითადი აქცენტები უნდა გაკეთდეს სიმაგრეების გეოგრაფიულ გარემოზე, გეგმარების ტიპებზე, სამშენებლო მასალებზე, საფორტიფიკაციო კომპონენტებსა (კოშკები,

გალავნები, თავდაცვითი თხრილები და მიწაყრილები) და სიმაგრეების შემადგენელ ნანილებზე (ეკლესია, სასახლე, სხვა ნაგებობები).

ეგრისის სამეფოს ციხე-ქალაქებისათვის ადგილის შერჩევისას თითქმის ყველა შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა რელიეფს, ანუ სიმაგრეები იგებოდა ძნელად მისადგომ ადგილებში და მათი გაღავნები რელიეფის კონტურებზე იყო მორგებული. ამ მხრივ ეგრისის სიმაგრეები ანტიკურ სამყაროში არსებული ორი – ბერძნული და რომაული – საფორტიფიკაციო სისტემიდან მეტ სიახლოვეს ბერძნულის მიმართ იჩენს, სადაც აქცენტი სწორედ რელიეფის გამოყენებაზე კეთდება (ბურჭულაძე 2002: 46. Winter 1971: 3-46). სიმაგრეების ასაშენებლად ვაკე ადგილების შერჩევა, ანუ რომაული სტანდარტების გამოყენება, ძირითადად ხდებოდა შავიზღვისპირა სიმაგრეების აშენებისას, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, თავად რომაელების მიერ იყო აგებული და შესაბამისად, აქ ეგრისის სამეფოში არსებული საერთო სტანდარტებიდან აცდენაც თვალსაჩინოა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ IV-VI სს.-ში ზღვის სანაპიროზე აშენებულ სიმაგრეებში უკვე შეინიშნება ბერძნული სისტემის გამოყენება. ამის ნათელი დადასტურება ბათუმის, ციხესიმირისა და ანაკოფის სიმაგრეები. კიდევ ერთი გამონაკლისია ვარდციხის ნაქალაქარი, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მდინარეების: ხანისწყლის, რიონისა და ციხირილის შეერთების ადგილას მთიანი რელიეფი არ არის, თუმცა იქ გამაგრებული პუნქტის არსებობა, სავაჭრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, აუცილებელი იქნებოდა. შესაბამისად, ციხის ამშენებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს არსებული გეოგრაფიული გარემო, ასე რომ ჩრდილოეთ მხრიდან ქალაქი მდინარითა და ციცაბო ფერდობით იყო დაცული.

სიმაგრეთა გეგმარების ტიპების განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება თავად სიმაგრეთა ფუნქციურ კლასიფიკაციას. ცხადია, რომ განსხვავებული გეგმარება ექნებოდა მცირე ციხეს, დიდ ციხესა და ციხე-ქალაქებს. სამივე შემთხვევაში თვალსაჩინოა გეგმარების არანესიერი გეომეტრიული ფორმები, რაც სიმაგრეების გალავნების რელიეფზე მორგებით იყო განპირობებული.

სიმაგრეების დაგეგმარებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ციტადელის, ანუ დედა-ციხის, მოწყობასაც – ეს ძირითადად დიდ ციხე-ქალაქებს ეხება, სადაც ქვედა ქალაქთან ერთად, რომელშიც ძირითადი სავაჭრო-სახელოსნო და ადმინისტრაციული ნაგებობები მდებარეობდა, არსებობდა საგანგებოდ გამაგრებული მონაკვეთიც, რომელიც, როგორც წესი, ქალაქის ცველაზე ძნელად მისადგომ, უმაღლეს ნიშნულზე იყო განთავსებული. ეგრისის სამეფოს სიმაგრეებიდან ციტადელი ჰქონდა შორაპანს, სკანდას, ქუთაისს, ვარდციხეს, აბედათს, ნოქალაქებს, ჭაქინჯას, ხუნწს, ანაკოფიას და წებელდას.

როგორც უკვე აღინიშნა, სამშენებლო მასალებად გამოყენებული იყო სხვადასხვა სახეობის ქვები და კირის დუღაბი, ხოლო კედლების პერანგები, როგორც წესი, ამოყვანილი იყო მხოლოდ კლდის ფლეთილი ქვებით ან კარგად გათლილი ლოდებით, საპირე წყობაში რიყის ქვა არ გამოიყენებოდა. ქვისა და კირის გარდა გამოიყენებოდა კერამიკული ფილები, აგური და კრამიტი. კიბეების, ხარაჩოებისა და საბრძოლო ბილიკების მოსაწყობად ფართო გამოყენება უნდა ჰქონდა ხის მასალასაც.

ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეებს სხვა პერიოდის ძეგლებისაგან განსხვავებული, სახასიათო საფორტიფიკაციო მონაცემები ჰქონდა. როგორც წესი, სიმაგ-

რეები შენდებოდა მაღალ და ძნელად მისადგომ ადგილას. ციხის უსაფრთხოებას მის ირგვლივ გაჭრილი ხელოვნური თავდაცვითი თხრილი უზრუნველყოფდა. თხრილის სიგანე ზოგიერთ შემთხვევაში 10 მეტრს, ხოლო სიღრმე 5 მეტრს აღნევდა. მაგალითად, საკალანდარიშვილოს ციხის თავდაცვითი თხრილის სიგანე 10 მეტრს აღნევს, ხოლო სიღრმე 6 მეტრს (ზაქარაია 2002: 86). საფიქრებელია, რომ 15 საუკუნის წინ, ვიდრე თხრილი ნალექებით ჩატანილი მინით ამოივსებოდა, უფრო განიერი და ღრმაც იქნებოდა. ასევე შთამბეჭდავია ეკის ციხის თავდაცვითი თხრილი, რომელიც ციხეს გარს უვლის და სიგრძეში 270 მეტრს აღნევს.

ეგრისის სამეფოს ყველა სიმაგრეს ამაგრებდა კოშკები (ძალიან მცირე ზომის სიმაგრეების გარდა, რომელიც ფაქტობრივად თავად წარმოადგენდნენ კოშკებს). მათი რაოდენობა სხვადასხვა იყო – სიმაგრის ფართობის, გალავნების სიგრძისა და დაცულობის ხარისხის მიხედვით. კოშკები ძირითადად გალავნების იმ მონაცემებში იყო ჩაშენებული, საიდანაც თავდასხმას ელოდნენ, ამიტომ თუ ციხეს რომელიმე მხრიდან ციცაბო ფერდობი, კლდე ან მდინარის ლრმა ხეობა ესაზღვრებოდა, იმ მხარეს კოშკის აგებას აზრი არ ჰქონდა. როგორც წესი, კოშკები გალავნებში იყო ჩაშენებული, ისე რომ მათი ნაწილი გალავნების გარეთ იყო გამოწეული. ასე განლაგებული კოშკებიდან უფრო ადვილად მოხდებოდა გალავანთან მოახლოებული მოირიშების მოგერიება. გამონაკლისის სახით გვხვდება ციხეები, სადაც კოშკები ციხის შიდა ტერიტორიის შუა ნაწილში დგას. ასეთია ხომაკირდე, რომელსაც ორი კოშკი აქვს – ერთი გალავანშია ჩაშენებული, ხოლო მეორე შიდა ეზოში მდებარეობს. ეკისა და სქურის სიმაგრეებშიც კოშკები ციხის ცენტრალურ ნაწილში იყო განთავსებული, თანაც, ხომაკირდესგან განსხვავებით, ამ ციხეებს დამატებითი კოშკები არ ჰქონდა. სავარაუდოდ, კოშკის ფუნქცია უნდა ჰქონოდა ყურუმულიაში გამოვლენილ ციხის ნაშთსაც, ამის თქმის საფუძველს იძლევა ამ ციხის გარშემო მინის დონეზე შემორჩენილი კედლების კვალი, რომელიც შესაძლოა, გარე გალავანი ყოფილიყო.

კოშკებს, უმტეს შემთხვევაში, ოთხუთხა ფორმა ჰქონდა. გამონაკლის წარმოადგენს ანაკოფიასა და ქუთაისში გამოვლენილი წრიული კოშკები (ზაქარაია 2002: 98-102).

ეგრისის სამეფო ციხესიმაგრეებში გვხვდება არასაფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობებიც: ეკლესიები, სასახლეები, აბანოები, გვირაბები, ყაზარმები, წყალსაცავები, კირისა და თიხის გამოსაწვავი ქურები და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიმაგრეებში ეკლესიების განთავსებას დიდი ყურადღება ექცევოდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა სიმაგრეთა დიდ ნაწილში (მათ შორის მცირე ზომის ციხეებშიც) ეკლესის ნაშთების გამოვლენის ფაქტები, რაც აშკარად მიუთითებს, ერთი მხრივ, სამეფოში ქრისტიანული სარწმუნოების ფართოდ გავრცელებაზე და მეორე მხრივ, ცხადი ხდება, რომ ციხეში ჩაყენებული გარნიზონებისა და ზოგადად სამეფოს ჯარისათვის ქრისტიანულ სარწმუნოებას და რელიგიური რიტუალების შესრულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ ამიტომაც, თუნდაც მცირე ზომის ციხეებში, იგებოდა სალოცავები, რაც ცხადია, გარნიზონის მაღალი საბრძოლო სულისკვეთების ჩამოყალიბებაშიც დიდი როლს თამაშობდა.

ეკლესიებისაგან განსხვავებით, სხვა დანიშნულების ნაგებობები მხოლოდ დიდი ზომის სიმაგრეებსა და ციხე-ქალაქებშია გამოვლენილი. ცხადია, რომ ამ თუ იმ

ციხე-ქალაქში სასახლეების გამოვლენა პირდაპირ კავშირშია იქ რომელიმე დიდი მთავრის ან მეფის რეზიდენციის არსებობასთან. საცხოვრებლად იყო გამოყენებული ციხის კოშკებიც. სიმაგრეებში გამოვლენილი აბანოები აშკარად მიუთითებს იქ როგორც დიდებულების არსებობაზე, ისე იმ ფაქტზე, რომ ამ აბანოებით გარნიზონები სარგებლობდნენ (მაგ., ნოქალაქეებში), რაც ადასტურებს, რომ ჯარში მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები მსახურობდნენ.

დასკვნის სახით ეგრისის სამეფოს სიმაგრეები შემდეგ ძირითად ტიპებად შეიძლება დაიყოს:

1. მცირე სიმაგრე მხოლოდ გალავნით (კოშკის, თავდაცვითი თხრილისა და სხვა ნაგებობების გარეშე).

2. მცირე სიმაგრე გალავნით, კოშკით, თავდაცვითი თხრილითა და ეკლესიით (აქ, თავის მხრივ, ერთიანდება სხვადასხვა ტიპის ციხეები: კოშკთან და გალავანთან ერთად ზოგიერთს მხოლოდ ეკლესია აქვს, ზოგიერთს – მხოლოდ თავდაცვითი თხრილი ან ორივე კომპონენტი ერთად).

3. დიდი ზომის სიმაგრეები გალავნებით, კოშკებით, ეკლესიებით, თავდაცვითი თხრილებითა და სხვა ნაგებობებით (აქაც შესაძლებელია, რომ ზოგიერთ ციხეს არ ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე კომპონენტი).

4. ციხე-ქალაქები გალავნებით, კოშკებით, ეკლესიებითა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებით (ამ ტიპის სიმაგრეების სიახლოვეს ნაკლებად არის გამოვლენილი თავდაცვითი თხრილები რაც ვფიქრობთ, ციხე-ქალაქების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ინტენსიური ცხოვრებისა და მრავალი გადაკეთების ბრალი უნდა იყოს, რის გამოც ციხე-ქალაქების გარშემო გაჭრილი თხრილები დროთა განმავლობაში, სავარაუდოდ, ამოივსო და მოსწორდა).

## ცუცქებიური კლასიფიკაცია

ციხესიმაგრეების ფუნქციების განსაზღვრისას უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მათ მდებარეობას. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ სიმაგრის ასაშენებლად, კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, შესაფერის ადგილს ირჩევდნენ. შესაბამისად, ციხის დანიშნულება თავისთავად დაკავშირებული იყო მის მდებარეობასთან.

ივ. ჯავახიშვილი ციხის სამ დანიშნულებას გამოყოფდა: დასაცავი, საგუშავო და ხალხის სახიზარი (ჯავახიშვილი 1946: 42). პ. ზაქარაიას მიხედვით, ციხეებს აშენებდნენ სხვადასხვა მთის, მდინარეთა შესაყარის, ხრამებისა და ციცაბო ხეობების გაწვრივ (ზაქარაია 1973: 4). მისივე აზრით, საქართველოში სიმაგრეების სხვადასხვა ტიპი არსებობდა: ქალაქები, ციხეები, ციხე-დარბაზები, გალავნები, კოშკები, გადამღლი კედლები და ბუნებრივი სიმაგრეები (ზაქარაია 1960: 5). ჩამოთვლილთაგან ეგრისის სამეფოში არსებობდა ქალაქები, ციხეები, ციხე-დარბაზები და კოშკები. ასევე არსებობდა საველე სამხედრო ბანაკები (ბერძენიშვილი 1975: 448). საფიქრებელია, რომ იქნებოდა გადამღლი კედლები და ბუნებრივი გამაგრებებიც, თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე მსგავსი ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობები მოკვლეული არ არის.

ჩვენი აზრით, ეგრისის ციხესიმაგრეები, მათი ფუნქციების მიხედვით, სამ ძირი-თად ჯგუფში შეიძლება მოთავსდეს: ხეობის გზის ჩამკეტი, საგუშაგო-სასიგნალო და ადმინისტრაციულ-საბაჟო დანიშნულების.

**ხეობის გზის ჩამკეტი ციხის ფუნქცია** მისი მდებარეობიდან გამომდინარეობდა. როგორც წესი, ასეთი ციხეები იგბორდა სხვადასხვა ხეობის ბოლოში, მთისა და ბარის შესაყრთან, ისე, რომ ხეობაში მომავალ მტერს გავაკებამდე ციხის გავლა მოუწევდა. იმის გათვალისწინებით, რომ მდინარის ხეობა თავისთავად გულისხმობს მის სივიწროვეს, შესაბამისად, ჩამკეტი ციხის აღება მტერს დიდი ძალებით გაუჭირდებოდა. სწორედ ამის გათვალისწინებით ერთ ციხესაც კი შეეძლო საკმაოდ დიდი რაოდენობის მტრის შეკავება, რომელიც, თავის მხრივ, მარშირების დროს საბრძოლო წყობას ვერ მიიღებდა. ჩვენ მიერ შესწავლილი ციხესიმაგრეებიდან ხეობის ჩამკეტის ფუნქცია უნდა ჰქონოდა სკურის (მდ. ჭანისწყალი), დამის (მდ. ხანისწყალი), შორაპნისა (მდ. ყვირილა) და სხვა ციხეებს.

**საგუშაგო-სასიგნალო ციხის** მთავარი დანიშნულება, საჭიროებისამებრ, მოკლე მანძილზე (მაქსიმუმ 5-7 კმ) ინფორმაციის გადაცემა იყო. ეს ინფორმაცია, შესაძლოა, ყოფილიყო მტრის შემოსვლა სამეფო საზღვრებში, მისი მოძრაობა კონკრეტულ რეგიონში, უცაბედი თავდასხმა ან სხვ. როგორც წესი, ინფორმაცია ერთი ციხიდან მეორეს გადაცემოდა კვამლის ან ცეცხლის (ლამით) მეშვეობით (Кекавмен 2003: 169; Бартольд В.В. 1963: 716; Fedden 1970: 21).

ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში გაერთიანებულ ციხესიმაგრეთა დიდი ნაწილი სწორედ საგუშაგო-სასიგნალო დანიშნულების იყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ამ ციხეების მცირე ზომები, ხელსაყრელი მდებარეობა (მაღალ მთაზე, საიდანაც მტრის შეჩერება ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ შესაძლებელი იქნებოდა ვრცელი ტერიტორიის დაზვერვა) და ციხეთა სიახლოვე ერთმანეთთან: ზოგჯერ მათ შორის დაშორება 2 კმ-ს არ აღემატება. მაგალითისათვის, სწორედ სასიგნალო ფუნქციის უნდა ყოფილიყო თავდაცვის ის ხაზი, რომელიც დღევანდელი სოფ. ნოქალაქევიდან (ციხეგოვი-არქეოპოლისიდან) სამხრეთ-დასავლეთით, ქ. სენაკამდე მდებარე უნაგირა მთის აღმოსავლეთ კალთების 15 კმ-იან მონაკვეთზე იყო განთავსებული და ნარმოდგენილი იყო 5 ციხესიმაგრით: კოტიანეთი, სორტა, შეფი, საკალანდარიშვილ და მენჯი. ამ ციხეებს შორის დაშორება 2-5 კმ-ია და, შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ისინი სამეფოს დედაქალაქისაკენ მიმავალ გზას ვიზუალურად აკონტროლებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასიგნალო-საგუშაგო ციხეებს, შესაძლოა, დაამატებითი ფუნქციაც ჰქონოდათ – მტრის შემოსევისას ციხის გარშემო დასახლებული მოსახლეობა სწორედ გალავნებს შიგნით შეაფარებდა თავს. თუმცა ამისათვის აუცილებელი იქნებოდა შედარებით დიდი ზომის ციხის არსებობა. ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი ციხიდან ასეთი ფუნქცია, მათი ზომიდან გამომდინარე, შესაძლოა, ჰქონოდა შეფის, საკალანდარიშვილისა და მენჯის ციხეებს, ხოლო სორტისა და კოტიანეთის ციხეები, თავიანთი მცირე ზომის გამო, გარნიზონთან ერთად მშვიდობიან მოსახლეობას ვერ დაიტევდა.

**ადმინისტრაციულ-საბაჟო დანიშნულების ციხეები** ქვეყნის უმთავრესი პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული ცენტრები იყო. მიუხედავად იმისა, რომ ყოფით დანიშნულებასთან ერთად დიდი იყო თავდაცვითი ფუნქციებიც, უფრო მართებული იქნება, თუკი მათ ციხე-ქალაქებს ვუწოდებთ. ეგრისის სამეფოს შიდა

ტერიტორიაზე ასეთი ციხე-ქალაქები იყო დედაქალაქი ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ქუთასი, ნამაშევი, ვარდციხე-როდოპოლისი და სხვ.

სწორედ ამ ქალაქებიდან ხდებოდა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური მართვა და პოლიტიკური ელიტის რეზიდენციებიც ამ ქალაქებშია საგულვებელი. გამომდინარე აქედან, ამ ცენტრების დაარსებისას მშენებლებს ორი ფაქტორის გათვალისწინება უნდევდათ. ერთი – ციხე-ქალაქი უნდა აგებულიყო პოლიტიკურად და ეკონომიკურად მომგებიან ადგილას, ანუ მთავარ სავაჭრო მაგისტრალებთან ახლოს, რათა სრულად გაკონტროლებულიყო ქვეყნის შიგნით მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, ეს ცენტრები სამეფოს მმართველი ელიტის რეზიდენციებიც იყო და, შესაბამისად, ადგილსა და კომფორტულ მისადგომებს საჭიროებდა, როგორც ქალაქის მმართველისთვის, ისე საპატიო სტუმრებისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყნის საბაჟო-ადმინისტრაციულ ცენტრებს მაღალ და მიუვალ მთაზე არ ააშენებდნენ, ეს კი, თავის მხრივ, ამცირებდა ამ ციხე-ქალაქების თავდაცვისუნარიანობას. ამიტომ ციხე-ქალაქების მშენებელები ამ ნაკლის აღმოფხვრას მძღავრი საფორტიფიკაციო სისტემის (ბევრი კოშკი, სქელი და ორმაგი გალავნები) შექმნით ცდილობდნენ. სწორედ ასეთი არქიტექტურული კომპლექსებია ზემოთ ჩამოთვლილი ციხე-ქალაქები. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ ვარდციხე-როდოპოლისის ადგილმდებარეობა და მისი თავდაცვითი, ეკონომიკური და პოლიტიკური როლი ეგრისის სამეფოსათვის. ციხე-ქალაქი იქ აშენდა, სადაც მდინარეები ხანისწყალი (სამხრეთიდან) და ყვირილა (აღმოსავლეთიდან) უერთდება ჩრდილოეთიდან (ქუთაისიდან) მომდინარე რიონს (ისტორიულ ფაზის – კოლხეთისა და ეგრისის მთავარ სატრანზიტო მდინარეს), შესაბამისად, იქ რამდენიმე მნიშვნელოვანი გზა გადიოდა:

1. ხანისწყლის ხეობაზე მომავალი გზა.
2. ქართლიდან მომავალი გზა, რომელიც მდინარე ყვირილის ხეობაში მდებარეობდა და შორაპნის გავლით ხვდებოდა ვარდციხე-როდოპოლისში და
3. მთავარი სატრანზიტო გზა, რომელიც როდოპოლისში სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მოსულ გზებს მდ. რიონის მეშვეობით ქუთაისსა და სამეფოს ცენტრალურ მონაკვეთებთან აკავშირებდა, მათ შორის, დედაქალაქ არქეოპოლისთანაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ ციხეს, შეიძლებოდა ორი ან სამი ფუნქციაც კი ჰქონდა. მაგალითად შორაპნის ციხე მდ. ყვირილის ხეობაზე გამავალ გზასაც კეტავდა და სავარაუდოდ, იქვე ხდებოდა ამ გზაზე მოძრავი სავაჭრო ქარავნების მიღება და ზოგადად, ამ მხარის სავაჭრო ურთიერთობების მოგვარება (ბაჟის აღება, საქონელის დაბინავება და სხვ.).

რაც შეეხება ციხესიმაგრეთა კუთვნილების საკითხს, როგორც უკვე აღინიშნა, ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეები ერთიან, კარგად ორგანიზებულ თავდაცვით სისტემაში ერთიანდებოდა და მისი წარმოშობა, განვითარება და კონტროლი ეგრისის სამეფოს უმაღლესი მესვეურების საქმიანობის შედეგი უნდა იყოს. ამ მხრივ, საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული მ. ჭუმბურიძეს, რომელიც თვლის, რომ ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეები სამეფო კუთვნილებას წარმოდგენდა (ჭუმბურიძე 2009: 4). მ. ჭუმბურიძე ეყრდნობა 6. ბერძენიშვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ის ეგრისში ციხეების ინდივიდუალურ ამგებ-მფლობელებს ვერ ხედავდა (ბერძენიშვილი 1990: 514). თავისთვალი საინტერესო მოსაზრებაა,

მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ეგრისის სამეფოს აღზევების პერიოდში ნელ-ნელა ხდება ფეოდალურ სისტემაზე გადასვლა და, წესით, მსხვილი მიწათმფლობელები უნდა ჩნდებოდნენ, რომელსაც თავიანთი რეზიდენციებიც ექნებოდათ. ჩვენთვის საკამათო არ არის, რომ ეგრისში ერთიანი თავდაცვითი სისტემა არსებობდა და იქ ერთდროულად ორმოცდათზე მეტი სიმაგრის გაჩენა არა ქვეყნის ფეოდალური დაქუცმაცებულობით (როგორც ეს გვიანდელი შუა საუკუნეების ქართლ-კახეთში მოხდა), არამედ ერთიანი თავდაცვითი სისტემის შექმნით არის განპირობებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, სიმაგრეების შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ზოგი-ერთი მათგანი მართლაც ცალკეული მსხვილი მთავრის (დიდებულის, ფეოდალის) ინდივიდუალურ საცხოვრებელ რეზიდენციას წარმოადგენდა. შესაბამისად, ასე-თი სიმაგრეები ციხე-დარბაზებად შეიძლება მოვიხსენიოთ. ჩვენი აზრით, ასეთები უნდა ყოფილიყო, მაგალითად, ოცინდალეს, ჯახუთის, კვაუთისა და სხვა ციხეები, რომლებიც მეტად მაღალ და ძნელად მისასვლელ ადგილებშია აგებული. ეს სიმაგრეები დიდ ფართობს მოიცავს, რაც იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ იქ დი-დი რაოდენობით ხალხი ცხოვრობდა. თუმცა ცალკეულ სიმაგრეებში სხვადასხვა დიდებულის რეზიდენციების არსებობა სულაც არ ნიშნავს ფეოდალურ დაქუცმაცებულობას და ერთიანი სამეფოს გაუმართაობას, როგორც ამას ს. მარგიშვილი მიჩნევდა. მისი აზრით, ბევრი სიმაგრის არსებობა სულაც არ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყანა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას ცდილობდა. სიმაგრეები სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის სამართავ ცენტრებად შენდებოდა და მათ უფრო მეტად ადმინისტრაციულ-ეკონომიკური და საცხოვრებელი ფუნქციები ჰქონდათ, ვიდრე საფორტიფიკაციო (მარგიშვილი 2008: 169-170). საგულისხმო მოსაზრებაა, თუმცა ეგრისის სამეფოს რეალობაში ბევრი ციხის აშენება სწორედ სამხედრო თვალსაზრისით იყო განპირობებული და არა ადმინისტრაციული მოსაზრებებით. ამის თქმის საფუძველს იძლევა ციხეთა მცირე ზომები და მათ შორის მოკლე მანძილები (2-5-7 კმ). თავისთავად, მცირე ციხე ვერ გამოდგებოდა ვერც მთავრის რეზიდენციად და მით უმეტეს, ვერც ეკონომიკურ ცენტრად, ამასთანავე, ამ ციხეთა სიახლოვეც იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი სხვადასხვა ად-მინისტრაციული ერთეულის ცენტრები ვერ იქნებოდა. დასასრულ, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ ეგრისის სამეფო ძლიერი, ერთიანი და კარგად ორგანიზებული სამეფო იყო და შესაბამისად, იქ მრავალი წვრილი და დამოუკიდებელი ფეოდალური ტერიტორიის არსებობა მეტად საეჭვოა.

## თავი V

### ეგრისის სამეცნის ერთიანი გამაგრების სისტემის ქვესისტემები და ციხესიმაგრები

#### შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრების ხაზი


ახ.ნ. I საუკუნიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იწყება რომაული გარნიზონების ჩაყენება (ფიფია 2005: 58-80). II საუკუნიდან კი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იქმნება სიმაგრეთა სისტემა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „პონტოს ლიმესის“ (ლეკვინადзе 1969: 75) ან „კავკასიის საზღვრის“ (შპაიდელი 1985: 134) სახელწოდებით არის ცნობილი. თავდაპირველად ეს უნდა ყოფილიყო ხის ძელებისა და მიწაყრილებისაგან შემდგარი სასიმაგრო პუნქტები, ხოლო II საუკუნიდან უკვე ქვით შენდება ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვლილი კასტელიუმები (ლორთქიფანიძე 1991: 43). III საუკუნიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შემდეგი სამხედრო პუნქტები (კასტელიუმები) იყო განთავსებული: გონიო-აფსაროსი, ფაზისი, ზიგანერისი, სებასტოპოლისი და პიტიუნტი. ამ ციხეების მთავარი დანიშნულება რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვა და უსაფრთხოება იყო. ასე გრძელდებოდა III საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვიდრე ამ ქალაქების ერთი ნაწილი გუთების თავდასხმის ობიექტი გახდებოდა (ზოსიმე 1961: 266-269). ამავე პერიოდში ნელ-ნელა იწყება რომის იმპერიის დასუსტება (ჯანაშია 1949: 21-22) და ეგრისის სამეფოს წარმომობა (ლომოური 1973: 162-165), გამომდინარე აქედან, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გამართული სიმაგრეების ხაზი კარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას (რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვა) და რომის ყურადღების მიღმა რჩება. იმავდროულად კი ახლად წარმოქმნილი ეგრისის სამეფოს მესვეურებს ამ თავდაცვითი ხაზისათვის ყურადღების მიქცევა უწევთ. ლაზიკის-თვის ზღვისპირა გამაგრების სისტემის შენარჩუნებასა და განვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. საზღვაო ქალაქების მეშვეობით ლაზიკა სავაჭრო ურთიერთობებს ახორციელებდა დასავლეთის ქვეყნებთან და შესაბამისად, მათი გამაგრება ვაჭართა და სხვა მოხელეთა უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა. გარდა ამისა, ყოველთვის არსებობდა ზღვიდან თავდასხმის საშიშროებაც და ამ პუნქტების დახმარებით საზღვაო შეტევების მოგერიება უნდა მომხდარიყო.

სწორედ ამიტომ IV საუკუნიდან შავიზღვისპირა ციხე-ქალაქები ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემის ნაწილი ხდება. ეს ციხეები უმეტეს შემთხვევაში ძეგლ გეგმარებას ინარჩუნებენ და ისევ კასტელის ტიპის სიმაგრეებად რჩებიან. შავი ზღვის სასიმაგრო ხაზის ჩამოყალიბებაში ახალი და უკანასკნელი ეტაპი VI საუკუნეზე მოდის, როდესაც აქ ბიზანტიელები, სპარსელებთან მოსალოდნელი ომის წინ, სიმაგრეების გამაგრებას იწყებენ – ეს ცვლილება უნდა შეხებოდა ბათუმის ციხეს, სებასტოპოლისასა და პიტიუნტს. პარალელურად შენდება ახალი ციხე-ქალაქი პეტრა, რომელიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბიზანტიელთა მთავარი დასაყრდენი ხდება.

## გონიო-აფსაროსი

ციხე მდებარეობს ქ. ბათუმის სამხრეთ-დასავლეთ განაპირა დასახლება გონიოს ჩრდილოეთ შესასვლელში (2011 წლამდე – ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. გონიოს ჩრდილოეთ შესასვლელში), ზღვის თანამედროვე სანაპირო ზოლიდან აღმოსავლეთით 560 მეტრის მოშორებით, მდ. ჭოროხის შესართავთან (GPS კოორდინატები: N 41°34'24.51" E 41°34'26.11". სიმაღლე: 8 მ.).

როგორც ცნობილია, გონიო-აფსაროსი ტიპური რომაული კასტელაა (სურ. 6-7), რომელიც რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე, შავი ზღვის პირას ახ. წ. I საუკუნეში დაუარსებიათ. წერილობით წყაროებშიც ციხე პირველად ამ პერიოდიდან იხსენიება რომაელი ავტორის პლინიუს უფროსის (ახ. წ. 23–79 წწ.) მიერ (Plin.H VI: 11, 12, 14). II საუკუნეში აფსაროსის ციხეს, როგორც რომაულ სამხედრო ბაზას, მოიხსენიებს ფლავიუს არიანე (დაახ. 95–175 წწ.). ამ ავტორის მიხედვით, იმ დროისათვის აფსაროსში 5 რომაული კოჰორტა მდგარა (Arr. PPE: 6).



6-7. გონიო-აფსაროსის გეგმა და აერო-ფოტოსურათი

ჩვენს საკვლევ პერიოდში აფსაროსის ციხეს მოიხსენიებენ პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი. პროკოპი აღნიშნავს, რომ „ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით... ამჟამად აქედან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა“ (პროკოპი კესარიელი 1965: 124). ამ ცნობიდან თითქოს ჩანს, რომ აფსაროსი VI საუკუნეში სრულად არის დანგრეული, თუმცა აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, გუბაზ მეფის მკვლელები, სარდლები რუსტიკე და იოანე სწორედ აფსაროსის ციხის სატუსალოში დაუმწყვდევიათ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 82-83), როგორც ჩანს, ციხეს მაინც ჰქონდა შენარჩუნებული გარკვეული ფუნქცია. ამის თქმის საფუძველს, პირველ რიგში, ძეგლზე გამოვლენილი IV-VI საუკუნეების სამშენებლო და კულტურული ფენები იძლევა.

როგორც უკვე აღინიშნა, ციხე ტიპური რომაული კასტელაა – მართკუთხა ფორმის (ზომები: 195 მ. X 245 მ.), რომელსაც 22 კოშკი იცავდა. ციხეს ოთხივე გა-

ლავანში კარიბჭე ჰქონია ჩატანებული. ძეგლზე სამი ძირითადი სამშენებლო ფენაა დადასტურებული: პირველი – ახ. ნ. I -II სს., მეორე – IV-VI სს., მესამე – XVI-XVIII სს.

გონიოს ციხეზე პირველი არქეოლოგიური გათხრები 1959 წელს ჩატარებულა ოთ. ლორთქიფანიძისა და თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით (ლორთქიფანიძე... 1960: 761–768). მომდევნო წელს გათხრები გააგრძელა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ა. ინაიშვილის ხელმძღვანელობით (გრძელიშვილი... 1973: 8, 30). 1994 წლიდან ძეგლზე მუდმივმოქმედი ექსპედიცია მუშაობს, რომელმაც გონიო-აფსაროსის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის ბევრი ახალი ინფორმაცია გამოავლინა. დადგინდა, რომ არა მხოლოდ ახ. ნ. პირველ ორ საუკუნეში, არამედ გვიანრომაულ – ადრებიზანტიურ ეპოქაშიც ციხეში ცხოვრება მუდმივად გრძელდებოდა (კახიძე ... 2004: 4–107).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეგრისის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი მდ. ჭოროხის შესართავთან გადიოდა (ლომოური 2011: 120), შესაბამისად, აფსაროსის ციხე ეგრისის სამეფოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ფორპოსტი იყო. გონიო-აფსაროს განსაკუთრებული დანიშნულება ექნებოდა IV-V საუკუნეებში, ანუ ვიდრე ბიზანტიელები პეტრის ციხეს ააგებდნენ, რომელიც ეგრისი მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობების გაკონტროლებისთვის დაარსდა და შესაბამისად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთში უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა.

## ბათუმის (თამარის) ციხე


ციხე მდებარეობს ქ. ბათუმის ჩრდილო-აღმოსავლეთ შესასვლელთან, ზღვის თანამედროვე სანაპირო ზოლიდან 210 მეტრში, მდ. ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ერთ-ერთ მაღალ ბორცვზე (GPS კოორდინატები: N41 39.819 E41 40.969. სიმაღლე: 24 მ.).

ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. კვლევებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ბორცვი, რომელზეც ციხეა აშენებული, ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII-VI სს.–ში წარმოადგენდა გორა-სამოსახლოს, შემდგომ ამისა ცხოვრება ბორცვზე უწყვეტად მიმდინარეობდა ელინისტური ხანის ბოლომდე. ხოლო ადრეული შუა საუკუნეების საწყის პერიოდში აქ ციხე აუშენებიათ (კახიძე ... 1989: 42–57).

ციხე გეგმარებით ტიპური კასტელაა (სურ. 8). ზოგადად ასეთი გეგმარება უცხო არ არის შავიზღვისპირა ციხე-სიმაგრეებისათვის, რომლებშიც რომაული გარნიზონები იდგნენ (მაგ.: გონიო-აფსაროსი და პიტიუნტი), მაგრამ დანარჩენი სიმაგრეებისაგან განსხვავებით, ბათუმის „კასტელა“ აგებულია ბორცვის წვერზე და არა გაშლილ ადგილას, რაც ტრადიციებისგან ერთგვარ გადახვევად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ ფაქტს მეტ-ნაკლებად ხსნის ის გარემოება, რომ ციხე რომაული კასტელა არ არის, ანუ აგებულია არა რომაულ ხანაში, არამედ ადრებიზანტიურ ეპოქაში. ციხის აშენებისას გამოყენებულია როგორც რომაული (ოთხკუთხა გეგ-

მარება), ისე ბერძნულ-ბიზანტიური სამშენებლო ტრადიციები (სიმაგრის კედლების რელიეფზე მორგება).

ვ. ლექვინაძის მოსაზრებით, ბათუმის ციხე პროკოპი კესარიელის მიერ მოხსენიებული ლოსორიონია, რომელიც, მისივე თქმით, იუსტინიანე დიდს აუშენებია (ლეკვინაძე 1973: 174-181). დღეისათვის ძნელი დასადგენია ბათუმის ციხისა და ლოსორიონის იდენტიფიკაციის სიზუსტე. ერთი შეხედვით, თითქოს ემთხვევა კიდევ ამ ორი პუნქტის მდებარეობა – ბათუმის ციხე კარგად გათლილი საშუალო ზომის (20-30-40 სმ) კირქვითაა ნაგები, თუმცა, როგორც ცნობილია, ეგრისის ციხე-ქალაქებში VI საუკუნით დათარილებულ სამშენებლო ფენებში უმეტესად კვადროვანი გალავნები ჭარბობს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ნოქალაქევის მესამე ქრონოლოგიის გალავანი, რომელიც სწორედ ამ პერიოდით თარიღდება და იუსტინიანე დიდის მშენებლობებს უკავშირდება. შესაბამისად, ბათუმის ციხეში მსგავსი სამშენებლო წყობის არარსებობა იუსტინიანე დიდის მიერ აგებულ ლოსორიონთან იდენტიფიცირებას ართულებს. თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა და გადაჭრით ამ იგივეობის საკითხის უგულებელყოფა ან დამტკიცება, ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე შეუძლებელია.




#### 8. ბათუმის ციხის გეგმა

ციხე ოთხკუთხა ფორმისაა (შიდა ზომები: 18.65 მ (დას.-აღმ.) X 18.55 მ (სამხ.-ჩრდ.)), ციხის შიგნით, აღმოსავლეთ კედლებზე, მიშენებული იყო ასევე ოთხკუთხა კოშკი (ზომები: 6.20 მ (სამხ.-ჩრდ. X 7.30 მ (დას.-აღმ.)), რომელიც დღეისათვის 1-2 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ასევე 2 მეტრამდე აღნევს შემორჩენილი გალავნების სიმაღლეებიც. ციხეს დასავლეთ მონაკვეთში გამოშვერილი კუთხები აქვს და ქმნის ერთგვარ კოშკისებურ შვერილებს, რომელთა შუაში ციხის ძირითადი შესასვლელი უნდა ყოფილიყო. ციხის ტერიტორიაზე რამდენიმე სამშენებლო ფენა ჩანს, თუმცა მიუხედავად ამისა, პირვანდელი ციხის კონტურები მეტ-ნაკლებად კარგად იკვეთება. ვ.

ლექვინაძის მიერ გამოქვეყნებულ ციხის გეგმაზე შეინიშნება, რომ მას შესასვლელის ადგილას მცირე ტეხილი ჰქონია, რომელიც დღეისათვის სრულებით აღარ იყითხება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბათუმის ციხე მაღალ ბორცვზე მდებარეობს და ოთხივე მხრიდან 20-30 მეტრის სიგრძის ციცაბო ფერდობები აკრავს, თუმცა ციხიდან 50 მეტრის რადიუსში თავისუფლად შეიძლებოდა მანევრირება და სხვადასხვა საალყო მანქანების განლაგება.

აშკარაა, რომ ბათუმის ციხე გონიო-აფსაროსიდან პეტრა-ციხისძირამდე მონაკვეთის საკონტროლებელ პუნქტს წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ ბათუმის ციხე ამ ორი ციხისგან თანაბარი მანძილით, 13 კმ-ით არის დაშორებული (სურ. 9), რაც გვაფიქრებინებს, რომ ის სწორედ საშუალო რგოლი იყო ამ ორ ციხეს შორის და სავარაუდოდ, საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვითი ფუნქცია უნდა ჰქონდა. ხოლო მშვიდობიანობის დროს ერთგვარი საბაჟო დანიშნულებით იქნებოდა დატვირთული და მისი მუშაობა შავი ზღვის სანაპიროზე სახმელეთო გზით მოსული ვაჭრებისა თუ მოგზაურებისთვის საბაჟო კონტროლით განისაზღვრებოდა.



### **9. Google Earth სურათი – მანძილები გონიო-აფსაროსის, ბათუმისა და პეტრა-ციხისძირის სიმაგრეებს შორის**

## **პეტრა-ციხისძირი**

ციხე მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში, ზღვის პირას ამართულ მაღალ მთაზე (GPS კოორდინატები: N41 46.097 E41 45.217. სიმაღლე: 60 მ.). სამეცნიერო ლიტერატურაში ციხისძირში მდებარე ციხე ბიზანტიური წერილობითი წყაროების პეტრასთან არის გაიგივებული. მკვლევრების აბსოლუტური უმრავლესობა (ჯანაშია 1949: 29-44. ინგოროვა 1954: 230-234. ინამვილი... 1971: 74-88. მუსხელიშვილი... 1977: 102-104 და სხვ.) იზიარებს ამ იდენტიფირაკაცი-


ას, თუმცა მკვლევარი გ. გრიგოლია პეტრის ციხეს თანამედროვე ქ. ხოფასთან ლოკალიზებას უჭერს მხარს და ამ მოსაზრებას შესაბამისი არგუმენტებითაც ამაგრებს. კერძოდ, მისი აზრით, პროკოპისთან მოხსენიებული ბოას-ფაზისი არა მდ. რიონი, არამედ მდ. ჭოროხია და შესაბამისად, პეტრაც მისგან სამხრეთით, დღევანდელი დაბა ხოფის სიახლოვეს არის საძიებელი (გრიგოლია... 1994: 11–78). თავისთავად საინტერესო მოსაზრებაა, თუმცა ხოფის მიდამოებში არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების ჩატარებამდე ამ მოსაზრების დამტკიცება რთულია. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე პეტრისა და ციხისძირის იდენტიფიკაციის საკითხი მეტად დამაჯერებლად გამოიყურება, მით უმეტეს, რომ ციხისძირის ნაქალაქარზე გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლები (ეკლესია, გალავნები და სხვ.) ერთგვარად ეხმიანება წერილობით წყაროებში დაცულ პეტრის აღწერილობას.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოსარჩევია 2017 წელს ციხის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები (მინდორაშვილი 2017): ძირითადი სამუშაოები წარმოებდა ციხის ორმაგი კედლით შექმნილი დერეფნის ჩარდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც ქვა-ლორლის მასის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა კოშკის კონტურები, რომელიც აღმოსავლეთი მხრიდან ყოფილა მიშენებული ორმაგი კედლის დასავლეთ კედელზე. ნაგებობის ზომებია  $4,10 \times 3,80$  მ. კოშკი ორ- ან სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. ის გადახურული ყოფილა ბრტყელი კრამიტით. კოშკი საბრძოლო მოქმედების დროს დანგრეულა. ნგრევას მოჰყოლია ძლიერი ხანდარი, რის შედეგად კოშკი მთლიანად დაქცეულა. გაირკვა, რომ კოშკის დამცველები ხანდარში დაღუპულან – გათხრების დროს ინტერიერში ადამიანთა ძვლების დამწვარ-დანახშირებული ფრაგმენტები აღმოჩნდა. კოშკი ნახანძრალი ფენის სისქე 2 მეტრს აღწევს.

დამწვარ ფენაში მრავალრიცხვანი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა – კერა-მიკა, ქვისა და ლითონის ნივთები, მათ შორის დიდი რაოდენობით ამფორები, რო-



10. პეტრა-ციხისძირის ციტადელში აღმოჩნდილი სასანური მონეტების განძი



### 11. პეტრა-ციხისძირის გეგმა


მელთა შორის ჭარბობს ნელშეზნექილი ე. ნ. კოლხური ამფორები. რკინის ნივთებიდან უმრავლესობა საბრძოლო იარაღია. მათგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ცულები, სატევრები, შუბისა და ისრისპირები. იქვე აღმოჩნდა მუზარადი, ჯაჭვის პერანგი და აბჯრის ფირფიტები.

ციხის იდენტიფიკაციისთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა მონეტების განძი, რომელიც 94 სასანური ვერცხლის მონეტისაგან შედგება (სურ. 10). მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, განსაკუთრებით კი სასანური მონეტები, კოშკის დანგრევას კარგად ათარიღებს VI საუკუნით.

აშკარაა, რომ ეს აღმოჩენები (დამწვარი კოშკი, იარაღ-საჭურველი, სასანური მონეტები) პირდაპირ ეხმიანება პროკოპი კესარიელის მიერ პეტრის ციხის ალყის აღნერას. 550 წელს ბიზანტიელთა ჯარმა პესას სარდლობით ალყა შემოარტყა ციხეს, რომელშიც სპარსელები იყვნენ გამაგრებული. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბიზანტიელებმა მოახერხეს ქალაქის აღება, თუმცა აკროპოლისში გამაგრებულმა სპარსელმა მეომრებმა დანებებას სიკვდილი არჩიეს და ბოლომდე განაგრძეს ბრძოლა. „მაშინ, სტრატეგოისის ბრძანებით, რომაელებმა ცეცხლში გაახვიეს აკროპოლის... ცეცხლი რომ გაძლიერდა და უბედურება თვალწინ დაინახეს, ბარბაროსები კარგად მიხვდნენ, რომ ისინი სულ მალე ფერფლად იქცეოდნენ... და არც მტრის ხელში ჩავარდნა სურდათ, ყველანი, აკროპოლისთან ერთად ცეცხლმოდებულნი, მაშინვე დაიღუპნენ“ (პროკოპი კესარიელი 1965: 146-147).

ციხისძირში პირველი არქეოლოგიური დაზვერვები ს. ჯანაშიამ აწარმოა. ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური შესწავლა კი გასული საუკუნის 60-იან წლებში ჯერ ნ. ბერძენიშვილის, ხოლო შემდგომ ა. ინაიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა (ლანჩავა 2007: 74).

გათხრების შედეგად ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია გალავნებით შემოზღუდული საკამოდ რთული გეგმარების ციხე (სურ. 11), რომელიც რთულ რელიეფზე იყო აშენებული. ქალაქი ორ ბორცვზე იყო განლაგებული და სამ ნაწილად იყოფოდა: ქვედა, სამხრეთ ბორცვზე ნაგები იყო „ცალკეული“ სიმაგრე, რომელიც ორი პარალელური კედლით უკავშირდებოდა ჩრდილოეთ, მაღალ გორაზე განთავსებულ ციტადელს. აღნიშნული კედლები დაახლოებით 60 მეტრის სიგრძის იყო ნაქალაქარის ყველაზე უკეთ შემონახული და შესწავლილი ნაწილი ციტადელია, რომელიც 2 ჰექტარ ფართობს მოიცავს. ციტადელის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩნდა V ს.-ის ხუთახნაგა შვერილაფსიდიანი და სამნავიანი ბაზილიკის ნაშთი. იმავე პერიოდის აბანო 5 განყოფილებით, ქარვასლის ნანგრევები, დიდი ზომის ნაგებობა, პროდუქტის შესანახი გვირაბი-მაცივარი და სხვა ნაგებობები (სურ. 12) (ინაიშვილი... 1974: 118-153; ინაიშვილი ... 1988: 118-148).



## 12. პეტრა-ციხისძირის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან

როგორც არქეოლოგიური გათხრებით დგინდება, ციხისძირში ინტენსიური ცხოვრება ახ. ნ. III ს.-ში იწყება და VI ს.-ის ჩათვლით აქ მდიდარი არქეოლოგიური ფენები ფიქსირდება (ინაიშვილი 1993).

ბიზანტიურ წერილობით წყაროებში მეტად მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება პეტრის შესახებ. როგორც ცნობილია, პეტრას იუსტინიანე დიდის დროს ქალაქის სტატუსი მიენიჭა და გამავრდა და დამშვენდა (პროკოპი კესარიელი 1965: 51). აქ დაჯდა იუსტინიანეს წარმომადგენელი იოანე ციხე, რომელმაც მთელი ლაზიკის ვაჭრობაზე დაამყარა კონტროლი. ს. ჯანაშია სამართლიანად შენიშნავს, რომ იუსტინიანეს საიმპერატორო ტახტზე ასვლის დროს იმპერიაში დიდი კრიზისი იყო როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და შესაბამისად, იმპერატორს გადასახადების გაზრდა და მათზე მეცნიერებულის დაწესება უწევდა (ჯანაშია 1949: 23-29). პროკოპი კესარიელის ცნობით, პეტრაში ჩამჯდარი იოანე

ციბე თავისი საქმიანობით სახელს უტეხდა იმპერიას და ის იყო ბიზანტია-ეგრისს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მთავარი მიზეზი (პროკოპი კესარიელი 1965: 48, 51). თუმცა საფიქრებელია, რომ სწორედ იმპერატორის ინიციატივითა და მხარდაჭერით მოქმედებდა იოანე ციბე ლაზიკაში და მის მიერ დაწესებული მონო-პოლიაც იმპერიის ინტერესებს შეესაბამებოდა.

ეგრისში დაწესებული მონოპოლია უმთავრესად სწორედ პეტრიდან კონტროლ-დებოდა და შესაბამისად, ამ ქალაქის როლი თავიდანვე დიდი იყო. აქ იყრიდა თავს როგორც უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი, ისე ადგილობრივი ნაწარმი. პეტ-რის დაარსებამ ეგრისის მმართველებს დიდი ეკონომიკური პრობლემები შეუქმნა.

პეტრის დაარსებით გამოწვეულმა ომმა ეგრისში არ დააკნინა ამ ქალაქის როლი. ბიზანტია-ირანის ომების დროს პეტრის ფლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და შესაბამისად, მისათვის არაერთი ბრძოლა მოხდა. ომის პირველ ეტაპზე ირანელებმა ბრძოლით დაიკავეს პეტრა, თუმცა შემდგომ ის კვლავ ბიზანტიელებმა აიღეს, ამის შემდგომ პეტრას კვლავ სპარსელები ეუფლებიან, ხოლო საბოლოოდ დიდი ბრძოლის შედეგად ბიზანტიელთა სარდალი ბესა ეუფლება ქალაქს (პროკოპი კესარიელი 1965: 56-60, 124, 134-149).

თუკი პეტრა-ციხისძირის იგივეობის საკითხს დავეთანხმებით, მაშინ ამ ციხის დანიშნულებაზე მსჯელობისას უმთავრესად ისევ წერილობით წყაროებს უნდა მივ-მართოთ, სადაც ხაზგასმით არის ახსნილი ლაზიკაში პეტრის აშენების მთავარი მიზეზი (იხ. ზემოთ). წყაროებში მოცემულ ცნობებს აშკარად უჭერს მხარს ციხისძირის მდებარეობაც. გარდა იმისა, რომ აქ ზღვით შემოტანილი პროდუქტის შეკრება ხდებოდა, ციხისძირში გადმოდიოდა სამხრეთიდან ეგრისში შემავალი ერთ-ერთი უმთავრესი გზა, რომელიც ციხისძირის სიახლოესს მთებს შორის საკმაოდ ვიწრო გადასასვლელებზე გადიოდა და შესაბამისად, ციხიდან ამ გზის ჩაკეტვა და გაკონტროლება ადვილი იქნებოდა. ეს უნდა ყოფილიყო ლაზიკისა და რომის აღმოსავ-ლეთ პროვინციების დამაკავშირებელი უმთავრესი გზა. კიდევ ერთი გზა, რომელიც ეგრისს სამხრეთ რეგიონებთან აკავშირებდა, გადიოდა ციხისძირიდან აღმოსავლე-თით დღევანდელი აბასთუმან-ბალდათის გზის პარალელურად, რომელიც ზეკარის გადასასვლელით სპარსეთის კონტროლირებად პროვინციებს ეგრისთან აკავშირებდა. სწორედ ამ გზის გასწვრივ მდებარეობდა დიმის ციხე და ქალაქი ვარდციხე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ციხისძირში მდებარე ნაქალაქარი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ისტორიული პეტრა, ყველა შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს სასაზღვრო-საბაჟო ციხესიმაგრეს ნარმოადგენდა, რომელიც სამხრეთიდან ლაზიკაში შემავალ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას კეტავდა და აკონტროლებდა.

## გუდავა

ძეგლი მდებარეობს გალის რაიონის სოფ. გუდავაში, მდ. ოქუმის მარცხენა სანაპიროზე, გაშლილ ადგილას.

გუდავაში გამოვლენილი ძეგლი წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ზიგანე-ოსთანაა გაიგივებული (ბერძენიშვილი... 1966: 52; ლეკვინაძე 1969: 81-82). გუდავა-ზიგანე-ოსთანა მოხსენიებულია *Notitia Dignitatum*-ში, რომელიც რომის იმპერიაში V

საუკუნეში შედგენილ დოკუმენტს წარმოადგენს. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია აღმოსავლეთი შავიზღვისპირა პუნქტები, სადაც რომაული გარნიზონები იდგა და მათ შორის ერთ-ერთია ზიგანეოსი. წყაროს თანახმად, ზიგანეოსში ვალენტის მეორე კოპორტა (400-600 ჯარისკაცი) მდგარა.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გუდავაში არქეოლოგიური გათხრები აწარმოა პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით (ზაქარაია... 1971: 100-102; ზაქარაია... 1974: 139-147). გათხრების შედეგად ძეგლზე გამოვლინდა გვაიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ფენები, მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობა, ნახევარწრიული აფსიდით, რომელიც სპეციალისტების აზრით ბაპტისტერიუმი უნდა ყოფილიყო. ასევე მიკვლეული იქნა, სავარაუდოდ, კასტელის გალავნის ერთი კედელი. ამ კედლის მიხედვით მკვლევრები ვარაუდობენ, რომ სიმაგრე 110 მეტრი სიგრძის უნდა ყოფილიყო. მათი აზრით, გუდავას შავი ზღვის სანაპიროზე გამოვლენილი სხვა კასტელების მსგავსი არქიტექტურა უნდა ჰქონდა. არქიტექტურულ ნაშთებთან ერთად კულტურულ ფენებში დიდი რაოდენობით გამოვლინდა წელშეზნექილი ამფორების, ლუთერიუმებისა და სხვა სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ძირითადად IV-VI სა.-ით თარიღდება.

წერილობითი წყაროებისა და ძეგლზე გამოვლენილი არქეოლოგიური თუ არქიტექტურული ნაშთების ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ გუდავა-ზიგანეოსი შავი ზღვის სანაპიროსა და ზოგადად ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სტრატეგიული პუნქტი იყო.

## სეპასტოპლისი

როგორც ცნობილია, რომაულ და ბიზანტიურ წერილობით წყაროებში (პლინიუსი, NH, V, 14; არიანე, PPE, 26; პროკოპი კესარიელი, BG VIII, 14; იუსტინიანეს „ნოველა“, XXVIII), აღმოსავლეთ შავიზღვისპირა პუნქტებს შორის იხსენიება დიოსკურია-სებასტოპოლისი რომელიც დღევანდელ ქ. სოხუმთან არის გაიგივებული. სოხუმის არქეოლოგიური შესწავლა XIX ს.-იდან იწყება, როდესაც იქ პირველი, მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები რუსმა მეცნიერმა ვ. სიზოვმა აწარმოა. შედეგად გამოვლინდა კულტურული ფენა, რომელიც უმეტესად ვიანანტიკური ხანის მასალას შეიცავდა (Синов... 1889: 56-173). ამის შემდეგ სოხუმის არქეოლოგიური შესწავლა ეტაპობრივად ხორციელდებოდა გასულ საუკუნეშიც – 1925, 1940, 1951, 1952-56, 1957, 1959 და 1985 წლებში (ლანჩავა 2007: 78-79, 102-103).

1957 წლს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს (რაზმის ხელმძღვანელი – ლ. შერვაშიძე) სოხუმში, სანაპიროს გასწვრივ 200 მეტრის სიგრძეზე გამოვლინდა სიმაგრე, რომლის კედლებიც ძირითადად ზღვაში იყო ჩაძირული (შერვაშიძე... 1960: 171-179).

1959 წლიდან დაწყებული კვლევა-ძიების შედეგად სოხუმის ციხეზე გამოვლინდა გვიანრომაული პერიოდის მასობრივი არქეოლოგიური მასალა (წითელლაქიანი

ჭურჭელი, ამფორები), მონეტები, რკინისა და მინის ნივთების ფრაგმენტები. ასე-ვე გამოვლინდა აბანოს ნაშთები და წყალგაყვანილობის მიღები (აფაქიძე... 1965: 104).

1985 წლის პიდროარქეოლოგიურმა კვლევებმა სოხუმში, ზღვის სანაპიროდან 120 მეტრის მოშორებით, წყალქვეშ, კიდევ ერთი გალავნის ნაშთები გამოავლინა, რომელიც აგურ-კვადროვანი წყობით იყო ნაგები, რაც ადრეული შუა საუკუნეებისათვის არის სახასიათო (გამკრეპიდვე 1992: 44).

ვ. ლექვინაძის აზრით, სოხუმში გამოვლენილი გალავნის ნაშთები ორ სხვადასხვა პერიოდის კასტელას უნდა მიეკუთვნებოდეს. მათგან პირველს მკვლევარი III ს.-ში აგებულად მიიჩნევს, ხოლო მეორეს – იუსტინიანეს დროს, VI ს.-ში (ლეკვინაძე 1966: 210; ლეკვინაძე 1969: 84).

სებასტოპოლისი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენდა ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის დროს, როდესაც აქ ისტორიული დიოსკურია დაარსდა. ეს ადგილი ფაზისთან, გიენოსთან და სხვა ახალშენებთან ერთად დიდ როლს ასრულებდა ბერძნულ-კოლხურ სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობებში. ეს ფუნქცია არ დაკარგულა არც მოგვიანებით – რომაულ ხანაში, როდესაც აქ რომაული გარნიზონი იდგა, როგორც ცნობილია, ფლავიუს არიანეს მოგზაურობის დროს სებასტოპოლისი რომაული ლიმესის უკოდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი პუნქტი იყო (არიანე 1983: 158). ვ. ლექვინაძის მოსაზრებაზე დაყრდნობით, გამოდის, რომ სებასტოპოლისი III ს.-ში ჯერ რომაელების მიერ დაარსებული ციხესიმაგრე ყოფილა, რომელიც მოგვიანებით, კერძოდ იუსტინიანეს დროს, პიზანგია-სპარსეთის ომების დაწყების წინ განუახლებიათ. ამ ლოგიკით, გამოდის, რომ სებასტოპოლისი ეგრისის მმართველების მიერ უგულებელყოფილი იყო. თუმცა, ჩვენი აზრით, ლაზიკის სიძლიერისათვის სებასტოპოლისის გამაგრებასა და კონტროლს დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა, რომელსაც IV-VI სს.-ში, სავარაუდოდ, ეგრისის მმართველები აკონტროლებდნენ. იგივე შეიძლება ითქვას პიტიუნგსა და გუდავა-ზიგანეოსზეც. სწორედ ამ ციხე-ქალაქების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული იოანე ციხეს მიერ პეტრის დაწინაურება, რის შედეგადაც ლაზებმა სრულად დაკარგეს კონტროლი ქვეყანაში შემოსულ და გასულ საქონელზე.


## ანაპოლი

ციხე გუდაუთის მუნიციპალიტეტის ქ. ახალ ათონში, ივერიის მთაზე, ზღვის სანაპიროდან 2 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. ციხე ქართულ წერილობით წყაროებში პირველად მურვან ყრუს მიერ დასავლეთ საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით იხსენიება. ჯუანშერის თანახმად ციხეში თავს აფარებდნენ ქართლიდან დევნილი არჩილი და მირი, მაგრამ მურვან ყრუმ ქალაქის აღება ვერ შეძლო და უკან გაბრუნდა (ჯუანშერი 1955: 235-236).

ციხეზე არქეოლოგიური გათხრები გასული საუკუნის 50-იან წლებში განხორციელდა მ. თრაფშის ხელმძღვანელობით. გათხრებით დადგინდა, რომ აქ ჯერ კი-

დევ ძ. 6. IV-II სს.-ში სამოსახლო არსებულა. თავად ციხე და ძირითადი არქეოლოგიური მონაპოვრები კი VII-XII სს. -ით არის დათარიღებული (Трапш 1961: 260-282).

გალავნებით შემოზღუდული ტერიტორია 7 ჰა ფართობს მოიცავს და რთულ რელიეფზე ნაგები. ციტადელი მთის უმაღლეს წერტილშია განთავსებული, ხოლო დანარჩენი გალავნები ციტადელიდან დასავლეთისაკენ ეშვება. მათგან ჩრდილოეთის გალავანს კოშკები არა აქვს, ხოლო სამხრეთის (საიდანაც შეტევის მეტი საშიშროება იყო) 8 კოშკით არის გამაგრებული. ციხის ტერიტორიაზე ორი ეკლესია და კირის გამოსაწვავი ქურაა გამოვლენილი (სურ. 13). ვ. ლექვინაძის მოსაზრებით, ციხის ციტადელში აშკარად იკვეთება IV-VI სს.-ის სამშენებლო ფენები, რომლებიც სამშენებლო ტექნიკით ამავე პერიოდის სკანდის, შორაპნისა და არქეოპლისის ფენების იდენტურია (Леквинадзе 1968: 89-104).



### 13. ანაკოფიის ციხის აქსონომეტრია

პროფესორი ო. ლანჩავა სამართლიანად შენიშნავს, რომ ანაკოფიის ციხე, მიუხედავად იმისა, რომ ის ზღვის სიახლოვეს მდებარეობს, არ შეიძლება ტიპურ ზღვისპირა ციხექალაქებთან გავაიგივოთ (ლანაჩავა 2007: 80). პირველ რიგში, ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ ციხის მშენებლობის ტექნიკა და გეგმარება მეტ საერთოს ეგრისის შიდა რეგიონებში განლაგებული სიმაგრეებთან იჩენს, ვიდრე ზღვისპირა კასტელებთან. შესაბამისად, განსხვავებული იყო მისი ფუნქცია. თუკი სხვა ზღვისპირა ქალაქები საზღვაო-სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდნენ და იმავდროულად მათი დანიშნულება ზღვიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება იყო, ანაკოფიის ციხის მთავარი ფუნქცია ზღვის სანაპიროს პარალელურად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი სახმელეთო გზის ჩაკეტ-

ვა და დაცვა იყო. აეროფოტოებზე დაკვირვებით აშკარად ჩანს, რომ ციხე აგებულია დას.-აღმ. ორიენტაციის წაგრძელებული ფორმის საკმაოდ მაღალი და გრძელი მთის დასავლეთ დაბოლოებაზე ზღვასთან ახლოს. შესაბამისად, სამხრეთიდან წამოსულ მტერს ჯერ ბუნებრივი დაბრკოლება (14 კმ სიგრძის მთა) ხვდებოდა წინ, რომელიც ზღვიდან 1 კმ-ში უკვე გადაულახვია, ამის გავლის შემდეგ კი ანაკოფის ციხე ელობებოდა წინ, რაც ჩრდილოეთისაკენ მოძრაობის გაგრძელებას მეტად ართულებდა. სწორედ ასეთი მდებარეობა უნდა ყოფილიყო იმის მთავარი მიზეზი, რომ ციხეს საუკუნეების განმავლობაში არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ეგრისის სამეფოს დაქვეითების შემდეგ ციხე ჯერ აფხაზთა სამეფოს მთავარ პუნქტს წარმოადგენდა, ხოლო ერთიანი საქართველოს პირობებში სამეფოს ჩრდილო- დასავლეთი მონაკვეთის ერთ-ერთი უმთავრესი სიმაგრე იყო.

## პიტიუნტი

ძეგლი მდებარეობს დაბა ბიჭვინთის ცენტრში, ზღვიდან 400 მეტრის მოშორებით, გაშლილ ადგილას (GPS კოორდინატები: N 43° 9'36.92" E 40°19'57.90". სიმაღლე: 5 მ.).

პიტიუნტს მოიხსენიებენ ძეგლი რომაელი და ბიზანტიელი ავტორები – სტრაბონი, პლინიუს სეკუნდუსი, ფლავიუს არიანე, პროკოპი კესარიელი და სხვები. როგორც ცნობილია, პიტიუნტი ე. წ. „პონტოს ლიმესის“ უკიდურესი ჩრდილოეთი პუნქტი იყო ახ. წ. II ს.-ში და იქ რომაული გარნიზონები იდგა (ლეკვინაძე 1969: 75-92).


პიტიუნტის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XIX ს.-ში ძეგლი სადმი ინტერესი გამოიჩინეს დიუბუა დე მონპერემ, მარი ბროსემ, დ. ბაქრაძემ და სხვა მკვლევრებმა (აფაქიძე 1975: 17-24).

1952 წლიდან ნაქალაქარზე მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არექოლოგიურმა ექსპედიციამ ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით (1975 წლიდან – გ. ლორთქიფანიძე). გათხრების შედეგები მოცემულია სამ ტომად გამოცემულ კრებულში „დიდი პიტიუნტი“ (1975, 1977, 1978). გათხრების შედეგად არიანეს დროინდელი (II-III სს) კასტელა არ გამოვლენილა. შემორჩენილი ნაშთებიდან ყველაზე ძველი IV ს.-ით თარიღდება. ეს არის ოთხუთხა კასტელა: ნაგრძელებული ფორმის ციხე 15 კოგით, მათგან ზოგიერთი მასიურია და უფრო კონტრფორსად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე კოშკად (ლეკვინაძე 1969: 86).

კასტელას შიდა ტერიტორიაზე გამოვლინდა სამხედრო ბანაკისათვის საჭირო ნაგებობები: მეთაურის რეზიდენცია (პრეტორიუმი), სამხედრო ადმინისტრაციის შენობა (პრინციპია), საცხოვრებელი, სამზარეულო, საკუჭნაო ოთახები, აბანოები, ოფიცერთა სამუშაო ოთახები, ბაზილიკა, სამკურნალო სახლი. კულტურულ ფენებში გამოვლინდა ჭრაქები, კერამიკული ჭურჭელი, რკინის იარაღები, მინის ნაწარმი, მონეტები და სხვ. ყველაფერი ეს ახ.წ. III-IV სს.-ით არის დათარიღდებული.

როგორც ირკვევა, IV საუკუნეში პიტიუნტი ჰუნების შემოსევის დროს დანგრეულა და იქ ცხოვრების ინტენსივობასაც დაუკლია (ლორთქიფანიძე 1991: 93). არ-


ქეოლოგიური გათხრებით ირკვევა, რომ VI ს.-იდან პიტიუნტი იბრუნებს თავის დანიშნულებას და იქ ცხოვრების ხელახალი გამოცოცხლება შეიმჩნევა. მართკუთხა კასტელიუმს აღმოსავლეთ მხრიდან მიშენებული აქვს გეგმაში მომრგვალებული ფორმის გალავანი, რამაც ციხის გეგმარება სრულად შეცვალა. გალავანი გამაგრებული ყოფილა 11 კოშკით. მის შიდა ტერიტორიაზე სამნავიანი ბაზილიკისა და სხვა ნაგებობების ნაშთები გამოვლენილი (სურ. 14). მკვლევართა აზრით, პიტიუნტის ციხე-ქალაქის განახლება ბიზანტიულებს უკავშირდება (ლორთქიფანიძე 1991: 173). როგორც ცნობილია, სპარსელებთან მოსალოდნელი ომის წინ ბიზანტიულებმა საგანგებოდ გაამაგრეს და ზოგ შემთხვევაში ხელახლა ააშენეს ლაზიკის ციხესიმაგრები. მათ შორის უნდა ყოფილიყო პიტიუნტიც.



აკადემიკოს ბურამ ლორთქიფანიძის მიხედვით

#### 14. პიტიუნტის გეგმა

II ს.-ში პიტიუნტის დაარსებით რომაელებმა საიმედო სათავდაცვო პუნქტი შექმნეს იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ხაზზე. ციხის მთავარი ამოცანა ჩრდილოკავკასიელი მომთაბარე ტომების შეკავება უნდა ყოფილიყო (ლორთქიფანიძე 1991: 91). ჩვენი აზრით, პიტიუნტის განახლება მოსალოდნელი ომის წინ სწორედ იმავე საფრთხის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ომის დროს სპარსეთს, შესაძლოა, მოესყიდა ჩრდილოკავკასიელები და ჩრდილოეთიდან მეორე ფრონტი გაეხსნა ბიზანტიისათვის. შესაბამისად, პიტიუნტის აღდგენას ბიზანტიისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონდა. პიტიუნტის ნაქალაქარს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მთიანი მასივები და მდ. ბზიფი ესაზღვრება. სწორედ მდ. ბზიფის ხეობაზე გადმომავალი გზის კონტოლი უნდა ყოფილიყო პიტიუნტის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება (სურ. 15).



**15. Google Earth სურათი – პიტიუნტის მდებარეობა მდ. ბზიფთან მიმართებაში**

### ეგრისის სამეცნის სამსროლი სექტორის გამაზრების ქვესისფრა

ეგრისის სამეცნის სამხრეთ საზღვრები დაახლოებით იგივე ხაზზე გადიოდა, რომელზეც საქართველოს თანამედროვე საზღვარი – მესხეთის ქედის ხაზზე. მესხეთის ქედი 140 კმ სიგრძისაა. ის გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროდან ბორჯომის ხეობამდე.

სამეცნის სამხრეთი თავდაცვითი ხაზი იმერეთის, აჭარის, უმეტესად კი დღევანდელი გურიის რეგიონის ტერიტორიაზე იყო განათვებული. სამწუხაროდ, აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთსა და აჭარაში გამოვლენილი ციხე-სიმაგრეებისაგან განსხვავებით, გურიაში გამოვლენილი საფორტიფიკაციო ნაგებობები ჯეროვნად არ არის შესწავლილი. ცალკეული შემთხვევების გარდა, მათი ქრონოლოგია ზოგადად შუა საუკუნეებით არის განსაზღვრული. ძალზე მწირია სამშენებლო ტექნოლოგიების ანალიზი. კიდევ უფრო ნაკლებია არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები, რაც აღნიშნულ რეგიონში არსებული საფორტიფიკაციო სისტემის კვლევას საკმაოდ ართულებს.

ეგრისის სამეცნიში ბუნებრივად ყველაზე უკეთ დაცული სწორედ სამხრეთ საზღვრები იყო და ამ მხრიდან სამეცნიში შექრა თითქმის შეუძლებელი იყო. მესხეთის ქედის მთელ სიგრძეზე, შავი ზღვიდან ბორჯომის ხეობამდე, ორი ძირითადი გადასასვლელი არსებობდა, საიდანაც მეტ-ნაკლებად კომფორტულად შეიძლებოდა სამეცნის შიდა რაიონებში მოხვედრა: ერთი – პეტრა-ციხესიმირის გავლით, ხოლო მეორე – აბასთუმან-ბალდათის გზით, ზეკარის უღელტეხილის გავლით, სპარსეთის პროვინციებს ეგრისთან აკავშირებდა. ეს გზა ხანისწყლის ხეობაზე გადი-

ოდადასაგანგებოდ იყო გამაგრებული დიმისა და ვარდციხის ციხეებით, რომლებიც სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ თავდაცვით ხაზს ქმნიდნენ. პეტრა-ციხისძირი კი ზღვისპირა ფორპოსტს წარმოადგენდა. ამ გადასასვლელებს შორის მოქცეულ საკმაოდ ვრცელ ხაზზე (100 კმ) მესხეთის ქედის გადალახვა ბევრად რთული იქნებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ქედზე არსებული ხეობები მაინც საგანგებოდ უნდა ყოფილიყო გამაგრებული.

ერთ-ერთი ასეთი გამაგრება უნდა ყოფილიყო მდ. სულორის ვიწრო ხეობები-დან გამოსვლის ადგილას, დღევანდელ სოფ. სულორში და მთისძირში, სადაც ციხეების ნაშთებია გამოვლენილი. აქედან დასავლეთით 15 კმ-ში კი მდებარეობდა ტოლების (ტელეფისი) ციხე, რომელიც მდ. ხევისწყლის გასწვრივ გამავალ გზას უნევდა კონტროლს და თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, ეგრისის სამეფოში ერთ-ერთ საკვანძო სტრატეგიულ ჰუნძტს წარმოადგენდა. ციხის სიახლოეს გადიოდა უმნიშვნელოვანეს გზა, რომელიც მოხირისის მხარეს შავი ზღვის სანაპიროსთან აკავშირებდა. ასევე ხეობის ჩამკეტი ფუნქციები უნდა ჰქონდათ ასკანას (მდ. ბახვისწყლის ხეობაზე), ბუკისციხეს (მდ. სუფსის ხეობაზე) და ზოტის ციხეს (მდ. გუბაზოულის ხეობაზე).

სადაზვერვო-საგუშავო ფუნქციები უნდა ჰქონოდა სოფ. ზემო შუხუთში გამოვლენილ ციხეს, საიდანაც ჩრდილოეთით საკმაოდ დიდი ფართობები იზვერება უნაგირა მთის ჩათვლით. აქედან, როგორც ცნობილია, კიდევ ერთი თავდაცვითი ხაზი მუშაობდა. ეგრისის სამეფოს სამხრეთი მონაკვეთის თავდაცვით სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უნდა ჰქონოდა ლიხაურის ციხეს, რომელიც მოხირისიდან შავი ზღვისაკენ (პეტრა, ბათუმის ციხე, გონიო), ტოლების ციხის გავლით წამოსულ გზაზე მდებარეობდა და ამ გზის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა (სურ. 16).




16. Google Earth სურათი – სამეფოს სამხრეთი სექტორის გამაგრების სისტემა

სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილი ციხესიმაგრების ზუსტი ქრონოლოგია უმეტეს შემთხვევაში დადგენილი არ არის, მაგრამ თითოეული მათგანის მდებარეობა (მდინარეების ხეობებთან, მაღალ მთებზე) და გეგმარება (გალავნების ლანდშაფტზე მორგება) გვაფიქრებინებს, რომ ეს ციხეები (ან მათ ადგილზე მანამდე მდგომი სიმაგრეები) ეგრისის სამეფოს სამხრეთი თავდაცვითი ხაზის შემადგენელი ნაწილები უნდა ყოფილიყო. ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ, თუ არა ზოტის, ბუკისციხის, ლიხაურის, ტოლების, მთისძირის ციხეები, სამხრეთიდან გადმომავალი ხეობებით ეგრისში მოხვედრა სპარსეთის პროვინციებიდან ბევრად ადვილი იქნებოდა. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ეგრისის სამეფოს მესვეურები (ლაზები, ბიზანტიელები), სპარსეთთან არსებული კონფლიქტური მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებლად იზრუნებდნენ ამ ხეობების გამაგრებაზე.

## მთისძირი და ციხესულორი

XX საუკუნის 60-70 წლების მიჯნაზე ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმებმა გათხრები ანარმოეს ციხესულორისა და მთისძირის ტერიტორიებზე, სადაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ორი ციხის ნაშთი აღმოჩნდა.

ციხესულორი დაბა ვანიდან ჩრდილო-დასავლეთით 3-4 კმ-ში მდებარეობს. ამ სოფელში ერთ-ერთ მაღალ ბორცვზე (ზღვის დონიდან დაახ. 180 მ.) გამოვლინდა შუა საუკუნეების ციხესიმაგრე (სურ. 17), რომლის პირველი სამშენებლო ფენა დაახ. IV საუკუნეზე მოდის (მიწიშვილი 1976: 32-47).



17. ციხესულორის სქემატური გეგმა

ციხე ნაგებია კლდის ქვისგან გამოთლილი სხვადასხვა ზომის კვადრებით კი-რის დუღაბზე. ის გეგმარებაში ელიფსს უახლოვდება, გალავნების ხაზები რელი-ეფის კონტურს მიჰყვება. ციხის ტერიტორია სამი მხრიდან ბუნებრივი ხევებით იყო დაცული, ხოლო სამხრეთიდან დამრეცი ფერდობი ეკვრის გარს – ეს არის ციხეზე მოსახვედრი ერთადერთი მიმართულება. ციხეზე ჩატარებული გათხ-რებით გაირკვა, რომ ამ ბორცვზე ცხოვრება ელინისტური ხანიდან დაიწყო და გვიანდელ შუა საუკუნეებამდე გაგრძელებულა. მრავლად მოპოვებულ კერამი-კულ ნანარმში აშკარად ჭარბობდა ადრეული შუა საუკუნეების მასალა, რაც ამ პერიოდში ციხეზე განსაკუთრებული ინტენსივობით ცხოვრებაზე მიუთითებს (მინიშვილი 1976: 32–47; მინიშვილი 1977: 43–51). ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გათხრების შედეგად აღმოჩნდა მცირე ზომის ნაგებობა, რომელიც, სპე-ციალისტების აზრით, შესაძლოა, ეკლესია ყოფილიყო. ციხიდან მოჩანს ვრცელი ტერიტორიები ჩრდილოეთით, რიონის დაბლობისკენ. გამომდინარე აქედან, სა-ფიქრებელია, რომ საქმე უნდა გვქონდეს სასიგნალო-საგუშაგო ციხესთან, რომ-ლის მთავარი დანიშნულება ციხის ახლოს გამავალი გზების კონტროლი უნდა ყოფილიყო.

ციხესულორის დასავლეთით, დაახ. 5 კმ-ში, სოფ მთისძირში, ადეიშვილების გორაზე კიდევ ერთი მცირე ციხეა გამოვლენილი, რომლის თარილიც ზოგადად IV-VIII სს.-ით არის განსაზღვრული (გამყრელიძე 1982: 101–107). ეს არის ბორცვის თავზე კლდის ფლეთილი ქვით ნაშენები მართკუთხა ფორმის ნაგებობა (გარე ზო-მები: 7.50 მ X 29.40 მ). ციხე ძნელად მისადგომია – სამი მხრიდან ციცაბო კალთები ეკვრის გარს, შედარებით ნაკლები ქანობისაა აღმოსავლეთის ფერდობი, სწორედ აქედან უნდა ჰქონოდა ციხეს მისადგომი.

ბორცვი, სადაც ციხის ნაშთი აღმოჩნდა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ინ-ტენსიურად იყო დასახლებული ჯერ კიდევ ადრეული ანტიკური ხანიდან. ამ მხა-რის დაწინაურებას, პირველ რიგში, მისი მდებარეობა უწყობდა ხელს. მთისძირი მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, მთისა და ბარის შესაყართან, სწორედ მთისძირის სიახლოეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი გადმოსასვლელი მეს-ხეთის მთებიდან და შესაბამისად, საფიქრებელია, რომ მთისძირის ციხე ამ გად-მოსასვლელების ჩასაკეტად და გასაკონტროლებლად იქნა ხელახლა ათვისებული ადრეულ შუა საუკუნეებში. მთისძირი და ციხესულორი მოხირისის მხარის სამხ-რეთ შესასვლელების დამცავი სიმაგრეები იყო. სავარაუდოდ, მათ შორის ვიზუ-ალური კავშირიც უნდა ყოფილიყო და საჭიროების შემთხვევაში ისინი ერთმანეთს სიგნალს გადასცემდნენ მტრის მოძრაობის შესახებ.

გ. გამყრელიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ სწორედ მთისძირშია სა-გულვებელი ბიზანტიური წყაროების მოხირისი (გამყრელიძე 1983: 118–122). ჩვე-ნი აზრით, ეს მოსაზრება მეტად არარეალურად გამოიყურება: მოხირისი უფრო მეტად ქვეყნის შიდა ტერიტორიაზეა საგულვებელი, სადღაც ქუთაისის მახლობ-ლად, მის დასავლეთით. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, მოხირისი ვარდციხეს-თან ერთად ერთი გამორჩეული ქალაქი იყო ეგრისში. ხოლო მთისძირში გა-მოვლენილი სიმაგრე არც თავისი ზომებით და არც არქეოლოგიური მასალით არ შეესაბამება ასეთ დახასიათებას.


## ტოლები-ტელეფისი

ციხე მდებარეობს სამტრედიის რაიონის სოფ. ზემო ტოლების ჩრდილო-აღმო-სავლეთი ნაწილში (GPS კოორდინატები: N42 04.036, E42 15.273. სიმაღლე: 244 მ).

ციხე აღმართულია მაღალ გორაზე, რომელსაც ჩრდილოეთით ღრმა ხევები საზღვრავს, ხოლო დასავლეთითა და აღმოსავლეთით ციცაბო კალთები ეკვრის გარს. ციხესთან მიახლოება მხოლოდ სამხრეთის მხრიდან არის შესაძლებელი და უშუალოდ ციხეზე მოსახვედრად 25 მეტრის სიგრძის დამრეცი ფერდობის ავლაა საჭირო. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ციხეს დასავლეთიდან, სამხრეთიდან და აღ-მოსავლეთიდან წრიულად ეკვრის ხელოვნური თავდაცვითი თხრილი, რომელის სიგანე 5-6 მეტრია, სიღრმე კი 1-2 მეტრი. საფიქრებელია, რომ ციხის აშენების დროს თხრილის სიგანე და სიღრმე მეტი იქნებოდა და დროთა განმავლობაში მო-ნით ამოივსებოდა. შესაბამისად უნდა ითქვას, რომ ასეთი გაბარიტების თხრილის გადალახვა ადვილი არ იქნებოდა. აღნიშნული თხრილის სრული სიგრძე 120 მეტრს აღწევს, მისი ორივე ბოლო ჩრდილოეთით ხევს უერთდება.

ციხე ძლიერ არის დანგრეული. ყველაზე უკეთ გადარჩენილი კედლის სიმაღ-ლე 4 მეტრს აღწევს – ეს არის ბორცვის დასავლეთ დაბოლოებაზე შემორჩენილი კედლის (საგარაუდოდ, კოშკის) ფრაგმენტი, რომელიც გარე (დასავლეთის) მხრი-დან წრიული ბურჯით იყო გამაგრებული. ასევე გალავნების ნაშთები ფრაგმენტუ-ლად იკითხება ბორცვის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში. ბორცვის გარშემო ფერდობზე მრავლად ყრია გალავნების ჩაცურებული საკმაოდ დიდი ზომის ფრაგ-მენტები. გალავნები ნაშენები იყო საშუალო ზომის (30-40 სმ) კარგად გათლილი კლდის ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე რიგების დაცვის გარეშე.

სამწეხაროდ, ციხის თავდაპირველი გეგმარების დადგენა შეუძლებელია, სა-ფიქრებელია, რომ მას სამხრეთიდან წრიულად შემოუყვებოდა გალავანი, რომე-ლიც დასავლეთით და აღმოსავლეთით კოშკებით სრულდებოდა (სურ. 18).



18. ტოლების ციხის გეგმა

აღსანიშნავია, რომ ციხის ანაზომი გაკეთებული აქვს ს. ყაუხჩიშვილსაც, რომელსაც ტოლები 1935 წელს მოუნახულებია. ციხის გეგმა და ფოტოები დაბეჭდილია „გეორგიკის“ სერიის მე-3 ტომის დამატებაში. საინტერესოა, რომ „გეორგიკაში“ მოცემულ ფოტოებზე აშკარად ჩანს სამხრეთ გალავნის კვალი, რაც, სამწუხაროდ, დღეისათვის სრულადაა განადგურებული. ასევე ს. ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილ გეგმაზე მეტი კედელია დატანილი, ვიდრე დღეისათვის არის გადარჩენილი. დასანანია, რომ უკანასკნელი 75 წლის განმავლობაში ძეგლმა დიდი ზიანი განიცადა და ფოტოებისა თუ გეგმების შედარება ცხადყოფს, რომ ციხის შემორჩენილი გალავნების დაახლოებით 50 პროცენტი სწორედ XX საუკუნეში განადგურდა.

ციხის სამშენებლო ტექნიკა (თლილი ქვების წყობა და აგურის ფენების ნაშთები), გეგმარება და თავდაცვითი თხრილის არსებობა აშკარად მიუთითებს მის პერიოდზე. ტოლების ციხე ევრისის სამეფოს პერიოდის თავდაცვითი ნაგებობაა. სამეცნიერო ლიტერატურაში მეტად პოპულარულია მოსაზრება ტოლების ციხის პიზანტიური წერილობითი წყაროების ტელეფისთან იგივეობის შესახებ. პირველად ეს მოსაზრება ა. შანიძის მინიშნებით ს. ყაუხჩიშვილმა წამოაყენა (ყაუხჩიშვილი 1936: 312). ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, ტოლების ციხე სწორედ იმ ადგილს მდებარეობს, სადაც წყაროების მიხედვით ტელეფისია საგულვებელი, ანუ რიონ-ცხენისწყლის შესართავთან. მართლაც, ეს ორი მდინარე ერთმანეთს ტოლების ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კმ-ში უერთდება, თუმცა ადგილობრივ გარემოზე დაკვირვებით აშკარაა, რომ ადრე მდ. რიონს უფრო სამხრეთით, მთების ძირში ექნებოდა კალაპოტი, ამასვე მიუთითებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიც (ყაუხჩიშვილი 1936: 313). ციხეს აღმოსავლეთით 1 კმ-ში ჩამოუდის მდ. ხევის-წყალი, რომელიც სამხრეთიდან გურიის მთებიდან მოედინება და ციხის გავლის შემდეგ მალევე უერთდება მდ. რიონს. ამ მდინარის გასწვრივ მდებარეობს საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის სამანქანო გზა, რომელიც მაღალი მთების გავლით, ვიწრო ხეობებში მიემართება ზღვისაკენ და დღევანდელი სამტკრედიის რაიონს აჭარასთან აკავშირებს. სწორედ ამ ვიწრო გზას უნდა იხსენიებდეს აგათია სქოლასტიკოსის ტელეფისის მისადგომების აღწერისას: „ეს ციხე მტკიცება და ძალიან მაგარია – და დიდის გულმოდგინებით იცავდა შესავლებს. ეს ადგილი, სხვათა შორის, ძნელსავალია და მიუდგომელი... არც ერთი სხვა მხრიდან არ არსებობს სხვა მისასვლელი გზა, ვინაიდან ირგვლივ მდებარე დაბლობები ჭაობიანი და შლამიანია“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 31). ეს აღწერა ზედმინევნით შეესაბამება დღევანდელი ტოლების გარემო პირობებს. აგათია სქოლასტიკოსი ციხის მისადგომებს აღწერს სპარსელთა მიერ მისი აღების მცდელობის კონტექსტში და შესაბამისად, იმ მისადგომებს ახასიათებს, საიდანაც სპარსელებს მოუწევდათ ციხემდე მიახლოება. როგორც ცნობილია, იმ დროისათვის (553 წელი) სპარსელები მთელ აღმოსავლეთ ეგრისს აკონტროლებდნენ და მათი მთავარი მიზანი არქეოპლიტიკისადა ფაზისის აღება იყო. ტოლები-ტელეფისის ციხეს სწორედ დასავლეთ ეგრისის შესასვლელების დაცვა ევალებოდა. დღეისათვის იმერეთიდან გურიასა და აჭარასთან დაკავშირება სამტკრედია-დაფნარი-ლანჩხუთი-სუფსის საავტომობილო გზით ხდება, რომელიც დაბლობში, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს და საფიქრებელია, რომ კოლხეთის ჭაობების დაშრობამდე ეს ტერიტორიები საკომუნიკაციოდ გამოუსადეგარი იქნებოდა. შესაბამისად, აღმო

სავლეთ ეგრისიდან მის დასავლეთ რაიონებში მოხვედრა რიონის მარცხენა სანაპიროზე შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზით, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ ვიწრო გადასასვლელს წარმოადგენს გურიის მთების გავლით და ამ გზას მთისა და ბარის შესაყართან დღევანდელი სოფ. ტოლების ტერიტორიაზე აშენებული ციხე იცავდა და აკონტროლებდა და შესაბამისად, მისი აღების გარეშე დასავლეთ ეგრისში მოხვედრა რთული იქნებოდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იყო კიდევ ერთი გზა დასავლეთ ეგრისში მოსახვედრად – მდ. რიონი, რომელიც სანაოსნოდ გამოდგებოდა და მით უმეტეს დინების მიმართულებით (ალმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ) მასზე გადაადგილება შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ სპარსელებისათვის რიონის გამოყენების შესაძლებლობაც შეზღუდული იყო, რადგანაც ბიზანტიელებს რიონისა და ტეხურის (დოკონოსის) შესართავთან სასიმაგრო პუნქტი წესოსი აეშენებინათ და ამით დასავლეთ და ალმოსავლეთ ეგრისის დამაკავშირებელ სანაოსნო გზასაც აკონტროლებდნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ტოლების ციხის ტელეფისთან გაიგივება საკმაოდ დამაჯერებელია როგორც მისი მდებარეობის შედარებით წყაროს კონტექსტთან, ისე მის გარშემო არსებული გეოგრაფიული ბირობებით, რომელიც მეტად შეესაბამება აგათიას მიერ აღწერილ ტელეფისის გარემოს.

## შეხეთი


ციხე მდებარეობს ლანჩქუთის რაიონის სოფ. ზემო შუბუთის სამხრეთ დაბოლოებაზე, ერთ-ერთი მაღალი გორის წვერზე (GPS კოორდინატები: N42 04.117 E42 02.420. სიმაღლე: 139 მ.).

გორა, რომელზეც ციხეა აშენებული, წაგრძელებული ფორმისაა და ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ციხე გორაკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნახევარზეა აშენებული. მასთან მიახლოება ყველაზე ადგილად სწორედ ამ მხარეს არსებული ფერდობითაა შესაძლებელი, დანარჩენი სამი მხრიდან კი მას ციცაბო ფერდობები ეკვრის.

ციხე გეგმაში არაწესიერი ოვალის ფორმისაა, თუმცა მისი კედლები მოხვევის ადგილებში მცირე კუთხეებს ქმნის, რაც საბოლოო ჯამში მას უფრო მრავალ-კუთხედს ამსგავსებს (სურ. 19). შემორჩენილია გალავნების მხოლოდ დასავლეთი ნაწილი, ისიც 1-2 მეტრის სიმაღლეზე, დანარჩენი კი მინის დონემდეა დანგრეული. შემორჩენილი გალავნის სიგრძე 28.5 მეტრს აღწევს, კედლის სისქე კი 1 მეტრია. შემორჩენილი გალავნის ფორმის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ის გალავნის საერთო შემოწერილობის ნახევარი უნდა იყოს.

1961-62 წლებში შუბუთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით, ციხეზე მცირე მასშტაბის გათხრები აწარმოა. საინტერესოა, რომ ექსპედიციამ ციხის სამხრეთით ორი ხელოვნური თავდაცვითი თხრილიც დააფიქსირა, რომელთა სილრე 2 და 4 მეტრი უნდა ყოფილიყო (ზაქარაია 2002: 285). პ. ზაქარაიას მოსაზრებით, ციხე გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ამის არ-

გუმენტად მეცნიერს ციხის სიახლოვეს ჩამოშლილ გალავანში აღმოჩენილი ცალ-მაგი სათოფე და ციხეზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა მოჰყავს. თუმცა, ჩვენი აზრით, შუხუთის ციხე შესაძლოა უფრო ადრეულ, ჩვენთვის საინტერესო პე-რიოდშიც არსებობდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა:



### 19. შუხუთის ციხის გეგმა

1. ციხის გალავნის სამშენებლო წყობა – კირის დუღაბზე კირქვით ნაგები 1 მ სისქის კედლები.

2. ციხის სიახლოვეს თავდაცვითი თხრილების არსებობა, რაც სწორედ IV-VI სასი ციხეებისათვის არის დამახასიათებელი.


3. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით 800 მეტრში გამოვლენილი ფეოდალის რეზიდენცია აბანოთი, რომელიც IV-V სს-ითაა დათარიღებული (ზაქარაია 2002: 284).

საინტერესოა, რომ ციხის მცირე ზომის კირქვით ნაგები გალავანი უფრო მეტად სწორედ IV-V სს-ს მოგვაგონებს, ვიდრე – VI საუკუნისას, როდესაც დას. საქართველოში ინტენსიურად იყიდებს ფეხს დიდი ზომის კვადრუპით მშენებლობა. ვფიქრობთ, ამ მხრივ, ციხის გალავნების მშენებლობის ტექნოლოგია და მისგან 800 მეტრში აღმოჩენილი რეზიდენციის ქრონოლოგია ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაშია.

ციხიდან ჩრდილოეთისაკენ ვრცელი ტერიტორიების დაზერვაა შესაძლებელი – აქედან კარგად მოჩანს მდ. რიონის აუზი, მისი და მდ. ტეხურის შესართავი და უნაგირა მთის სამხრეთი კალთები.

### ვაშნარი

ნაქალაქარი მდებარეობს ოზურგეთის რაიონში, მდინარეების ნატანების და სქურდემის შესართავთან მდებარე შემდლებაზე (GPS კოორდინატები: N41 56.774 E41 56.065. სიმაღლე: 45 მ.).



20. ვაშნარის ციხის სქემატური გეგმა

ძეგლი 1833 წელს დიუბუა დე მონპერემ მოინახულა (Dubois De Montpereux 1939: 86-94), ხოლო XIX ს.-ის 70-იან წლებში – დიმიტრი ბაქრაძემ (ბაქრაძე 1987: 230–233). მე-20 საუკუნის შუა ხანებში ძეგლზე მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა, რომლის შედეგადაც აღმოჩნდა გალავნები, კოშკები, ბაზილიკა, მავზოლეუმი და სხვ. (გობეჯიშვილი 1952: 154–156). ვ. ლექვინაძის მოსაზრებით, ვაშნარი ადრეული შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა (ლეკვინაძე 1961: 153). 2003 წელს ვ. სადრაძემ გამოსცა მონოგრაფია ვაშნარი „სპონიეთი“-„გურიანი“, რომელშიც ავტორი ვაშნარს გამაგრებულ ციხე-ქალაქად და სამონასტრო კომპლექსად წარმოაჩენს (სურ. 20).

ჩვენი აზრით, ვაშნარი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მონასტრის დანიშნულებას ასრულებდა და შესაბამისად, ნაკლებად უნდა ყოფილიყო ჩართული ეგრისის სამეფოში მიმდინარე სავაჭრო-სამხედრო ოპერაციებში. ამის თქმის საფუძველს ძეგლზე გამოვლენილი რელიგიური დანიშნულების ნაგებობების სიმრავლე და გალავნების შიგნით მოქცეული კოშკები იძლევა, რაც თავისთვავად ხელშემშლელი პირობა იქნებოდა სამხედრო ოპერაციების (თავდაცვა, ფლანგური შეტევა) შესასრულებლად (ლეკვინაძე 1962: 309).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ვაშნარის ნაქალაქარი, უდავოდ, მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა ეგრისში, თუმცა სამეფოს თავდაცვით სისტემაში მას ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა – ის არც გამაგრებული სავაჭრო დანიშნულების პუნქტი იქნებოდა და მით უმეტეს, არც სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცენტრი.


## გუკისციხე

ციხე მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელში, ჩოხატაურის რაიონში ერთ-ერთ მაღალ მთაზე, მდ. სუფსის მარჯვენა სანაპიროზე (GPS კოორდინატები: N41 59.968 E42 17.842. სიმაღლე: 295 მ.).

ციხე ძლიერ არის დანგრეული და მისი ტერიტორია მცენარეებითაა დაფარული. მეტ-ნაკლებად უკეთ არის შემორჩენილი კოშკი, ის კვადრატულია, შიდა ზომებია: 7.40 მ X 7.40 მ, კედლების სისქეა 1.80 მ.

1964 ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად რამდენიმე სამშენებლო ფენა გამოვლინდა – ადრეული შუა საუკუნეებიდან გვიანდელი შუა საუკუნეების ჩათვლით. ადრეული შუა საუკუნეების სამშენებლო ფენა VI-VII სა-ითა დათარილებული (კალანდაძე 1996: 123).

ბუკისციხის დანიშნულების განსაზღვრისათვის, უპირველს ყოვლისა, მისი მდებარეობა უნდა გავითვალისწინოთ. მთა, რომელზეც ციხეა აშენებული, მდ. სუფსის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ამ ადგილას მდინარე კლდოვანი ხეობი-დან გამოდის და შედარებით გაშლილ ველზე დასავლეთისკენ მიემართება. შესაბა-მისად, საფიქრებელია, რომ ბუკისციხე კონტროლს უწევდა მდ. სუფსის ხეობაზე არსებულ გადმოსასვლელს, რომელიც ეგრისის სამეფოს სამხრეთ რაიონებს მეს-ხეთთან აკავშირებდა (სურ. 21).




21. Google Earth სურათი – ბუკისციხის მდებარეობა მდ. სუფსასთან მიმართებაში

## ასკანა

ციხე მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ასკანისა და მთისძი-რის საზღვარზე, მდ. ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე (GPS კოორდინატები: N41 55.928 E42 10.442. სიმაღლე: 405 მ.).

იგი აგებულია მეტად მაღალი და ძნელად მისასვლელი მთის წვერზე. ეს მთა წაგრძელებული ფორმისაა, ორიენტირებულია დას.-აღმ. ხაზზე. ციხე მის აღმოსავლეთ დაბოლოებაზეა აშენებული. აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ციცაბო ფერდობები აკრავს და ამ მხარეებიდან ციხესთან მიახლოება ძალიან რთულია. ერთადერთი მისასვლელი დასავლეთის მხრიდანაა, აქედანაც ციხისკენ მიმავალ ადამიანს საკმაოდ ციცაბო აღმართი უნდა აევლო, ხოლო შემდეგ მთის წვერზე აღმოსავლეთისკენ დაახ. 350 მეტრის მანძილზე, მეტად ვიწრო (1-2 მ) და მცენარეებით (ხეებითა და ბუჩქებით) დაფარულ გზაზე უნდა ევლო. შესაბამისად, ციხის დიდი ძალებით აღება დასავლეთის მხრიდანაც შეუძლებელი იქნებოდა.



**22. Google Earth სურათი – ასკათას ციხე**

ციხე დიდი ზომისაა და რთული გეგმარება აქვს (სურ. 22). მისი გალავნები რთულ რელიეფზეა მორგებული, ზოგ შემთხვევაში კი კედლის ნახევარს ბუნებრივი კლდე წარმოადგენს. ციხის შიდა ტერიტორია ორ ტერასაზეა მოწყობილი. შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ქვედა მხრიდან ჰქონია, საიდანაც ქვედა ეზოში ხვდებოდი, აქედან კი ვიწრო ბილიკით ადიოდი ზედა ტერასაზე, სადაც, პირველ რიგში, საცხოვრებელი კოშკი იყო, მისი გავლით კი ციხის ძირითად (სარეზიდენციო) ნაწილში ხვდებოდი – აქ იყო განლაგებული კლდეში ნაკვეთი რეზერვუარები, ქვევრები, 3 მეტრის სიგანის გამოთლილი სანადიმო ქვა, ეკლესია და კიდევ ერთი საცხოვრებელი კოშკი, რომელიც ციხის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ (ყველაზე რთულად მისადგომ) ნაწილშია განთავსებული.

სამწუხაროდ, ასკანის ციხე მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი, მის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა, რაც ძეგლის შესწავლისათვის ხელის შემშლელი პირობაა. ციხის სამშენებლო ტექნიკა და საშენი მასალები თითქოს IV-V საუკუნეებისას ჰქავს – კარგად გათლილი საშუალო ზომის (20-30 სმ) კირქვის წყობა კირის დუღაბზე, უმეტესად რიგების დაცვით (სურ. 23).



**23. ასკანას ციხის აღმოსავლეთ კოშკი IV-V სს-ის ტიპის წყობით,  
ხედი დასავლეთიდან**

1889 წელს ივანე როსტომაშვილის მიერ გამოცემულ ენციკლოპედიურ ლექსი-კონში წერია, რომ ციხე IV საუკუნეშია აგებული. ძნელი სათქმელია, რა მონაცე-მებს ეყრდნობოდა ავტორი, თუმცა საფიქრებელია, რომ ეს ცნობა ზუსტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე სამშენებლო წყობისა და წერილობითი წყაროების მო-ნაცემებით აშკარაა, რომ ასკანის ციხე განვითარებულ და გვიანდელ შუა საუკუნე-ებშიც მოქმედებდა. 1774 წელს ის ლიხაურსა და ბუკისციხესთან ერთად თურქებს აუღიათ (სიხარულიძე 1975: 634).


უფრო მასშტაბური და კომპლექსური კვლევა-ძიების გარეშე ძნელია ასკანის ციხის ზუსტ ქრონოლოგიაზე მსჯელობა. თუმცა ციხის მასშტაბურობა (30 მ X 65 მ) და მრავალი კომპონენტის ერთიანობა გვაფიქრებინებს, რომ ასკანის ციხე და-სავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენდა, იქ-ნებოდა ეს ეგრისის სამეფო, ერთიანი საქართველო ოუ გურიის სამთავრო. გან-საკუთრებით საინტერესოა, რომ ასკანის ციხე დღევანდელი გურიის რეგიონის გეოგრაფიული ცენტრია და შესაბამისად, აქედან თანაბარი წარმატებით შეიძლე-ბოდა რეგიონის ყველა კუთხის კონტროლი. ციხის მიუვალობა, იქ გამოვლენილი საცხოვრებელი ნაგებობები და ეკლესიის ნაშთი აშკარად მიუთითებს, რომ ეს რო-მელიდაც წარჩინებული დიდებულის რეზიდენცია იყო. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასკანის ციხე, თუკი ის მართლაც IV საუკუნიდან არსებობს, ნაკლე-ბად მნიშვნელოვანი იქნებოდა საფორტიფიკაციო დანიშნულების მხრივ და ისეთი-ვე ფუნქცია ექნებოდა, როგორიც მაგალითად, ჯახუთის ან ოცინდალეს ციხეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხე მდ. ბახვისცნულის ნაპირას არის აშენებუ-ლი, რომელიც მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებიდან მოედინება და ასკანის

ციხემდე გაივლის ასევე ისტორიულად მჭიდროდ დასახლებულ ბახმაროს. ეს გვა-ფიქრებინებს, რომ ციხის ფუნქციებში ამ მდინარის გასწვრივ არსებული გზების ვიზუალური კონტროლიც შედიოდა. ეს გზა დღევანდელ გურიასა და მაღალმთი-ან აჭარას (ხულოს რ-ნი) ერთმანეთთან აკავშირებდა. ცხადია, ასკანის სიახლოვეს მნიშვნელოვანი გზის არსებობა ციხე-ქალაქის დაწინაურებასაც შეუწყობდა ხელს.

## ლიხაური

ციხე მდებარეობს ოზურგეთის რაიონის სოფ. ლიხაურში, სოფლის ცენტრიდან დასავლეთით 1.2 კმ-ში (GPS კოორდინატები: N41 52.313 E41 59.785. სიმაღლე: 255 მ.).

ციხე აგებულია მაღალი და ძნელად მისასვლელი მთის წვერზე. შედარებით ად-ვილად ციხესთან მიახლოება აღმოსავლეთის მხრიდან არის შესაძლებელი, თუმცა აქედანაც მეტად დამრეცი ფერდობის ავლაა საჭირო და რაც მთავრია, ციხე ისეა აშენებული, რომ მისი ერთადერთი შესასვლელი კარი, რომელიც ჩრდილოეთის გა-ლავანში ჩართულ კოშკისა გაჭრილი, გარედან საკმაოდ მაღალზეა (5 მ) განთავსე-ბული. ასე რომ, თუ ციხის შიგნით მოხვედრის მსურველს კიბე არ ექნებოდა, ციცა-ბო კლდეზე აცოცება მოუწევდა.



24. ლიხაურის ციხის გეგმა

ციხის გალავნები უმეტესად რიყის ქვით არის ნაგები და გვიანდელი შუა სა-უკუნეების ციხეების ტიპს განეკუთვნება. ამასვე ადასტურებს ციხის გეგმარება – ნრიული გალავნები, კუთხეებში ჩასმული კოშკებით (სურ. 24). ასეთი გეგმარებისა და სამშენებლო ტექნიკით ნაგები ციხეები გვიანდელ შუა საუკუნეებში საქართვე-ლოს ბევრ რეგიონში შენდება, მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ რზენი, ოცარცე და სხვ. (ზაქარაია 2002: 285-288).

გამომდინარე აქედან, ლიხაურის ციხე ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს გას-ცდებოდა, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: როგორც აღინიშნა, თითქმის მთელი ციხე (კოშკები, გალავნები) რიყის ქვით არის ნაგები, თუმცა ციხის აღმო-სავლეთ გალავნის შიდა მხარეს დგას საშუალო ზომის (20-30-40 სმ) კლდის ქვის კარგად გათლილი კვადრებით ნაგები კოშკი, წყობა ამოყვანილია კირის დუღაბზე, რიგების დაცვით (სურ. 25).



**25. ლიხაურის ციხის აღმოსავლეთ კოშკის ინტრიერის საპირე წყობა**

შესაბამისად, მას ადრეული შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი სამშე-ნებლო წყობა აქვს (მაგ., საკალანდარიშვილი). გამომდინარე აქედან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს კოშკი ბევრად უფრო ადრეულია, ვიდრე ციხის სხვა ნაწი-ლები. საფიქრებელია, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში ციხის განახლების დროს ეს კოშკი მეტ-ნაკლებად კარგად იყო შემონახული და ის ახალი ციხის შიგნით და-ტკოვეს. იმის თქმის საფუძველს, რომ სოფ. ლიხაურში ციხე ადრეულ შუა საუკუნე-ებშიც უნდა ყოფილიყო, თავად ციხის მდებარეობა იძლევა. ლიხაურის სახლოვეს დღემდე გადის ცენტრალური გურიისა და ზღვისპირა აჭარის დამაკავშირებელი ყველაზე მოკლე და კომფორტული გზა. ეს გზა ქ. ოზურგეთიდან მიემართება სამ-ხრეთისაკენ და 6 კმ-ის გავლის შემდეგ მკვეთრად უხვევს დასავლეთისაკენ. ამ მოსახვევიდან 1.2 კმ-ში მდებარეობს ლიხაურის ციხე, რომელიც, ჩვენი აზრით, სწორედ ამ გზის სამხედრო თუ სავაჭრო თვალსაზრისით მაკონტროლებელ ფუნქ-ციას ასრულებდა. ლიხაურის გავლის შემდეგ ეს გზა მიემართება ბორცვებით და-სერილი აჭარისა და გურიის სასაზღვრო მონაკვეთზე, საბოლოოდ კი ქ. ქობულეთ-თან ივაკებს და შავიზღვისპირა გზას უერთდება. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ უძველესი პერიოდიდან დღევანდელი აჭარის ცენტრებიდან (აფსაროსი, ბათუმი,

პეტრა, ფიჭვნარი) კოლხეთისა და შემდგომ ეგრისის შიდა, სამხრეთ (მდ. რიონის მარცხენა სანაპირო) რაიონებთან დამაკავშირებელი გზა სწორედ ამ მიმართულებით გადიოდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა აღნიშნული მონაკვეთის გეოგრაფიული მახასიათებლები: აქ არ არის დაჭაობების საშიშროება, გზის ამ მონაკვეთის სიმაღლე ზღვის დონიდან 60-120 მეტრს შორის მერყეობს, რაც არც დატბორვის საშიშროებას ქმნიდა და მეორე მხრივ, არც გარდაუვალ დაბრკოლებას წარმოადგენდა ამ გზაზე მიმავალი მგზავრისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდელი აჭარის ზღვისპირა ზოლი უძველესი დროიდან მჭიდროდ იყო ათვისებული, საფიქრებელია, რომ ეს მხარე კოლხეთის (ეგრისის) შიდა რეგიონებს, ზღვის გასწვრივ არსებულ გზასთან ერთად, სწორედ ჩვენ მიერ განხილული მონაკვეთით უკავშირდებოდა და შესაბამისად, სოფ. ლიხაურში მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის არსებობა იმთავითვე აუცილებელი იქნებოდა.

ასე უნდა ყოფილიყო ეგრისის სამეფოს პერიოდშიც, მით უმეტეს, რომ ამ დროით დათარიღებული ძეგლები გვხვდება როგორც აჭარაში (გონიო-აფსაროსი, ბათუმი, პეტრა), ისე ლიხაურის სიახლოვესაც (ვაშნარი, შუბუთი).

## ზოტი/ლომი

ციხე მდებარეობს ჩოხატაურის რაიონში, სოფ. ზოტში, გზისპირას მდებარე ადგილ „საყდრისყელზე“, მცირე სიმაღლის გორაზე (GPS კოორდინატები: N41 53.873 E42 26.170. სიმაღლე: 813 მ.).


გორაკს, მცირე სიმაღლის მიუხედავად, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან 7-8 მეტრის სიმაღლის ციცაბო ფერდობები აკრავს. შედარებით ადვილი მისასვლელია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ციხე ძლიერ არის დანგრეული. შემორჩენილია მისი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი გალავნები (2-3 მ სიმაღლეზე) და, სავარაუდოდ, კოშკის ნაშთი (მიწის დონეზე) ციხის შუაგულში. ციხე მცირე ზომის უნდა ყოფილიყო. მიახლოებითი ზომები: 22 მ X 24 მ. კოშკის სავარაუდო ზომებია: 7.60 მ X 8.75 მ. კედლების სისქეა 0.90 მ (სურ. 26).

ჩრდილოეთ გალავნის ცენტრალურ ნაწილში კედელი ჩამონგრეულია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ აქ უნდა ყოფილიყო ციხეში შესასვლელი კარი. მით უმეტეს, რომ მის აღმოსავლეთით გალავანს მომრგვალებული კონტრფორსი აქვს მიშენებული. გალავნები ნაშენებია უხეშად გათლილი კირქვით კირის დუღაბზე, რიგების დაცვის გარეშე.

ციხის ქრონოლოგიის განსაზღვრა მეტად რთულია. მისი მდებარეობის, გეგმარებისა და გამოვლენილი კონტრფორსის მიხედვით ციხის თარიღი ადრეული შუა საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს. თუმცა გალავნების წყობის ქაოსურობა მის ქრონოლოგიას უფრო გვიანდელი შუა საუკუნეებით განსაზღვრავს. ამ ეტაპზე ციხის ზუსტი თარიღის განსაზღვრა შეუძლებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, ციხე სოფლის გზისპირას მდებარეობს. ციხის სამხრეთით ეშვება განიერი და მოსწორებული ფერდობი, რომელიც ხელოვნურად მოსწორებული გზის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ფერდობი მდ. გუბაზოულის ხეობის ძირისკენ მიემართება.



**26. ზოტის ციხის გეგმა**

ციხის მთავარ ფუნქციას მდ. გუბაზოულის გასწვრივ გამავალი გზების ჩაკეტვა და გაკონტროლება წარმოადგენდა.

#### ეგრისის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სეპტორის გამაგრების ძველისაფეხა

ეგრისის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი თავდაცვითი ხაზი მდ. ხანისწყლის გასწვრივ მდებარეობდა და მასში ორი სიმაგრე – დიმი და ვარდციხე-როდოპოლი-სი ერთიანდებოდა. როგორც ცნობილია, მდ. ხანისწყალზე გადმოდიოდა ეგრისის სამეფოში შემავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, რომელიც IV ს.-ის რომაულ საგაჭრო რუკაზეც (Tabula Peutingeriana) ფიქსირდება: ეს გზა სათავეს იღებს ქ. არტაშატში და შემდეგ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ქ. სებასტოპოლი-სამდე (სოხუმი) გრძელდება. რუკაზე სწორედ ხანისწყლის ხეობაზე გადმომავალი გზა უნდა იყოს დატანილი, რომელიც ზეკარის გადმოსასვლელით, აბასთუმან-ბალდათის გავლით, დღევანდელ ჯავახეთს იმერეთთან აკავშირებს.

#### ვარდციხე-როდოპოლისი


ძეგლი მდებარეობს ბალდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარციხეში, მდინარე-ების რიონის, ყვირილისა და ხანისწყლის შესართავთან არსებულ კონცხზე (GPS კოორდინატები: N42 09.069 E42 42.905. სიმაღლე: 102 მ.).

VI ს.-ის ბიზანტიელი მწერლები (პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, იუსტინიანეს „ნოველა“) ციხეს მოიხსენიებენ, როგორც როდოპოლისს, რაც სიტყვა-

სიტყვით ვარდის ქალაქს ნიშნავს, ანუ, სავარაუდოდ, ბიზანტიელებმა ადგილობრივი ტოპონიმი პირდაპირ გადათარგმნეს ბერძნულად და სახელიც შესაბამისი მიიღეს.

აღნიშნულ წყაროებში როდოპოლისი მოიხსენიება, როგორც „უდიდესი და ძველი“ (იუსტინიანე 1965: 35-36), „ყველაზე შესანიშნავი ქალაქი“ (პროკოპი კე-სარიელი 1965: 101) ლაზიკაში. ვარდციხის ნაქალაქარის შესწავლა 1968 წლიდან დაიწყო, 1971 წლამდე ექსპედიციას ხელმძღვანელობდა გ. ლომთათიძე. ძეგლზე ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოები 1972-74 და 1976-78 წლებში მიმდინარეობდა ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, მისივე ავტორობით 1989 წელს გამოიცა მონოგრაფია „ვარდციხის ნაქალაქარი“.

არქეოლოგიური გათხრებით ნაქალაქარზე სამი ძირითადი სამშენებლო ფენაა გამოვლენილი: 1. IV-V სს.-ის. 2. VI ს.-ის. 3. XVI-XVIII სს.-ის. ეს უკანასკნელი რიყის ქვით ნაგები გალავნით არის წარმოდგენილი და ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს (სურ. 27).



27. ვარდციხე-როდოპოლისის გენ-გეგმა



**28. ვარდციხის კოშკისა (H) და გალავნის ნეობა *opus mixtum*-ით**

IV-V საუკუნეებით დათარიღებული გალავანი ნაქალაქარის სამ მხარეს არის შემორჩენილი, გარდა დასავლეთისა, ისიც უმეტესად მიწის დონეზე. ეს კედელი ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე, მისი სისქე 1 მეტრია. გალავანი გეგმაში ნაგრძელებულ ფორმას ქმნის, რომელიც მომრგვალებულია სამხრეთისა და ნაწილობრივ აღმოსავლეთის ხაზზე, თუმცა ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზე გვხვდება ტეხილი ბმაც (ციხის შიდა ტერიტორია 2.5 ჰა-ს აღემატება).

გალავნის გაყოლებაზე გამოვლინდა 6 კოშკი, რომლებიც კედელში გარე მხრი-დან იყო ჩაშენებული. მათგან ხუთი (B, D, F, K, G გეგმაზე) საძირკვლის დონეზეა დანგრეული, ისინი დანარჩენ ორთან შედარებით ზომითაც მცირეა და რაც მთავარია, მასიურია, ყრუ კედლებითა ამოყვანილი, ანუ ბურჯის შთაბეჭდილებას ტოვებს. მათ შორის ინტერვალები 24-28 მეტრამდე მერყეობს. პ. ზაქარაიას მოსაზრებით, აქ საქმე უნდა გვქონდეს ნოქალაქევის კოშკების ანალოგთან, როდესაც ქვედა იარუსები მასიურია, ხოლო ზემოთ ჩვეულებრივი (ზაქარაია 2002: 110, სქოლიონ 3). დანარჩენი ორი კოშკი გალავნის სამხრეთ-დასავლეთ (A) და სამხრეთ-აღმოსავლეთ (C) მონაკვეთებს ამაგრებდა. C კოშკიდან ციხის შიდა ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთისკენ მიემართება კიდევ ერთი გალავნის ხაზი, 1 მეტრის სისქის, რომელიც ციხის ვაკე ნაწილს ორ ნაწილად ყოფდა. ის სულ 40 მეტრის სიგრძეზეა გამოვლენილი და ექსპედიციის წევრთა ვარაუდით, C კოშკის მოპირდაპირე მხარეს დასავლეთ კედელთან უნდა ჰქონოდა ბმა (ჯაფარიძე 1986: 119). კიდევ ერთი, თუმცა უფრო მასიური, 2,03 მ სისქის კედელი გამოვლინდა ციხის შიდა ტერიტორიის ჩრდილო მონაკვეთში, რომელიც, ვ. ჯაფარიძის მოსაზრებით, ციხის ციტადელის სამხრეთ გალავანს წარმოადგენდა და ციხის შიდა ტერიტორიის შემაღლებულ ნაწილს დანარჩენი მონაკვეთებისგან აცალკევებდა და იცავდა.


(ჯაფარიძე 1986: 120-121). ზემოთ განხილულ გალავნებსა და კოშკებს არქეოლოგები IV-V სს.-ით ათარიღებენ. ვარდციხის მეორე გალავანი I ზღუდეს გარე მხრიდან ეკვრის და მის პარალელურად მიემართება (იხ. გეგმა), ის 2 მ სისქისაა და ერთ მონაკვეთში (G და H კოშკებს შორის) 7 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. (სურ. 28).

აღნიშნული კედელი I ზღუდეს სამხრეთ მონაკვეთში უშუალოდ ებჯინება გარედან, ხოლო აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით I და II ზღუდეებს შორის მცირე ინტერვალია დატოვებული. ვ. ჯაფარიძე ამ გალავანს, სხვა პარალელური გალავნების ქრონოლოგიის მოშველიერით (წებელდა, ნოქალაქევი), VI საუკუნით ათარიღებს და მის აშენებას ირან-ბიზანტიის ომების მოსამზადებელ პერიოდს უკავშირებს (ჯაფარიძე 1986: 128), დაახლოებით ამავე თარიღზე მიუთითებს ამ გალავნის ერთ-ერთ მონაკვეთზე გამოვლენილი აგურის სარტყელები (*opus mixtum*) (ჯაფარიძე 1986: 129).

ის, რომ ვარდციხე-როდოპოლისი ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმთავრესი ციხე-ქალაქი იყო კარგად ჩანს როგორც ბიზანტიური წერილობითი წყაროებიდან, ისე თავად ძეგლის მასშტაბებიდან და იქ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების ინტენსივობითაც.

ვ. ჯაფარიძის მოსაზრებით, ვარდციხე IV საუკუნეში მის გარშემო ახლად ჩამოყალიბებული „ეკონომიკური სასოფლო-სამეურნეო რაიონის“ საფუძველზე დაარსდა და სწორედ ამ მხარის ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა (ჯაფარიძე 1986: 132). მისივე მოსაზრებით, IV-VI საუკუნეებში ვარდციხე „სამეფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ოლქის ფორპოსტია, მიმართული, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე სამხრეთიდან მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ. ამდენად ვარდციხე მთელი ქვეყნის ანუ სამეფო ციხეა. საფიქრებელია, რომ იგი კონტროლს უწევდა და აძლიერებდა ეგრისის სამეფოსადმი ხანისწყალის ხეობის და საერთოდ სამხრეთ მთიანეთის დამოკიდებულებას, პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურს“ (ჯაფარიძე 1986: 143). ასევე, მკვლევარი მიიჩნევს, რომ ვარდციხის ნაქალაქარი IV ს.-ის ანონიმი ავტორის „*Tabula Peutingeriana*“-ზე დაფიქსირებული *Ad Fontem Felice-a* (სურ. 29), რომელიც აღნიშნულ რუკაზე არტაშატიდან სებასტოპოლისაკენ მიმართულ გზაზე მდებარეობს (ჯაფარიძე 1986: 140).

უპირველესად უნდა აღნიშნოს, რომ ვარდციხის ნაქალაქარისა და *Ad Fontem Felice-s* ერთმანეთთან გაიგივება მეტად პირობითია. მიუხედავად პეუტინგერის რუკის ძევრი უზუსტობისა, მიგვაჩნია, რომ ეს პუნქტი და სებასტოპოლისი ძალიან ახლოს მდებარეობს ერთმანეთთან. მით უმეტეს, რომ ამ ორ ქალაქს შორის სხვა არც ერთი პუნქტი არ არის აღნიშნული. იქვე ვ. ჯაფარიძეც აღნიშნავს, რომ ეს გზა: „ქუთაისის გავლით, მუხურისი-ონოგურისის გზით ნოქალაქევ-არქეოპოლისისკენ მიემართებოდა, ხოლო აქედან სებასტოპოლისისკენ.“ (ჯაფარიძე 1986: 142). ჩვენი აზრით, ეჭვს არ იწვევს ის მოსაზრება, რომ აღნიშნულ რუკაზე დაფიქსირებული გზა აუცილებლად ეგრისის სამეფოს ცენტრალურ რაიონებზე გაივლიდა, ასევე დამაჯერებლად მიგვაჩნია ვ. ჯაფარიძის მოსაზრება, რომ ეს გზა სამხრეთ საქართველოს პროვინციებიდან (ოძრხე და სხვ.) ზეკარის უღელტეხილით დღევანდელ იმერეთში გადმოდიოდა და მდ. ხანისწყლის ხეობით ეგრისის სამეფოს საზღვრებში შემოდიოდა.




29. *Tabula Peutingeriana-s XI* სეგმენტი – არტაშატის,  
Ad Fontem Felice-ს და სებასტოპოლისის ჩვენებით

აღსანიშნავია, რომ ამ მდინარის ხეობიდან გამოსვლის ადგილას მდებრეობს სოფ. ზემო დიმი და იქ გამოვლენილი ციხე, რომელიც ისტორიულ დიმანსთან არის გაიგივებული და საფიქრებელია, რომ ამ ციხეს აღნიშნული ხეობიდან გამომავალი გზის კონტროლი და დაცვა ევალებოდა.

დიმის შემდეგ ეს გზა მიაღწევდა ვარდციხემდე, ხოლო იქიდან, როგორც უკვე აღინიშნა, უფრო ჩრდილოეთით, სებასტოპოლისისაკენ, მიემართებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ დასავლეთ საქართველოში გამოავლინა სამი ახალი ციხე ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონებში, რაც, ჩვენი აზრით, ცვლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აღნიშნულ გზას ქუთაისის გავლის შემდეგ არქეოპოლისის სიახლოვესაც უნდა გაევლო. ჩვენი აზრით, ვარდციხიდან სებასტოპოლისისაკენ მიმავალი გზა ქუთაისის შემდეგ ახლოს ჩაუვლიდა ნამაშევის სიმაგრეს (დღ. ხონის რაიონის სოფ. გუბი), შემდეგ ხუნწის ციხის სიახლოვეს გადავიდოდა მდ. ცხენისწყალზე, ხოლო იქიდან გაემართებოდა არა მხოლოდ და-სავლეთით, არქეოპოლისისაკენ, არამედ ჩრდილო-დასავლეთითაც, დღევანდელი მარტვილისა და ჩხოროწყუს რაიონებისაკენ, სადაც გარემოზე დაკვირვების შედეგად იკვეთება მეტად ხელსაყრელი მარშრუტი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახვედრად, სოფ. კურზუსა (მარტვილის რ-ნი) და სოფ. ნაფიჩხოვის გავლით (ჩხოროწყუს რ-ნი), რომლებშიც IV-VI სს.-ის ორი ციხეა გამოვლენილი. აქედან დღევანდელი წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონების გავლით შესაძლებელი იქნებოდა მდ. ენგურის იმ მონაკვეთამდე მიღწევა, რომელზეც დღესაც მთავარი მაგისტრალი გადის (თბილისი-სენაკი-ლესელიძე) და სადაც ასევე გამოვლენილია ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის სათანხოს ციხე (ენგურის მარჯვენა

სანაპიროზე); აქედან კი ჩრდილო-დასავლეთით გზა გაგრძელდებოდა სებასტო-პოლისისაკენ (მურღულია 2011: 58-71). ხოლო არქეოპოლისისაკენ მიმავალი გზა, მდინარე ცხენისწყალზე გადასვლის შემდეგ, მიაღწევდა რა ნოქალაქევს, სავარაუდოდ, სამხრეთ-დასავლეთისაკენ გადაუხვევდა, დღევანდელი ნოქალაქევი-სენაკის საავტომობილო გზის პარალელურად (სურ. 30).

ვარდციხის ფუნქციის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა როგორც მისი მდებარეობა, ისე წერილობითი წყაროები და ძეგლზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ციხე-ქალაქი აშენებულია მდინარეების რიონის, ყვირილისა და ხანისწყლის შესართავთან. ხანისწყალზე გადიოდა ეგრისის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრიდან ქვეყნის სიღრმისკენ მიმავალი გზა, რომელიც „*Tabula Peutingeriana*“-ზეც ფიქსირდება. მდ. ყვრილის აუზი, როგორც ცნობილია, სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილის ერთ-ერთი უმთავრესი სატრანზიტო არტერია იყო. მასზეა გაშენებული ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთის სასაზღვრო ციხესიმაგრე შორაპანი, რომელიც ეგრისში ქართლიდან გადმოსასვლელებს იცავდა და აკონტროლებდა. მდ. რიონი კი დასავლეთ საქართველოს უმთავრესი მაგისტრალი იყო, რომელზეც ანტიკური ხანიდან მოყოლებული დასავლეთ და აღმოსავლეთ სამყაროების დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა გადიოდა.



**30. Google Earth სურათი – სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ  
საზღვრიდან სებასტოპოლისამდე გამავალი გზა**

შესაბამისად, გადაჭარბებული არ იქნებდა, თუ ვიტყვით, რომ ვარდციხე-როდოპოლისი სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს გზაჯვარედინზე მდებარეობდა, სადაც თავს იყრიდა სამეფოს სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მომავალი გზები. აქვე საინტერესოა პროკოპი კესარიელის ცნობა იმის შესახებ, რომ

როდოპოლისი „ყველაზე უნინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსულო“ (პროკოპი კესარიელი 1965: 186).

აქედან გამომდინარე, სრულიად გამართლებულია ვარდციხის „სამეფო ციხედ“ მოხსენიება, მით უმეტეს, რომ ამ მოსაზრებას ზემოთ მოყვანილ წერილობით წყაროებში არსებული ეპითეტი „ყველაზე შესანიშნავი ქალაქი“ ამყარებს.

პროკოპი კესარიელის ცნობით, როდოპოლისი „ადვილი მისადგომი იყო და იერიშის მიტანაც სრულიად არ იყო ძნელი. ამიტომ ლაზებმა ის ამას წინათ მინასთან გაასწორეს. რადგან ეშინოდათ სპარსელთა შემოსევისა“ (პროკოპი კესარიელი 1965: 186-187). ჩვენი აზრით, ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ როდოპოლისს სამხედრო-თავდაცვითი დანიშნულება ნაკლებად ჰქონდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქალაქი ვაკე ადგილზე იყო გაშენებული და მასთან მიახლოება დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. ვარდციხის მიღამოებში სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ციხესიმაგრე, ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო დიმის ციხე, რომელიც ხანისწყლის ხეობის პირას იყო აშენებული და ამ ხეობიდან გამომავალ გზას კარგად აკონტროლებდა. ანუ ეგრისის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრიდან შემოსულთ უპირველესად დიმის ციხის გავლა მოუწევდათ და შემდგომ უკვე ვარდციხე-როდოპოლისს მიადგებოდნენ, რომელიც, თავის მხრივ, სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი იყო.

ჩვენი აზრით, ვარდციხე-როდოპოლისი არა მხოლოდ მისი მიმდებარე ტერიტორიების მთავარ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა, არამედ სამეფოს უმთავრესი სავაჭრო პუნქტიც იყო, რომელიც ადმინისტრაციულ-პილიტიკურ კონტროლსაც უწევდა სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებს. როდოპოლისის ასეთ როლს კარგად წარმოაჩენს როგორც ზემოთ მოყვანილი წერილობითი წყაროების ცნობები და მისი უნიკალური მდებარეობა, ისე ძეგლზე გამოვლენილი მასობრივი არქეოლოგიური მონაპოვარი – სუფრის, სამეურნეო, სამზარეულო და სამშენებლო დანიშნულების კერამიკული ნაწარმი, როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტული (ჯაფარიძე 1986: 19-97), კერამიკის გარდა, ნაქალაქარზე აღმოჩენილია რკინისა და მინის ხელოსნური ნაწარმიც – რკინის ყუამილიანი ცული, ისრისპირები, დანები, ლურსმნები და სამკაული. მინის სასმისები, ფიალისებრი და ღოქისებრი ჭურჭელი, სანელსაცხებლეები და ლამპარი (ჯაფარიძე 1986: 97-111). ეს მონაპოვრები, ზოგადად, IV-VI სს.-ით თარიღდება და კარგად წარმოაჩენს ვარდციხე-როდოპოლისის ქალაქობის დროინდელ ყოფით კულტურას. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით კარგად ჩანს, რომ როდოპოლისში დაწინაურებული ყოფილა როგორც ხელოსნობა და მეთუნეობა, ისე ვაჭრობა.

## დიმი


ციხე მდებარეობს ბალდათის რაიონის სოფელ ზემო დიმში, ერთ-ერთ მაღალ გორაზე, იქ, სადაც მდ. საკრაულა მდ. ხანისწყალს ერთვის (GPS კოორდინატები: N42 04.312 E42 50.634. სიმაღლე: 350 მ.).

დღეისათვის ციხის ტერიტორია თითქმის სრულად არის დაფარული მცენარეებით. გალავნები მინის დონეზეა შემორჩენილი და უმეტეს ადგილებში მათი კვალის გარჩევა სრულებით არ ხერხდება.

ლეონტი მროველის თანახმად, „ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“ (ლეონტი მროველი 1955: 24). სოფ. დიმში მდებარე ციხის ნანგრევებს პირველმა გიორგი ცქიტიშვილმა მიაკვლია და ის ლეონტი მროველის დიმნასთან გააიგივა (ცქიტიშვილი 1964: 84-85). შემდეგ ეს მოსაზრება ნ. ბერძენიშვილმაც გაიზიარა, რომელმაც ასევე მოინახულა ძეგლი (ბერძენიშვილი 1975: 468-469). ძეგლზე დაზვერვითი სამუშაოები უწარმოებია ვ. ჯაფარიძესაც. ამ ექსპედიციის დროს ძეგლზე ორი საცდელი თხრილიც გაუჭრიათ (ჯაფარიძე 2006: 92-95).

როგორც უკვე აღინიშნა, ციხე საკმაოდ მაღალ და ძნელად მისასვლელ გორაზეა აშენებული. იქ მოხვედრა მხოლოდ სამხრეთის მხრიდან, საკმაოდ დამრეც ფერდობზე ასვლით არის შესაძლებელი. დანარჩენი სამი მხრიდან ციხის ტერიტორიას ციცაბო კალთები ეკვრის და იქიდან ციხეზე მოხვედრა შეუძლებელია. ვ. ჯაფარიძე ციხის ძირში ხელოვნური თხრილის არსებობაზე მიუთითებს, თუმცა ჩვენ დაზვერვების დროს ამ თხრილს ვერ მივაგენით. ციხის ტერიტორიაზე ყველაზე კარგად იკვეთება მისი სამხრეთ გალავნის ხაზის მცირე მონაკვეთი და ციხის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, მდგარი ოთხკუთხა კოშკის ნაშთი. მისი კედლების სიმაღლე 3 მეტრს აღწევს. ხოლო გალავნების სიმაღლე 1 მეტრს არ სცილდება. სამწუხაროდ, გალავნისა და კოშკის საფასადე წყობა ძირითადად მორღვეულია და შესაბამისად, მისი ხასიათი არ დგინდება. მხოლოდ ერთ ადგილას, ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე შეიმჩნევა ჰორიზონტალურად დალაგებული კიდეებჩამოთლილი მომცრო ზომის კვადრების წყობა კირის დუღაბზე, რომლის თარიღიც მკვლევრების მიერ ზოგადად შუა საუკუნეებით განისაზღვრება (ჯაფარიძე 2006: 92). ციხის სის ტერიტორიაზე საცდელი თხრილების გაჭრის შედეგად გამოვლინდა ელინისტური და გვიანრომაული ხანის კერამიკა, რაც თითქოს ლეონტი მროველის ცნობის დამადასტურებელია. ხოლო თავად კედლების წყობა, თავდაცვითი თხრილი, ციხის მდებარეობა და დანიშნულება, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ დიმის ციხე ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა. ამის დამადასტურებელი არგუმენტი, ჩვენი აზრით, დიმისა და ვარდციხე-როდოპოლისის ურთიერთმიმართებაა. პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ როდოპოლისი „ცველაზე უწინარეს ხედებოდა გზაზე იძერიიდან კოლხიდაში შემოსულთ“ (პროკოპი კესარიელი 1965: 186). სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ აქ იგულისხმება ზეკარის ულელტეხილით ისტორიული ოძრებან და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან დასავლეთ საქართველოში არსებული გადმოსასვლელები, რომლებიც მდ. ხანისნებლისა და მდ. საკრაულის ხეობებზე გადიოდა და, შესაბამისად, დიმის ციხის მთავარი დანიშნულებაც ამ ორ ხეობაზე გადმომავალი გზების კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში მათი დაცვა იყო (მურღულია 2011: 138). სწორედ ამიტომ ციხის ასაშენებლად თავიდანვე ისეთი გორაკი შეარჩიეს, რომელიც ამ ორი მდინარის შესართავთან მდებარეობდა და, შესაბამისად, ორივე მათგანის ხეობის ჩაკეტვა შეეძლო (სურ. 31).

ამავდროულად, ციხიდან კარგად მოჩანს ორივე ხეობიდან გამოსასვლელები, ხოლო ჩრდილოეთით და დასავლეთით საკმაოდ ვრცელ მანძილზე იზვერება დღევანდელი ზესტაფონისა და ბალდათის რაიონები, რაც ციხის გუშაგებს საშუალებას მისცემდა, სრული ვიზუალური კონტროლი დაეწესებინათ როგორც ხეობიდან გამომავალ, ისე ვარდციხიდან მომავალ გზებზე.



### **31. Google Earth სურათი – დიმის ციხის მდებარეობა მდ. საკრაულასა და ხანისწყალთან მიმართებაში**

საფიქრებელია, რომ ეგრისის სამეფოს მესვეურები დიმი-ვარდციხეს შორის ვიზუალური კავშირის არსებობაზეც აუცილებლად იზრუნებდნენ. ვიდრე საკრაულა-ხანისწყლის ხეობებიდან გამოსული მტერი სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ცენტრამდე – ვარდციხემდე მიაღწევდა, მის გუშაგებსა და მცხოვრებლებს აუცილებლად უნდა სცოდნოდათ მოახლოებული საფრთხის შესახებ. მანძილი დიმსა და ვარდციხეს შორის 14 კმ-ს შეადგენს და ძნელი სათქმელია, მოახრეხებდნენ თუ არა დიმის გუშაგები კვამლის და/ან ცეცხლის მეშვეობით ასეთ დიდ მანძილზე სიგნალის გადაცემას. ამ ორ პუნქტს შორის გაშლილი ტერიტორიებია და შესაბამისად, ვიზუალური კავშირისათვის დაბრკოლებაც არ არსებობს, მაგრამ იმავდროულად, გაშლილი სივრცე არ იძლეოდა შუამავალი სასიგნალო-საგუშაგო ციხის აშენების საშუალებას, როგორც ეს, მაგალითად, ნოქალაქევი-სენაკის მონაკვეთზეა ორგანიზებული. საინტერესოა, რომ დიმიდან ვარდციხისკენ მიმავალი სამანქანო გზის პირას, მის მარჯვენა მხარეს, დიმის ციხისგან 4.3 კმ-ში, ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლის გურამ კვეტებაშის ეზოში, გაშლილ ადგილას დგას ოთხუთხა კოშკი (GPS კოორდინატები: N42 06.161 E42 48.710. სიმაღლე: 160 მ.), რომელიც დიდი ზომის უხეშად გათლილი კლდის ფლეთილი ქვებითა და რიყის ქვებითაა ნაგები. ჩანს, რომ კოშკი აშკარად გვიანდელ შუა საუკუნეებშია აშენებული, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეგრისის სამეფოს პერიოდში ამ ადგილას შესაძლოა ყოფილიყო საბაჟო-საგუშაგო პუნქტი, რომელიც ვარდციხე-დიმის გზის შუა მონაკვეთს აკონტროლებდა და იმავდროულად, ამ ორ პუნქტს შორის ვიზუალური კავშირისათვის შუა რგოლსაც წარმოადგენდა.

## ეგრისის სამეცნოს აღმოსავლეთი სექტორის გამაბრეპის ქვესისტება

ეგრისის სამეცნოს აღმოსავლეთი საზღვრები ლიხის ქედზე გადიოდა. ლიხის ქედი ისტორიულად დასავლეთ საქართველოში მდებარე სამეცნოების (კოლხეთი, ეგრისი-ლაზიკა, აფხაზთა სამეცნო, იმერეთის სამეცნო) აღმოსავლეთი საზღვარი იყო. ქედის სიგრძე 100 კმ-ს აღემატება, ხოლო აბსოლუტური სიმაღლე 900 მეტრიდან 2500 მეტრამდეა. შესაბამისად, ლიხის ქედი ყოველთვის ბუნებრივი წინაღობა იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში მოსახვედრად და პირიქით. ქედზე სამი ძირითადი გადასასვლელი არსებობდა, რომელებიც მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ქედის გადასალახად. ესენი იყო:

1. ხაშურიდან – სურამისა და რიკოთის (მდ. ყვირილის ხეობით) გავლით შორაპნამდე.

2. ხაშურიდან – სურამისა და ქვიშხეთის გავლით ჩხერიმელის ხეობაზე, ხარაგაულში და იქიდან შორაპანში.

3. გომიდან – ალის გავლით ჩრდილო-დასავლეთისაკენ და შემდეგ, ჭიათურის გავლით, ერთი გზა მიემართებოდა სკანდაში, ხოლო მეორე – შორაპანში. თავის მხრივ, სკანდიდან ერთი გზა მიემართებოდა ქუთაისისკენ, ხოლო მეორე რაჭისაკენ. სწორედ ამ გზით გადავიდნენ თურქ-სელჩუკები 1068 წელს ქართლიდან დასავლეთ საქართველოში („მატიანე ქართლისა“ 1955: 309), ასევე ალი-ჭიათურის მონაკვეთი გამოიყენა ჯარის დასავლეთ საქართველოში გადასაყვანად თემურლენგმა 1403 წელს (ტაბატაძე 1979: 709-710). როგორც ჩანს, ეს იყო ყველაზე ადვილი და გამოსადევი გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში მოსახვედრად.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამი გადასასვლელიდან არც ერთი არ იძლეოდა დიდი მოცულობის საჯარისო შენართების თავისუფლად გადაადგილების საშუალებას. შესაბამისად, თითზე ჩამოსათვლელია შემთხვევები, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში რომელიმე მხედართმთავარს დიდი ლაშქარი გადაეყვანოს – ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ასეთებად ზემოთ ნახსენებ ორ შემთხვევასთან ერთად შეიძლება მივიჩნიოთ პომპეუსი, სპარსთა სარდლები – მერმეროე და ნახორაგანი, მურვან ყრუ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის, ლაზიკის, ერთიანი საქართველოს მესვეურებს არც ერთი ზემოთ დასახელებული სარდლისთვის წინაღმდევებია არ გაუწევიათ და შესაბამისად, საფიქრებელია, რომ მათ ლიხის ქედზე გადასვლისათვის ბრძოლა არ დასჭირებიათ, ყოველ შემთხვევაში, ისტორიულ წყაროებში ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ისტორიული წყაროების ანალიზი და ლიხის ქედის მიდამოებზე დაკვირვება გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ გამართული სასაზღვრო სისტემის არსებობის პირობებში, ანუ მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს სამეცნოების მესვეურებს ადამიანური და მატერიალური რესურსები ჰქონდათ საზღვრის დასაცავად, ლიხის ქედის გავლით იქ მოხვედრა, ფაქტობრივად, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

ეგრისის სამეცნოსათვის აღმოსავლეთის საზღვრების დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრიდან მას სპარსეთი და ხშირ შემთხვევაში სპარსეთის გავ-

ლენის ქვეშ მყოფი ქართლის სამეფო ესაზღვრებოდა. შესაბამისად, აქედან მოსალოდნელი საფრთხის ალბათობაც დიდი იყო. ისტორიული წყაროების ცნობების მიხედვით აშკარა ხდება, რომ სკანდისა და შორაპნის ციხეები ხან ეგრისის, ხანაც ქართლის ხელში იყო. რაც თავისთავად მიუთითებს ამ ორი ციხის და ზოგადად ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთი თავდაცვითი ხაზის მნიშვნელობაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ აღმოსავლეთის ხაზი მთიან და ძნელად მისადგომ ადგილებზე იყო მოწყობილი, მისი პრძოლით დაუფლება რთული უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, ასეთი რელიეფის გამო, ძნელი ხდებოდა იქ მდებარე ციხეების შენარჩუნებაც. პროკოპი კესარიელის გადმოცემით შორაპნისა და სკანდის მიდამოებში „არ მოდის არც ხორბალი, არც დვინო, არც რამ სხვა სიკეთე“ (პროკოპი კესარიელი 1965: 96). სწორედ ასეთი მკაცრი პირობების გამო ჯერ ლაზებსა და შემდეგ ბიზანტიილებს უბრძოლველად მოუწით ამ ციხეების დათმობა და საბოლოოდ, მათი მინასთან გასწორება. მოგვიანებით ციხეები სპარსელებმა დაიკავეს, სკანდა აღადგინეს და იქ ჯარი ჩაყარენს (პროკოპი კესარიელი 1965: 185-186).

ვ. ჯაფარიძე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მიაჩნია, რომ პროკოპი კესარიელის მიერ სკანდისა და შორაპნის მისადგომების მნირ მიწებად გამოცხადება გადაჭარბებული უნდა იყოს. მისი აზრით, გამომდინარე იქიდან, რომ ამ მიდამოებში ადამიანის ცხოვრების კვალი მუსტიეს ხანიდან ფიქსირდება, შეიძლება ითქვას, რომ იქ ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა (ჭუმბურიძე 2009: 137). ჩვენ არ ვიზიარებთ პატივცემული მკვლევრის აზრს პროკოპი კესარიელის ცნობის უგულებელყოფის შესახებ. ჩვენი აზრით, შესაძლოა, ესა თუ ის რეგიონი გამოსადეგი ყოფილიყო სამოსახლოების არსებობისათვის, მაგრამ სულ სხვა მოცულობისა და ხარისხის მომარაგება სჭირდებოდა ციხის გარნიზონის შენახვას და ისეთ მთიან რეგიონში, როგორშიც სკანდისა და შორაპნის ციხეები მდებარეობს, ეფექტური და სრულფასოვანი მომარაგების განხორციელება ძნელი იქნებოდა, განსაკუთრებით ზამთარში. პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ ლაზები ვერ აუკიდნენ შორი გზიდან პროდუქტის ზიდვას სკანდაში და შორაპნში ჩაყარებული ბიზანტიური გარნიზონებისათვის და საბოლოოდ ეს ორი ციხე სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში.

## შორაპანი

ციხე მდებარეობს ზესტაფონის მუნციპალიტეტის დაბა შორაპანში, მდინარე ების ყვრილისა და ძირულის შესართავთან, ერთ-ერთ მაღალ ბორცვზე (GPS კორდინატები: N42 05.809 E43 04.987. სიმაღლე: 205 მ.).

შორაპანი არაერთ რომაულ და ბიზანტიურ წერილობით წყაროში იხსენიება, როგორც სარაპანისი. ის ისტორიული კოლხეთისა და ეგრისის აღმოსავლეთ მონაკვეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სტრატეგიული პუნქტი იყო. სტრაბონის თანახმად, „ფაზისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე, ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა. (შორაპნიდან) ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე“ (ლორთქიფანიძე 2010: 205). ლეონტი მროველის


მიხედვით, შორაპნისა და დიმნის ციხეები ფარნავაზ მეფეს აუშენებია (ლეონტი მროველი 1955: 24). პროკოპი კესარიელის ცნობით, შორაპანი „ზედ იბერიის საზღვრებთან“ მდებარეობდა და მას ხან ლაზები, ხან ბიზანტიელები და ხანაც სპარსელები ფლობდნენ. გარდა ამისა, პროკოპი იძლევა ცნობას, რომ ლაზებს ის მინასთან გაუსწორებიათ, ხოლო სპარსელებს აღუდგენიათ და იქ თავისი ჯარი ჩაუყენებიათ (პროკოპი კესარიელი 1965: 185-186, 203-204).

აქ მოყვანილი წერილობითი ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ შორაპანი ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრის ერთ-ერთი მთავარი დამცავი პუნქტი იყო სკანდის ციხესთან ერთად, რომელიც ანტიკურ ხანაში იბერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო IV-VI საუკუნეებში ჯერ ლაზების, შემდეგ კი ბიზანტიელებისა და სპარსელების ხელში იყო. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ შორაპნის ციხის სიახლოვეს გადიოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა, რომელიც აკონტროლებდა რიონ-ყვირილის აუზიდან მტკვრის აუზზე გარდამავალ სახმელეთო და სამდინარო გზას.

არქეოლოგიურად შორაპნის ციხის შესწავლა 1949 წელს დაიწყო სიმონ ყაუხ-ჩიშვილის ხელმძღვანელობით. კვლევებში მონაწილეობდნენ ი. ციციშვილი, გ. ცქიტიშვილი და ნ. ლომოური. 1985 წლიდან კი ძეგლს იკვლევდა საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრი ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით (ცქიტიშვილი 1964; ჯაფარიძე 1990). არქეოლოგიური კვლევა-ძიება შორაპნის ციხეზე განხელდა 2018 წელს ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა ელინისტური და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური და სამშენებლო ფენები, რომლებმაც წერილობით წყაროებში მოცემული ინფორმაცია დაადასტურეს. გარდა ამისა, არქეოლოგიური მონაცემებით, შორაპნის ციხეზე ცხოვრება განვითარებულ და გვიანდელ შუა საუკუნეებშიც გაგრძელებულა (ჯაფარიძე 2006: 20).

ადრეული შუა საუკუნეების ციხეს გეგმაში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული წაგრძელებული ფორმა აქვს (სურ. 32). მისი სამხრეთი ნახევარი ორი ერთმანეთის პარალელური სწორხაზოვანი გალავნითაა შემოსაზღვრული, რომლებიც შემდგომ ჩრდილოეთისკენ მომრგვალებულად გრძელდება, მთის რელიეფს მიუყვება და შედეგად ციხის ჩრდილოეთი მონაკვეთი თითქმის ორჯერ განიერია სამხრეთისაზე. გალავნებით შემოსაზღვრული სიმაგრის ფართობი 6650 მ<sup>2</sup>-ია. ციხის ეზო დამრეც ფერდობზეა მოწყობილი და ამიტომ ის სამ ტერასად არის დაყოფილი. ყველაზე ზედა ჩრდილოეთი ტერასაა, რომელიც ციხის ციტადელს წარმოადგენდა. ის კლდოვან შემაღლებაზეა აგებული.

ციხის ამ ნაწილში, ციტადელის ჩრდილოეთ კედელთან, გაურკვეველი დანიშნულების 5 ნაგებობაა გამოვლენილი, აქვე აღმოჩნდა დიდი ცისტერნა, რომელიც ჰიდრაულიკური ხსნარით იყო შელესილი. ციტადელი დანარჩენი ციხისგან დამატებითი კედლით იყო გამოყოფილი. ციტადელის ქვემოთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, აღმოსავლეთ გალავანს ეზოს მხრიდან შვერილები აქვს (ზომები 1.1 მ X 1.0 მ), რომლებიც საბრძოლო ბილიკების გასამართად იქნებოდა გამოყენებული (სურ. 33).



32. შორაპნის ციხის გენ-გეგმა

ციხის ცენტრალურ ნაწილში, დასავლეთ და აღმოსავლეთ გალავნებში, ერთ-მანეთის გასწვრივ, ორი კოშკი იყო ჩაშენებული. კიდევ ერთი კოშკი ამაგრებდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთს, რომელიც მისადავომად ყველაზე ად-ვილი იქნებოდა და შესაბამისად, მეტი გამაგრება ესაჭიროებოდა. აღმოსავლე-თის გალავანში ჩაშენებულ კოშკში გამოვლენილია შერეული წყობა, აგურისა და თლილი ქვის მონაცვლეობით — ე. ნ. opus mixtum-ი, რომელიც V-VI საუკუნეებით თარიღდება (ყაუხჩიშვილი 1936: 304-307; ლეკვინაძე 1961: 146). ციხესიმაგრის წყლით მომარაგება 60-მეტრიანი გვირაბის მეშვეობით ხდებოდა, რომელიც და-სავლეთი გალავნის სამხრეთი მონაკვეთიდან ემვებოდა ჩრდილო-დასავლეთისა-კენ და ქვემოთ, მდინარესთან ბოლოვდებოდა კოშკით. აღნიშნული გვირაბი რთულ საინჟინრო ნაგებობას წარმოადგენდა, რომელიც V-VI სს.-ში უნდა იყოს აგებული (ლეკვინაძე 1961: 146).

შორაპნის ციხის დანიშნულება კარგად ჩანს როგორც წერილობითი წყაროები-დან, ისე მისი მდებარეობიდან. როგორც უკვე აღინიშნა, ციხე ხან ეგრისელების, ხანაც ბიზანტიულებისა და სპარსელების ხელთაა, უფრო წინარე პერიოდში კი მას-ზე კონტროლს ქართლი აწესებს, ხოლო ლეონტი მროველის თანახმად, ის საერ-თოდაც ფარნავაზ მეფის აშენებულია. როგორც ჩანს, შორაპნის ციხის გასწვრივ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ყველაზე მნიშვნე-ლოვანი გზა გადიოდა, რომელიც დღემდე მოქმედია. შესაბამისად, ამ გზის კონ-ტროლი და დაცვა სწორედ შორაპნის ციხის მეშვეობით ხდებოდა და იქ გარნიზო-ნის ჩაყენება თანაბრად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო როგორც კოლხებისა და ლაზებისთვის, ისე ქართლის მეფე-მთავრებისთვისაც.



**33. შორაპნის ციხის აღმოსავლეთ გალავნებზე მიშენებული პილონები  
ხედი დასავლეთიდან**

შორაპნის ციხის აშენება მდინარეების ყვირილისა და ძირულის შესართავთან მის მეპატრონეებს საშუალებას აძლევდა, ერთდროულად ორი გზა გაეკონტრო-ლებინათ, ერთი, რომელიც მდინარე ძირულის გასწვრივ მიემართებოდა, სავარა-უდოდ, ემთხვეოდა დღევანდელ გზას სურამიდან შორაპნამდე. ხოლო მეორე გზა მდინარე ყვირილის ხეობაზე გადმოდიოდა ჩრდილოეთის მხრიდან. ერთი მხრივ, ამ გზით გადასვლა შესაძლებელი იყო რაჭაში, ხოლო მეორე მხრივ, თუ შორაპნიდან ყვირილის ხეობას ჩრდილოეთისკენ აუყვებოდით, ჭიათურასთან შესაძლებელი იქნებოდა ე. წ. „ქართლის შარასთან“ დაკავშირება, რომელიც, ნ. ბერძენიშვილის აზრით, სკანდის ციხიდან აღმოსავლეთით მიემართებოდა მუჯირეთის, თავასის, ბილის, ქვაციხის, საკურნისა და ნავარძეთის გავლით (ბერძენიშვილი 1964: 17). ჭი-ათურიდან ეს გზა გაემართებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და დღევანდელი


ჭიათურა-საჩხერის რაიონებში გაივლიდა შუქრუთი-წასრი-უსახელო-ზედა ბერე-თისა-შომახეთი-კორბოული-ხვანის მონაკვეთს, რის შემდეგაც გადავიდოდა აღმო-სავლეთ საქართველოში, დღევანდელ ხაშურის რაიონში და მცხეთის ჯვრის, ალის, ნაბახტევისა და ვაყის გავლით მოხვდებოდა ბარში, სოფ. გომში.

## სპანდა

ციხე მდებარეობს თერჯოლის რაიონში, სოფელ სკანდის ჩრდილოეთ ნაწილში, მაღალ, 120 მეტრის სიმაღლის გორაზე (GPS კოორდინატები: N42 16.109 E43 02.790. სიმაღლე: 492 მ.).

სკანდის ციხე, შორაპანთან ერთად, იქტერიიდან ეგრისში გადმოსასვლელ უმნიშვნელოვანეს გზებს აკონტროლებდა და იცავდა. პროკოპი კესარიელი წერს: „ლაზ-თა ორი ციხეა ზედ იქტერიის საზღვრებთან, სკანდა და სარაპანისი: ისინი მდებარეობენ მკაცრსა და ძნელსავალ ადგილებში და ძნელად თუ მიუდევბა იმათ კაცი. ეს ციხეები ლაზებს აუგიათ გაჭირვებით... იუსტინიანე მეფემ ამ ომის დასაწყისში გააძევა ლაზები აქედან და რომაელ ჯარისკაცთა რაზმი ჩააყენა, მაგრამ ესენი იძულებული იყვნენ სურსათის ნაკლებობის გამო ეს ციხეები დაეტოვებინათ... ამიტომ ეს ციხეები სპარსელებმა აიღეს და ჰქონდათ, ხოლო ზავის დადებისას რომაელებმა ისინი დაიბრუნება... ლაზებმა თავის მხრით, ეს ციხეები მინასთან გაასწორეს, რათა სპარსელებს ისინი მათ წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ საყრდენ სიმაგრეებად. ერთი მათვანი, რომელსაც სკანდას უწოდებენ, სპარსელებმა კვლავ აღადგინეს, და იქ ჩადგნენ.“ (პროკოპი კესარიელი 1965: 185-186).

სკანდის ციხის ლოკალიზაცია სიმონ ყაუხეჩიშვილმა მოახდინა. მან 1932 წელს ნიკო ბერძენიშვილთან ერთად მოინახულა ძეგლი (ბერძენიშვილი 1964: 11-18). მასვე შეუდგენია ციხის პირველი სქემატური გეგმა (ყაუხეჩიშვილი 1936: ტაბ. IV).



34. სკანდის ციხის გეგმა

ციხის გალავანი (სისქე 1.65 მ.) გორაკის კონტურს წრიულად შემოუყვება და მის ფორმას იმეორებს (სურ. 34). ციხის შიდა ტერიტორია ორ ტერასად არის განყობილი, მათგან ჩრდილოეთის, სავარაუდოდ, ციტადელ იყო. მის ჩრდილოეთ დაბოლოებას ერთი კოშკი ამაგრებდა. კოშკს 2.5 მეტრის სისქის კედლები აქვს. ციტადელის სამხრეთ მონაკვეთზე მდებარეობს სასახლისა და მცირე დარბაზული ეკლესის ნაშთები. სასახლე ნაგებია შერეული წყობით (რიყისა და კლდის ფლეთილ ქვის გამოყენებით) და ის გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება, ხოლო ეკლესია უფრო ადრეული უნდა იყოს, სავარაუდოდ, X-XII სს.-ის. ამის თქმის საფუძველს იქ აღმოჩენილი ორნამენტირებული ქვის ფრაგმენტები იძლევა. ეკლესია მოპირკეთებული ყოფილა კარგად გათლილი კირქვის ფილებით, იატაკი კი ბრტყელი აგურის იყო. დარბაზი და საკურთხეველი ერთმანეთისაგან კანკელით იყო გამოყოფილი. ციტადელს, ისევე როგორც ციხის ქვედა ტერასაზე მოწყობილ სივრცეს, გეგმაში წრიული მოხაზულობა აქვს. ციტადელის ეზოს მაქსიმალური სიგრძეებია: 30 მ (დას.-აღმ.) X 33 მ (სამხ.-ჩრდ.), ხოლო ქვედა ტერასის მაქსიმალური ზომები: 54 მ X 54 მ.

ციხის ჩრდილო გალავნიდან დასავლეთისკენ ფერდობზე ეშვება 60 მეტრის სიგრძის ხელოვნური გვირაბი, რომელზეც ს. ყაუხჩიშვილი opus mixtum-ის არსებობას ვარაუდობდა და შესაბამისად, ამ გვირაბს გალავანთან ერთად ადრეული შუა საუკუნეებით ათარიღებდა (ყაუხჩიშვილი 1936: 307-308). ბიზანტიური პერიოდით ათარიღებს ციხის გალავნების წყობას ვ. ლექვინაძეც (ლეკვინაძე 1961: 147).

სკანდის ციხეს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ციცაბო კალთები ეკვრის გარს. ციხე შედარებით ადვილი მისადგომი სამხრეთიდან იქნებოდა, თუმცა ამ მხარესაც საკმაოდ დამრეცი ფერდობია და მტერს დიდი ძალებით იერიშის მიტანა გაუჭირდებოდა.

ციხიდან ვრცელი ტერიტორიები იზვერება სამხრეთით და აღმოსავლეთით, კარგად მოჩანს დღევანდელი თერჯოლისა და საჩხერის მთიანი და მთისწინა მხარეები.

სკანდის ციხის ფუნქცია კარგად იკვეთება ბიზანტიური წერილობითი წყაროებითაც და მისი მდებარეობითაც. სკანდა შორაპანთან ერთად ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთი სასაზღვრო ციხეა, რომელიც ქართლიდან გადმოსასვლელებს აკონტროლებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ციხის გასწვრივ გადიოდა ე. წ. „ქართლის შარა“, რომელიც ანტიკური ხანიდან მოყოლებული გვიანდელ შუა საუკუნეებამდე გამოიყენებოდა.

## მცენრისციხე

სკანდა-შორაპნის თავდაცვით ხაზზე, ამ ორი სიმაგრის გარდა, გამოვლენილია კიდევ ერთი ციხე სოფ. მწყერისციხეში. ამ ძეგლზე ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარებული არ არის. სამწუხაროდ, ის არც ძველ წერილობით წყაროებში მოიხსენიება და მისი იდენტიფიკაცია რომელიმე ისტორიულ ციხესიმაგრესთან რთულია.

სოფ. მწყერისციხე ზესტაფონის რაიონში, ზესტაფონსა და შორაპანს შორის ერთ-ერთ მაღალ მთაზე მდებარეობს. ამ სოფლის ჩრდილოეთ დაბოლოებაზე, წაგ-

რძელებული მთის თხემის ბოლოში დგას ციხე (GPS კოორდინატები: N42 03.672 E43 06.155. სიმაღლე: 328 მ.). ვ. ჯაფარიძის აზრით, მწყერისციხის „ზღუდის წყობა ზოგადად ადრეფეოდალური ხანის მიწურულითაც შეიძლება განისაზღვროს, ცხადია, ერთგვარი პირობით“. ციხის ტერიტორიაზე მცირე არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით ანტიკური ხანის მასალებიც იქნა გამოვლენილი. ჩვენ ძეგლის მონახულებისას ადრეული შუა საუკუნეების სამშენებლო წყობა (კლდის ფლეთილი უხეშად ან კარგად გათლილი ოთხეუთხა ქვის რიგები კირის დუღაბზე) ციხეზე ვერ აღმოვაჩინეთ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ციხე დაფარულია მცენარეებით, ჯაგნარითა და მცირე ხეებით, რაც კედლების დათვალიერებას ართულებს. შესაძლოა, გალავნების რომელიმე მონაკვეთზე კიდეც აღმოჩნდეს ამ პერიოდის სამშენებლო ფენები ან თუნდაც არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდეს ადრეული შუა საუკუნეების კულტურული ფენები.

ციხემდე მისვლა მხოლოდ სამხრეთის მხრიდან შეიძლება. თავისი მდებარეობითაც ის თითქოს არ ეთანხმება ეგრისის სამეფოს ციხეების განლაგების პრინციპებს. აյ თითქოს საქმე უნდა გვკონდეს ადგილობრივი დიდებულის რეზიდენციასთან, რომელიც თავის გარშემო საქმაოდ ვრცელ ტერიტორიებს ზვერავდა და ადგილობრივი მოსახლეობისგან მოშორებით, შემაღლებულ ადგილზე ცხოვრობდა. თუმცა მწყერისციხის სკანდა-შორაპნის ხაზის გასწვრივ მდებარეობა და მისი ვიზუალური კავშირი შორაპანთან გვაძლევს უფლებას, ვიფიქროთ, რომ ის ამ ციხეებთან ერთად ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ თავდაცვით ხაზს ქმნიდა. თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრება და დაბეჭითებით რამის მტკიცება ციხეზე უფრო ინტენსიური კვლევა-ძიების ჩატარებამდე შეუძლებელია.


## მოხირისის „ეპიცის“ გამაგრების ქვესისტემა

ბიზანტიურ წერილობით წყაროებში არაერთგზის მოიხსენიება ქალაქი და მხარე – მოხირისი/მუხრისი (პროკოპი კესარიელი 1965: 101, 119, 194, 197, 202, 205, 208; აგათია სქელასტიკოსი 1936: 30, 41, 54, 55, 56, 83, 123, 157). პროკოპი კესარიელი ასე ახასიათებს მოხირისის: „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზე არქეოლოგის დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზე ის საუკეთესო მხარეს ნარმოადგენს: დვინოც კარგი მოდის, და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ. ამ მხარეს ჩამოვდის ერთი მდინარე, სახელად რეონი; მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე... მას ლაზები ქუთათისს ეძახიან“ (პროკოპი კესარიელი 1965: 194-195).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოხირისი მდინარეებს რიონსა და ცხენისწყალს შორის მდებარე გავაკებულ ადგილებზე მდებარეობდა. მოხირისი ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ რაიონს ნარმოადგენდა და მოგვიანებით ქუთაისის ე. ნ. „სამოქალაქოს“ ფარგლებში ექცეოდა (ყაუხეჩიშვილი 1965: 209; ჯანაშია 1952: 320; ბერძენიშვილი 1975: 493; ჯაფარიძე 2006: 114-119). ჩვენ ნაწილობრივ ვეთანხმებით ამ აზრს – მოხირისის ქვეყანა აერთიანებდა თანამედროვე ქუთაისის, ბალდათის, ვანის, სამტრედიისა და ხონის რაიონების ვაკე და ნაყოფიერ ნაწილებს.

ს. ჯანაშიას მოსაზრებით, მოხირისში შედიოდა აპაშისა და მარტვილის ვაკე ნაწილებიც, თუმცა, ჩვენი აზრით, ისინი უფრო ნოქალაქევის „ქვეყნის“ საზღვრებში ექცეოდა, ხოლო მოხირისის დასავლეთი საზღვარი მდ. ცხენისწყალზე გადიოდა.

საფორტიფიკაციო თვალსაზრისით მოხირისის მხარე ყველაზე რთულად დასაცავი რეგიონი იყო ეგრისის სამეფოში. ეს იყო ვაკე ადგილებზე გაშლილი მხარე, სადაც მთიანი რელიეფის არქონის გამო მძლავრი თავდაცვითი სისტემის შექმნა რთული იქნებოდა. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ლაზები და ბიზანტიელები სპარსელებს უბრძოლველად უთმობენ ქვეყნის ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებულ და მნიშვნელოვან რეგიონს და ცხენისწყლის დასავლეთით ამაგრებენ პოზიციებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოხირისის თავდაცვის ორგანიზება გამართული გამავრების სისტემით და საკმარისი მატერიალური თუ ადამიანური რესურსების არსებობის შემთხვევაში შეუძლებელი ნამდვილად არ იყო. ვიდრე სპარსელები მოხირისის მხარეს (ქუთაისის, ვარდციხეს, ქალაქ მოხირის) დაიკავებდნენ, მათ უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში სკანდა და შორაპანი. ასევე დანგრეული იყო ვარდციხე და შესაბამისად მორღვეული იყო მდ. ხანისწყლის ხაზზე არსებული თავდაცვითი სისტემაც. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოხირისის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მისასვლელები თავისუფალი იყო, თავად ამ მხარის ციხე-ქალაქების დაცვა გართულდებოდა. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ თუ ლაზები და ბიზანტიელები საგანგებოდ დაიცავდნენ ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ (სკანდა, შორაპანი) და სამხრეთ-აღმოსავლეთ (დიმი, ვარდციხე) სასაზღვრო თავდაცვით ხაზებს, მაშინ მოხირისის მხარეს საფრთხე არ დაემუქრებოდა და არც ქუთაისისა და დანარჩენი ციხეების დატოვება და დანგრევა გახდებოდა საჭირო (სურ. 35).



35. Google Earth სურათი – „მოხირისის“ მხარის თავდაცვის სისტემა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართებულად არ მიგვაჩნია იმის წარმოჩენა, რომ ლაზებმა მოხირისის მხარე უომრად მხოლოდ იმიტომ დატოვეს, რომ მათ მთავარ სტრატეგიულ ინტერესს ცხენისწყლის დასავლეთი მხარის – ნოქალაქევის „ქვეყნის“ დაცვა წარმოადგენდა. უბრალოდ აქ საქმე გვაქვს კონკრეტულ ფაქტთან – ბიზანტიული სამხედროების უზიათობითა თუ ობიექტური მიზეზებით (პროდუქტით უზრუნველყოფის შეფერხება), ჯერ ლაზებსა და შემდეგ ბიზანტიულებს სკანდისა და შორაპნის ციხეების დატოვება მოუწიათ და შესაბამისად, სპარსელებისათვის ამ ციხეებში ჩადგომის შემდეგ მოხირისის მხარის დაპატრონება ძნელი აღარ იქნებოდა. ხოლო ლაზები და ბიზანტიულები შეემნილი ვითარების ადეკვატურად მოიქცნენ და ცხენისწყლის დასავლეთით არსებული ციხესიმაგრების გამაგრებაზე გააკეთეს აქცენტი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოხირისის მხარე, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ვაკე ადგილას იყო გაშენებული, მაინც საკმაოდ კარგად გამაგრებული უნდა ყოფილიყო. ისევ ვიმეორებთ, გამართული სამხედრო სისტემის პირობებში (ციხეებში საკმარისი რაოდენობის გარნიზონების ყოფნა, დროული და ხარისხიანი მომარაგება) მოხირისის აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები სათანდოდ იქნებოდა დაცული სკანდის, შორაპნის, დიმის, მთისძირისა და ციხესულორის სიმაგრეებით. ასე რომ, სამეფოს მოსაზღვრე რეგიონებიდან იქ მოხვედრა ძალიან რთული იქნებოდა ნებისმიერი მონინააღმდეგისათვის, განსაკუთრებით დიდი სამხედრო დანაყოფებისთვის, რომლებსაც ვიწრო ხეობებისა და იქ მდგარი სიმაგრეების წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევდათ. ამასთანავე, საკმაოდ მძლავრ საფორტიფიკაციო ნაგებობებს წარმოადგენდნენ თავად მოხირისის ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრებიც: ქუთაისი და ვარდციხე. იგივე შეიძლება ითქვას ნამაშევის ციხეზეც, რომელიც ადვილად მისადგომია, თუმცა ისიც გალავნით იყო გარშემორტყმული და მისი აღება მონინააღმდეგისაგან მნიშვნელოვანი მსხვერპლისა და ხარჯების განვეპას მოითხოვდა.

მოხირისის მხარის ჩრდილოეთი საზღვრის დაცვას, პროკოპი კესარიელის თანახმად, უზრუნველყოფდა უქიმეროონის ციხე. სპარსელებმა მისი ხელში ჩაგდებით კონტროლი „სკვიმნიაზე და სვანიაზეც“ დააწესეს (პროკოპი კესარიელი 1965: 202). ო. ლანჩავას მოსაზრებით, უქიმეროონის ციხე მონამეთის სამონასტრო კომპლექსის ადგილას მდებარეობდა (ლანჩავა... 2009: 9). ჩვენ არ ვიზიარებთ უქიმეროონისა და მონამეთის იგივეობის თეორიას, თუმცა ფაქტია, რომ უქიმეროონი მოხირისის მხარის ჩრდილოეთი საზღვრის მთავარი დამცავი პუნქტი იყო. კიდევ ერთი ასეთი პუნქტი უნდა ყოფილიყო ხონის რაიონის სოფ. დიდლვაბუნაში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში გამოვლენილი ციხე, რომელიც ჩრდილოეთიდან (სვანეთი-დან) ცხენისწყლის ხეობით გამომავალი გზის ჩასაკეტად და საკონტროლებლად აშენდა. ამ ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გაგრძელებაზე ნ. ბერძენიშვილი ახსენებს კიდევ ორ ციხეს – მათხოჯვას (ხონის რ-ნი) და ხომულს (წყალტუბოს რ-ნი), რომელიც, მისი აზრით, ადრეული ბიზანტიური ხანის ძევლებია და მოხირისის მხარის სიმაგრეებს წარმოადგენდა (ბერძენიშვილი 1975: 454, 460-461). ამგვარ ქრონოლოგიას არ ეთავმება ვ. ჯაფარიძე, რომელიც აღნიშვნავს, რომ იქ წარმოებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად შესაბამისი პერიოდის ფენები არ გამოვლენილა (ჯაფარიძე 2006: 125).

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის 6. ბერძენიშვილი კიდევ ერთი სტრატეგიული პუნქტის შესახებ მოხირისის ქვეყანაში – დაზვერვების დროს მისთვის უჩვენებიათ ორი ხელოვნური თხრილითა და მიწაყრილით გარშემორტყმული „გორიკა“, აბსოლუტური წრე (დიამეტრი – 90 მ.) (ბერძენიშვილი, 1975: 448-449). მკვლევარს ადგილის დათვალიერებისას შეუმჩნევია შესასვლელი კარი. მისი აზრით, ეს უნდა იყოს საველე ბანაკი, რომელიც შესაძლოა სპარსელების მოხირისში გამაგრებისას შეიქმნა (ბერძენიშვილი, 1975: 449).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ მოხირისის მხარის თავდაცვითი სისტემა ძირითადად მისი საზღვრების გამაგრებაზე იყო დაფუძნებული. მის შუაგულში მდებარე პუნქტები (ქუთაისი, ვარდციხე, ნამაშევი) ასევე კარგად გამაგრებული ციხე-ქალაქები იყო, რომელებიც მშვიდობიანობის დროს დიდწილად განსაზღვრავდა ეგრისის სამეფოს ეკონომიკურ სტაბილურობას და შესაბამისად, ისინი დაცული იყო როგორც მცირე მასშტაბის მარბიელი რაზმების, ისე მძარცველების თავდასხმებისაგან.

## ძუთაისი

ქალაქ ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ ბორცვზე, არქიელის გორაზე მდებარეობს ძველი ციხე-ქალაქის ნაშთები (GPS კოორდინატები: N 42.277309, E 42.704812. სიმაღლე: 492 მ.).


არქეოლოგიური გათხრების შედეგად გორაზე ჩვენთვის საინტერესო პერიოდის რამდენიმე სამშენებლო ფენა გამოვლინდა (ლანჩავა 2007: 109–112, 124–126) – IV საუკუნის დასაწყისში გორაზე შენდება შიდა ციხე, რომელსაც არათანაბარი ექვს-გვერდა გეგმა ჰქონია, საერთო ფართობით – 0.6 ჰექტარი. შიდა ციხეს სამი მხრიდან ციცაბო ფერდობები ესაზღვრება და კარგად არის დაცული, ხოლო დასავლეთი მხარე, საიდანაც მცირე დაქანების ფერდობია და ციხესთან მიახლოება შეიძლება, ორმაგი გალავნით საგანგებოდ გაუმაგრებიათ და შესასვლელი ჭიშკარიც აქ გაუჭრიათ. ჭიშკარს ორი ოთხეუთხა კოშკი იცავდა. კიდევ ერთი „ცოტა კარი“, შიდა ციხის აღმოსავლეთ გალავანში ჩაურთავთ, მდინარესთან – წყლის ამოსატანად და მოალყებზე სწრაფი იერიშის მისატანად. შიდა ციხის გალავნები ნაგები ყოფილა ფლეთილი ქირქვით, კირის დუღაბზე. კედლის სისქე 140 სმ-ს აღწევს.

მეორე პერიოდის მშენებლობა IV საუკუნის შუა ნალებში იწყება, როდესაც შენდება შიდა ქალაქი, ის შიდა ციხის ჩრდილო-დასავლეთით ვრცელდება და საერთო ფართობით 4 ჰექტარია, რომელსაც 1200 მეტრის სიგრძის გალავანი შემოსაზღვრავს. შიდა ქალაქის გალავნები ნაგებია კირქვით კირის დუღაბზე. რიგები ზოგადად დაცულია. კედლის სისქე 1 მეტრია. შიდა ქალაქის გალავნებს შიგნითა მხრიდან შემოუყვება შვერილები, რომელებიც საბრძოლო ბილიკების მოსაზომბად გამოიყენებოდა – ასეთი გადაწყვეტა გვხვდება იმავე პერიოდის გალავნებზე ნოქალაქევში, ციხისძირში (ზაქარაია 1987: 182), შორაპანში (ჯაფარიძე 2006: ტაბ. III) და რუსთავში (მელითაური 1979: 24–31, სურ. 1, 2, 3).

V საუკუნეში ქუთაისის ციხე-ქალაქი კიდევ უფრო იზრდება – შენდება „დიდი ციტადელი“, ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი გალავნებით შემოისაზღვრება. მეც-

ნიერების აზრით, ქალაქის კედლები მდ. რიონის მარცხენა ნაპირზეც გადადიოდა. გალავნების საერთო სიგრძე ამ დროისათვის 2 კილომეტრს აღწევდა, ფართობი კი – 12 ჰექტარს (ლანჩავა 2007: 124). შედეგად ქუთაისი სამ ნაწილად დაიყო – შიდა ციხე, შიდა ქალაქი და ქვედა ქალაქი (სურ. 36).

VI საუკუნეში, მას შემდეგ, რაც, დაახლოებით V საუკუნის მეორე ნახევარში, სავარაუდოდ, ბიზანტიელთა დამსჯელი ლაშქრობის შედეგად ქალაქი დაინგრა, ხდება ციხის განახლება, განსაკუთრებით ყურადღება ექცევა შიდა ციხეს. ამ დროისათვის კედლების ამოსაყვანად უკვე დიდი ზომის კვადრები გამოიყენება.



36. ქუთაისის ციხე-ქალაქის გეგმა

IV-VI საუკუნეებში ქუთაისის საფორტიფიკაციო სისტემის განვითარების პარალელურად შენდება საერო და საკულტო დანიშნულების ნაგებობებიც. გამოკვლევებით ეს ნაგებობები ასე თარიღდება:

IV საუკუნე – დიდი ბაზილიკა, შიდა ქალაქის ცენტრალურ მონაკვეთში (15 მ X 30 მ) და „სამეფო სასახლე“ (ციხე-დარბაზი), შიდა ქალაქის ჩრდილოეთ დაბოლოებაზე (20 მ X 35 მ), რომელიც ორსართულიანი უნდა ყოფილიყო და შედგებოდა დიდი და მცირე დარბაზისაგან, აგრეთვე მისაღებისა და გარე სათავსებისგან.

V-VI საუკუნეები – შიდა ციხის ბაზილიკა (V-VI ს-ის მიჯნა), ზომები – 8.10 მ X 12.5 მ. შიდა ქალაქის შევერილაფიდიანი სამნავიანი ეკლესია და მის გვერდით გამოვლენილი აბანო (ფართობი – 145 მ<sup>2</sup>). ორივე ეს ნაგებობა VI ს-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნება (ლანჩავა 2007: 112-114, 126-130).

ქუთაისის პირველი იდენტიფიკაცია დიუბუა დე მონპერეს ეკუთვნის, რომელმაც ის VI ს-ის ბიზანტიურ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ უქიმერიონთან გააიგივა. მოგვიანებით იგივე მოსაზრება გამოთქვეს დიმიტრი ბაქრაძემ, ივანე ჯავახიშვილმა და სხვებმა. ამის საპირისპიროდ უქიმერიონს ქუთაისის გარეთ მოიაზრებდნენ მარი ბროსე, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები. უქიმერიონის ლოკალიზაციის საკითხზე მსჯელობისას ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ომარ ლანჩავა შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „უქიმერიონი – არქეოლის გორაზე არაა. ეს კარგად დაადასტურა ქუთაისის 25 წლიან-მა არქეოლოგიური კვლევის შედეგებმა“ (ლანჩავა... 2009: 11). ჩვენ სრულიად ვე-თანხმებით ო. ლანჩავას ამ მოსაზრებას. არქეოლოგიური გათხრების შედეგებთან ერთად მნიშვნელოვანია წერილობითი წყაროების ცნობებიც, სადაც არაერთგზის აღინიშნება, რომ ქუთაისი და უქიმერიონი სხვადასხვა ადგილას მდებარეობს. მაგ., პროკოპი კესარიელი აღნიშნავს: „ქუთათისის მახლობლად კი არის ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქიმერიონი“ (პროკოპი კესარიელი 1965: 196), „მერმეროებ ხის კედელი ააგო კოტაიაში და... უქიმერიონშიც დასტოვა საჟმაო ხალხი“ (პროკოპი კესარიელი 1965: 203). მოცემული ამონარიდებიდან კარგად ჩანს, რომ უქიმერიონი და ქუთაისი სხვადასხვა ადგილას მდებარეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ო. ლანჩავა ქუთაისის ციხეს წერილობით წყაროებში მოცემულ მოხირისთან აიგივებს (ლანჩავა... 2009), თუმცა ეს მოსაზრება მცირე წინააღმდეგობაში მოდის აგათია სქოლასტიკოსის ცნობებთან, რომელიც ბიზანტია-ირანის საპრძოლო ქმედებების აღწერისას არაერთხელ ახსენებს მოხირისას და ქუთაისს, როგორც ორ სხვადასხვა პუნქტს. ჩვენ უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია ვ. ჯაფარიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლოა მოხირისი ხონის რაიონში გამოვლენილი ნამაშევის ნაქალაქარი იყოს (ჯაფარიძე 2006: 125, 135–136). (მოხირისისა და ნამაშევის იდენტიფიკაციის შესახებ იხილეთ ქვემოთ).

ქუთაისის ციხე-ქალაქი ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმთავრესი სავაჭრო-სამხედრო ცენტრი იყო. ამაზე მეტყველებს არაერთი ბიზანტიური საისტორიო ცნობა ქუთაისის შესახებ, სადაც ავტორები ამ ციხე-ქალაქს სპარსელთათვის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ პუნქტად მოიხსენიებენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ ძ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან ეს ტერიტორია ინტენსიურად იყო დასახლებული და ეგრისის სამეფოს გაქრობის შემდეგ მისი როლი კიდევ უფრო გაიზარდა – ის ჯერ აფხაზეთის სამეფოს, შემდეგ გაერთიანებული

საქართველოსი, ხოლო საქართველოს დაშლის შემდეგ იმერეთის სამეფოს დედაქალაქი გახდა. ქუთაისი დღემდე რჩება საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრად.

ქუთაისის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ამ პუნქტის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, მისი მდებარეობიდან გამომდინარეობს. ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბებასთან ერთად ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ ცენტრად ნოქალაქევი-არქეოპოლისი იქცა, რომელიც გეოგრაფიულად ახალი სამეფოს ცენტრალურ რეგიონში დაარსდა და შესაბამისად, თანაბრად აკონტროლებდა ქვეყნის პროვინციებს. ქვეყნის შიგნით სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს სავაჭრო ცენტრს ვარდციხე-როდოპოლისი წარმოადგენდა, ხოლო შავ ზღვაზე – პეტრა.

ჩამოთვლილ ქალაქებთან ერთად ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო, საგაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი ქუთაისი იყო. ამიტომ, ისევე როგორც ნოქალაქევში, აქაც მუდმივად ხდებოდა ქალაქის განახლება და ზრდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ქუთაისი, ნოქალაქევისა და ვარდციხისაგან განსხვავებით, თანაბრად მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამაზე მეტყველებს როგორც ნოქალაქარზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების ხასიათი და რაოდენობა, ისე იქ შესწავლილი საფორტიფიკაციონ ნაგებობების მასშტაბურობა.

ქუთაისის ციხის ასაშენებლად არქიელის გორა თითქმის იდეალური ადგილი იყო. ამ ადგილას ჩრდილოეთიდან მომდინარე მდ. რიონი კლდოვანი ნაპირებიდან გამოდის და დასავლეთისაკენ უხვევს. სწორედ აქ მდინარის კალაპოტი შედარებით ვიწროა და ხიდის აგებაც იქნებოდა შესაძლებელი. მდინარის ამ მონაკვეთზე ქუთაისის ამშენებლებს შეურჩევიათ მცირე შემაღლება – არქიელის გორა, რომელიც თავდაცვისათვის მეტად ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა. თუმცა აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ არქიელის გორაზე ცხოვრების კვალს ჯერ კიდევ ძვ. წ. პირველი ათასწლეულიდან ვხედავთ. როგორც ჩანს, ამ ადგილს ოდითგანვე მიუქცევია ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღება და თავის საცხოვრებლად აურჩევია – მდინარესთან ახლოს და თანაც შემაღლებულზე, სადაც თავდაცვა ადვილი იქნებოდა.

ციხის ამშენებლებისთვის მთავარი პრიორიტეტი მდ. რიონის ახლოს ძლიერი სტრატეგიული ცენტრის დაარსება უნდა ყოფილიყო. საიდანაც რიონზე მდებარე საგაჭრო მაგისტრალის გაკონტროლება და იმავდროულად ომიანობის დროს მტრისგან თავდაცვა იქნებოდა შესაძლებელი. ციხეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მდინარე და დამრეცი ფერდობები აკრავს და ამ მხრიდან გალავნებთან მიღწევა მასიური შეტევით რთული იქნებოდა. ასევე ფერდობები აკრავს ციხეს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან – აქედან ციხეზე მოხვედრა, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო, მაგრამ იერიშის მოწყობა ნამდვილად გაჭირდებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქუთაისის ციხე-ქალაქი ეგრისის სამეფოს ერთ-ერთ უმთავრესი სამხედრო, საგაჭრო და ადმინისტრაციული სტრატეგიული პუნქტი იყო, რომელიც ნოქალაქევი-არქეოპოლისის, პიტიუნტის, პეტრა-ციხისძირის, ვაშნარისა და ვარდციხე-როდოპოლისის მსგავსად ეგრისის სამეფოში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური მოვლენების ეპიცენტრში მდებარეობდა.

ქუთაისის ასეთ მნიშვნელობას მისი ბუნებრივი მდებარეობა განაპირობებდა – ის ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთიდან (სკანდა-შორაპანი), ჩრდილოეთიდან (რაჭა-ლეჩხუმი) და სამხრეთიდან (ვარდციხე-როდიპოლისი) მომავალ გზებს, რომლებიც ქუთაისში ერთდებოდა და შემდეგ დასავლეთით გრძელდებოდა – დღევანდელი იმერეთი-გურიისა და სამეგრელოს მიმართულებით.

ქუთაისის ციხის აღნერისას აუცილებლად უნდა შევეხოთ უქიმერიონის საკითხესაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენ არ ვემხრობით უქიმერიონისა და ქუთაისის იდენტიფიკაციის საკითხს და ამ მხრივ ნაწილობრივ ვეთანხმებით ო. ლანჩავას მოსაზრებას. უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად პატივცემულმა მკვლევარმა დოქტორ როლანდ ისაკაძესთან ერთად გამოთქვა საინტერესო მოსაზრება უქიმერიონის მონამეთის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე ლოკალიზაციის შესახებ (ლანჩავა... 2009: 9). 2009 წელს მონამეთის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციასთან დაკავშირებით ძეგლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები მოეწყო (ხელ-ლი ო. ლანჩავა, მოადგილე რ. ისაკაძე). არქეოლოგიური გათხრებისა და გამნენდითი სამუშაოების შედეგად ექსპედიციამ გამოავლინა კვადროვანი გალავნისა და ჭიშკრის ნაშთები, ასევე VI საუკუნით დათარიღებული, ქვაში ამოკვეთილი, წრეში ჩასმული ე. წ. „ბოლნური“ ჯვარი. საერთო ჯამში არქეოლოგიური კვლევის შედეგები ასეთია: სასიმაგრო სისტემა გამართულია წყალწითელას ხეობაში შეჭრილ ნახევარკუნძულისებურ პლატოზე, მისი გეგმარება განპირობებული იყო რელიეფის შესანიშნავი ფორმით. იგი გამოირჩევა განსაკუთრებული თავდაცვისუნარიანობით, ციცაბო ქარაფებიანი ფერდობებით და მიუვალია. ორიენტირებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მისი საერთო ფართობი იყო 5350 მ<sup>2</sup>. ციხე-ქალაქის გეგმარებაც აქედან გამომდინარეობს. იგი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: 1. ზედა სიმაგრე, 2. შუა სიმაგრე (ციტადელი), 3. ქვედა სიმაგრე (ლანჩავა... 2009: 9).

უთუოდ საინტერესო, მნიშვნელოვანი და საგულისხმოა აღნიშნული ძეგლის გამოვლენა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიზიარებთ მეცნიერების მიერ მოცემულ ქრონოლოგიას და არ უარვყოფთ VI საუკუნეში მონამეთის ტერიტორიაზე მძლავრი სასიმაგრო სისტემის არსებობას, მით უმეტეს, რომ მონამეთაში გამოვლენილი კვადროვანი გალავნები და „ბოლნური“ ჯვარიც ამ პერიოდის მშენებლობის პირდაპირი დასაბუთება. თუმცა ავტორების მოსაზრებას უქიმერიონისა და მონამეთის იდენტიფიკაციის შესახებ ნაკლებად ვეთანხმებით. როგორც ცნობილია, უქიმერიონი ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ პუნქტს ნარმოადგენდა ლაზიკაში, მისი ხელში ჩაგდებით მთელი აღმოსავლეთ ლაზიკისა და სვანეთ-სკვიმინის გზების კონტროლი იყო შესაძლებელი. ო. ლანჩავა სწორედ ამ ფაქტს იყენებს არგუმენტად და აცხადებს, რომ „ციხე-ქალაქად უქიმერიონის არსებობა წყაროთა მიხედვით მხოლოდ VI-VII საუკუნეებს უკავშირდება. ასეთი პუნქტი „ქუთათისის მახლობლად“ თანაც „მეტად მაგარი“ და ქრონოლოგიურად ეპოქის შესატყვისი მონამეთას მონასტერია“ (ლანჩავა... 2009: 9).

ძნელია, არ დაეთანხმო მკვლევარს, თუმცა აქ საგულისხმოა ერთი გარემოება. მდ. წყალწითელას ხეობაში არსებული „კუნძული“, სადაც მონამეთის მონასტერი მდებარეობს, მართლაც რომ ძნელად მისასვლელია (მხოლოდ ერთი ვიწრო გზით შეიძლება მასთან მიახლოება) და დაცულობის თვალსაზრისით იდეალურ ადგი-

ლას მდებარეობს – სამი მხრიდან ღრმა და ციცაბო ფერდობები აკრავს. თუმცა მისი ასეთი მდებარეობა დაცულობასთან ერთად პრობლემასაც ქმნიდა: ის ძალიან არის დაშორებული გზებს, ამიტომ ციხიდან ქუთაისის მახლობლად მოძრავი მტრის შეფერხება ან ზოგადად გზის კონტროლი რთული იქნებოდა და შესაბამისად, მოწამეთიდან სვანეთ-სკვიმნის გადასასვლელების დაცვა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვქონდეს ადგილობრივი დიდებულის რეზიდენციასთან. ამ შემთხვევაში მოწამეთის მდებარეობა მართლაც იდეალურია – ის მდებარეობს ძნელად მისასვლელ და დაცულ ადგილას, საკმაოდ მაღალ მთაზე, საიდანაც ვრცელი ტერიტორიების გაკონტროლებაა შესაძლებელი. იმავე ეპოქის მსგავსი დანიშნულების ძეგლი უნდა იყოს ოცინდალეს ციხის კომპლექსი, რომელიც ასევე VI საუკუნით თარიღდება და მეტად რთულ და ძნელად მისასვლელ ადგილას იყო აშენებული, საიდანაც ვრცელი ტერიტორიების დაზვერვა კი იყო შესაძლებელი, მაგრამ სამეფოს გზებიდან მოშორებული ადგილის გამო ამ გზების კონტროლი შეუძლებელი იყო.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მოწამეთაში გამოვლენილი VI საუკუნის ციხესიმაგრე უფრო მეტად დიდებულის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, ვიდრე სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების პუნქტი, ისეთი, როგორიც უქიმერიონი იყო.

## ნაშავევი


ციხე მდებარეობს ხონის რაიონის სოფ. დიდი გუბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. გუბისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ნასოფლარ ნამაშევში, ქუთაისი-ხონის საავტომობილო გზის მე-9 კმ-ზე, გზის მარჯვენა მხარეს (ჩრდილოეთით) 2 კმ-ში (GPS კოორდინატები: N 42°16'24.45", E 42°29'59.44". სიმაღლე: 77 მ.).

ციხეზე არქეოლოგიური სამუშაოები XX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა (ჯაფარიძე 2006: 126). ციხის აღწერა მოცემულია ვ. ჯაფარიძის დასახელებულ ნაშრომში, სადაც ავტორი დეტალურად აღწერს ციხეზე გათხრებითა და დაზვერვებით გამოვლენილ არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებს (ჯაფარიძე 2006: 126–136).

ციხე განლაგებულია მდ. გუბისწყლის მარჯვენა გავაკებულ სანაპიროზე. მას აღმოსავლეთიდან მდინარე შემოსაზღვრავს, ხოლო დანარჩენ სამ მხარეს ხელოვნური თავდაცვითი თხრილი იცავდა. ზოგ ადგილას თხრილის სიგანე 10-15 მეტრს აღწევს.

ციხის გალავნები ძლიერ არის დაზიანებული – აღმოსავლეთის ხაზი მდინარის ზემოქმედების შედეგად ფერდობზეა ჩაქცეული. ციხეს უსწორმასწორო სამკუთხედად წაგრძელებული მრავალკუთხედის ფორმის გეგმა ჰქონია, რომელიც ჩრდილო-სამხედროის ხაზზეა ორიენტირებული (სურ. 37). ძეგლზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ძირითადი თხრილი ჩრდილოეთის კოშეთან გაიჭრა) სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგური და სამშენებლო ფენები დადასტურდა – ადრეული შუა საუკუნეებიდან (IV-VI სს) XIX საუკუნემდე. ჩრდილოეთის კოშეს აღმოსავლეთიდან მდინარის ფლატე ეკვრის. კოშეს ზომები 7.45 მ X 6.70


მ-ია, ხოლო კედლის სისქე – 1.8 მ. კედლების ფასადები ნაგებია თეთრი თლილი ქვებით, უმეტესად რიგების დაცვით კირხსნარზე. ამ კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან გამოსული გალავნის ხაზი სამხრეთისაკენ მიემართებოდა. ის ციხის შუა მონაკვეთში ოთკუთხა ბურჯს ებჯინება. ამ ბურჯიდან ზემოთ, მოცემული გალავნის პერპენდიკულარულად, აღმოსავლეთისაკენ მიემართება ორი კედელი, რომელიც ციხეს ორ ნაწილად ყოფის. აღნიშნული კედლები ფრაგმენტულად გამოვლინდა, თუმცა ვ. ჯაფარიძის აზრით, ის ციხეში შესასვლელი ცრუ ჭიშკარი იყო, საიდანაც მტერი ორი კედლით შემოსაზღვრულ ვიწრო სივრცეში – ხაფანგში ხვდებოდა (ჯაფარიძე 2006: 133).



37. ნამაშევის ციხის გეგმა

ამ მონაკვეთიდან ციხის გალავნები უფრო სამხრეთისაკენ გრძელდება. შემორჩენილია როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი კედლები, რომლებიც თითქმის ერთმანეთის პარალელურად მიემართება სამხრეთისაკენ დაას. 100 მეტრის მანძილზე. ასევე გამოვლენილია ციხის სამხრეთი სწორხაზოვნი გალავანი, რომელიც დას. და აღმ. გალავნების სამხრეთ კუთხეებს უერთდება. საინტერესოა, რომ დას. გალავანი სამხ. გალავნის გარეთაც გრძელდება დაას. 35 მ-ზე და სრულდება დიდი ზომის ოთხკუთხა კოშკით, რომელიც ციხის სამხრეთი მონაკვეთის მთავარ კოშკს – ბასტიონს წარმოადგენდა. კიდევ ერთი კოშკის ნაშთი გამოვლინდა ციხის გარეთ დასავლეთით ასიოდე მეტრში. გამოდის, რომ ციხეს აღმოსავლეთიდან მდინარე შემოსაზღვრავდა, დანარჩენი სამი მხრიდან კი ხელოვნური თავდაცვითი თხრილით და თითო-თითო კოშკით იყო გამაგრებული.

არქეოლოგიური გათხრებით ძეგლზე გამოვლენილი მასალის (ძირითადად ადგილობრივი კერამიკული ნაწარმის) უმეტესობა IV-VI სს.-ით თარიღდება, ამავე პერიოდისაა გალავნების წყობაც. შესაბამისად, ძეგლი ადრეული შუა საუკუნეების, ეგრისის სამეფოს პერიოდის ერთ-ერთი სტრატეგიული ციხესიმაგრე უნდა იყოს.



### 37.1. ნამაშევის ციხის აეროფოტო

ვ. ჯაფარიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შესაძლოა ბიზანტიურ წყაროებში არაერთხელ მოხსენიებული ეგრისის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი მოხირისი/მუხირისი სწორედ ნამაშევში მდებარეობს. მკვლევარი ამ მოსაზრების მთავარ არგუმენტად მიჩნევს ნამაშევის მდებარეობას ქუთაისისა და ნოქალაქევი-არქეოპოლისს შორის. პროკოპის ცნობით მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლის და შორებული და მრავალ ნაყოფიერ მინას მოიცავს (პროკოპი კესარიელი 1965:194). ეს მანძილი, ს. ჯანაშიას მოსაზრებით, 30-35 კმ უნდა იყოს (ჯანაშია 1952: 320-321), რაც ერთმნიშვნელოვნად ზუსტად შეესაბამება მანძილს ნოქალაქევსა და ნამაშევს შორის, რომელიც დღევანდელი უმოკლესი სამანქანო გზით 30 კმ-ს შეადგენს.

ნამაშევი არქეოპოლისი-ქუთაისის გზაზე მდებარეობდა. ჩვენი აზრით, ეს ფაქტიც გამოდგება იმის არგუმენტად, რომ მოხირისი შესაძლოა ნამაშევში მდებარეობდა. აქვე თუ გავითვალისწინებთ, რომ მოხირისის მხარეს დასავლეთიდან ცხენისწყალი შემოსაზღვრავდა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – რიონი, ხოლო მის ჩრდილო საზღვარს მთები წარმოადგენდა, ვნახავთ, რომ ამ არეალის გეოგრაფიულ ცენტრთან ძალიან ახლოს მდებარეობს სწორედ ნამაშევი, რაც ჩვენი აზრით, საგულისხმო ფაქტია.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ნამაშევში გამოვლენილი ძეგლი მოხირისია, თუმცა ვ. ჯაფარიძის მოსაზრება მეტად საინტერესოდ გვეჩენება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნამაშევი ვაკე ადგილას მდებარეობს და ვერ უზრუნველყოფდა რომელიმე გზის ან ხეობის ჩაკეტვას ან თუნდაც მოსახლეობის შეფარებას, ის უფრო ქალაქური ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო. იგივე ინფორმაცია გვაქვს მოხირისზეც – ის უფრო ქალაქია, ვიდრე ციხე. პროკოპი კესარიელი საგანგებოდ

აღნიშნავს, რომ „ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი“ (პროკოპი კესარიელი 1965: 101). საინტერესოა, რომ მრავალწლიანი დაზვერვების შედეგად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეგრისის სამეფოს პერიოდის მრავალი ციხე-ქალაქიდან მხოლოდ ვარდციხე და ნამაშევი მდებარეობს ვაკე ადგილას და განსხვავებით სხვა ციხესიმაგრეებისგან, მთავარი რელიეფით არ არის დაცული. თითქოს ეს ფაქტიც ეხმიანება იმ მოსაზრებას, რომ ნამაშევი მოხირისია.

## დიდლვაბუნა

ციხე მდებარეობს ხონის რაიონის სოფელ დიდლვაბუნაში (სოფელ ხიდის ჩრდილოეთი), მდ. ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე მაღალი მთის წვერზე (GPS კოორდინატები: N 42°25'34.51", E 42°30'35.14". სიმაღლე: 493 მ.).

ციხეზე პირველი ინფორმაცია სამეცნიერო ლიტერატურაში კრებულ „ძეგლის მეგობრის“ 1970 წლის 21-ე ნომერშია დაბეჭდილი. სტატიის ავტორი იური სიხარულიძეა, რომელსაც მოუნახულებია ციხე და მისი მშენებლობის ქრონოლოგია ზოგადად „ადრეცენდალური“ ხანით განუსაზღვრია. ავტორი ძეგლს ბიზანტიური წერილობითი წყაროების უქიმერიონთან აიგივებს (სიხარულიძე 1970: 39-41). ბოლო პერიოდში იგივე მოსაზრება გაიზირა და განავრცო ვ. ჩიხლაძემ (ჩიხლაძე 2003: 51-54), რომელსაც ძეგლზე არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალებიც შეუსწავლია და გამოვლენილი ორმოსამარხების ინვენტარი ძირითადად III-IV საუკუნეებით დაუთარილებია. დასახელებული მკვლევრები უქიმერიონისა და დიდლვაბუნის იდენტიფიკაციისათვის მთავარ არგუმენტად პროკოპი კესარიელის იმ ცნობას იყენებს, სადაც ის წერს, რომ სპარსელებმა უქიმერიონის ხელში ჩაგდებით სვანეთ-სკვიმნიაზეც დაამყარეს კონტროლი. სიხარულიძისა და ჩიხლაძის მოსაზრებას არ იზიარებს ო. ლანაჩავა, რომელსაც თავადაც დაუზვერია სვანეთ-სკვიმნისკენ გამავალი ხეობები და ასკვნის, რომ, მართალია, დიდლვაბუნის ციხე ცხენისწყლის ხეობას იცავდა და აკონტროლებდა, მაგრამ ის უქიმერიონი ვერ იქნება, რადგანაც საკმაოდ მოშორებულია ქუთაისიდან, ხოლო პროკოპი კესარიელის ცნობით, უქიმერიონი ქუთაისის მახლობლად მდებარეობდა (ლანჩავა 2007: 96). სამწუხაროდ, ბიზანტიური წერილობითი წყაროები მწირ ცნობებს გვაძლევენ უქიმერიონის შესახებ და არც დიდლვაბუნის ციხეა არქეოლოგიურად საკმარისად შესწავლილი იმისათვის, რომ ამ ორი ციხის იდენტიფიკაცია მოვახდინოთ. ამ ეტაპზე ჩვენ არც უარვყოფთ ამ მოსაზრებას და არც ვეთანხმებით, თუმცა ერთი რამ აშკარაა: დიდლვაბუნის ციხე ცხენისწყლის ხეობის გამოსასვლელთან მდებარეობს და მისი მთავარი ფუნქცია ამ ხეობაში გამავალი გზის კონტროლი და დაცვა იქნებოდა, ასევე ეჭვგარეშეა, რომ ეს გზა ეგრისის ქვედა რეგიონებს (მოხირისი, ცენტრალური სექტორი) რაჭა-ლეჩხუმთან (სკვიმნიასთან) და სვანეთთან აკავშირებდა და შესაბამისად, მისი გაკონტროლება მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც ლაზებისა და ბიზანტიულებისთვის, ისე სპარსელებისთვის.

დღესათვის სოფ. დიდლვაბუნაში მცირე ზომის ციხეა მიკვლეული – 7 მ X 15 მ. შესაბამისად, ის უფრო მეტად საგუშაგო-სასიგნალო ციხედ უნდა მივიჩნიოთ,

ვიდრე ხეობის ჩამკეტ სიმაგრედ, რომელშიც დიდი რაოდენობის გარნიზონი და-ეტეოდა. ასეთები იყო მაგალითისათვის სქურისა და დიმის სიმაგრეები, რომ აღა-რაფერი ვთქვათ შორაპანსა და სკანდაზე.

## ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სეპტორის გამაგრების ქვესისათვე


ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვითი ხაზი, უმეტესად, კოდორისა და ეგრისის ქედების სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე გადიოდა და ამ ხაზის მთავარი ფუნქცია იყო სამეფოს დაცვა ჩრდილოეთ კავკასიიდან მომდინარე საშიშროებისაგან.

ამ თავდაცვითი ხაზის სრული სიგრძე თითქმის 100 კმ-ია და მასში სულ რვა ცი-ხესიმაგრე იყო გაერთიანებული: ნაფიჩხოვო, კურზუ, ოცინდალე, სქური, სათან-ჯო, ნარჩე, რეკა და წებელდა. თავის მხრივ, ეს ციხეები ორ სხვადასხვა ქვესისტე-მაში ერთიანდებოდა. ნაფიჩხოვო, კურზუ, ოცინდალე და სქური ეგრისის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე არსებულ გადმოსასვლელებს იცავდა, ხოლო ნარ-ჩე, რეკა და წებელდა – კოდორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე არსებულ გადმოსასვლელებს. სათანჯოს ციხე კი, ერთგვარად, შუალედურ რგოლს წარმო-ადგენდა ამ ორ ქვესისტემას შორის – მისი ძირითადი დანიშნულება მდ. ენგურის ხეობის კონტროლი და ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო (სურ. 38).

როგორც ცნობილია, IV საუკუნიდან მოყოლებული ლაზები რომის იმპერიას არც ხარჯა უხდიდნენ და არც მათ ლაშქრობებში იღებდნენ მონაწილეობას. ერ-თადერთი ვალდებულება, რომელიც ლაზებს ჰქონდათ, ჩრდილოეთის საზღვრების მომთაბარე ტომებისგან დაცვა იყო. ეს კი, პირველ რიგში, ლაზების ინტერესებ-ში შედიოდა (ლომოური 1968: 75-77). პროკოპი კესარიელის ეს ცნობა კარგად შე-ესატყვისება აღნიშნულ სისტემაში გაერთიანებულ ციხესიმაგრეთა მდებარეობას. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ვინრო ხეობებშია აგებული და თან ისეთი გათ-ვლით, რომ ამ ციხეებში მდგარ გარნიზონებს სწრაფად და ეფექტურად მოეხერხე-ბინათ მათ სიახლოვეს გამავალი მტრის შეკვება.

ნაფიჩხოვოსა და კურზუს ციხეები მდ. ოჩხომურის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაპირებზე მდებარეობს და ორივე მათგანი ამ მდინარის ხეობაზე გამავალი გზის მაკონტროლებული და ჩამკეტი იყო (მურლულია 2011: 62–64). ამ ორი ციხისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2-2,5 კმ-ში მდ. ოჩხომური კლდოვანი კალაპოტიდან გა-მოდის და შედარებით გავაკებულ ადგილებში დასავლეთისაკენ მიედინება. გარდა ამისა, ციხეებისგან აღმოსავლეთით 5 კმ-ში, ასევე ღრმა ხეობიდან, გამოდის მდ. ტეხური და ისიც მეტ-ნაკლებად გავაკებულ ადგილზე სამხრეთისაკენ განაგრძობს დინებას. შესაბამისად, ორივე ეს ციხე, განსაკუთრებით კი კურზუ, ამ ხეობებიდან გამომავალი გზების საკონტროლებლად უნდა ყოფილიყო აგებული. გარდა ამისა, ისინი კონტროლს უწევდნენ სამეფოს ცენტრალური რაიონიდან – მოხირისიდან მომავალ გზას, რომელიც დღევანდელი ხონისა და მარტვილის რაიონების გავლით სებასტოპოლისისაკენ მიემართებოდა.

ნაფიჩოვოსა და კურზუს ციხეებისგან დასავლეთით 5 კმ-ში მდებარე ოცინდალეს ციხეც ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვით სისტემაში ერთიანდება, თუმცა მას, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, უფრო სარეზიდენციო-ადმინისტრაციული დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რადგან რომელიმე ხეობის ჩაკეტვა ამ ციხის მეშვეობით შეუძლებელი იქნებოდა. ოცინდალესგან ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ში მდებარეობს სქურის ციხე, რომელიც მდინარე ჭანისწყლის ვიწრო ხეობაზე გამავალ გზას უწევდა კონტროლს. ციხე ხეობის ქვედა ნაწილში, მდინარის პირას იყო აშენებული და საჭიროების შემთხვევაში ციხის გარნიზონები ამ ხეობით მომავალ მონინაალმდეგეს ადვილად შეაჩერებდნენ.



**38. Google Earth სურათი – სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ  
საზღვრის თავდაცვითი ხაზი**

როგორც ცნობილია, ეგრისისა და კოდორის ქედებს ერთმანეთისაგან მდინარე ენგური ყოფს. ასევე ცნობილია, რომ ისტორიულად მდ. ენგურის ხეობაზე სამეგრელო-აფხაზეთისა და სვანეთის დამაკავშირებელი უმთავრესი გზა გადიოდა. დღეისათვის მდ. ენგურის დინების ქვედა მონაკვეთზე ეგრისის სამეფოს პერიოდის მხოლოდ ერთი სიმაგრეა გამოვლენილი – ეს არის სათანჯოს ციხე, რომელიც, სავარაუდოდ, კონტროლს უწევდა ენგურის გასწვრივ გამავალ გზას და ამავდროულად დღევანდელი სამეგრელოდან აფხაზეთისაკენ მიმავალ გზა-საც აკონტროლებდა.

სამნუხაროდ, მდ. ენგურის ზემო წელზე, იქ, სადაც ის კლდოვანი ნაპირებიდან გამოდის, ანუ დაბა ჯვართან, ამ პერიოდის ციხის ნაშთები მიკვლეული არ არის, რაც ერთგვარ „სიცარიელეს“ ქმნის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავ-დაცვითი სისტემის ცენტრალურ ნაწილში. ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთზე რაიმე სახის თავდაცვითი ნაგებობა (ციხე, კოშკი, ჩამკეტი კედელი) აუცილებლად იქნებო-

და გამართული, რომელიც, შესაძლოა, მომავალმა არექოლოგიურმა დაზვერვებმა გამოავლინოს.

საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვითი სისტემის ის ხაზი, რომელიც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. წარჩესა და ოკის ციხეები კოდორის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე გადმოსასვლელებს კეტავდა და შესაბამისად, იქიდან წამოსულ მტერს სამეფოს ცენტრალური მონაკვეთისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლისაკენ მიმავალ გზებს უკეტავდა. აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ციხე მდ. ლალიძების (ისტ. ეგრისწყალი) სამხრეთით მდებარეობს, ანუ ისინი ისტორიული (ეთნიკური) ეგრისის საზღვრებში მდებარეობდა.

რაც შეეხება წებელდის ციხეს, ის ისტორიული აფშილეთის უმთავრესი ციხესიმაგრე იყო, რომელიც მდ. კოდორის ხეობას აკონტროლებდა და იქ არსებულ გადმოსასვლელებს კეტავდა, შესაბამისად, წებელდის ციხე მისგან დასავლეთით 20 კმ-ში მდებარე სებასტოპოლისის უმთავრეს დამცავ სიმაგრეს და ამავდროულად, ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის უკიდურეს ჩრდილოეთ ფორმას წარმოადგენდა.

ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვითი სისტემის გამართულობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად ეგრისის სამეფოს უსაფრთხოებისათვის. ზემოთ ნახსენები ციხეები კონტროლს უწევდნენ გადმოსასვლელებს ჩრდილოეთ კავკასიიდან, საიდანაც აგრესიული მომთაბარე ტომების შემოსევებს სამეფოსათვის დიდი ზიანის მიყენება შეეძლო. შესაბამისად, ეგრისისა და კოდორის ქედებზე არსებული ძირითადი გადმოსასვლელები საგანგებოდ იყო გამაგრებული. როგორც პროკოპი კესარიელის ცნობით ირკვევა, ამას არა მხოლოდ ეგრისისათვის, არამედ ჯერ რომისა და შემდეგ ბიზანტიის უსაფრთხოებისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეგრისის ტერიტორიაზე მომთაბარე ტომების შეჭრის შემთხვევაში მათთვის წინააღმდეგობის განევა ძალიან რთული იქნებოდა და ამასთანავე მათ გზა ეხსნებოდათ, ერთი მხრივ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაშენებული მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქებისაკენ – პიტიუნტი, სებასტოპოლისი, პეტრა და სხვ. და მეორე მხრივ, სამხრეთის მიმართულებით – რომისა და ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებისაკენ.

სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის დაცვას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა საომარი მოქმედების დროს. კერძოდ, ქართლთან და სპარსეთთან ბრძოლის შემთხვევაში ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელების ჩაკეტვა ეგრისის მესვეურებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მტერს შესაძლებლობა მიეცემოდა, მეორე ფრონტი გაეხსნა ჩრდილოეთიდან. ცნობილია, რომ მთავარი გადმოსასვლელები ქართლი-დან და სპარსეთიდან ლიხისა (აღმოსავლეთი) და მესხეთის (სამხრეთი) ქედებზე მდებარეობდა. ამ მიმართულებით განხორციელებული შეტევის მოგერიების პარალელურად, ეგრისის მესვეურებს მოუწევდათ ჩრდილოეთიდან შემოსული მტრის დაქირავებული ან მოკავშირე მომთაბარე ტომების მოგერიებაც, რაც სამხედრო ნაწილების დაქსაქსვასა და ფრონტის გაშლას გამოიწვევდა. შესაბამისად, ჩრდილოეთის მიმართულების სათანადოდ გამაგრება ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო.

დღეისათვის ძნელი სათქმელია, რამდენად გამართულად მოქმედებდა სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის თავდაცვითი ხაზი. წერილობით წყაროებში შემონახულია რამდენიმე ცნობა ეგრისში ჩრდილო-დასავლეთიდან სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჯარის შემოჭრის შესახებ, თუმცა დეტალური აღწერილობა იმისა, თუ რა გზებით შეიჭრნენ ისინი ეგრისში, დაზუსტებული არ არის.

ერთი ასეთი თავდასხმა პიტიუნტზე მოხდა 256-257 წლებში, როდესაც გუთებმა, ბიზანტიული ავტორის ზოსიმეს ცნობით, იერიში მიიტანეს ჯერ პიტიუნტზე, ხოლო შემდეგ ფაზისზე, თუმცა წყაროდან აშკარად ჩანს, რომ გუთებს შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებზე შეტევა ზღვიდან განუხორციელებიათ, ხოლო მოსახლეობას თავი მთებისთვის შეუფარებია (ზოსიმე 1961: 266-269). შესაბამისად, აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელები არ გამოუყენებიათ.

IV საუკუნის შუა ხანებში ეგრისში შეიჭრნენ ჰუნები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის ზეკარებით სამხრეთ რეგიონებს შეესივნენ. მათ სასტიკად ააოხრეს პიტიუნტი (Кудрявцев 1956: 786). თუმცა, სამწუხაროდ, ზუსტი ცნობები ჰუნების შემოჭრის მარშრუტის შესახებ არ მოიპოვება.

ჯუანშერის გადმოცემით, V საუკუნის მეორე ნახევარში, ბიზანტიის იმპერატორ ლეონ I-ის ზეობის წლებში (457-474), ვახტანგ გორგასალს ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ეგრისში ულაშქრია და სამი წლის განმავლობაში ყველა ციხე აუღია ციხეგოვის ჩათვლით (ჯუანშერი 1955: 157). წყაროს მიხედვით, ვახტანგ მეფე ეგრისში ჯიქეთის მხრიდან შეჭრილა. თუმცა უფრო ზუსტი ინფორმაციას მისი ლაშქრობის მარშრუტის შესახებ მემატიანე არ გადმოგვცემს. დასაშვებია, რომ ვახტანგი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროების გასწვრივ არსებული გზით შესულიყო ეგრისში. თუმცა, შესაძლოა, მას კავკასიონის რომელიმე ულელტეხილი გამოეყენებინა ეგრისის დასალაშქრად. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მას ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვითი ხაზი უნდა გაეჭრა. თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა და დანამდვილებით რამის მტკიცება ამ ეტაპზე შეუძლებელია. წერილობითი წყაროების სიმწირის გამო ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვითი ხაზის გამართულობის შესახებ მსჯელობა ძნელია, თუმცა ეგრისისა და კოდორის ქედების გასწვრივ მდებარე ციხეების სიმრავლე აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ ამ ქედებზე გადმომავალი გზებით ეგრისის ცენტრალური რაიონების დალაშქრა ადვილი არ უნდა ყოფილიყო.


## ნაფიჩეოვო

ციხე მდებარეობს ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ნაფიჩეოვოს ჩრდილო-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, უბან ლეპერიეში, ერთ-ერთ შემაღლებულ პლატოზე (GPS კოორდინატები: N42 36.119 E42 16.303. სიმაღლე: 430 მ.).

ციხეს ჩრდილოეთით 200 მეტრში მაღალი მთა ებჯინება, ასე რომ ამ მხრიდან ციხის ტერიტორიაზე მოხვედრა რთული იქნებოდა. ზოგადად, მის გარშემო მთიანი რელიეფია და ციხემდე მისასვლელად არაერთი შემაღლების დაძლევაა საჭირო – დღეისათვის ციხემდე მისვლა დასავლეთიდან არის შესაძლებელი.

როგორც უკეთ აღინიშნა, ციხე ერთ-ერთ შემაღლებულ პლატოზეა აშენებული და მისგან ყველა მიმართულებით 200 მ მანძილზე (გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთისა) გაშლილი ტერიტორიებია. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი ციხის გალავანს უშუალოდ ებჯინება ციცაბო ფერდობი და ამრიგად, აქედან ციხესთან მიახლოება შეუძლებელი იქნებოდა.

ციხე თითქმის სრულად არის დანგრეული. მისი დასავლეთი გალავანი 1 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი და სიგრძით 15 მ-ს აღწევს. ყველაზე უკეთ – 3-4 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი ჩრდილოეთის გალავანის დასავლეთი მონაკვეთი, ხოლო დანარჩენი კედლები ან სრულად არის გამქრალი, ან მინის დონეზე იკითხება. მიუხედავად ამისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გეგმაში ციხე არანესიერი ფორმის მართკუთხედი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი გალავნები სწორხაზოვანი უნდა ჰქონოდა, ხოლო აღმოსავლეთის – ოდნავ წრიული (სურ. 39). ციხის კედლების ძლიერ დაზიანების მიუხედავად, ხერხდება მისი სამშენებლო ტექნიკის განსაზღვრაც – გალავნების საპირე წყობა ნაგებია უხეშად გათლილი კირქვით, რიგების დაცვის გარეშე, კირის დუღაბზე. საპირე წყობას შორის ჩაყრილია სხვადასხვა სახეობის ქვა კირთად მეტი სიმტკიცი-სათვის. კედლის სისქე 1.20 მ-ს აღწევს, ციხის სრული ზომებია: 11.5 მ (დას.-აღმ.) X 15 მ (ჩრდ.-სამხ.).



### 39. ნაფიჩხოვოს ციხის გეგმა

სამწუხაროდ, ციხის მონახულების დროს ძლიერი წვიმისა და ნისლის გამო 50 მეტრზე შორს თვალთახედვა შეზღუდული იყო და შესაბამისად, ვერ მოხერხდა ციხიდან დასაზვერი ტერიტორიების დანახვა. თუმცა, როგორც ჩვენმა მეგზურ-მა რ. ფაცაციამ განგვიცხადა, კარგ ამინდში ნაფიჩხოვოს ციხიდან სამხრეთით საკმაოდ დიდი ტერიტორიების დაზვერვაა შესაძლებელი – იქიდან კარგად ჩანს მდ. ოჩხომურის ხეობა და ნაფიჩხოვოს ციხის სამხრეთით 2.5 კმ-ში მდებარე კურ-ზუს ციხე. ბ-ნი ფაცაციას ნათქვამის გადამოწმება მოვახერხეთ პროგრამა Google

Earth-ში, სადაც კარგად ჩანს, რომ ამ ორ ციხეს შორის ვიზუალური კავშირის არ-სებობა სრულიად რეალურია.

ციხის მდებარეობა, გეგმარება და სამშენებლო ტექნიკა გვაფიქრებინებს, რომ ის IV-VI სს.-ში უნდა იყოს აგებული და შესაბამისად, ის ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ნაფიჩეოვოს ციხის თავდაცვითი ფუნქციის განსაზღვრისათვის მთავარ ფაქტორს მისი მდებარეობს წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, ციხე აუშენებიათ მთიან რეგიონში და იქამდე მისვლა არაერთი მცირე თუ დიდი მთისა და ბორცვის გადალახვის შემდეგ არის შესაძლებელი, თუმცა უშუალოდ ციხის სიახლოვეს (100 მეტრის რადიუსში) რაიმე სახის სერიოზული ბუნებრივი (ციცაბო ფერდობი, ხევი) ან ხელოვნური (თხრილი, მიწაყრილი) ბარიერი არ შეინიშნება. საფიქრებელია, რომ უპირველეს ყოვლისა, ნაფიჩეოვოს ციხეს საგუშავო-სასიგნალო ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ იქიდან სამხრეთით იზვერება მდ. ოჩეომურის ხეობა და კურზუს ციხე, შესაბამისად, ნაფიჩეოვოს ციხიდან შესაძლებელი იქნებოდა როგორც ოჩეომურის ხეობის ვიზუალური კონტროლი, ისე კურზუდან მომავალი სიგნალის დანახვა ან, პირიქით, ნიშნის გადაცემა კურზუს ციხის გუშაგებისთვის.

ნაფიჩეოვოს ციხის გარშემო რელიეფზე დაკვირვება როგორც ადგილზე, ისე პროგრამა Google Earth-ში, გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ შესაძლოა უშუალოდ მის სიახლოვეს გადიოდა ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი გზის განშტოება, რომელიც დღევანდელი ხონისა და მარტვილის რაიონებს ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებთან აკავშირებდა. სავარაუდოდ, ეს გზა ხონისა და მარტვილის რაიონების გავლის შემდეგ მდ. ოჩეომურთან ორად იყოფოდა – ერთი მდინარის მარცხენა სანაპიროთი მიერთებოდა და გაივლიდა კურზუს ციხეს, ხოლო მეორე მდინარის ჩრდილო, მარჯვენა სანაპიროთი მიერთებოდა დასავლეთისკენ და ამ გზაზე გაივლიდა ნაფიჩეოვოსაც. შესაბამისად, ამ ციხეს საგუშავო-სასიგნალო ფუნქციის შესრულებასთან ერთად, შესაძლოა, გზის ჩამკეტის დანიშნულებაც შეეთავსებინა.

## პურზუ

ციხე მდებარეობს მარტვილის რაიონის სოფ. კურზუს ჩრდილოეთ ნაწილში, უბან გოდოგანში (GPS კოორდინატები: N42 34.779 E42 16.623. სიმაღლე: 458 მ.). ციხე აშენებულია სოფელში მდებარე, დას.-აღმ. ორიენტაციის წაგრძელებული მთის ქიმზე. ციხის მიმდებარე ტერიტორია ზოგადად მთავორიანია, ხოლო თავად ციხე აშენებულია ფართობით პატარა, თუმცა მეტად ციცაბოკალთებიან გორაკზე (სურ. 40). ციხის ტერიტორიას დაახ. 200 მეტრის მანძილზე ჩრდილოეთის მხრიდან პატარა მდინარე შებე ჩამოუდის, ხოლო სამხრეთის მხრიდან – ასევე მომცრო ზომის მდინარე ცენდირი.

ციხე ძლიერ არის დანგრეული, თუმცა მისი გეგმარება მაინც იკითხება – მისი გალავნები მთის ქედის კიდეს მიჰყვება და მის ფორმებს იმეორებს, ანუ წაგრძელებულია დას.-აღმ. ხაზზე. ციხის შიდა ტერიტორია სამ ნაწილადაა დაყოფილი: სამ-

ხრეთი ნაწილი გალავნით შემოსაზღვრული ტერიტორიაა, რომლის აღმოსავლეთი კედელი წრიული მოხაზულობისაა, ხოლო სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები ოდნავი მომრგვალებით დასავლეთით მიემართება.



**40. კურზუს ციხის საერთო ხედი დასავლეთიდან**


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხის სამხრეთი გალავანი თითქმის სრულად არის ჩაქცეული და შემორჩენილია მხოლოდ 30-40 სმ სიმაღლის ამობურცული ხაზი, რომელიც, სავარაუდოდ, გალავნის ნაშთი უნდა იყოს. დანარჩენი კედლები 1-3 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, კედლის სისქე 1.10 მ-ია. ციხის ამ ნაწილის დაახლოებითი ზომებია 10 მ (სამხ.-ჩრდ.) X 15 მ (დას.-აღმ.).

ციხის ზემოთ აღნერილი აღმოსავლეთის მონაკვეთი დასავლეთით უერთდება ოთხკუთხა კოშკს, რომლის უმეტესი ნაწილიც დანგრეულია მიწის დონეზე და შესაბამისად, მისი ზუსტი ზომების დადგენა ჭირს. კოშკის სავარაუდო ზომებია 7.60 მ X 7.80 მ. კედლების სისქე 1.50 მ-ია.

საინტერესოა, რომ კოშკს დასავლეთით ებჯინება კიდევ ერთი ნახევარწრიული მოხაზულობის კოშკი, რომლის მხოლოდ აღმოსავლეთი გალავანია შემორჩენილი 4 მეტრის სიმაღლეზე. დანარჩენი კედლები კი მხოლოდ წრიული ფორმის ნანგრევების სახით არის ნარმოდგენილი (სურ. 41). აღსანიშნავია, რომ ციხის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარე ნახევარწრიული კოშკის აღმოსავლეთი კედელი და მის აღმოსავლეთით მდგარი ოთხკუთხა კოშკის დასავლეთი კედელი ერთმანეთისგან 40 სმ-ითაა დაცილებული. ძნელი დასადგენია, რას ემსახურებოდა კოშკებს შორის დატოვებული სივრცე და რატომ არ მიაშენეს ეს ორი კოშკი პირდაპირ ერთმანეთს.

ამ ორი კედლის ჩრდილოეთ დაბოლოებიდან გამოდის კიდევ ერთი კედელი (სისქე 1.50 მ) და ჩრდილო-დასავლეთით მიემართება. აღნიშნული კედელი მხოლოდ 1.60 მ სიგრძეზეა შემორჩენილი და შემდგომ მიწაში იკარგება – სავარაუდოდ, მისი

დანარჩენი ნაწილი დროთა განმავლობაში ფერდობში ჩაიქცა. ამ კედელს ჭრილის შუა ნაწილში აქვს ოთხკუთხა ფოსო (20 სმ X 28 სმ), რომელიც კედლის სიღრმეში 1.20 მ-ზე შედის – სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ან ციხის შიდა ტერიტორიიდან გარეთ გამოსადენი წყლის არხი, ან ციხეში ჩრდილოეთის მხრიდან შესასვლელი ჭიშკრის ჩამკეტი ძელის ჩასასმელი ფოსო, რაც გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ციხეს ჩრდილოეთის მხრიდან დამატებით ექნებოდა მინაშენი, რომელიც დღეს სრულად არის დანგრეული და მისგან მხოლოდ ზემოთ აღნერილი კედლის მცირე მონაკვეთია შემორჩენილი.



#### 41. კურზუს ციხის გეგმა

ციხის გალავნები და კოშკები ნაგებია უხეშად გათლილი კირქვით, კირის დუღაბზე, უმეტესად რიგების დაცვით. საინტერესოა, რომ ციხის ჩრდილოეთ გალავანში კირქვის სამშენებლო წყობას დაშენებული აქვს რიყის ქვებით ნაგები რიგები, რაც იმის მანიშნებელია, რომ ციხე გვიანდელ შუა საუკუნეებში აღუდგენიათ. ასევე რიყის ქვებით ნაგები კედლის ნაშთია შემორჩენილი ციხის დასავლეთით – როგორც უკვე აღინიშნა, ციხე მცირე ფართობის, მაგრამ საკმაოდ მაღალ ბორცვზე დგას, რომელიც, თავის მხრივ, დას.-აღმ. ორიენტაციის მთის ქიმზე მდებარეობს, რომლის გაყოლებაზეც, დაახ. 100 მეტრის სიგრძეზე, მიწის დონიდან 20 სმ სიმაღლეზე იკვეთება 1 მ სისქის სწორხაზოვანი კედლის კვალი. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ეს კედელი ეშვება ფერდობზე, სოფლისკენ, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, თუმცა ზედაპირული დაზვერვებით ამ კედლის გაგრძელებას ვერ მივაკვლიეთ.

ციხის მდებარეობის, გეგმარებისა და სამშენებლო ტექნიკის ანალიზი გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ ის ეგრისის სამეფოს არსებობის პერიოდში (IV-VI სს.) უნდა იყოს აშენებული. ამ მოსაზრებას ამყარებს ციხის გარშემო გამოვლენილი ხელოვნური თავდაცვითი თხრილი, რომელიც ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეებისთვის არის სახასიათო. თხრილი ციხის გალავნებს დასავლეთ, სამხრეთ

და აღმოსავლეთ მხრიდან უვლის გარს. ის 5 მ-მდე სიგანის და 1.5 მ-მდე სიღრმი-საა, თუმცა საფიქრებელია, რომ საუკუნეთა მანძილზე თხრილი ჩამონაშალი მიწით შეივსებოდა და შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე ის უფრო განიერი და ლრმა იქნებოდა.

ჩვენი აზრით, კურზუს ციხე ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვითი ხაზის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი პუნქტი იყო და სავარაუდოდ, იმ გზას აკონტროლებდა, რომელიც ეგრისის ცენტრალურ მონაკვეთს (დღ. ხონისა და მარტვილის რაიონები) სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებთან (დღ. ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და გალის რაიონები) აკავშირებდა. ციხის აღმოსავლეთით 500 მეტრში გადის გზა, რომელიც ჩხოროწყუს რაიონის ჩრდილო მონაკვეთიდან (ოცინდალესა და ნაფიჩხოვოს ციხეები) მოემართება და კურზუს ციხის გავლით გადის აღმოსავლეთისკენ, ჯერ მარტვილის (თამაკონის, აბედათისა და ხუნის ციხეები) და შემდეგ ხონის (დიდლვაბუნისა და ნამაშევის ციხეები) რაიონისაკენ. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ კურზუს ციხეს აღნიშნული გზის ვიზუალურ კონტროლზე და, საჭიროების შემთხვევაში, გზის კონკრეტული მონაკვეთის უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ციხიდან ჩრდილოეთით კარგად მოჩანს 2.5 კმ-ში მდებარე ნაფიჩხოვოს ციხე, ჩრდილო-დასავლეთით კი – 7 კმ-ში მდებარე ოცინდალეს ციხე. ხოლო სამხრეთით შესაძლებელია ვრცელი ტერიტორიების დაზვერვა ვიდრე თამაკონის ციხემდე, რომელიც კურზუდან 13 კმ-ით არის დაცილებული. შესაბამისად, კურზუს ციხის სამხრეთით შემჩნეული მტრის მოძრაობის შესახებ ციხის გუშაგები ინფორმაციას ცეცხლის ან კვამლის მეშვეობით გადასცემდნენ როგორც ნაფიჩხოვოს, ისე ოცინდალეს ციხის მიმართულებით.

## ოცინდალე


ციხე მდებარეობს ჩხოროწყუს რაიონში, სოფ. თაიის ჩრდილოეთ დაბოლოებაზე, მიგარის მთიანი მასივის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე (GPS კოორდინატები: N42 37.461 E42 12.919. სიმაღლე: 661 მ.).

ციხე აგებულია საკმაოდ მაღალი, 300 მეტრის სიმაღლის მთის წვერზე. ჩრდილოეთ მხრიდან ციხის ტერიტორიას მაღალი მთები ესაზღვრება, ხოლო მისგან ჩრდილო-დასავლეთით მთის მასივი 1.3 კმ-ზე გრძელდება და შემდეგ ეშვება დასავლეთისკენ ფერდობით, რომლის სიგრძე 2 კმ-ია. ციხეზე მოხვედრა დღეისათვის მხოლოდ სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან არის შესაძლებელი, საიდანაც მთის წვერს ციცაბო კალთები ესაზღვრება და მთის ძირიდან მის წვერამდე ასასვლელად 3 კმ-ის გავლაა საჭირო.

მთის პლატოზე მოხვედრის შემდეგ, ციხესთან მიახლოება ყველა მხრიდან შეიძლება, გარდა სამხრეთისა. ამ მხარეს ციხის გალავნები უშუალოდ ციცაბო ფერდობის პირას დგას.

ციხე საკმაოდ დიდი ზომისაა (35 მ (სამხ.-ჩრდ.) X 65 მ (დას.-აღმ.)) და რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: გალავნები, სამი თავდაცვითი კოშკი, ეკლესია და ერთი საცხოვრებელი კოშკი (სურ. 42).

გალავნები ერთგვარად იმეორებს მთის ქიმის კონტურებს და შესაბამისად, გეგმაში არაერთგვაროვანი ფორმა აქვს (სურ. 43). ციხეს მთავარი შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან უნდა ჰქონოდა. ამ მხარეს დღეს 2 მეტრის სიმაღლეზე შემორჩენილია მართკუთხა კოშკის ნაშთი. მისი გარე ზომებია 7.30 მ (სამხ.-ჩრდ.) X 8.60 მ. (დას.-აღმ.), შიდა – 5.70 მ X 6.30 მ, კედლის სისქე – 1 მ. კოშკის ჩრდილოეთ კედელში შემორჩენილია 1.90 სიგანის ღიობის კვალი, რომელიც, სავარაუდოდ, კოშკის პირველ სართულზე შესასვლელი იყო. კოშკს კიდევ ერთი 1.20 მ. სიგანის გასასვლელი დასავლეთ კედელშიც ჰქონდა ჩატანებული, რომელიც კოშკს ციხის შიდა ტერიტორიასთან აკავშირებდა. კოშკს აღმოსავლეთის (ციხის გარეთა) მხრიდან მინაშენი ჰქონია, რომელიც დღეს მიწის დონეზეა დანგრეული და ძლივს იკითხება. ის 3.60 მ-ით არის გამოწეული კოშკიდან და 6.30 მ. სიგრძისაა. გამომდინარე იქიდან, რომ ის საძირკვლის დონეზედა შემორჩა, ძნელი დასადგენია, საიდან ჰქონდა ამ მინაშენს შესასვლელი. ფაქტი ერთია: ის კოშკს გარედან ებჯინება და ციხეში მოხვედრის მსურველს (სტუმარს ან/და მტერს) პირველ რიგში სწორედ ამ მინაშენის გავლა მოუწევდა.



42. ოცინდალეს ციხის გეგმა

აღნიშნული კოშკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან დასავლეთით 2.60 მ-ში მდებარეობს კიდევ ერთი კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ამ ორ კოშკს შორის დამაკავშირებელი კედელი. სავარაუდოა, რომ იყო, თუმცა დღეისათვის იქ კედლის არსებობის რამე დამადასტურებელი კვალი შემორჩენილი არ არის. ეს კოშკი ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის დამცავი ფორმოსტია. მისი გარე ზომებია 7.20 მ (სამხ.-ჩრდ.) X 8.20 მ (დას.-აღმ.), კედლების სისქე: 1.15 მ. სამწუხაროდ, კოშკი ძლიერ არის დაზიანებული (ნაწილობრივ ჩაქცეულია მისი სამხრეთი კედელი, დანარჩენი კედლები კი მხოლოდ მიწის დონეზეა შემორჩენილი) და მისი შიდა ზომები არ დგინდება. ამ კოშკის დასავლეთი კედლის შუა ნაწილიდან იმავე მიმართულებით გადის კიდევ ერთი კედელი, 4 მეტ-

რის გავლის შემდეგ ის 90°-ით უხვევს სამხრეთისკენ, 4.50 მ-ის შემდეგ კი კვლავ დასავლეთისკენ უხვევს და 5.70 მ-ში უერთდება კიდევ ერთი კოშკის აღმოსავლეთ კედლის შუა მონაკვეთს.



**43. აერო-ფოტო. ოცინდალეს ციხე. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან**

ეს კოშკი კვადრატული ფორმისაა ( $7.70 \text{ მ} \times 7.70 \text{ მ}$ ) და წინა კოშკის მსგავსად ძლიერ არის დანგრეული. მისი ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლების ნაწილი მინის დონეზეა შემორჩენილი, ხოლო სამხრეთი და დასავლეთი კედლები – 2-3 მეტრის სიმაღლეზე. კოშკის კედლები  $1.15 \text{ მ}$  სისქისაა. ეს კოშკი ციხის უკიდურესი სამხრეთი ნაგებობა იყო, რომელიც, გამომდინარე იქიდან, რომ ციცაბო ფერდობის პირას დგას, უპირველეს ყოვლისა, სათვალთვალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო, თუმცა თუ მოიერიშები ციხის სამხრეთის მხრიდან შემოვლას მოახერხებდნენ, ეს კოშკი თავდაცვით ფუნქციასაც შეასრულებდა.

ციხის სამხრეთი კოშკის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით გალავანი მიემართებოდა. დღეისათვის ციხის ამ მონაკვეთში კედლი სრულად არის დანგრეული, თუმცა შემორჩენილია მინაზე ერთ სწორ ხაზად გამავალი ნანგრევების ნაშთი ( $20 \text{ სმ}$  სიმაღლის, დაახ.  $1.15 \text{ მ}$  სისქის), რომელიც სწორედაც რომ გალავნის საძირკვლის ნაშთი უნდა იყოს. ეს ნანგრევები ჩრდილო-დასავლეთით  $17.5 \text{ მ-ზე}$  გრძელდება და უერთდება ორი კედლის კუთხეს. ერთი მათგანი ციხის სამხრეთი გალავნის უკიდურესი დასავლეთი მონაკვეთია, ხოლო მეორე, სამხრეთი გალავნის პერპენდიკულარულად, ციხის შიდა ტერიტორიისკენ მიემართება და როგორც ჩანს, ციხის დასავლეთ მონაკვეთს მისი სხვა ნაწილების-გან გამოყოფდა. აღნიშნული კედელი სულ რაღაც  $4.80 \text{ მეტრზე}$  გრძელდება და შემდეგ მიწაში იკარგება. რაც შეეხება ციხის სამხრეთი გალავნის დასავლეთ მონაკვეთს, ის სიგრძით  $6.30 \text{ მეტრია}$  და დასავლეთ დაბოლოებაზე პერპენდიკულა-

რულად უერთდება ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდგარი კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის სამხრეთ დაპოლოებას. ეს კოშკი კვადრატული ფორმისაა (7.40 მ X 7.40 მ). კოშკის კედლები 1 მ სისქისაა. ის გალავანშია ჩაშენებული და მისი გარეთა (სამხ.-დას. და ჩრდ.-დას.) კედლები ციხის გალავნის როლს ასრულებს. კოშკს შესასვლელი ციხის შიდა მხრიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში ჰქონდა გაჭრილი (სიგანე 1.35 მ.). კარის თავზე გამართულია თაღი, რომელიც ერთი, დიდი ზომის ნახევარწრიულ ფორმაზე გამოთლილი ქვით არის შევსებული. კოშკი თითქმის სრულად არის შემორჩენილი, მისი სიმაღლე 7 მეტრს აღწევს (სურ. 44).



**44. ოცინდალეს ციხის დასავლეთ კოშკი. ხედი აღმოსავლეთიდან**

შიგნიდან ის ერთსართულიანია და თაღოვანი გადახურვა აქვს. ინტერიერის კედლებში გაჭრილია ნიშები. აღნიშნული კოშკი ზემოთ განხილულ გალავნებისა და სამი კოშკისგან განსხვავებული ქრონოლოგიისაა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მისი სამშენებლო ტექნიკა – ის ნაგებია კირქვის სხვადასხვა ზომის ქვებით, რიგების დაცვის გარეშე. ამ კოშკის განსხვავებული სამშენებლო ტექნიკა და საცხოვრებელი მახასიათებლები (ნიშები, თაღოვანი გადახურვა) გვაფიქრებინებს, რომ ის ოცინდალეს ციხის საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილი არ არის და შესაბამისად, თავდაცვითი დანიშნულებისა არც იყო. სავარაუდოდ, ის ციხის შუაში მდგარი XI საუკუნით დათარიღებული ეკლესიის მოძღვრის საცხოვრებლის ფუნქციას ასრულებდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ კოშკის აშენების ხანა ბევრად გვიანდელია ციხის სხვა ნაწილების ქრონოლოგიასთან (IV-VI სს) შედარებით, საფიქრებელია, რომ მის ადგილას თავდაპირველად სწორედ თავდაცვითი დანიშნულების კოშკი იდგებოდა, რომელიც ციხესთან საკმაოდ ადვილად მისადგომ დასავლეთ ტერიტორიებს გააკონტროლებდა და დაიცავდა, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია და არქეოლოგიური გათხრების ჩატარების გარეშე გადაჭრით რამის მტკიცება შეუძლებელია.

ციხის დასავლეთ კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლიდან იწყება კიდევ ერთი გალავნის ხაზი, რომელიც ამავე მიმართულებით გრძელდება 20 მეტრის სიგრძეზე, შემდეგ მომრგვალებული კუთხით უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და სწორ ხაზად მიემართება 28 მეტრის სიგრძეზე. ამის შემდეგ გალავნის კვალი მინაში იკარგება. აღნიშნული გალავნის შემორჩენილ უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილსა და ციხის აღმოსავლეთ კოშკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს შორის მანძილი ჩრდ.-დას. – სამხ.-აღმ. ხაზზე 18.50 მ-ია. ამ მონაცემთში გალავნის კვალი არ ჩანს, თუმცა ციხის საერთო გეგმიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ჩრდილოეთის გალავნის აღმოსავლეთი კიდე და ციხის აღმოსავლეთ კოშკი ერთმანეთთან წრიული ფორმის გალავნით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხის მთავარი, აღმოსავლეთ კოშკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხიდან დასავლეთის მიმართულებით გამოდის 2.5 მ სიგრძის კედელი, რომელიც 90°-ით უხვევს ჩრდილოეთით, 3.20 მ-ის გავლის შემდეგ ისევ 90°-ით უხვევს აღმოსავლეთით, საითაც გრძელდება 4.70 მ-ზე და 90°-ით უხვევს ჩრდილოეთით – ეს უკანასკნელი ხაზი 3 მეტრზე გრძელდება და შემდეგ მინაში იკარგება. სწორედ ეს კედელი უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ციხის ჩრდილოეთი გალავნის დასავლეთ კიდესთან. ამ ორ წერტილს შორის მანძილი 15 მ-ია (სურ. 42).

ოცინდალეს ციხეს, აღმოსავლეთ კოშკში ჩატანებული შესასვლელის გარდა, შესაძლოა, კიდევ ერთი კარი დასავლეთ გალავანშიც ჰქონიდა გაჭრილი – ამის თქმის საფუძველს გვაძლევს დასავლეთი კოშკის ჩრდილოეთით გამავალ გალავანში არსებული 3 მ სიგანის გამონგრეული ღიობი, რომელიც, შესაძლოა, თავის დროზე ჭიშკრის ან მცირე კარის ფუნქციას ასრულებდა და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაფართოვდა.

ოცინდალეს ციხის კომპლექსის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია ციხის შუაში მდგარი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ტაძარი დარბაზზული ტიპის ნაგებობაა გარე ოთხკუთხედში მოქცეული ნახევარნიული აფსიდით. ეკლესიას დასავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს კარიბჭე, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან „სტოა“. ტაძარს სამი შესასვლელი აქვს – სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. კედლებში ჩატანებულია სარკმლები: ორი – სამხრეთის ფასადზე, თითო-თითო – დასავლეთითა და აღმოსავლეთით. ეკლესია ნაგებია კარგად გათლილი კირქვით კირის დუღაბზე, საკურთხევლის პერანგისათვის გამოყენებული შირიმის ქვაც. ტაძრის საერთო სიგრძე 14.70 მ-ია, სიგანე – 7.20 მ. „სტოას“ სიგრძე 9.80 მ-ს აღნევს, სიგანე – 4.30 მ-ს. ჭიშკარი 5.70 მ სიგანისაა და ტაძრის ძირითადი ნაწილი-დან 3.25 მ-ითა გამოწეული.

ტაძრის შესახებ პირველი ინფორმაცია მოცემულია 1887 წელს გამოცემულ გაზეთ „მწყემშში“, სადაც ავტორი, სამსონ თოდუა, წერს, რომ მას ეკლესის მახლობლად უნახავს ქვა წარნერით: „ეკლესია ესე განვაახლე მე ღვთისმოსავმა თამარ დედოფალმა“ (თოდუა 1887: 7-8) სამწუხაროდ, დღეისათვის ეს ქვა დაკარგულია. თუკი დავუშვებთ ამ წარნერის არსებობას, შესაძლოა, აქ საქმე გვქონდეს დადიანების დინასტიის რომელიმე მთავრის მეუღლესთან. ასეთი კი ისტორიულ წყაროებში სულ სამია ცნობილი: 1. ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) მეუღლე, აფხაზი მთავრის სეტემან შერვაშიძის ასული თანური, იგივე თამუნია, ანუ თამარი, რომელიც დადიანს დაახლოებით 1621 წლისთვის უნდა მოეყვანა ცოლად (ნარკვევები, IV, 1973: 302),

თუმცა დალატის ბრალდებით მან თამუნიას დაახლოებით 1626 წელს ცხვირი მოაჭრა და მამამისს მიუპრუნა (ლამბერტი 1937: 16). 2. სკანდალურად ცნობილი თამარ დედოფალი, რომელიც სამეგრელოს მთავარ ლევან III დადიანის (1661-1681) ცოლი იყო. იმერეთის მეფე ბაგრატ IV უსინათლომ 1661 წელს მოყვანილი თამარი დადიანს 1663 წელს ნაართვა და ცოლად შეირთო და მხოლოდ 1678 წელს დაუბრუნეს ის დადიანს, თუმცა მხოლოდ ერთი წლით – მომდევნო წელს ბაგრატმა ხელახლა წაართვა ცოლი ლევან III-ს (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 836, 837, 843). 3. დასავლეთ საქართველოს იმ დროისათვის ერთ-ერთი უძლიერესი თავადის გიორგი-მალაქია აბაშიძის ასული თამარი, რომელიც 1701 წლიდან ოდიშის მთავრის გიორგი IV დადიანის (1691-1715 წწ.) მეუღლე იყო და მოიხსენიებოდა, როგორც „ოდიშისა და იმერეთის დედოფალი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 861). საფიქრებელია, რომ, თუ აღნიშნულ წარწერაზე ამ სამი დედოფლიდან ერთ-ერთია მოხსენიებული, ეს ლევან II დადიანის მეუღლე თამუნია უნდა იყოს. ლევან II-ის მთავრობისას სამეგრელოში არაერთ მნიშვნელოვან საქმეს ჩაეყარა საფუძველი – დაარსდა ციხე-ქალაქი რუხი, გაძლიერდა ვაჭრობა, ზუგდიდში დაარსდა ზარაფხანა. ლევან II დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურასაც: მისი ინიციატივით გადაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, მანვე გამოისყიდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ვალები და გამოყო თანხები ტაძრის რესტავრაციისთვის. მის დროს სამთავროში პოლიტიკური მდგომარეობაც დასტატაბილურდა – მოწესრიგდა ურთიერთობა ოსმალეთთან და სპარსეთთან, ოდიში იქცა ყველაზე ძლიერ სამთავროდ მთელ დასავლეთ საქართველოში (ნარკვევები, IV, 1973: 341). ყოველივე ამის ფონზე ლევან II-ის მთავრობის დროს ყველა პირობა არსებობდა სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების აღდგენისათვის, შესაბამისად, ოცინდალეს წმ. გიორგის ეკლესის აღდგენაც უპირველესად სწორედ ამ პერიოდშია სავარაუდო. ხოლო დანარჩენი ორი თამარის პერიოდში სამეგრელოშიც და მთელ დასავლეთ საქართველოშიც მეტად არასტაბილური და შეჭირვებული მდგომარეობა იყო და შესაბამისად, ეკლესის აღსადგენად იმ პერიოდში დრო, სურვილი და ფინანსური სახსრები ნაკლებად იქნებოდა. აქვე უნდა მოვიყვანოთ ლევან II დადიანის მეუღლე დედოფალ თამარის არქანჯელო ლამბერტისგან დატოვებული დახასიათება: „ეს ქალი იყო ბუნებით ლამაზი და სავსე ყველა სათხოებითა, რომელიც შეეფერებოდა მის გვარის ქალს: ქარგვაში, წერა-კითხვაში, გულუხვობაში და ზრდილობაში მას ტოლი არ ჰყავდა“ (ლამბერტი 1937: 22-23). დედოფლის ასეთი დახასიათება მეტად ესადაგება ეკლესიასთან აღმოჩენილ ქვაზე ამოკვეთილი წარწერის შინაარსს – „ეკლესია ესე განვაახლე მე ღვთისმოსავმა თამარ დედოფალმა“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ოცინდალეს წმ. გიორგის ეკლესია 1621-1626 წლებში უნდა აღდგინათ.

ტაძარს მრავალჯერადი აღდგენა-გადაკეთების კვალი ატყვია, ამაზე მეტყველებს სხვადასხვაგვარი წყობები, ასევე ერთ შემთხვევაში ორნამენტირებული ქვას სხვა ადგილას არის ჩასმული უბრალო საშენ მასალად. XX საუკუნეში ტაძარი უკვე ძლიერ იყო დაზიანებული – ჩაქცეული იყო სახურავი და მორღვეული იყო ფასადის პერანგები (ქებურია 1989: 15).

1987-89 წლებში ძეგლთა დაცვის სამმართველოს სპეციალურმა სამეცნიერო-სარესტავრაციო გაერთიანებამ ოცინდალეს ძლიერ დაზიანებულ ეკლესიაზე სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა. შედეგად აღდგა ფასადები, „სტოა“, რეს-

ტავრაცია ჩაუტარდა სამხრეთი ფასადის მორთულობებსაც, თუმცა, სამწუხაროდ, ამ სამუშაოების ნაჩქარევად შესრულების გამო ძეგლის თავდაპირველი სახე საგრძნობლად შეიცვალა. ამავე წლებში აღადგინეს ციხის დასავლეთი კოშკიც (ქებურია 1989: 13-18).

მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის მინის ზემოთ შემორჩენილი ნაწილები, ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე, XI ს.-ით არის დათარიღებული, საფიქრებელია, რომ ოცინდალეს ციხის აშენებისას (IV-VI), მისი მნიშვნელობიდან და ზომებიდან გამომდინარე, იქ აუცილებლად ააგებდნენ ტაძარსაც – ასეთი პრაქტიკა IV-VI სს.-ის ეგრისის სამეფოს ციხე-ქალაქებისათვის უცხო ნამდვილად არ არის, მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აპედათის, კოტიანეთის, შეეფისა და სხვა ციხეები (ზაქარაია... 1991: 135, 137, 147). აქვე უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილი ციხეების ეკლესიები თავად ციხის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ კიდევ მრავალი საუკუნის მანძილზე მოქმედებდა.


ოცინდალეს ციხის შესახებ ისტორიულ წყაროებში ინფორმაცია არ არის დაცული. შესაბამისად, ძეგლის ქრონოლოგის დასადგენად გადამწყვეტია მისი მშენებლობის ტიპის განსაზღვრა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკლესია XI ს.-შია აგებული და შემდგომშიც არაერთხელ აღდგენილა და გადაკეთებულა. გვიანდელი, სავარაუდო, XVII ს.-ისა უნდა იყოს ეკლესიაზე მიშენებული „სტოა“ და ციხის დასავლეთი კოშკი, რომლებიც ერთი სამშენებლო ტექნიკითაა ნაგები, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ „სტოა“ მინის დონეზე იყო დანგრეული და ის მხოლოდ 1987-89 წლებში აღადგინეს, შესაძლოა, მისი და კოშკის მსგავსება რესტავრაციის შედეგი იყოს. ფაქტი ერთია: ციხის აღუდგენებული ნაწილები – გალავნები და ორი კოშკი ეკლესიისგან, „სტოასა“ და დასავლეთ კოშკისგან სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდება. სამწუხაროდ, ციხის აღმოსავლეთ და სამხრეთ კოშკების მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი 2-3 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ჩრდილოეთ გალავანს საფასადე წყობა სრულად აქვს მორღვეული. კოშკების შემორჩენილი ნაწილები ნაგებია დიდი ზომის (20 სმ X 30 სმ, 40 სმ X 60 სმ, 50 სმ X 100 სმ.) უხეშად გათლილი კირქვის კვადრებით, კირის დუღაბზე, უმტესად რიგების დაცვით, თუმცა აქა-იქ შეიმჩნევა დარღვეული რიგების პატარა ქვებით გასწორების ტენდენციაც (სურ. 45).

ოცინდალეს ციხის კოშკების სამშენებლო ტექნიკა ძლიერ ჰგავს ნოქალაქევის ნაქალაქარის VI ს.-ის კვადროვანი გალავნის საპირე წყობებს, ასევე კოტიანეთი-სა და ეკის ციხეების კოშკების მშენებლობის ტექნიკას (ლომიტაშვილი 2003: 212, 217), რაც, ვფიქრობთ, ნათელი დადასტურება იმისა, რომ ციხის საფორტიფიკაციო სეგმენტი (კოშკები და გალავნები) სწორედ IV-VI სს.-შია შექმნილი და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოცინდალეს კოშკები თავის სამშენებლო ტექნიკით ყველაზე დიდ მსგავსებას ნოქალაქევის ნაქალაქარის VI ს.-ით დათარიღებულ კვადროვან გალავანთან ავლენს (ზაქარაია... 1991: 50), შესაძლოა, ოცინდალეს ციხის თარიღიც ამ პერიოდით განისაზღვროს.

ოცინდალეს ციხის აგების თარიღის (IV-VI სს.) დადგენა საშუალებას იძლევა, უკეთ გავაანალიზოთ ამ ციხის ადგილი და როლი ეგრისის სამეფოს ერთიან თავ-დაცვით სისტემაში. როგორც უკვე აღინიშნა, ციხე სოფ. თაიაში მდებარე მთიანი მასივის ერთ-ერთ მაღალ მწვერვალზეა აგებული, ასე რომ ციხემდე მისვლა მტრი-

სათვის მეტად რთული იქნებოდა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ოცინდალეს ციხე ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ჩრდილო-დასავლეთი სექტორის სასიმაგრო ხაზის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო, რომელიც დღევანდელი ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გალისა და ოჩამჩირის რაიონების მთისწინა (ეგრისისა და კოდორის ქედების სამხრეთ-დასავლეთი კალთები) ზოლს მოიცავდა და წარმოდგენილი იყო კურზუს, ნაფიჩხოვოს, ოცინდალეს, სქურის, სათანჯოს, წარჩესა და რეკის ციხეებით. სავარაუდოდ, ამავე ქვესისტემის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტს წარმოადგენდა წებელდის ციხე, რომელიც დღევანდელ გულრიფშის რაიონში მდებარეობს და სტრატეგიულად ეგრისის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციხესიმაგრეს წარმოადგენდა.

ციხისთვის შემაღლებული ადგილის შერჩევა რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას: 1. ციხის კოშებიდან უღრუბლო ამინდში სამხრეთით და დასავლეთით საკმაოდ ვრცელი ტერიტორიების ვიზუალური კონტროლია შესაძლებელი – სამხრეთით თითქმის სრულად მოჩანს დღევანდელი მარტვილისა და ჩხოროწყუს რაიონები, ხოლო დასავლეთით შესაძლებელია თანამედროვე ფოთისა და ოჩამჩირის აკვატორიების დანახვა. 2. ასეთი ვრცელი ხედვის არეალის არსებობა ციხის გუშაგებს საშუალებას მისცემდა, კავშირი ჰქონდათ სხვა ციხეებთანაც და იმავ-დროულად ვიზუალურად გაეკონტროლებინათ საჯარისო შენაერთების მოძრაობა ციხისა და მიმდებარე ტერიტორიების მისადგომებთან. 3. სავარაუდოა, რომ ოცინდალედან შესაძლებელი იქნებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთით 7 კმ-ში მდებარე კურზუს ციხესთან ვიზუალური (კვამლისა და ცეცხლის მეშვეობით) კავშირის დამყარება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ციხეებსა და მათ მდებარეობაზე კომპიუტერულ პროგრამა Google Earth-ში დაკვირვება, სადაც ამ ორ ციხეს შორის რაიმე სახის გეოგრაფიული დაბრკოლება (მთა, გორა, ქედი) არ იკვეთება.



45. ოცინდალეს ციხის სამხრეთ კოშეის საფასადე წყობა

ოცინდალეს ციხის ფუნქციების განსაზღვრისას, მდებარეობისა და ორიენტაციის გარდა, მეტად მნიშვნელოვანია მისი ზომების ანალიზი. ოცინდალე სხვა თანადროულ ციხეებთან შედარებით (მაგ.: კოტიანეთი, ეკი, სორტა) სიდიდით (35 მ X 65 მ) გამოირჩევა და ამით საერთოს ნახულობს შეხვის, კვაუთის, აბედათის, ხუნწისა და სხვა ციხეებთან. მიუხედავად იმისა, რომ ციხე მეტად მაღალ მთაზეა აგებული და იქ მოსახვედრად 3 კმ-იანი ციცაბო ფერდობის ავლაა საჭირო, ვფიქ-რობთ, ოცინდალეს ციხის მთავარ ფუნქციას შორი მანძილების დაზვერვა სულაც არ წარმოადგენდა, ანუ ის მხოლოდ სასიგნალო-საგუშაგო დანიშნულების არ იყო. სწორედ ციხის ზომებიდან და გეგმარებიდან (რელიეფის ფორმებზე მორგებული გალავნები და 4 კოშკი) გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ციხე აგებული იყო იმის გათვლით, რომ მას აუცილებლად მოუწევდა მტრის მოგერიება. რომ არა ეს ფაქტორი, მომარაგების თვალსაზრისით საკმაოდ რთულ ადგილას ამ ზომისა და ასე საგულდაგულოდ დაცულ სიმაგრეს არ ააშენებდნენ, უბრალოდ, მცირე ზომის სასიგნალო ციხის ან თუნდაც კოშკის აშენებით დაკმაყოფილდებოდნენ, როგორებიცაა, მაგალითისათვის, ნასკალუს ან ყურუმულის ციხეები; შესაბამისად, დაზოგავდნენ როგორც დროს, ისე ფინანსებსა და ადამიანურ რესურსებს, რაც ოცინდალეს ციხის მშენებლობაში დაიხარჯა (აქვე გასათვალისწინებელია, რომ ციხის უმეტესი ნაწილი დიდი ზომის კვადრებით არის ნაშენები, რაც ერთიორად დაამძიმებდა სამუშაოებს).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ოცინდალეს ციხე მეტად სტრატეგიულ ადგილას აშენდა და საგუშაგო-სასიგნალო ფუნქციის პარალელურად მას უფრო მნიშვნელოვანი დანიშნულებაც ექნებოდა. ჩვენი აზრით, ოცინდალეს ციხის მთავარი ფუნქცია სამეფოს უსაფრთხოების დაცვა არ უნდა ყოფილიყო. აქ საქმე უნდა გვქონდეს ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი რეგიონის (მხარის) რომელიმე მთავრის რეზიდენციასთან. ამის თქმის საფუძველს შემდეგი გარემოებები გვაძლევს: 1. ციხე აშენებულია მაღალი მთის პლატოზე, რომელიც ყველა მიმართულებიდან რთული მისადგომია და შესაბამისად, იქ საგაჭრო ან თუნდაც სამხედრო-სტრატეგიული გზის არსებობა საეჭვოა. 2. ოცინდალეს მთის ძირში საკმაოდ მოსახერხებელი ბუნებრივი პირობებია (მდ. ხობისწყლისა და მდ. ოჩხომურის პარალელური განიერი ხეობები) გზის არსებობისთვის, შესაბამისად, საფიქრებელია, რომ სამეფოს სხვადასხვა რეგიონის (ამ შემთხვევაში სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის) დამაკავშირებელი გზები სწორედ მთის ძირში გადიოდა – ასეთი გზები დღემდე გამოიყენება სოფელ მუხურს, ლეგაბარეს, თაიასა და ნაფიჩხოვის შორის. 3. IV-VI სს.-ში აქ (ოცინდალეს მთის ძირში) გზის არსებობაზე მიუთითებს ნაფიჩხოვისა და კურზუს ციხეების მდებარეობაც, რომელთა მთავარი დანიშნულებაც მდ. ოჩხომურის ხეობაზე გამავალი გზის კონტროლი უნდა ყოფილიყო. 4. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ოცინდალეს ციხე აშენდა არა უშუალოდ გზის პირას, არამედ ამ გზის ნინ მდებარე მთის წვერზე, საფიქრებელია, რომ ის წარმოადგენდა არა გზის ჩამკეტს, არამედ ზოგადად ამ გზისა და მთლიანად რეგიონის საკონტროლებელ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრს, სადაც, ცხადია, სამეფოს მმართველი ელიტის წარმომადგენელი იჯდებოდა, რომელიც მთავარი გზისგან მოშორებულ, რთულად მისადგომ და კარგად გამაგრებულ ციხესიმაგრები იცხოვრებდა და თან კონტროლს დააწესდა მიმ-

დებარე ტერიტორიებზე. 5. ოცინდალეს ციხის მთავრის რეზიდენციად მოაზრება განპირობებულია მისი ზომებითაც (35 მ X 65 მ) და დაცულობითაც. 6. ოცინდალეს ციხის ჩრდილოეთით არსებული მთის მოსწორებული და საკმაოდ დიდი ფართობის პლატო იქ, სავარაუდოდ, სამოსახლოს არსებობაზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა და ძეგლის არქეოლოგიურ შესწავლამდე ამის დამტკიცება შეუძლებელია.

დღეისათვის ძნელია იმის დაგენა, ვინ უნდა ყოფილიყო ის მთავარი, ვის რეზიდენციასაც ოცინდალეს ციხე წარმოადგენდა. ასევე ძნელი დასადგენია, ემორჩილებიდა თუ არა ის სამეფოს ცენტრალურ ხელისუფლებას და რეგიონში მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო თუ სამეფოს უმაღლესი მესვეურებისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას წარმართავდა და შესაბამისად, მეფისადმი სეპარატისტულად განწყობილ ძალას წარმოადგენდა. ფაქტი ერთია – ოცინდალეს ციხის მეპატრონებლიერი ფეოდალია, რომელიც ან მეფის დაქვემდებარებაში წარმოადგენს ძლიერ დასაყრდენს სამეფოსათვის, ან თუნდაც მეფისგან დამოუკიდებლად არის სამეფოში ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, რომლის ხელშიც მძლავრი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალია თავმოყრილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოცინდალეს ციხე თავისი თანადროული სხვა სიმაგრეებისგან გამორჩეულია არა მხოლოდ მდებარეობით, არამედ მრავალფუნქციური დატვირთვითაც – ციხის მეპატრონე ვიზუალურად აკონტროლებდა ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის უმეტეს წანილს და შავი ზღვის სანაპირო ზოლის მონაკვეთსაც კი, და იმავდროულად კონტროლს აწესებდა ეგრისის ქედის სამხრეთ კალთებზე გამავალი მეტად სტრატეგიული გზის მონაკვეთზე, რომლითაც შესაძლებელი იყო სამეფოს ცენტრალური რაიონებიდან მის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებთან დაკავშირება. დასასრულ, ოცინდალეს ციხის ზომები (35 მ X 65 მ.) და მის გარშემო მდებარე გაშლილი ტერიტორიები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ციხე წარმოადგენდა ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი მთავრის რეზიდენციას და ასევე მის გარშემო საკმაოდ დიდი დასახლებები უნდა ყოფილიყო, რომლებიც მტრის შემოსევის შემთხვევაში სწორედ ციხეს შეაფარებდნენ თავს.

## სტური


სქურის ციხე მდებარეობს წალენჯიხის რაიონში, სოფ. სქურის სამხრეთ-დასავლეთ წანილში, მდინარე ჭანისწყლის მარცხენა სააპიროზე (GPS კოორდინატები: N42 40.604 E42 08.835. სიმაღლე: 412 მ.). მდ. ჭანისწყალი ამ მონაკვეთზე ვინწრო ხეობაში მიედინება. ციხის ასაშენებლად შეურჩევიათ მდინარის მიერ ბუნებრივად წარმოქმნილი წახევარკუნძული, რომელსაც ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მდინარე ეკვრის. ამ „წახევარკუნძულის“ ფართობი დაახ. 40 000 მ<sup>2</sup>-ია. ციხეს ყველაზე აღვილი მისადგომი აღმოსავლეთიდან აქვს.

სქურის ციხე შედგება გალავნისგან და მის შიგნით, ციხის შუა წანილში მდგარი კოშკისაგან (სურ. 46). გალავანი ძლიერ არის დანგრეული – მისი კედლები მხოლოდ 1-2 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, ხოლო დასავლეთ მონაკვეთში

სრულად არის ჩაქცეული მდინარისკენ. გალავნის საპირე წყობები ნაგებია საშუალო ზომის (30-40 სმ) კარგად გათლილი კირქვებით კირის დუღაბზე, მათ შორის კი სხვადასხვა ტიპის ქვებია ჩაყრილი კირთან ერთად. გალავნის სისქე 1.30 მ-დან 1.50 მ-დე მერყეობს.



46. სქურის ციხე. ხედი ჩრდილოეთიდან



47. სქურის ციხის გეგმა

ციხის გალავანს გეგმაში წრიული ფორმა აქვს – მხოლოდ სამხრეთ მონაკვეთია შემოსაზღვრული სწორი გალავნით (სურ. 47). ციხის შიდა ტერიტორიის მაქსიმალური ზომებია: 26 მ (სამხ.-ჩრდ.) X 30 მ (დას.-აღმ.).

როგორც უკვე აღინიშნა, ციხის ეზოს შუა ნაწილში დგას კოშკი, რომელიც ბევრად უკეთ არის შემონახული: მისი შემორჩენილი კედლების სიმაღლე 4-5 მეტრს აღწევს. მეტად საინტერესოა კოშკის საპირე წყობა – ის ნაგებია დიდი ზომის (50-100 სმ) კვადრებით, რიგების დაცვით. ამ რიგებს შორის კი ჰირიზონტალურად ჩატანებულია ბრტყელი და თხელი ფლეთილი ქვები, რაც კოშკის გარეგნულ მხარეს ორიგინალურ და დახვეწილ სახეს აძლევს. ასეთი წყობა გვხვდება ჭაქვინჯის ციხის პირველ სამშენებლო ფენაშიც – ციტადელის აღმოსავლეთ გალავანში. ეს ფაქტი აკად. პ. ზაქარაიას აფიქრებინებს, რომ ჭაქვინჯისა და სქურის ციხეები ერთ პერიოდში (IV-V სს.) უნდა იყოს აშენებული, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ციხე მდ. ჭანისწყლის პირას მდებარეობს და შესაბამისად, მათი საერთო ფუნქცია ამ მდინარეზე გამავალი გზის კონტროლი იქნებოდა (ზაქარაია 1980: 29-30).


სქურის ციხის კოშკი თავისი გეგმარებით გამოირჩევა ეგრისის სამეფოს იმავე პერიოდის სხვა ციხეების კოშკებისგან – მისი სამხრეთ კედელი სწორია, ხოლო მოპირდაპირე (ჩრდილოეთის) ნახევრად წრიული, მათი შემაერთებელი დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლებიც სწორია. კოშკის გარე ზომებია: 12.5 მ (დას.-აღმ.) X 13 მ (სამხ.-ჩრდ.). კედლების სისქე 2 მ-ს აღწევს. კოშკი შემორჩენილია 4-5 მეტრის სიმაღლეზე. მას შესასვლელი მეორე სართულის დონეზე სამხრეთ კედელში ჰქონია გაჭრილი – დღეისათვის შემორჩენილია შესასვლელის მხოლოდ ქვედა მონაკვეთი, დანარჩენი ნაწილები მორღვეულია. კოშკის შიდა სივრცე ამოვსებულია ჩაქცეული კედლებით და შესაბამისად, მის ინტერიერზე დაკვირვება ვერ ხერხდება.

საფიქრებელია, რომ ციხეს ჭიშკარი დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა. საქმე ის არის, რომ ციხის გალავანი მთელ პერიოდებრივზე 0.5-1 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი და ამ მონაკვეთზე არსად შეინიშნება ზღურბლის კვალი. ერთადერთი გამონაკლისია დასავლეთი მონაკვეთი, სადაც გალავანი სრულად არის ჩაქცეული და გამორიცხვის მეთოდით თუ მივუდგებით, საფიქრებელია, რომ ჭიშკარი სწორედ ამ მხრიდან იქნებოდა გაჭრილი. უნდა ითქვას, რომ ჭიშკრის დასავლეთ გალავანში გაჭრა გამართლებული იქნებოდა სტრატეგიული თვალსაზრისითაც – ციხესთან მოხვედრა მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან არის შესაძლებელი. ყველა სხვა მხარეს ციხეს გარს ერტყმის ციცაბო ფერდობები და შესაბამისად, ციხემდევ მიღწევა მოიერიშებს მეტად გაუჭირდებოდა: ციხის ჭიშკარზე მოიერიშებს ჩრდილო გალავნის გასწვრივ გავლა მოუწევდათ და გალავნის კედლებიდან ციხის დამცველები ჭიშკრისკენ მიმავალ მოიერიშებს მშვილდ-ისრებითა და სხვა სასროლი იარაღით დიდ ზიანს მიაყენებდნენ.

სქურის ციხის სამშენებლო ტექნიკა და გეგმარება პირდაპირ მიუთითებს მისი აშენების პერიოდზე და როგორც ზემოთ აღინიშნა, თარიღი ზოგადად V-VI სს.-ით განისაზღვრება. ციხე ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში განსაკუთრებულ სტრატეგიულ როლს რომ თამაშობდა, დასტურდება თავად მისი მდებარეობით – ცხადია, რომ ჭანისწყლის ხეობის ბოლოში მისი აშენება ხეობიდან მომავალი საფრთხისგან დაცვით იყო განპირობებული (სურ. 48).

ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ ეს შესაძლოა ყოფილიყო სვანეთი და სვანები, რომლებსაც ეგრისის სამეფოს მესვეურები IV ს.-ის ბოლომდე და V ს.-ის 70-იანი წლებიდან ვერ აკონტროლებდნენ და შესაბამისად, სვანეთიდან თავ-დასხმის მოლოდინი რეალური იყო. სვანთა გარდა, ამ მხრიდან საფრთხე შესაძლოა წამოსულიყო ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებისგან, რომლებიც კავკასიონის გადმოსასვლელებით და შემდგომ უკვე სვანეთისა და ჭანისწყლის ხეობის გავლით სამეფოს შიდა ტერიტორიებზე მოხვდებოდნენ. აქვე საფიქრებელია, რომ მშვიდობიანობის დროს სქურის ციხეს შესაძლოა საბაჟო-ადმინისტრაციული როლიც შეეთვისებინა და სვანეთიდან ეგრისის ცენტრალური ტერიტორიებისკენ ან უკუმიმართულებით მოძრავი სავაჭრო ქარავნები დაეცვა და გაეკონტროლებინა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ სქურის ციხესთან ჭანისწყლის ხეობიდან გამომავალი გზა ორად იყოფა – ერთი მიემართება მდ. ჭანისწყლის პარალელურად სამხრეთ-დასავლეთისკენ (ამავე გზაზე მდებარეობს ჭაქვინჯის ციხეც). ხოლო მეორე გზა ჩრდილო-დასავლეთით დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიისკენ მიემართება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სვანეთიდან მომავალი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი თუკი სამგზავროდ ჭანისწყლის ხეობას აირჩევდა, ეგრისის ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთებში ისე ვერ მოხვდებოდა, თუ სქურის ციხეს არ გაივლიდა.

საბოლოოდ კი უნდა ითქვას, რომ სქურის ციხე ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვით სექტორში ერთიანდებოდა და მის მთავარი ფუნქცია სწორედ ჭანისწყლის ხეობაზე გამავალი გზის კონტროლი და დაცვა იყო.



**48. Google Earth სურათი – სქურის ციხის მდებარეობა  
მდ. ჭანისწყლის ხეობაში**

## სათანაზო


სათანაზო მთის სახელწოდებაა გალის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც გარს ეკვრის ხუთი სოფელი: ოცარცე, ჭუბურხინჯი, ჭყონხუმლა, დიხაზურგა და პირველი აკვალა. ეს მთა წაგრძელებული ფორმისაა და ორიენტირებულია სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე, მისი სიგრძე დაახ. 5 კმ-ს აღწევს. სწორედ ამ მთის სამხრეთ დაბოლოებაზე, ერთ-ერთ შემაღლებაზე, მდებარეობს ციხე (GPS კოორდინატები: N42°36'15.30", E41°49'45.20". სიმაღლე: 499 მ.), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სათანაზოს ციხის სახელით არის ცნობილი (ზაქარაია... 1991: 156). ციხეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან 2.5 კმ-ში მდ. ენგური ჩამოუდის, ანუ ციხე მდინარის მარჯვენა სანაპიროზე განთავსებული.

ციხეს დასავლეთი მხრიდან პიტალო კალთები ეკვრის, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან ციცაბო ფერდობები, რაც ციხესთან მიახლოებას მეტად ართულებს. გარდა ამისა, როგორც პ. ზაქარაია აღნიშნავს, ციხეს შემოუყვებოდა თავდაცვითი თხრილი, რომელიც სამშენებლო ტექნიკის გარდა, კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ ციხე ეგრისის სამეფოს პერიოდშია აშენებული (ზაქარაია... 1991:158).

ციხის კედლები მთის მომრგვალებული ზედაპირის კონტურს მიუყვება და მთის ფორმას იმეორებს – გალავნები წრიული მოხაზულობისაა, მათი სრული სიგრძე და-ახლოებით 135 მეტრი უნდა ყოფილიყო. ციხის დიამეტრი კი 32-35 მეტრია, ანუ ის გეგმაში თითქმის იდეალურ წრეს უახლოვდება (სურ. 49). გალავნების მხოლოდ ნანილია შემორჩენილი – ჩრდილო-დასავლეთი კედლის დაახ. 15-მეტრიანი მონაკვეთი სრულად დაკარგულია, ასევე არ იკვეთება ციხის აღმოსავლეთი მომრგვალებული კუთხის მონაკვეთი. გალავნები ზოგან 5-7 მ სიმაღლეზეა შერჩენილი, კედლის ძირში მათი სისქე 2 მეტრსაც კი აღწევს. საპირე წყობა ამოყვანილია კარგად გათლილი 30-40 სმ ზომის თეთრი მსხვრევადი კირქვით, უმეტესად დაცულია ჰორიზონტალური რიგებიც. ციხის შიდა ტერიტორია დაფარულია ჩამოშლილი კედლის ფრაგმენტებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ გალავანზე შიდა მხრიდან მიშენებულია ოთხკუთხა კოშკი (დაახ. ზომები: 4 მ X 4 მ), რომელსაც გალავანზე სქელი კედლები აქვს. პ. ზაქარაიას მიხედვით, კოშკს შერჩენილი ჰქონია სამი სართული. ციხეს ოთხივე კედელში ჩატანებული ჰქონია ამბრაზურები, კარი გაჭრილი იყო სამხრეთ-დასავლეთ კედელში.

სათანაზოს ციხეს მეტად ხელსაყრელი მდებარეობა უკავია, იქიდან შესაძლებელია საკმაოდ ვრცელი ტერიტორიების დაზვერვა როგორც ენგურის ხეობის გასწვრივ, ისე სამხრეთით – კოლხეთის დაბლობისაკენ. საინტერესოა, რომ ციხის კოშკიც ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დგას, ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების საკონტროლებლად. როგორც ცნობილია, მდ. ენგურის ხეობაზე გადიოდა სვანეთისა და სამეგრელო-აფხაზეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმთავრესი გზა (ზაქარაია 1980: 28).

სამწუხაროდ, დღემდე ენგურის ხეობის ქვედა წელზე IV-VI საუკუნეების სხვა ციხის ნაშთები მიკვლეული არ არის და შესაბამისად, ძნელი წარმოსადგენია, როგორ ხდებოდა ამ მდინარეზე გამავალი უმნიშვნელოვანესი გზის კონტროლი სა-თანაზოდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, განსაუთრებით კი, იმ მონაკვეთზე, სადაც მდ. ენგური ვიწრო ხეობებიდან გამოდის, დაახლოებით დღევანდელი სოფ. ჯვრის სიახლოვეს.



**49. სათანჯოს ციხის სქემატური გეგმა**

ამ მიდამოებში ციხის არსებობა მით უფროა საგულვებელი, რომ ასეთივე გა-  
მაგრების ხაზია მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. ჭანისწყლისა და მდ. ხო-  
ბისწყლის ხეობებიდან გამოსასვლელებთან, სადაც სქურისა და ოცინდალეს ციხე-  
ები მდებარეობს.

ფაქტია, რომ ისეთ ძნელად მისადგომ ადგილას ციხის აშენების მიზანი, რო-  
გორსაც სათანჯო წარმოადგენს, ვრცელი ტერიტორიების დაზვერვა და სიგნალის  
გადაცემა უნდა ყოფილიყო, თუმცა, რომელ ციხეებს გადასცემდა სიგნალს სათან-  
ჯო, ჩვენთვის უცნობია – იქიდან 15 კმ-ის რადიუსში სხვა, იმავე პერიოდის (IV-VI  
სს.) ციხე ჯერ გამოვლენილი არ არის.

საინტერესოა სიტყვა „სათანჯოს“ ეტიმოლოგია. როგორც ს. მაკალათია აღ-  
ნიშნავს, „სახელწოდება სათანჯო წარმოშობილია ტერმინი „თანჯიდან“, რომელიც  
ნიშნავს სამანს, საზღვრის ნიშანს“ (მაკალათია 1941: 235-236). საინტერესოა, რო-  
მელი ისტორიული რეგიონების საზღვარზე მდებარეობდა სათანჯოს ციხე და რაც  
მთავარია, რომელ პერიოდში შეიძინა ამ მთამ ეს სახელწოდება. სამწუხაროდ, ის-  
ტორიულ წყაროებში არსებული მნირი ინფორმაციის გამო ამ სახელწოდების სე-  
მანტიკის შესახებ დამატებით რამის თქმა გაჭირდება.


## ცარჩი

ციხე მდებარეობს გალის რაიონის სოფ. წარჩეში, სოფელს ორი მხრიდან ჩამო-  
უდის მდინარეები წარჩე და ოქუმი. ციხე განლაგებულია მდ. წარჩეს მარჯვენა სა-  
ნაპიროზე, ერთ-ერთი მაღალი მთის წვერზე.

ციხის კედლები ძლიერ არის დანგრეული და მისი ზუსტი გეგმარება სრულად  
არ იკითხება. ციხის გალავანი მთის წვერის რელიეფს მიჰყვება და გეგმაში არა-

წესიერი ფორმის ელიფსს უახლოვდება. გალავნის სამხრეთის ხაზი მიწის გამოცლის შედეგად ფერდობზეა ჩანგრეული. ასეთივე სურათია აღმოსავლეთით. ყველაზე უკეთ შემორჩენილია ჩრდილოეთის მონაკვეთი, სადაც გალავნის სიმაღლე 7-8 მეტრს აღწევს. ამავე ნაწილში გალავანისთვის, შიდა მხრიდან, ქვის ვიწრო კიბე მიუშენებიათ.

ციხის აღმოსავლეთ და დასავლეთ დაბოლოებებზე შერჩენილია რაღაც ნაგებობების კვალი, თუმცა ორივე ნაგებობა ქვითა და მიწით არის დაფარული და მათი ფორმები კარგად არ იკითხება. დასავლეთი მონაკვეთის ნაგებობა, სავარაუდოდ, ტრაპეციული გეგმის კოშკია, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში ყოფილა წყალსაცავი, რომელიც სრულად არის ამოვსებული (სურ. 50). ციხის სამშენებლო ტექნიკა და გეგმარების ტიპი პ. ზაქარაიას აფიქრებინებს, რომ ის IV-VI სს.-ს უნდა განეკუთვნებოდეს.



50. წარჩეს ციხის სქემატური გეგმა

წარჩეს ციხის მთავარი ფუნქცია, ჩვენი აზრით, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მომდინარე მდ. წარჩესა და მდ. ოქუმის ხეობების გამოსასვლელების ჩაკეტვა და კონტროლი იყო. გარდა ამისა, ციხიდან სამხრეთით საკმაოდ დიდი მანძილის დაზვერვაა შესაძლებელი. სავარაუდოდ, წარჩე ხეობის ჩამკეტ ციხეს წარმოადგენდა, რომელსაც შესაძლოა სიგნალის გადაცემის საშუალებაც ჰქონდა ჩრდილოეთ და/ან სამხრეთ მიმართულებით. თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია და გადაჭრით რამის მტკიცება ძეგლის მონახულებისა და შესწავლის გარეშე ძნელია.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარჩეს ციხის სამხრეთ-დასავლეთით 16 კმ-ში, მდ. ოქუმის შავ ზღვასთან შეერთების ადგილას, მდებარეობს ისტორიული ნაქალაქარი გუდავა-ზიგანეოსი, რომელიც ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სტრატეგიული პუნქტი იყო. ჩვენი აზრით, წარჩეს ციხის კიდევ ერთ და შესაძლოა უმთავრეს ფუნქციას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (კოდორის ქედის გადმოსასვლელებიდან) ზიგანეოსისაკენ მიმავალი გზების ჩაკეტვა წარმოადგენ-

და, მით უმეტეს, რომ წარჩეს ციხისგან ორიოდე კმ-ის მანძილზე მდ. წარჩეს მარჯვენა მხრიდან ერთვის მდ. ოხოჯი, ხოლო შემდგომ ეს ორი გაერთიანებული მდინარე ერთვის მდ. ოქუმს. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ წარჩეს ციხე ამ სამი მდინარის ხეობებიდან გამომავალ გზებს კეტავდა და აკონტროლებდა.

## რეპა

სოფელი რეკა მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში, სოხუმისკენ მიმავალი გზატკეცილის ჩრდილოეთით 10 კმ-ში.

პ. ზაქარაიას ცნობით, სოფელში სამი ციხის ნაშთია შემორჩენილი (ზაქარაია... 1991:159). ერთ-ერთი მათგანი სოფლის ზემოთ, ხეობის დასაწყისში მდებარეობს, თუმცა ძლიერ დანგრეულია და გეგმარება არ იკითხება. მეორე ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მცირე შემაღლებაზე დგას. მისი ტერიტორია მთლიანად ტყით არის დაფარული.



51. რეკას ციხის სქემატური გეგმა

ციხე ისეა დანგრეული, რომ მისი მხოლოდ გეგმარების წაკითხვაა შესაძლებელი – იგი წარმოადგენს სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე წაგრძელებულ ციხეს, უსწორო მოხაზულობით, წაკვეთილი ბოლოებით. სამხრეთ და აღმოსავლეთ გალავნებს მიშენებული აქვს თითო-თითო მცირე ზომის კონტრფორსი. ციხის ეზოში დგას დარბაზული ეკლესია, მისგან ყველაზე უკეთ შემორჩენილია დასავლეთი კედელი, რომელშიც იკითხება კარისა და სარკმლის კვალი, ნაგებია საშუალო ზომის ფლეთილი ქვით. გალავნების გაყოლებაზე კოშკის კვალი არ ჩანს. ორი წაგრძელებული მინაშენის კვალია გალავნების გარეთ – ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით (სურ. 51). პ. ზაქარაია აღნიშნულ ციხეს ადრეული შუა საუკუნეებით ათარიღებს, თუმცა საუკუნეებს არ აკონკრეტებს.

მესამე ციხე კი მკვლევარს IV-VI სს.-ით აქვს დათარიღებული და ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ რგოლად მიიჩნევს (ზაქარაია... 1991:160). ეს ციხე მაღალ მთაზე დგას და საკმაოდ ძნელი მისადგომია. სავარაუდოდ, გეგმაში ოვალური ფორმა უნდა ჰქონოდა. დასავლეთი მონაკვეთში გალავანში ორი მეტრის სიგანის კარია. იქვე მდგარა სწორკუთხა საკურთხევლიანი დარბაზული ეკლესია. საკურთხეველში ერთი სარკმელია გადარჩენილი. იქვე ყრია ორნამენტირებული ქვის ფრაგმენტები. პ. ზაქარაიას მოსაზრებით, ეკლესია XIV ს.-ის უნდა იყოს.

სოფ. რეკაში არსებული ციხეების მონახულების გარეშე მათი ზუსტი ქრონოლოგიისა და დანიშნულების დადგენა ჭირს. თუ პ. ზაქარაიას მონაცემებს დავეყრდნობით, გამოდის, რომ სოფ. რეკაში არსებული სამი ციხიდან ერთი მაინც ეგრისის სამეფოს პერიოდში აშენდა და სამეფოს თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. ამ მოსაზრების გასავრცობად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ციხე სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ თავდაცვით სისტემაში შედიოდა და სავარაუდოდ, სვანეთის ერთ-ერთ გადმოსასვლელ ხეობას აკონტროლებდა და კეტავდა, ისე როგორც წარჩესა და სათანჯოს ციხეები. თუმცა რეკის ციხის ზუსტი კოორდინატების არქონის გამო, არ ხერხდება მისი ლოკალიზება ტოპორუჟებზე და შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომელ ხეობას და რომელი მხრიდან იცავდა ეს ციხე.

## ცებელდა

ციხე მდებარეობს გულრიფშის რაიონის, სოფ წებელდაში, მაღალ და ძნელად მისასვლელ მთაზე.

ციხე ბიზანტიური წერილობითი წყაროების წიბილიუმთან არის გაიგივებული. პროკოპი კესარიელი ასე აღწერს წებელდას: „აფსილები ძეველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომნი არიან, ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლებიც მას წიბილეს უწოდებენ“ (პროკოპი კესარიელი 1965: 162), ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს, 553 წელს, წებელდის აღებას ცდილობს მერმეროეც, თუმცა უშედეგოდ (პროკოპი კესარიელი 1965: 211). ციხეზე არქეოლოგიური კვლევა-ძიებას მრავალწლიანი ისტორია აქვს, რომელიც 1907 წლიდან იწყება, როდესაც აქ პირველი არქეოლოგიური გათხრები არქეოლოგმა ა. მილერმა ჩაატარა (Millet 1909: 71-102). შემდგომ წლებში ძეგლზე არქეოლოგიურ სამუშაოებს ატარებდნენ მ. ივაშჩენკო, ვ. სტრაჯავი, ლ. სოლოვიოვი და ი. გრძელიშვილი, ხოლო 1960 წლიდან წებელდის არქეოლოგიურ გათხრებს სათავეში ჩაუდგა მ. თრაპში. მისი ხელმძღვანელობით ექსპედიციამ ფართომასშტაბიანი გათხრები აწარმოა – შედეგად გამოვლინდა გვიანრომაული და ადრეული შუა საუკუნეების ხანის სამაროვანი, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები და კულტურული ფენები (ლანჩავა 2007: 91, 106).

წებელდის ციხე რთულ რელიეფზეა ნაგები, ციხეს გეგმარებაში ნახევარწრიული ფორმა აქვს, ნაგებია კვადროვანი და იზოდომური წყობით. ზომები: დასავლეთის გალავანი – 60 მ, აღმოსავლეთის – 50 მ, ჩრდილოეთის – 350 მ. სამხრეთის მხრიდან ციხეს კლდის ციცაბო კალთები იფარავს. ციხის დასავლეთი, ყველაზე ადვილად მისადგომი მხარე, ორმაგი კედლითა და სამი კოშკით იყო გამაგრებული.

აქვე იყო გაჭრილი ციხის მთავარი ჭიშკარი. ციხის ტერიტორიაზე გამოვლინდა აბანოს, ტაძრის, ორსართულიანი ნაგებობის, მარნისა და წყალსადენის ნაშთები (Воронов... 1987: 116-135).

ციხეზე გამოვლენილი არქიტექტურა (გალავნების მშენებლობის ტექნიკა, გეგ-მარება, ჭიშკრისა და გალავნების ურთიერთმიმართება) ბევრ საერთოს პოულობს ეგრისში გამოვლენილ დანარჩენ თანადროულ ძეგლებთან (ნოქალაქევი, შორაპანი, ქუთაისი და სხვ.). არქეოლოგების აზრით, წებელდის ციხე IV ს.-ში უნდა აექვენებინათ, იქ გამოვლენილი არქეოლოგიური ფენები კი ზოგადად IV-VII სს.-ით თარიღდება (Воронов 1969: 39). თუმცა საინტერესოა, რომ მოვიანებით ამ მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ციხე VI ს.-შია აგებული ბიზანტიულების მიერ (Воронов... 1987: 116-135) და ის ლაზიკის ერთიანი თავდაცვითი სისტემის ნაწილი არ ყოფილა (Анчабадзе 1964: 207).

გ. მელიქიშვილი, ო. ლანჩავა და მ. ჭუმბურიძე სამართლიანად შენიშნავენ, რომ წებელდის ციხის მხოლოდ აფშილეთის სივრცეში განხილვა არასწორია (Меликишвили 1959: 384; ლანჩავა 2007: 91-92; ჭუმბურიძე 2009: 139-140). უპირველს ყოვლისა, ყურადღებამისაქცევია ზემოთ მოყვანილი წყარო, სადაც აღნიშნულია, რომ აფშილები ძველთაგანვე ლაზების ქვეშვრდომი იყვნენ, გარდა ამისა, წებელდის ციხის აშენების თარიღი (IV ს.) ზუსტად ემთხვევა ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდს და ზოგადად ამ პერიოდში შენდება ან ახლდება ლაზიკის ციხესიმაგრების უმეტესობა და რაც მთავარია, ციხის სამშენებლო ტრადიციები არაერთ ანალოგს პოულობს ეგრისის სამეფოს სხვა ციხეებთან.

წებელდის ციხე ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვითი ხაზის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტს წარმოადგენდა. მისი მთავარი დანიშნულება ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთისაკენ მდ. კოდორის ხეობაზე გამავალი გზის ჩაკეტვა და გაკონტროლება იყო. კოდორის ხეობაზე, წებელდის ციხის მახლობლად, გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც სებასტიოპოლის ქლუხორის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიისთან აკავშირებდა (Анчабадзе 1964: 200). საერთოდაც, უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში სულ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადმოსასვლელი არსებობდა (რიონის, ცხენისწყლის, ჭანისწყლის, ენგურისა და კოდორის ხეობებზე) და ერთ-ერთი მათგანი სწორედ კოდორზე გადიოდა. შესაბამისად, წებელდის ციხეს სწორედ ამ გზის უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა. ცხადია, სავაჭრო გზაზე თავისუფლად შეეძლოთ გადაადგილება ჩრდილოკავკასიელ აგრესიულად განწყობილ ტომებსაც, შესაბამისად, წებელდას ამ გზაზე მოძრავი ვაჭრებიც უნდა დაეცვა ყაჩაღებისაგან და ზოგადად მთელი სამეფო – მომთაბარეთა თავდასხმებისგან.


საინტერესოა, რომ ი. ვორონოვი წებელდის ციხის გარშემო გამოყოფს მის თანადროულ რამდენიმე ციხესიმაგრეს, რომელსაც სებასტიოპოლისიდან წებელდამდე და მის შემდეგ გამავალი გზის უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნათ. ესენია: გერზეულის, შაპკის, ზედა იურევკის, ახისტის, ბატის, ფსკალის, ლატისა და აპუშტის სიმაგრეები. ეს ციხეები (გარდა ლატისა და აპუშტისა) საერთო სამშენებლო მახასიათებლებით გამოირჩევა: მშენებლობაში გამოყენებულია საშუალო ზომის

უხეშად გათლილი კირქვა კირის დუღაბზე, რიგების მეტ-ნაკლები დაცვით, ზოგ შემთხვევაში გეხვდება აგურის თითო რიგებიც (გერზეული, შაპკა), გალავნის სისქები 1-იდან 2 მეტრამდე მერყეობს. ყველა ციხეზე გამოვლენილია ოთხუთხა კოშკები (Воронцов, 1975: 29-39). ასეთი ტიპის ციხეები მრავლად არის გამოვლენილი ეგრისის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე და მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ზოგადად IV-VI სს.-ში თავსდება. რაც შეეხება ლატისა და აპუშტის ციხეებს, აქ მკვლევარს დაუფიქსირებია მოზრდილი კვადრების მშრალი წყობა, რაც საერთო სტანდარტებში არ ჯდება და შესაბამისად, მათი აშენების ქრონოლოგიაც განსხვავებული უნდა იყოს. ამ ორი ციხის საერთო კონტექსტში გააზრებას ეწინააღმდეგებიან ვ. ჯაფარიძეც (ჯაფარიძე 1979: 83) და მ. ჭუმბურიძეც (ჭუმბურიძე 2009: 143-144).

## ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების ევესისატემა

ეგრისის სამეფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თავისი ცენტრალური მონაკვეთის თავდაცვა იყო. ქვეყნის ეს ნაწილი უმეტესწილად დღევანდელი სამეგრელოს რეგიონის საზღვრებში ექცეოდა. მას აღმოსავლეთიდან მდინარე ცხენისწყალი საზღვრავდა, სამხრეთიდან – მდ. რიონი, დასავლეთიდან – შავი ზღვა, ხოლო ჩრდილოეთიდან – მდ. ენგური და ეგრისის ქედი (სურ. 52).

ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთი მთისა და ბარის (სერებად დანაწილებული პლატოსა და კოლხეთის დაბლობის) შესაყარზე მდებარეობდა და მოიცავდა როგორც მთიან მასივებს, ისე გაშლილ ვაკეებს.



52. Google Earth სურათი – ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთი

რეგიონში რელიეფის სამი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: გორაკ-ბორცვები, მდინარეთა ვიწრო და გაგანიერებული ხეობები და დაბლობი (საქართველოს გეოგრაფია 2001: 266-269). ასეთი გეოგრაფიული მრავალფეროვნება ხელსაყრელი იყო როგორც მოსახერხებული თავდაცვითი სისტემის შესაქმნელად, ისე სამოსახლოების გაჩენისათვის. რეგიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით – ხეტყითა და სხვადასხვა სახეობის ქვებით (საშენი მასალა), კერამიკული თიხით, კვარცის ქვიშით, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი მინერალებით (ობსიდანი, გიშერი, ქალცედონი, სარდიონი, აქატი), მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულით. ოქროს მარაგი მოიპოვება მდინარეების ენგურის, ტეხურის, ცხენისწყლისა და რიონის ქვიშებში. რეგიონის ასეთი მდებარეობა და ბუნებრივი რესურსების არსებობა ხელს უწყობდა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ეკონომიკურ და სოციალურ დაწინაურებას და დასახლებათა ხანგრძლივი არსებობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა (ლომიტაშვილი 2003: 3-4; გამყრელიძე 1999: 13). ბუნებრივ რესურსებთან ერთად მხარის დაწინაურებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მიწათმოქმედება, იქ არსებული კლიმატური გარემო კარგ პირობებს ქმნიდა აგრარული მეურნეობის განვითარებისათვის. აქ ნიადაგი კოლხეთის დაბლობთან შედარებით ნაკლებად ნესტიანდება და ჭაობდება, ხოლო საკმარისი ნალექების გამო ხელოვნური მორწყვა საჭირო არ არის. კარგად იყო განვითარებული მეცხოველეობა, მეთევზეობა და ნადირობა (ლომიტაშვილი 2003: 104). რეგიონში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ მდიდარ ოსტეოლოგიურ მასალებში დიდი წილი სწორედ შინაურ (ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი) ცხოველებზე მოდის. ასევე, გათხრებით გამოვლენილია მეთევზეობასთან დაკავშირებული არტეფაქტები – ბადის საწაფები, ანკესები და სათევზე ლანგრები.

მხარის ეკონომიკური დაწინაურება იქ მოსახლეობის კონცენტრაციასაც გულისხმობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე საკმაოდ დაწინაურებული და მჭიდროდ დასახლებული სამოსახლოების არსებობაა დადასტურებული, მაგალითად, ნოქალაქევში, ნოსირში, ოჩხომურში, მუხურჩაში და სხვა ძეგლებზე (გოგაძე 1982; მიქელაძე 1985; აპაკიძე 1991; ჯიბლაძე 1997; ლომიტაშვილი 2003).


აღნიშნულ პერიოდში (ძვ. წ. I ათასწლეული) ამ რეგიონის განვითარების შედეგად მოგვიანებით იქ მცხოვრები ლაზების ტომი მნიშვნელოვნად დაწინაურდა და თავის გარშემო მეზობელი-მონათესავე ტომები მიიერთა, რაც საბოლოო ჯამში ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა, სადაც ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ნაწილობრივ ეკონომიკური ცენტრი სწორედ ცენტრალური ეგრისი იყო. ეს იყო ახლად შექმნილი სამეფოს (დას. საქართველოს) გეოგრაფიული ცენტრი და შესაბამისად, აქვე მდებარეობდა სამეფოს დედაქალაქი – ნოქალაქევი-არქეოპოლისი.

ახლად ჩამოყალიბებულ სამეფოში მისი ცენტრალური მონაკვეთის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაძლიერებული იყო. ეს იყო სამეფოს გეოგრაფიული ცენტრი დედაქალაქით, აქედან თანაბარი წარმატებით შეიძლებოდა სამეფოს ყველა რეგიონის კონტროლი (მაგ., ჩრდ.-დას. აფხაზეთისა და სამხ.-აღმ. იმერეთის). სამეფოს ცენტრი მოშორებული იყო შავი ზღვის სანაპიროს, რაც ეგრისის მესვეურებს საშუალებას აძლევდათ, მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ ჯერ

რომაელებისაგან, ხოლო მოგვიანებით ბიზანტიელებისაგან (ლომოური 1981: 32-33). როგორც უკვე აღინიშნა, რეგიონის დაწინაურებას გარემო პირობებიც უწყობდა ხელს – ნაკლებად ტენიანი და ჭაობიანი ლანდშაფტი და მეცხოველეობა-მესაქონლეობის განვითარების მაღალი დონე. არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო სამეფოს ცენტრალურ ნაწილში გამავალი გზებიც, რომლებიც რეგიონში ვაჭრობის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური და ძველი კარტოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქათ, რომ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან და განსაკუთრებით IV-VI სს.-ში არაერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა: ცენტრალური ეგრისი ერთმანეთთან აკავშირებდა აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის რეგიონებს.

სამეფოს ცენტრალური მონაცემების გამაგრების სისტემის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ხაზი ეგრისის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე გადიოდა. ეს მონაცემები დღევანდელი წალენჯიხის, მარტვილისა და ჩხოროწყუს რაიონებს მოიცავს და ძირითადად რთული, მთიანი რელიეფით ხასიათდება. აქ მდებარე ციხეები სხვადასხვა მაღალი მთის ნერჩე და ხეობებში იყო აშენებული და ჩრდილოეთიდან (სვანეთიდან, ჩრდილო კავკასიოდან) მოსალოდენლი საფრთხის თავიდან ასაცილებლად იყო განკუთვნილი – აღნიშნული ციხესიმაგრეები (კურზუ, ნაფიჩხოვი, ოცინდალე და სქური) ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვით სისტემაში ერთიანდებოდა. აქედან სამხრეთ-დასავლეთით – დღევანდელი მარტვილისა და სენაკის რაიონში – ციხეები უმეტესად უნაგირა მთის სამხრეთ და აღმოსავლეთ კალთებზე განლაგებული და ერთ თავდაცვით ხაზს ქმნის. კიდევ უფრო დასავლეთით, ხობისა და ზუგდიდის რაიონებში მდებარე ციხესიმაგრეები განლაგებულია ამ რაიონში არსებულ, შედარებით მცირე, ურთის მთის კალთებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეგრისის სამეფოს ცენტრალური სექტორის თავდაცვით სისტემაში შემავალი ციხესიმაგრეების უმეტესობა მდინარეების გასწვრივ მდებარეობს, ანუ ციხის ასაგებად ადგილის შერჩევის დროს მთიან რელიეფთან ერთად, აუცილებელი პირობა იყო რომელიმე მდინარესთან მისი სიახლოევე, რაც ერთი მხრივ, წყლის რესურსების აუცილებლობით აიხსნება, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი დიდი მდინარეები, როგორებიც იყო ტეხური, ოჩხომური, ჭანისწყალი და ხობისწყალი, საგზაო არტერიებსაც წარმოადგენდა (სურ. 53).


უნაგირა მთის გამაგრების ხაზი – უნაგირა მთა ეგრისის ქედის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს. მთას წაგრძელებული ფორმა აქვს (სურ. 54). მისი სარული სიგრძე 35 კმ-ს აღწევს, ხოლო სიგანე (ძირიდან ძირამდე) – 2-5 კმ-ს შორის მერყეობს. მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 590 მ-ია. ის მდ. ცხენისწყლის დასავლეთით 8 კმ-ში, ხოლო ქ. მარტვილიდან ჩრდილოეთით 3 კმ-ში იწყება და აღმოსავლეთისაკენ გრძელდება, მცირე დახრილობით სამხრეთისაკენ. 11 კმ-ის გავლის შემდეგ, სოფ. კვაუთათან, მთა მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ და 8 კმ-ის მანძილზე მიემართება სოფ. ნოქალაქევისკენ, სადაც, მთის მასივში, მდ. ტეხურს კალაპოტი აქვს გაჭრილი. აქედან მთა კიდევ უფრო სამხრეთით იხრება და სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით 15 კმ. ქ. სენაკამდე გრძელდება, სადაც დაბა მენჯთან სრულდება კიდეც.



### 53. Google Earth სურათი – ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის სამდინარო არტერიები

უნაგირა მთა ერთგვარ ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენს სამგრელოს მთიან რეგიონში მოსახვედრად. მასზე მრავლად გადის საცალფეხო ბილიკები, თუმცა სავაჭრო ქარავნებისათვის და საჯარისო შენაერთებისათვის ამ მთის ჩრდილო-დასავლეთით მოხვედრა მხოლოდ 3-4 გადასასვლელის მეშვეობით იყო შესაძლებელი. ყველაზე ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, მთის დასაწყისშივე მდებარე მცირე ხეობა, დღევანდელ სოფ. თამაკონთან, საიდანც მარტვილის რაიონის მაღალმთიან სოფლებში მოხვედრაა შესაძლებელი. ეს მონაკვეთი დღემდე რჩება ხონიდან და მარტვილიდან მათგან ჩრდილოეთით მდებარე რეგიონებთან (მარტვილის და ჩხოროწყუს რაიონები) დამაკავშირებელ უმთავრეს სამანქანო გზად. სწორედ სოფ. თამაკონშია გამოვლენილი ციხე, რომელიც თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მოქმედებდა და მისი უმთავრესი დანიშნულება, სწორედ აღნიშნული გზის გადაკეტვა უნდა ყოფილიყო. ბიზანტიური წერილობითი წყაროები, მართალია მწირ, მაგრამ საგულისხმო ცნობებს გვანვდინ ეგრისის სამეფოში გამავალი სხვადასხვა მარშრუტის შესახებ, მაგალითისათვის, პროკოპი კესარიელის ცნობით, ბიზანტია-ირანის ომის დროს, ირანელთა სარდალმა მერმეროებმ მოხირისიდან ილაშქრა აბაზებიაში, წებელდის ციხეზე, თუმცა უშედეგოდ და უკან გამობრუნებული არქეოპოლისს მიადგა, სადაც ასევე ვერ მიაღწია წარმატებას (პროკოპი კესარიელი 1965: 211). ამ ცნობიდან აშკარა ხდება, რომ მერმეროეს იმერეთიდან (მოხირისი) აფხაზეთში ულაშქრია, რა თქმა უნდა სამეგრელოს გავლით, თუმცა ნოქალაქევი-არქეოპოლისთან მხოლოდ უკან მობრუნებული მისულა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის დღევანდელი ხონი-მარტვილი-ჩხოროწყუნალენჯიხა-გალის რაიონების გავლით მოხვდებოდა აფხაზეთში და გაივლიდა შემ-

დეგ ციხესიმაგრებს – ხუნწი, თამაკონი, კურზუ, ნაფიჩხოვო, სათანჯო, წარჩე და რეკა. იგივე მარშრუტი უნდა იყოს დატანილი სავარაუდოდ, IV საუკუნის ანონიმი ავტორის *Tabula Peutingeriana*-ზე, რომლის XI სეგმენტზე მოცემულია ქ. არტა-შატიდან ქ. სებასტოპოლისამდე მიმავალი გზა. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს გზა, ჯავახეთისა და დღევანდელი ბალდათის რაიონის გავლით, მიემართებოდა იმერეთში, შემდეგ სამეგრელოში და იქიდან გადადიოდა აფხაზეთში (მურლულია 2011: 62-64).




**54. Google Earth სურათი – უნაგირა მთის გამაგრების ხაზი**

კიდევ ერთი გადასასვლელი უნაგირა მთაზე თამაკონიდან დასავლეთით 7 კმ-ში მდებარეობს. ეს არის ბუნებრივად შექმნილი ხევი, რომელიც მთას პერპენდიკულარულად მთელ სიგანეზე სერავს და ბუნებრივად ხელსაყრელ გადასასვლელს ქმნის. ამ გადასასვლელის სამხრეთ ნაწილში, მთის სამხრეთ კალთაზე, მდებარეობს აბედათის ციხე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აგათია სქლასტიკოსის ონოგურისთან არის გაიგივებული (ზაქარაია... 1991: 130). ცალკე საკვლევი საკითხია, რამდენად სწორია ამგვარი იდენტიფიკაცია, თუმცა ფაქტია, რომ ციხეზე გამოვლენილი, ქრონოლოგიურად პირველი, სამშენებლო და არქეოლოგიური ფენების თარიღები სწორედ IV-VI სს.-ით არის განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აბედათში მიკვლეული ციხე სწორედ IV-VI საუკუნეებში და მოგვიანო პერიოდშიც არსებობდა და უნაგირა მთაზე არსებულ გადასასვლელს უწევდა კონტროლს. აბედათის ციხის დასავლეთით 2.5 კმ-ში, სოფელ კვაუთმი, იქ სადაც უნაგირა მთა სამხრეთ-დასასვლეთისაკენ უხვევს, მდებარეობს კიდევ ერთი ციხე. ის მეტად მაღალ და მიუდგომელ ადგილას არის აშენებული და შესაბამისად, ამ ციხიდან რაიმე გზის გაკონტროლება (ჩაკეტვა) შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენი აზრით, მისი მთავარი ფუნქცია სამხრეთით

და ჩრდილოეთით ვრცელი ტერიტორიების დაზვერვა იყო და იმავდროულად, კვა-უთში გამოვლენილი ციხე, თავისი ზომებიდან და სამშენებლო ტექნიკიდან გამომდინარე, რომელიმე ადგილობრივი დიდებულის რეზიდენციაც უნდა ყოფილიყო (ლომიტაშვილი... 2010: 187-195).

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვაუთის ციხიდან უნაგირა მთა სამხრეთით უხვევს და მიემართება სოფ. ნოქალაქევამდე, სადაც მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე ეგრისის სამეფოს დედაქალაქი – არქეოპოლისი მდებარეობდა. ამ ადგილას მდ. ტეხურს უნაგირა მთა ღრმად ჩაუჭრია და შესაბამისად, საფიქრებელია, რომ აქ მეტად ხელსაყრელი და კომფორტული გადასასვლელი არსებობდა და დედაქალაქის აქ დაარსების ერთ-ერთი მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო. ამ გადასასვლელით ერთმანეთს კოლხეთის (ეგრისის, დას. საქართველოს) სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი რეგიონები უკავშირდებოდა.

ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება თავდაცვითი ხაზი, რომელიც უნაგირა მთის გასწვრივ, ნოქალაქევიდან სამხრეთით, ქ. სენაკამდე იყო გამართული. ამ ხაზში ნოქალაქევი-არქეოპოლისთან ერთად კიდევ ხუთი სიმაგრე ერთიანდებოდა: კოტიანეთი, სორტა, შევფი, საკალანდარიშვილო და მენჯი (სურ. 55). საფიქრებელია, რომ 15 კმ-ში 5 ციხის განლაგება ამ ხაზზე მნიშვნელოვანი გზის არსებობით იყო განპირობებული. ხაზის დამამთავრებელია მენჯის ციხე. აქედან უკვე გაშლილი ტერიტორიები იწყება როგორც სამხრეთით, ისე დასავლეთით, შესაბამისად, გზის უსაფრთხოებისათვის იქ ფორტტიფიკაციების მოწყობა გართულდებოდა. მენჯიდან დასავლეთით პირდაპირი ხაზით 32 კმ-ში მდებარეობს ქ. ფოთი და სავარაუდოდ, დაშორება ისტორიულ ფაზისა და მენჯს შორის დაახლოებით ამდენივე იქნებოდა.




55. Google Earth სურათი – უნაგირა მთის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთის გამაგრების ხაზი

შეიძლება ვიფიქროთ, რომ არქეოპოლისიდან წამოსული სახმელეთო გზა, რომელიც მდ. ტეხურსა და უნაგირა მთას შორის მდებარეობდა, მას შემდეგ, რაც მენჯამდე მიაღწევდა და მთიან რელიეფს გასცდებოდა, მდ. რიონისაკენ გაემართებოდა და უკვე სანაოსნო გზის მეშვეობით დაუკავშირდებოდა ფაზის. ფაქტია, რომ ისეთ ორ მნიშვნელოვან ქალაქს შორის, როგორებიც არქეოპოლისი და ფაზისი იყო, პირდაპირი გზა აუცილებლად იქნებოდა და რა თქმა უნდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ გზის დაცვაც. ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო აღნიშნული 5 ციხის მთავარი დანიშნულება. ამასთან ერთად, ამ ციხეების გარემოზე დაკვირვება გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ თამაკონისა და აბედათის სიმაგრეების მსგავსად, ნოქალაქევი-სენაკის გზის გასწვრივ განლაგებული ციხეებიც უნაგირა მთაზე არსებული გადასასვლელების გასაკონტროლებლად იყო აშენებული. ასე მაგალითად, კოტიანეთისა და სორტის ციხეებს შორის საკმაოდ განიერი ბუნებრივი გადასასვლელია, რომელიც უნაგირა მთის გადაჭრის შემდეგ სოფ. ეკში ჩადის. საინტერესოა, რომ არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად სორტის ციხის მიმდებარედ ძვ. წ. III საუკუნის სინოპური ამფორის დამღიანი ყურის ნატეხი გამოვლინდა (ლომიტაშვილი 2003: 216), რაც ამ ციხის სიახლოეს, ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდან, მნიშვნელოვანი სავაჭრო გზის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ასეთივე გადასასვლელები და საურმე გზები შეინიშნება შეფისა და საკალანდარიშვილოს ციხეების მიმდებარედ – ამ გზებით უშუალოდ ციხეებს შორის მიმოსვლაც და უნაგირა მთის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე მოხვედრაც არის შესაძლებელი (სურ. 55). განხილულ ხაზში განსაკუთრებით გამოსარჩევია შეფის ციხე, რომელმაც გვიანდელ შუა საუკუნეებამდე შეინარჩუნა თავისი ფუნქცია. ის ოფიშის სამთავროს ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულ სიმაგრეს და დადო-ანების რეზიდენციას წარმოადგენდა.

**ურთის მთის გამაგრების ხაზი** – მთა ურთა დღევანდელი ხობის რაიონში, ქ. ხობიდან ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ-ში იწყება. მას წაგრძელებული ფორმა აქვს და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 9 კმ-ზე გრძელდება. მისი სიგანე 3.5 კმ-ია. მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 446 მეტრს უდრის; უნაგირს და ურთის მთებს შორის მოქცეული ტერიტორია ძირითადად მცირე მაღლობებითა და ბორცვებითაა წარმოდგენილი და დაახლოებით 15 კმ სიგრძისა და 5 კმ-ის სიგანის მონაკვეთს მოიცავს, დღევანდელი ხობისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე. ამ მონაკვეთის გამაგრება უზრუნველყოფილი იყო ორი ციხით – ეკით მდ. ცივის ხეობაში და ნოჯისევით ბის მაღლობის სამხრეთ კალთებზე. ჩვენი აზრით, ამ ორი ციხის მთავარი დანიშნულება უნაგირასა და ურთის მთებს შორის არსებული გადასასვლელების ჩაკეტვა და კონტროლი იყო (სურ. 56).

ურთის მთის დასავლეთით ვაკე ადგილები იშლება, სადაც მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 20 მ-ს არ სცილდება. ძირითადად კი ნიშნული 10 მეტრზე ნაკლებია. შესაბამისად, ეს მხარე უმეტესად დაჭაობებული იყო და ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ურთის მთის დასავლეთი ნაწილები გადაადგილებისათვის გამოსადევი არ უნდა ყოფილიყო. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით მოსახვედრად სწორედ ურთის მთის ზედა ზოლი გამოიყენებოდა და არა მისი ძირი. ამის თქმის საფუძველს მთის დასაწყისში გამოვლენილი ციხეების

მდებარეობაც იძლევა. ურთის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთების მისადგომებთან, სოფ. პირველ მაისში, 2.8 კმ-ის მონაკვეთში ეგრისის სამეფოს პერიოდის სამი სიმაგრეა გამოვლენილი (ჩიტაია 2007: 90-98) – მაჩხომერი, ნასკალუ და ყურუმულია (სამივე ადგილობრივი უბნების სახელწოდებაა).



### 56. Google Earth სურათი – უნაგირას და ურთის მთების გამაგრების ხაზები

მათგან ყველაზე სამხრეთით მაჩხომერის ციხეა. ის, სავარაუდოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან წამოსული გზის პირველი შემცველი, ჩამოტი და მაკონტროლებელი უნდა ყოფილიყო, მისგან ჩრდილოეთით 1700 მეტრში, მაღალ მთაზე, უბან ნასკალუში, წრიული ფორმის კოშკის ნაშთია შემორჩენილი. ის ისეთ შემაღლებულ ადგილზეა აშენებული, რომ მის სიახლოვეს გზის არსებობა სათუოა. შესაბამისად, ის უფრო სასიგნალო-საგუშავო დანიშნულების კოშკი უნდა ყოფილიყო, რომელიც მაჩხომერის ციხეს ნასკალუდან ჩრდილოეთით 1100 მეტრში მდებარე ყურუმული ის ციხესთან აკავშირებდა და იმავდროულად, ამ ორ ციხეს შორის არსებულ მცირე მონაკვეთსაც უწევდა ვიზუალურ კონტროლს (მურლულია 2011: 139). ყურუმულის ციხე, მდინარეების მუნჩისა და ჩხაისის შეერთების ადგილას, ერთ-ერთ მცირე ბორცვზე მდებარეობს. მისგან ჩრდილოეთით შედის ვინწო ხეობა, რომელიც ურთის მთის წვერის კენ მიემართება. ციხისგან სამხრეთით კი ეს ხეობა ნელ-ნელა ფართოვდება და მდინარე მუნჩის გასწვრივ გადის ვაკე ადგილებისაკენ. შესაბამისად, ამ სამი ციხის ფუნქცია ურთის მთის თხემზე გამავალი გზის სამხრეთი შესასვლელის ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო. ურთის მთაზე რომ მნიშვნელოვანი გზა გადიოდა, ამის მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ მის შუა მონაკვეთში, ადგილ ჯეგე-თაზე არსებული ქვით აშენებული მცირე კედელი – რომელიც ერთგვარ საბაჟოს შთაბეჭდილებას ტოვებს. ის მშრალი ქვების გროვას წარმოადგენს და 1 მეტრის სიმაღლისაა. კედლის შუა მონაკვეთში მცირე გასასვლელია დატოვებული. კედე-

ლი აშენებულია მთის პერპენდიკულარულად, რაც ცხადია, მთის წვერზე გამავალი გზის ჩასაკეტად და იქ მოძრავი მგზავრების შესამონმებლად იყო განკუთვნილი. ჯეგეთის კედლიდან ჩრდილო-დასავლეთით, მცირე შემაღლებაზე, ეკლესისა და პალატების ნაშთებიც არის შემორჩენილი, რაც ამ ადგილის განსაკუთრებულ დატვირთვაზე მიუთითებს (ჩიტაია 2007: 61-68). ზედაპირული დაზვერვებით შეიძლება ვივარაულოთ, რომ ეს ქვის კედელი გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობაა, თუმცა მისი აქ მდებარეობა გზის არსებობაზე მიუთითებს, რომელსაც, ჩვენი აზრით, შესაძლოა, ეგრისის სამეფოს პერიოდშიც ჰქონდა დატვირთვა. ჯეგეთიდან გზა მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე ეშვება. აქედან კი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო ჩრდილოეთისკენ – მდ. ენგურისკენ და შემდეგ დღევანდელი აფხაზეთისკენ მიემართებოდა, ანუ სავარაუდოდ, უერთდებოდა იმ გზას, რომელიც თამაკონის, კურზუსა და ნაფიჩხოვოს გავლით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიდიოდა.

მდ. ხობისწყლის გამაგრების ხაზი – მდ. ხობისწყალი სოფ. მუხურთან (ჩხოროწყუს რაიონი) ეგრისის ქედის სამხრეთი კალთების ვიწრო ხეობებიდან გამოდის და სამხრეთით შედარებით გაშლილ და გავაკებულ ადგილებზე მიედინება. მდინარის სრული სიგრძე 150 კმ-ს აღწევს. მდინარე ხობისწყალი არაერთ ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ წერილობით წყაროშია მოხსენებული, როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი სანაოსნო მდინარე კოლხეთში. სხვადასხვა ავტორი მას განსხვავებული სახელებით მოიხსენიებს: არიოსი (ფსევდოსკილაქსი), ხარიუსტონი (კლავდიოს პტოლემაიონი), ქარიეისი, ქარიენტი (არიანე) (ლორთქიფანიძე 2002: 10). V საუკუნის ანონიმი ბიზანტიელი ავტორი თავის ნაწარმოებში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ შავიზღვისპირეთის სხვა მდინარეებსა და დასახლებულ პუნქტებთან ერთად ახსნებს სანაოსნო მდინარე ქარიანტეს (ანონიმი V საუკუნისა, 1965: 6), რომელიც მდ. ხობთან არის გაიგივებული. როგორც ცნობილია, ბერძნულ და რომაულ წერილობით წყაროებში იხსენიება მდინარე ხობიც. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს მდ. ენგურია და არა თანამედროვე ხობი (ლორთქიფანიძე 2002: 10). თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომ ძველი საისტორიო მნერლობა ენგურს ხობის სახელით მოიხსენიებს, მაშინ, როდესაც ამ სახელს დღეისათვის სხვა მდინარე ატარებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი „ხობუს“ პევტინგერის ტაბულაზეც ფიქსირდება. რუკაზე ამ პუნქტის მარცხნივ (სამხრეთით) მოცემულია პუნქტი ქარიენტე (Cariente), ხოლო მარჯვნივ (ჩრდილოეთით) – სიკანაბისი (Sicanabis), რომელიც ისტორიული წყაროების ზიგანეოსი, ანუ თანამედროვე გუდავაა. მოცემულ რუკაზე პუნქტ ხობის შავი ზღვის სანაპიროზე არსებობა ისევე საინტერესოა, როგორც ენგურის ამ სახელით მოხსენიება, რადგანაც დღეისათვის ქ. ხობი სამეგრელოს ტერიტორიაზე, ზღვიდან 23 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. არსებობს კიდევ ერთი წერილობითი წყარო, სადაც მდ. ხობისწყალი იხსენიება. კერძოდ, VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ 554 წელს ლაზთა მეფე გუბაზი ბიზანტიელმა სარდლებმა სწორედ მდ. ხობისწყალთან მოკლეს (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 48). ზემოთ მოცემული სხვა წყაროების შინაარსიდან გამომდინარე, სადაც ისტორიული მდ. ხობი თანამედროვე მდ. ენგურთან არის გაიგივებული, ძნელი სათქმელია, რომელ მდინარეს გულისხმობდა აგათია სქოლასტიკოსი გუბაზის მკვლელობის ადგილად – მდ. ხობისწყალს თუ მდ. ენგურს.


მდინარების ენგურის, ხობისწყლის, ისტორიული ხობისა და ქარიანტეს ურ-თიერთმიმართება და მათი დაკავშირება ცალკე კვლევის საგანია და აქ ამ თემაზე მეტს აღარ შეეჩერდებით. ის კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხობისწყალი ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან დას. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სანაოსნო მდინარე იყო და ეს ტრადიცია, როგორც ჩანს, არც მოგვიანებით გამქრალა. XVII საუკუნის ავტორის პავლე ალებოელის ცნობით „არის ექვსი დიდი მდინარე, რომელზედაც დასცურავენ ხომალდები. პირველი მდინარე კოდორი, მეორე დალიძგა, მესამე ენგური, მეოთხე ხობი, (ხაზი ჩვენია – ნ.მ.), მეხუთე ტეხური, მეექვსე ცხენისწყალი.“ (ბერიძე 1981: 114).

მდ. ხობისწყლის ხეობიდან გამოსვლის ადგილიდან აღმოსავლეთით 3 კმ-ში, სოფ. თაიაში, მაღალ მთაზე, დგას ოცინდალეს ციხე, რომლის სამშენებლო ფენები VI საუკუნით თარიღდება. როგორც უკვე ითქვა, აღნიშნული ციხე იმდენად მაღალ მთაზეა აშენებული, რომ იქიდან ხობისწყლის ხეობის ჩაკეტვა და კონტროლი შეუძლებელი იქნებოდა.

ხეობიდან გამოსვლის შემდეგ მდ. ხობისწყალი განიერ ხეობაში მიედინება, მდინარის ორივე სანაპიროს გარს აკრავს 300 მეტრის სიმაღლის მთიანი ზოლი (აღმოსავლეთით – ჩხოროწყუს რაიონი, დასავლეთით – ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რაიონების საზღვარი). სწორედ ამ მთებზე განლაგებული ციხესიმაგრები (ხომაკირდე და ხორში) აკონტროლებდა მდ. ხობისწყლის გასწვრივ მდებარე გზას (სურ. 57).

ეს გზა სამეფოს ჩრდილოეთ ნაწილს (სვანეთს) მის ცენტრალურ მონაკვეთთან (დღ. ჩხოროწყუსა და ხობის რაიონები) აკავშირებდა და შესამაბამისად, ის ეგრისის სამეფოს საკომუნიკაციო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ხომაკირდეს ციხე მდინარის ვიწრო ხეობიდან გამოსვლის შემდეგ სამხრეთით 20 კმ-ში მდებარეობს. ეს ციხე მდ. ოჩხომურის მარცხენა სანაპიროზე მაღალ მთაზეა აშენებული, ასე რომ იქიდან ხობისა და ოჩხომურის ორმდინარეთი შესანიშნავად იზვერება საკამაოდ შორ მანძილზე. ამასთანავე, ხომაკირდეს ციხის ხელსაყრელი მდებარეობიდან გამომდინარე, რთული არ იქნებოდა ამ ორ მდინარის გასწვრივ გამავალი გზის ჩაკეტვაც. ეგრისის სამეფოს სხვა მდინარეებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ოჩხომურსაც. ის სამეგრელოს სხვა დიდი მდინარეების მსგავსად, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთებიდან გამოდის, კერძოდ კი, ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონების საზღვარზე, სოფ. კურზუსთან და მიედინება ჯერ აღმოსავლეთით, ხოლო შემდეგ, დაბა ჩხოროწყუს გავლით, სამხრეთით. მდ. ოჩხომურის ხეობას ორი მნიშვნელოვანი ციხე კურზუ და ნაფიჩხოვი აკონტროლებდა, რომლებიც ამ მდინარის სხვადასხვა ნაპირზე იდგა და ჩრდილოეთის გადმოსასვლელებს კეტავდა (მურღულია 2011: 58-71).

მდ. ოჩხომური ხომაკირდეს ციხისგან სამხრეთით 9 კმ-ში მდ. ხობისწყალს უერთდება. საინტერესოა, რომ ამ ორი მდინარის შეერთებამდე სწორედ ხომაკირდეს ციხესთან, ისინი ერთმანეთთან ძალიან ახლოს მიეღინებიან, შემდეგ შორდებიან და მოშორებით ერთდებიან. ეგრისის სამეფოს ციხეებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი დიდი ნაწილი მდინარეების შესართავთან არის აგებული (შორაპანი: ყვირილაძირულა. ვარდციხე: რიონი-ყვირილა-ხანისწყალი. ტოლები: რიონი-ცხენისწყალი-ხევისწყალი და სხვ). ამიტომ შესაძლებელია, დავუშვათ, რომ უწინ ეს ორი მდინარე უფრო ჩრდილოეთით, ხომაკირდეს ციხის მახლობლად უერთდებოდა ერთმანეთს.



**57. Google Earth სურათი – მდ. ჭანისწყლის და მდ. ხობისწყლის აუზები**

ხობისწყლისა და ოჩხომურის შეერთების ადგილიდან სამხრეთით 9 კმ-ში ხობისწყლის უერთდება კიდევ ერთი მდინარე – ზანა. სწორედ მათი შეერთების ადგილას, სოფ. გაღმა საჯიჯაოსა და სოფ. ხორშის საზღვარზე, მდებარეობს ციხე, რომლის დანიშნულებაც ამ ორი მდინარის გადაკვეთის ადგილას გაერთიანებული გზების გაკონტროლება და ჩაკეტგა უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ხომაკირდეს ციხისა მართვის მინისტრის მიერ მდინარეების შეერთების ადგილას. ხორშის ციხის გავლის შემდეგ მდ. ხობისწყალი მკვეთრად უხვევს დასავლეთისკენ და 8 კმ-ის გავლის შემდეგ მას მდ. ჭანისწყალი უერთდება. აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მდინარეების შეერთების ადგილას, მარჯვენა სანაპიროზე, ერთ-ერთ მაღალ მთაზე, მდებარეობს ჯახუთის ძნელად მისასვლელი და კარგად დაცული ციხე. ციხიდან საკმაოდ ვრცელი ტერიტორიების ვიზუალური კონტროლია შესაძლებელი როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთით, ისე სამხრეთის მიმართულებით, ანუ სწორედ აღნიშნული ორი მდინარის აუზებისკენ. ეს აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ჯახუთის ციხიდან რომელიაც მნიშვნელოვანი გზის კონტროლი ხორციელდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხის შიდა ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ, ყველაზე უკეთ დაცულ ნაწილში, მიწის დონეზე იკითხება დაუდგენელი დანიშნულების ნაგებობის კვალი (დაახლოებითი ზომები 7 მ X 9 მ), რომელიც შესაძლებელია, ან სასახლე იყოს, ან ეკლესია (ნაგებობის ნაშთი დას.-აღმ. დამხრობისაა), რაც გვაფიქრებინებს, რომ ციხე, შესაძლოა, რომელიმე მთავრის რეზიდენციაც ყოფილიყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხედრო-საფორტიფიციაც ციო თვალსაზრისით, ციხე ისეთ მიუვალ ადგილას არის აშენებული, რომ იქიდან შეუძლებელი იქნებოდა ბარში მოძრავი მტრის რაზმის შეჩერება ან წინააღმდეგობის განვითარება. ჯახუთის ციხის მშენებელმა აქცენტი უპირველეს ყოვლისა სწორედ

მის მიუვალობასა და დაცულობაზე გააკეთა და არა რომელიმე გზის ჩაკეტვაზე ან მტრის შეფერხებაზე.

მდ. ჭანისწყლის გამაგრების ხაზი – მდ. ჭანისწყალი სამეგრელოს ერთ-ერთი ყველაზე წყალუხვი და გრძელი მდინარეა. ის სათავეს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთებზე, 200 მეტრის სიმაღლეზე იღებს. მდინარის სრული სიგრძე 63 კმ-ია (სურ. 57).

მდ. ჭანისწყლის ხეობაში სვანეთისა და სამეგრელოს დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა. ამის მაგალითია IV-VI სს.-ით დათარიღებული სქურის ციხე, რომელიც დღევანდელი წალენჯიხის რაიონში მდებარეობს (ზაქარაია... 1991: 158). როგორც ზემოთ აღინიშნა, ციხე აგებულია მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ხეობის დაბალ წერტილში, იმ გათვლით, რომ ხეობაში მოძრავი მგზავრი მისი გვერდის ავლით ვერც სამხრეთით – სამეგრელოს ტერიტორიაზე მოხვდებოდა და ვერც ჩრდილოეთით – სვანეთისკენ შეძლებდა გზის გავრძელებას (მურლულია 2011: 138).


სქურის ციხის სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ში მდ. ჭანისწყალი ვიწრო ხეობიდან გამოდის და შედარებით გაშლილ ადგილებზე მიედინება. ისევე, როგორც მდ. ხობისწყალს, ჭანისწყალსაც ორივე ნაპირიდან მცირე ზომის (200-300 მ) მთები აკრავს გარს. სქურის ციხიდან ჯახუთის ციხემდე, სადაც მდ. ჭანისწყალი მდ. ხობისწყალს უერთდება, 45 კმ-იან მონაკვეთზე, მდინარის გასწვრივ დღემდე ეგრისის სამეფოს პერიოდის დამატებით სამი ციხეა გამოვლენილი – სოფ. ლესალეში, სოფ. ჭაქვინჯაში და სოფ. ძველ ხიბულაში. სამივე მდ. ჭანისწყლის სანაპიროს სიახლოვეს, საკმაოდ მაღალ მთებზეა აშენებული და შესაბამისად, ამ სამი ციხის კოშკებიდან მდ. ჭანისწყლის თითქმის მთელი ხეობა იზვერება. სამომავლოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მდინარის გასწვრივ, ამ სამი ციხის გარდა, სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებიც გამოვლინდება. ამის თქმის საფუძვლელს ეგრისის სამფოს სხვა თავდაცვით ხაზებზე დაკვირვება იძლევა. მაგ., უნაგირა მთის ან ხობისწყლის გამაგრების ხაზები, სადაც ციხესიმაგრები ერთმანეთთან უფრო ახლოს მდებარეობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მდ. ჭანისწყალზე, მდ. ხობისწყალთან ერთად, IV-VI საუკუნეებში მნიშვნელოვანი გზა გადიოდა, რომელიც ეგრისის რიონისპირა და ცენტრალურ რეგიონებს სამეფოს ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებთან აკავშირებდა. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ლესალეს, ძველი ხიბულისა და ჭაქვინჯის ციხებზე ადრეული შუა საუკუნეების სამშენებლო ფენებთან ერთად, განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების ფენებიც არის გამოვლენილი (ზაქარაია 2002: 89-94; ჩიტაია 2007: 50-52), რაც გვაფიქრებინებს, რომ ჭანისწყალზე გამავალ გზას თავისი სავაჭრო-სტრატეგიული მნიშვნელობა არც მოგვიანო პერიოდში დაუკარგავს.

## ԵՄԵՆՈՒ ԱՌԵՎ

ციხე მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1. 40 კმ მოშორებით. ციხეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან 750 მეტრში ჩამოუდის კიდევ ერთი მდინარე, ნოლელა, რომელიც სოფელს შუაზე კვეთს. ციხე აშენებულია 20 მეტრი სიმაღლის ქუქითის გორაზე და დაახ. 3000 მ<sup>2</sup> ფართობს მოიცავს (GPS კოორდინატები: N42°23'59.44" E 42°24'54.95". სიმაღლე: 280 მ.).

2014 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის რამდენიმე წევრმა ზემო ხუნის გორაკი მოინახულა. იმავე წელს ჩატარდა ზედაპირული დაზვერვები, რომელთა შედეგად დადგინდა, რომ ამ გორაკზე შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები, რომლებიც, სავარაუდოდ, V-VI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მაშინვე გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა, ეს მართლაც ისტორიული ონოგურისის ნაშთები ყოფილიყო (სურ. 58).



58. ხუნის ციხის ტოპო-გეგმა

ციხესიმაგრე ონოგურისის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს VI საუკუნის ბიზანტიული ისტორიკოსის აგათია მირინელის (სქოლასტიკოსის) ცნობები. აგათია სქოლასტიკოსი ერთი იმათგანია, ვინც აღვინერა 542 წელს ბიზანტიასა და სასანიანთა ირანს შორის დასავლეთ საქართველოში დაწყებული საომარი ოპერაციები. ეს დაპირისპირება 20 წელზე მეტხანს გაგრძელდა და ის საისტორიო ტრადიციაში „დიდ ომიანობად ეგრისში“ მოიხსენიება. ამ ომის დროს აგათია რამდენჯერმე იხსენიებს ონოგურისის ციხეს, რომელსაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ როგორც ბიზანტიელები, ისე ირანელები. 553 წელს მხედართმთავარი მერმეროე, რომელიც ეგრისში მოქმედ სპარსულ ჯარს მეთაურობდა, ტელეფისის ციხისა და ქიტროპოლიაში მდებარე ბიზანტიური ბანაკის აღების შემდეგ ონოგურისისკენ გაემართა. შემდეგ აგათია მოგვითხრობს: „ქიტროპოლიაში რომ მივიდა მერმეროე, სასაცილოდ აიგდო იმათი სილაჩრე, ვინც ურჩობა გამოიჩინა, ძალიან გაკიცხა ისინი; მან გადანყვიტა არ განეგრძო წინსვლა და არც ნესოსზე მიეტანა იერიში, ვინაიდან არც სურსათის შოვნა იყო შესაძლებელი მტრის შუაგულ ქვეყა-

ნაში ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარისთვის და არც სხვა მხრივ აღყის შემორტყმი-სათვის მომზადება. ამიტომ მან კვლავ ტელეფისისა და იქაური ძნელსავალი ადგილებისკენ გაბრუნება კი არ მიიჩნია მიზანშეწონილად, არამედ ფიცრებისა და საგანგებოდ ამისთვის დამზადებული ტივების საშუალებით შეაერთა ფასისის ნაპირები, ასე ვთქვათ ხიდი გასდო, და თავისუფლად გადაიყვანა მთელი ჯარი, ისე რომ არავის ალმოუჩენია დაბრკოლება. ონოგურისის ციხეში, რომელიც მას წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად, ჩაყენებული იყვნენ სპარსელები და, აი, ეს სპარსელები მან გაამხნევა, სხვა რაზმიც დაუტოვა, იქაურობა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაამაგრა და კვლავ კოტაისისა და მუხირისისკენ გაბრუნდა. უცბათ ის რაღაც სენმა შეიძყრო და მაგრად მოჰკიდა მას ხელი; ამიტომ მეტი წილი თავის ჯარისა, უმამაცესნი, დასტოვა იქ ქონების დასაცავად, თვითონ კი გადავიდა იბერიის ქვეყანაში. და აი, აქ, ეგრეთნოდებულ ქალაქ მესხთაში ის ძალიან ცუდად შეიქნა, ვეღარ გაუძლო სენს და ნამდვილად, გარდაიცვალა მერმეროე, კაცი სპარსელთა შორის სახელოვანი, მეტად გონიერი და ნიჭიერი, საომარ საქმეებში გამოპრძმედილი და ვაჟავაცური სულის პატრონი!“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 38-42)

ონოგურისის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს აგათიას ცნობები, სადაც ის ლაპარაკობს ბიზანტიულების განზრახვაზე ამ ციხის უკან დაბრუნების შესახებ. მათმა სარდლებმა მარტინემ და რუსტიკემ 554 წელს მოითათბირეს სხვა მხედართმთავრებთან იუსტინესთან და ბუზესთან, რათა ეგრისის მეფე გუბაზთან ერთად დაეგეგმათ ონოგურისზე ლაშქრობა. მათ გუბაზი დაიბარეს ხობისწყალთან, სადაც მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა: „მაშინ რუსტიკემ უთხრა: „აბა, გუბაზ, სპარსელების წინააღმდეგ მივდივართ, რომლებიც ონოგურისში ჩამსხდარან; გამოგვყევი და ჩვენთან ერთად მიიღე მონაწილეობა ამ ლაშქრობაში. სირცხვილი იქნება, თუ ისინი კვლავ თავისუფლად ისხდებიან ჩვენი ქვეყნის შუა გულში, მით უმეტეს რომ ისინი მცირერიცხოვანნი არიან და ბრძოლის უნარითაც ვერ შეგვედრებიან“. „ეს ლაშქრობა, შე კაი კაცო, ხომ მარტო თქვენ გეხებათ, – მიუგო გუბაზმა, – რადგან მხოლოდ თქვენ მიგიძლვით ბრალი იმამი, რაც მოხდა. რომ თქვენ ასე უგუნურად და დაუდევრად არ მოყირობოდით საქმეს, არც ეს ციხე იქნებოდა ჩვენ წინააღმდეგ გამაგრებული, არც ასე უსირცხვილოდ და ქუდმოგლეჯილი გაიქცეოდით და არც სხვა რამე მოხდებოდა ამ შეუფერებელი ამბებიდან“ (აგათია 1936: 48-49). სწორედ ამ კამათის დროს მოკლეს გუბაზი რუსტიკემ, მისმა ძმამ იოანემ და მარტინემ. ამ ფაქტის შემდეგ ბიზანტიულმა სარდლებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით აეღოთ ონოგურისი, რის შემდეგაც მათი აზრით, გაუადვილდებოდათ ამ მკვლელობის გამო ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-თან თავის მართლება. აგათია წერს: „მარტინეს წაქეზებით რომაელებმა მთელი თავისი ჯარით იერიში მიიტანეს ონოგურისში ჩამჯდარი სპარსელების წინააღმდეგ. ეს სახელი ძველად ვე შეერქვა ამ ადგილს შესაძლებელია იმის გამო, რომ ჰუნები, რომელთაც ონოგურები ენოდებოდათ, ამ ადგილს შებმიან კოლხებს ნარსულ წლებში და დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძევლად ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის. ამჟამად ბევრი ასე კი აღარ უნდებს, არამედ, რადგან აქ დაფუძნებულია იმ წმინდა სტეფანეს ტაძარი, რომელიც, როგორც ამბობენ, საკუთარი ნებით შეება მტერს საუკეთესო ქრისტიანთა გულისთვის და ჩაქოლილ იქმნა მონინააღმდეგეთა მიერ, მისი სახელი ენოდა ამ ადგილს.

ჩვენ კი, ვფიქრობთ, არაფერი გვიშლის ხელს ძელი სახელწოდება ვიხმაროთ, მით უმეტეს რომ მნერლობა ამას მხარს უჭერს. ამრიგად, რომაელებმა ჯარი ონოგურისის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებოდა. ამას მოითხოვდნენ გუბაზის მკვლელობის სულის ჩამდგმელნი, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ამ ციხეს მალე დაიპყრობდნენ: ამის წყალობით – ფიქრობდნენ ისინი – მეფეს რომ კიდევაც გაეგო მათი ვერაგობის ამბავი, ისმათ მაინც-და მაინც არ გაუწყრებოდა და, რადგან უკანასკნელი ლაშქრობა წარმატებით დამთავრდებოდა, საყვედურსაც აიცდენდნენ თავიდან” (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 51-53). აქ სამ ფაქტს მივაქცევთ ყურადღებას: ერთი, რომ სახელი ონოგურისი თონოგურების ტომთანაა დაკავშირებული; მეორე, სახელი ონოგურისი სხვა თხზულებაშიცაა დაფიქსირებული და მესამე, ონოგურისში იდგა წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესია. პირველ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ, ჩვენი აზრით, ონოგურების სახელთან ციხის სახელწოდების დაკავშირება ხელოვნური ჩანს. თავად აგათია გვიამბობს, რომ ეს სახელი ამ ადგილს ძელთაგანვე დაერქვა. უფრო მისაღებად მიგვაჩნია ის მოსაზრება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაშია დაფიქსირებული და მას „უნაგირას მთას“ უკავშირებენ (Brossat 1851: 90, 101-102; გეორგიკა III 1936: 59-61, შენიშვნა 1). რაც შეეხება სხვა თხზულებებში ონოგურისის მოხსენიებას, ეს ჩვენთვის უცნობია. ამ შემთხვევაში აგათია, ალბათ, გულისხმობს თურქული მოდგმის ტომს ონოგურებს, რომლებიც V-X საუკუნეებში მოსახლეობდნენ აზოვის ზღვის მიდამოებსა და ჩრდილოეთ კავკასიაში და რომლებსაც აგათიამდე იხსენიებდა სხვადასხვა ავტორი – პრისკე პანიონელი (V ს.), ზაქარია რეტორი (V-VI სს.), ხოლო შემდგომში უნუგურებს ვევდებით თეოფილაქტე სიმოკატასთან (VII ს.), ონოგურების საეპისკოპოსოს – VII-VIII საუკუნეების ბიზანტიური ეპარქიების ნუსხაში, ქვეყანა ონოგორიას – რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიაში“ (VIII-IX სს.), ონოგურების ტომს – IX საუკუნეში მოღვაწე ფსევდო-კალისტენეს იმ ხალხების ჩამონათვალში, ვინც ალექსანდრე მაკედონელმა დაიმორჩილა, ხოლო ონოგუნდურებს – თეოფანე უამთააღმნერლის „ქრონოგრაფიაში“ (VIII-IX სს.), ასევე ანასტასი ბიბლიოთეკართან (IX ს.) და კონსტანტინე პორფიროგენეტთან (X ს.), რომლებიც ამ ტომს ბულგარელებთან აიგივებენ. ყოველ შემთხვევაში, ონოგურისის ციხე სხვა არც ერთ თხზულებაში არ იხსენიება. რაც შეეხება წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესიას, პ. ზაქარიაიამ და თ. კაპანაძემ ყურადღება მიაქციეს ნოქალქევიდან 10-12 კილომეტრში მდ. აბაშის ხეობაში მდებარე სოფ. სეფიეთის ბაზილიკის ბერძნულ წარწერას, რომელშიც წმ. სტეფანე იხსენიება. ეს წარწერა თავის დროზე წაიკითხა თ. ყაუხეჩიშვილმა: „შმინდაო სტეფანე ყველა წმინდანებთან ერთად იშუამდგომლე მონისა ფილეტისტესათვის და ყოველთა მის ცოდვათათვის“ (ყაუხეჩიშვილი 1951: 89-91). ამ წარწერას თ. ყაუხეჩიშვილი VI-VII საუკუნეებით ათარიღებდა. პ. ზაქარიაიამ და თ. კაპანაძემ ბაზილიკა V-VI საუკუნეებით დაათარიღეს და გამოთქვეს ვარაუდი, რომ შესაძლებელია, ეს ეკლესია თავის დროზე წმ. სტეფანეს სახელობის იყო, თუმცა ის ონოგურისთან არ დაუკავშირებიათ. მით უმეტეს, რომ სეფიეთი ვაკე ადგილზე მდებარეობს და იქ რაიმე ციხის კვალი არ არის გამოვლენილი (ზაქარაია... 1991: 198-215).

ახლა დავუბრუნდეთ ონოგურისის ციხეზე ბიზანტიელთა იერიშს. ეს სამხედრო ოპერაცია ბიზანტიელებისთვის სავალალოდ დასრულდა. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის მონაცემები, რომლებიც უშუალოდ ციხის მდებარეობას ეხება. ბიზანტიური ჯარი ონოგურისის ასაღებად ემზადებოდა: „და, აი, სტრატეგო-

სებიც და მთელი ჯარიც, რომელნიც არქეოპოლისის დაბლობში იყვნენ დაბანაკუ-ბულნი, ამზადებენ ეგრეთნოდებულ სპალიონებს, დიდი ქვების სატყორცნელებს და სხვა ამგვარ იარაღებს, რათა, თუ საჭირო იქნებოდა, ზღუდისათვის დაეშინათ” (აგა-თია 1936: 53). უკვე ბრძოლის პროცესის აღნერისას კი აგათია წერს: „ერთნი (სპარ-სელები – ნ. მ.) იბრძოდენ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად და არა მცირე-ოდენ ხიფათს მისცემოდენ, მეორენი კი (ბიზანტიულები – ნ. მ.) – უფრო მიმოტომ, რომ რცხვენოდათ – რახან მოვიდენ, უშედეგოდ როგორ გაბრუნებულიყვნენ ისე, რომ არც ეს ციხე აეღოთ და არც არქეოპოლისი განეთავისუფლებინათ მტრის მეზობლო-ბისაგან“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 56). ეს ცნობები ონოგურისის არქეოპოლის-თან სიახლოებებს მეტყველებს. ასევე ონოგურისი რომ ქუთაისთან და მოხირისთან ახლოს მდებარობდა, მიუთითებს აგათიას შემდეგი მონაცემები: ბიზანტიულებმა იერიშის მზადების პროცესში ტყვედ ჩაიგდეს ერთი სპარსელი მოლაპქრე, რომლის სიტყვებით, მუხირისისა და ქუთაისში მდგარი სპარსული ჯარი ონოგურისის ციხის დამცველების დასახმარებლად წამოსვლას აპირებდა (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 54). იმავეზე მეტყველებს აგათიას შემდეგი თხრობა: „დანარჩენი სპარსელები კი, დაახლოებით სამი ათასი კაცი, მამაცი ცხენოსანი, – დაირაზმენ და კოტაისისა და მუხირისიდან გამოსწიეს ონოგურისისკენ. ისინი საკმაოდ უდარდელად მოდიოდნენ, სრულიადაც არ ეგონათ, თუ მტერი შეხვდებოდა“ (აგათია 1936: 56-57). ამ რაოდე-ნობის დამხმარე ჯარის გამოგზავნა ონოგურისის მნიშვნელობაზე მეტყველებს. ძა-ლიან მნიშვნელოვნად მიგვაჩინია აგათიას თხრობა ბრძოლის მსვლელობის შესახებ: ბიზანტიულები „ციხეს ეცნენ და მაშინვე შეუდგნენ საქმეს. იმათ აამოძრავეს მან-ქანები და სცადეს ციხის კარების აღება, გარს შემოერტყებუნენ ზღუდეს და ყოველი მხრიდან დაუშინეს. სპარსელები გაიფანტნენ ციხის კბილანებზე და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, იცავდენ თავს შექმნილ პირობებში“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 56). თუ გავაანალიზებთ ამ ცნობას, ჩანს, რომ ონოგურისი მიუდგომელ ად-გილას არ მდებარეობს და მისი იერიში რამდენიმე მხრიდანა შესაძლებელი. სხვათა შორის აგათია სხვა ციხეზე, მაგალითად ტელეფისზე, აღნიშნავს, რომ ის მტკიცე და მიუდგომელია (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 31), რასაც ონოგურისზე არ წერს.

მართალია, მოხირისიდან და ქუთაისიდან გამოგზავნილი დამხმარე ჯარი მათ წინამდეგ გაგზავნილმა ბიზანტიულთა 600-კაციანმა რაზმა უკუაგდო, მაგრამ ონოგურისში მდგარმა სპარსულმა გარნიზონმა შეძლო ბიზანტიულთა იერიშის მო-გერიება. მეტიც, ისინი ციხიდან გამოვიდნენ და ბიზანტიულებს დაედევნენ, რომ-ლებმაც მიატოვეს იქვე გაშლილი ბანაკი, გვერდი აუარეს არქეოპოლისთან მდება-რე ძველ ბანაკსაც და ეგრისის შიდა სოფლებს შეაფარეს თავი (აგათია სქოლასტი-კოსი 1936: 59). ეს ცნობაც ამ ციხის არქეოპოლისთან სიახლოებზე მეტყველებს; თან იმავე ცნობიდან ჩანს, რომ გაქცეული ბიზანტიულები მდ. კათარზე გადებულ ვინწრო ხიდზე გაიჭედნენ და აქაც ბევრი მებრძოლი დაკარგეს. ს. ყაუხბიშივილი ამ მდინარეს მდ. აბაშასთან აიგივებდა, რომელიც თანამედროვე მარტვილის რაიონს გამოყოფს სენაკის რაიონისგან, კონკრეტულად კი სოფ. ნოქალაქევისგან, სადაც მდებარეობდა ციხეგოჯი-არქეოპოლისი.

ონოგურისის ციხე აგათიასთან ამის შემდეგ მხოლოდ გუბაზის მკვლელების სა-სამართლო პროცესზე იხსენიება. მისმა ერთ-ერთმა მკვლელმა, რუსტიკემ თავის დასაცავ სიტყვაში კვლავ ხაზი გაუსვა დედაქალაქ არქეოპოლისთან მიმართებაში ონოგურისის მნიშვნელობას: „სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი ონოგურისის

ციხე, რომელიც მათ ჩამოეგლიჯათ არქეოპოლისის მიდამოებიდან, და ჩვენთვის აუტანელ სირცხვილს ნარმოადგენდა ის, რომ მტრის ჯარი მტკიცედ ჩამჯდარიყო ზღუდის შიგნით ჩვენს მინაწყალზე. სტრატეგოსთა თათბირზე გაიმარჯვა იმ აზ-რმა, რომ მთელი ჯარით გავმგზავრებულიყავით იმათ ნინააღმდეგ. გაგვენადგურებინა ისინი და, ამრიგად, გავთავისუფლებულიყავით მეტად სახიფათო ჩასაფრებისაგან. ჩვენ, რასაკვირველია, გვჭირდებოდა კოლხთა ჯარიც, არა მარტო იმიტომ, რომ კოლხები, როგორც ამ ადგილების მცოდნენი უფრო მეტად, ვიდრე ამ ადგილთა არმციოდნენი, სასარგებლო რჩევა-დარიგებას მოგვცემდენ, არამედ იმიტომაც რომ, რადგან ბრძოლა მოგვიხდებოდა გამაგრებულ ადგილას ჩამჯდარ და კარგად შეიარაღებულ მებრძოლებთან და აგრეთვე იმათთანაც, რომლებიც ალბათ მუხირისიდან მოვიდოდენ მათ საშველად, კოლხებსაც გაეწიათ ჩვენთვის დახმარება, ჩვენთან ერთად ებრძოლათ“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 148-149). ამის შემდეგ ონოგურისის ციხე არც აგათიასთან და არც სხვა წყაროში არ იხსენიება.

ონოგურისის ლოკალიზაციას აგათიას ნაშრომის თარგმანისთანავე შეეცადა ს. ყაუხჩიშვილი (გეორგიკა III 1936: 59-62, შენიშვნა 1). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ის დაეთანხმა მ. ბროსეს და ამ ციხის სახელი მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე მდებარე უნაგირა მთას დაუკავშირა. ს. ყაუხჩიშვილი თვლიდა, რომ ონოგურისის ციხე დღევანდელი მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ლაზეთის საზღვარზე, არქეოპოლისსა და ქუთაისს შუა უნდა მოეძია. მან ყურადღება მიაქცია აგათიას ცნობას, რომ 554 წლისთვის სპარსელებს ლაზეთი უჭირავთ ცხენისნებულამდე, ხოლო ბიზანტიელები გამაგრებულან ცხენისნებულის დასავლეთით. თუმცა იმავე ცნობებიდან ჩანს, რომ ონოგურისი სპარსელებმა ეგრისის დედაქალაქის, არქეოპოლისის დამცავი ციხე იყო და ის მდ. ცხენისნებულის მარჯვენა სანაპიროზე, უნაგირა მთასთან, ანუ თანამედროვე სამეცნიეროს ტერიტორიაზე, უნდა მდგარიყო (გეორგიკა III 1936: 38-41, შენიშვნა 2). ამ შემთხვევაში ს. ყაუხჩიშვილი ასევე დაეყრდნო ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს, რომლის თანახმადაც, „ხოლო სივრძე იმერეთისა არს ლიხის მთის თხემიდამ უნაგირამდე ძუელად, და ან ქართლის საზღვრიდამ, რომელი აღვსნერეთ, ცხენისნებულამდე“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 747). ვახუშტი ბატონიშვილი სხვა ადგილასაც მიუთითებს, რომ „ამას უნოდებენ უნაგირას. ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 777). ამ ცნობებიდანაც ჩანს, რომ ისტორიული აღმოსავლეთ და დასავლეთ ლაზიკის (ეგრისის) საზღვარი მდინარე ცხენისნებულთან, უნაგირა მთასთან გადიოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნაგირა მთა ცხენისნებულის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. ამ მთის ერთ-ერთ თხემზე იყო აგებული არქეოპოლისი, ხოლო, ასევე ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ონოგურისი და VI საუკუნის ბიზანტიელ მემატიანე პროკოპი კესარიელთან ხსენებული უქიმერიონის ციხე ერთი და იგივე უნდა იყოს. აგათია პროკოპის გამგრძელებელი იყო და მისი თხზულება იწყება იმ დროიდან, სადაც პროკოპი წყვეტის თხრობას. ს. ყაუხჩიშვილმა მიაქცია ყურადღება, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ციხე, როგორიც პროკოპის თხრობაში უქიმერიონია, აგათიასთან საერთოდ არ იხსენიება, ხოლო აგათიას ონოგურისს პროკოპი არ იცნობს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ონოგურისის შესახებ აგათია ამბობს, ამჟამად მას სხვა სახელი ჰქვია, შესაძლოა ამ ორი პუნქტის ერთიდაიგივეობის დაშვება. მან ყურადღება მიაქცია პროკოპი კესარიელის იმ ცნობასაც, რომლის თანახმადაც, უქიმერიონის აღების შემდეგ

სპარსელები „მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ლაზიკე კი არ ჩაიგ-დეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაც და სვანიაც, და, ამრიგად, მოხირისი-დან ვიდრე იბერიამდე მთელი მიწანყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ (პროკოპი კესარიელი 1965: 202). მნიშვნელოვანია პროკოპის მეორე ცნობაც, რომლის თანახმად, უქიმერიონი ქუთასის მახლობლად მდებარეობდა და აქ ჰყავდათ ლაზებს კარგი მცველი რაზმი. მისი სიტყვებით, ვინც უქიმერიონსა და მოხირის ფლობდა, ის სვანეთსა და სკვიმნიაში (ლეჩეუმი) მიმავალ გზას აკონტროლებდა (პროკოპი კესარიელი 1965: 196-197). ეს ციხე სპარსელთა სარდალ-მა მერმეროებ მოტყუებით, უბრძოლველად აიღო. თუ გავიხსენებთ აგათიას მიერ მოყვანილ გუბაზის სიტყვებს, რომელიც მან ბიზანტიელ სარდლებს უთხრა და ბრალი დასდო ონოგურისის მათი უთავბოლობით დაკარგვაში, შეიძლება გავიზიაროთ ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება ამ ორი პუნქტის ერთიდაიგივეობის შესახებ; თუმცა ეს მოსაზრება ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად დარჩება.

ონოგურისის იდენტიფიკაციის თაობაზე შემდგომშიც გამოითქვა არაერთი მოსაზრება. 6. ბერძენიშვილიც ამ ციხის სახელწოდებას უნაგირა მთას უკავშირებდა და მას მდ. ცხენისნების მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ბანძისა და ნოქალაქევის მიდამოებში ეძებდა. 6. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ ბანძასთან ახლოს მდებარე სოფ. ონოღიას „ონოგურისთან“ დაკავშირება მაცდუნებელი იყო (ბერძენიშვილი 1975: 463-465). თუმცა ამ დაკავშირებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ონოღია ვაკეზე მდებარეობს და აქ არც რამე ნაციხარის მსგავსია აღმოჩენილი.

ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ XX ს.-ის 80-იან წლებში არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა მარტვილის რაიონში მდებარე აბედათის ციხეზე და სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირდა ვარაუდი, რომ სწორედ ეს ციხე უნდა იყოს ონოგურისი (ზაქარაია... 1991: 127-137; ლექვინაძე 1993: 209-222). ეს ვარაუდი დაეფუძნა ს. ყაუხჩიშვილის ზემოთ უკვე ნახსენებ დაკვირვებას, რომ ონოგურისი მდ. ცხენისნების მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და მისი სახელი უნაგირა მთას უკავშირდებოდა; ასევე აგათიას ცნობებს ონოგურისის არქეოპოლის-თან ახლოს მდებარეობის თაობაზე. აბედათის ციხე ნოქალაქევის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მთიან ზოლში, უნაგირა მთის ზოლის შუა თხემზე მდებარეობს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პ. ზაქარაია და თ. კაპანაძე აღნიშნავდნენ, რომ უფრო ლოგიური იქნებოდა ონოგურისი არქეოპოლისის აღმოსავლეთით გვეძებნა, მაგრამ აქ მდინარეების აბაშის, ნოღელისა და ცხენისნების დაბლობებია, სადაც ციხის არსებობა არაა მოსალოდნელი და არცაა დაფიქსირებული (სოფ. ონოღიაც სწორედ აქ მდებარეობს) (ზაქარაია... 1991: 130). ონოგურისის აბედათთან იგივეობას მხარი არ დაუჭირა დ. ლომიტაშვილმა, რომელიც აბედათში წარმოებულ გათხრებს ხელმძღვანელობდა. მისი განმარტებით, ციხეზე მოპოვებულ მასალებში „თითქმის არ ჩანს IV-VI სს-ის ძეგლებისთვის დამახასიათებელი ისეთი ნაკეთობანი, როგორიცაა ქვევრები, ნელშეზნექილი თუ უცხოური ამფორები, სფერულ მუცლიანი შუმერული ქოთნები, სასუფრე კერამიკა, იმპორტის საგნები და სხვ.“ (ლომიტაშვილი 2003: 209). გარდა ამისა, აბედათის ციხის გარშემო რელიეფზე დაკვირვება აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ ციხის მთავარი ფუნქცია უნაგირა მთაზე არსებული სამხრეთ-ჩრდილოეთი მიმართულების ვიწრო გადასასვლელის ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო. იმავდროულად აბედათის ციხე საკმაო

მანძილით არის დაშორებული იმერეთიდან (ისტორიული მოხირისის რეგიონიდან) არქეოპოლისისაკენ მიმავალ გზას და, შესაბამისად, აბედათის ციხიდან არქეოპოლისის აღმოსავლეთ მისადგომების დაცვა გაჭირდებოდა (მურლულია 2013a: 155).

ონოგურისის ლოკალიზაციის საკითხს ეხება ა. ფაილოძეც (ფაილოძე 2003: 27-32). აგათია სქოლასტიკოსის თხზულების მიხედვით მან შეისწავლა ონოგურისის გეოგრაფიული მდებარეობა და გამოთქვა მოსაზრება, რომ აბედათი არ შეიძლება ონოგურისი ყოფილიყო, რადგან საკმაოდაა დაშორებული ქუთაისს. ასევე მიაქცია ყურადღება, რომ უნავირას ქედი იმერეთის საზღვართან, სოფ. მათხოვის პირდაპირ, ცხენისწყლის გაღმა სოფ. ზედა ხუნწის გორაკიდან იწყება. ამ გორაკს კი ადგილობრივები ნაჯიხუს, ანუ „ნაციხარს“, უწოდებენ. ა. ფაილოძემ მოინახულა ამ გორაკზე შემორჩენილი ნაგებობების ნაშთები და დაასკვნა, რომ ონოგურისი სწორედ ხუნწი უნდა ვეძებოთ.

ცხადია, სოფელ აბედათში გამოვლენილი ციხისა და ონოგურისის იგივეობის საკითხს არც ჩვენ ვეთანხმებით. ონოგურისის დღევანდელ სოფელ ხუნწი მდებარე ციხის ნაგრევებთან გაიგივება მეტად დამაჯერებლად მიგვაჩნია (Everill... 2017: 1-6; ლომიტაშვილი... 2017: 99-111; ლორთქიფანიძე... 2018b: 80-100).

ციხე მდებარეობს 20 მეტრი სიმაღლის ქუქითის გორაზე და დაახ. 3000 მ<sup>2</sup> ფართობს იკავებს. ციხის გალავნები მიწის დონეზეა დანგრეული. ციხის პირველად მონახულების დროს მხოლოდ მის ჩრდილოეთ ნაწილში იყო შემორჩენილი გალავნის ერთი ფრაგმენტი. ამიტომ ციხის გეგმარების დადგენა მხოლოდ აეროფოტოების საშუალებით ხერხდებოდა (სურ. 59). აეროფოტო დაკვირვებამ აჩვენა, რომ მცენარეები სწორედ გალავნების ნაშთებზეა ამოსული და მათი გავრცელება ციხის გეგმარებას ემთხვევა. პირველ ეტაპზე სწორედ მცენარეული საფარის კონტურების მიხედვით გახდა შესაძლებელი ციხის გეგმარებისა და ზომების დადგენა.




59. ხუნწის ციხის ტერიტორიის აეროფოტო გათხრების დაწყებამდე

ციხის ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ღრმა და დამრეცი ფერ-დობი ეკვრის და შესაბამისად, მიუდგომელია. აღმოსავლეთიდანაც ციხეს დამრეცი ფერდობი ესაზღვრება, თუმცა ამ მხრიდან ციხემდე მისვლა შეუძლებელი არ არის. ყველაზე ადვილი მისადგომი ციხე სამხრეთიდან იქნებოდა. აქედან მას ნაკლები ქანობის ფერდობი ესაზღვრება და საფიქრებელია, რომ ციხის მთავარი შესასვლელიც აქედან იქნებოდა.

2015 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით დაიწყო ძეგლის გეგმაზომიერი შესწავლა. 2015-2022 წლების არქეოლოგიურმა სამუშაოებმა მნიშვნელოვანი სიახლეები მოგვცა ციხის ისტორიის შესწავლისათვის (ლორთქიფანიძე... 2018: 47-51; ლორთქიფანიძე... 2019a: 44-50; ლორთქიფანიძე... 2020: 34-40; ლორთქიფანიძე... 2021: 81-88):

1. 2016 წელს ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა უცნობი დანიშნულების ნაგებობის ნაწილი, საკმაოდ უცხო და საინტერესო არქიტექტურულ-სამშენებლო დეტალებით – ეს იყო, საგარაუდოდ, დასავლეთ-აღმოსავლეთ ორიენტაციის ნაგებობის (რომლის აღმოსავლეთი ბოლო სამხრეთისკენ არის მცირედით გადახრილი) ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელსაც ჩრდილოეთი და დასავლეთი კუთხეები ნაკვეთილი აქვს და გეგმაში ოქტაგონს მოგვაგონებს. ნაგებობის სიგანე (ჩრდ.-დას. – სამხ.-აღმ. ხაზზე) 8 მეტრს აღწევს, სრული სიგრძე კი – 13 მეტრს. ნაგებობის შიდა სივრცის განმენდის პროცესში აღმოჩნდა ოთხი სვეტის ძირი, რომლებიც უშუალოდ კედლებზეა მიბჯენილი, ასევე ჰიდრავლიკური ხსნარითა და თიხის ფილებით მოკირნებული იატაკი. იატაკის ქვეშ კი კამაროვანი გადახურვით მოწყობილი საძვალე აღმოჩნდა. ნაგებობის სრულად განმენდის შემდეგ მის აღმოსავლეთ ნაწილში გამოიკვეთა აფსიდა. დარბაზის იატაკის განმენდისას გამოვლინდა ქვაჯვარის ფრაგმენტი, რაც ნათლად მიუთითებს შენობის დანიშნულებაზე – ეს ადრეული მუა საუკუნეების ქრისტიანული ტაძრის ნაშთებია, რომელიც მრავალჯერ გადაუკეთებიათ (სურ. 60).



60. ხუნწის ციხის ტაძრის ორთო-ფოტო

2. 2015-2022 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად დღემდე განმენდილია ციხის ჩრდილოეთი გალავნის 25-მეტრიანი მონაკვეთი; დასავლეთ ფერდზე არ-სებული კოშკის ნაშთი და მისგან აღმოსავლეთით ფერდზე ამავალი გალავნის 30 მეტრი სიგრძის ფრაგმენტი (სურ. 61); ასევე ციხის აღმოსავლეთ ნაწილში დავა-ფიქსირეთ გალავნისა და ქვაყრილების მონაკვეთები. კედლების საპირე წყობა ნა-გებია კარგად გათლილი კირქვით, ხოლო მათ შორის ჩაყრილია სხვადასხვა ზომის და სახეობის ქვები კირის დუღაბთან ერთად. გალავნის კედლებს 70 სმ სიღრმის საძირკველი ჰქონია. ამ ტიპის სამშენებლო ტექნიკა ტიპურია IV-VI საუკუნეების ეგრისის ციხესიმაგრებისათვის (ზაქარაია... 1991: 126-164; მურლულია 2013a). შესაბამისად, გალავნების ზოგადი თარიღიც ამ პერიოდზე მოდის. რაც სამომავ-ლოდ კიდევ უფრო დაგვეხმარება ციხის საერთო გეგმარების გარკვევაში.

3. თხრილებში აღმოჩნდა დიდი რაოდენობისა და ნაირსახეობის სამეურნეო (ამ-ფორები, ქვევრები, ლუთერიუმები) და სამშენებლო (აგურები, კრამიტები, ფილე-ბი) კერამიკული მასალები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა IV-VI საუკუნეებით თარიღდება და შესაბამისად, ციხის ქრონოლოგიაც აღნიშნულ პერიოდში უნდა მოექცეს. საინტერესოა, რომ დღემდე შესწავლილ ტერიტორიებზე სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები ძალიან მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, რაც, შესაძლოა, იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ სუნნის ციხე უფრო სამხედრო-სტრა-ტეგიული პუნქტი იყო, ვიდრე რომელიმე დიდებულის საცხოვრებელი რეზიდენ-ცია.



61. ხუნნის ციხის აერო-ფოტო. 2021 წ.

ხუნნის ციხის დანიშნულების დასადგენად მნიშვნელოვანია მისი მდებარეობის ანალიზი. სიმაგრის ასაშენებლად შერჩეულია მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპირო, იქ, სადაც მდინარე ღრმა კლდოვანი ხეობიდან გამოდის და ვაკეზე მი-

ედინება. შესაბამისად, აშკარაა, რომ ხუნწის ციხის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ცხენისწყლის ხეობაზე გამავლი გზის კონტროლი და ჩაკეტვა იყო. ცხენისწყლის ხეობა შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის (ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი გზა იყო; კონკრეტულად ხუნწის ციხის არსებობის პერიოდში კი, ე. ი. ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში, ეს გზა მოხირისის ქვეყანას სკვიმნიასთან (რაჭა-ლეჩხუმთან) და სვანეთთან აკავშირებდა (ლორთქიფანიძე... 2014: 109-110). ამიტომაც საფიქრებელია, რომ ამ ორ რეგიონს შორის ურთიერთობის დარეგულირება ხუნწის ციხის მფლობელის პრეროგატივა იქნებოდა როგორც სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე სამხედრო-სტრატეგიული კუთხით.

ხუნწის ციხის მდებარეობა საშუალებას იძლეოდა, მდ. ცხენისწყლის ხეობაზე გამავალი ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების გზასთან ერთად დაეცვა და გაეკონტროლებინა აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების, ანუ მოხირისის ქვეყნიდან (დღ. იმერეთი) ცენტრალური ეგრისისაკენ (დღ. სამეგრელო) მიმავალი გზაც. ამ ორ რეგიონს შორის არსებული ბუნებრივი გამყოფი ზოლი ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით სწორედ მდინარე ცხენისწყალი იყო. ამ ზოლის დაცვა და კონტროლი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა VI საუკუნეში მიმდინარე ეგრისის დიდი მოის დროს, როდესაც ცხენისწყლის აღმოსავლეთით სპარსელები, ხოლო დასავლეთით ბიზანტიულები და ლაზები იყვნენ განლაგებული. აქვე თუ გავიხსენებთ ხუნწის ციხისა და ონგურისის იგივეობის ალბათობას, აშკარა ხდება, რომ ხუნწის ციხე კონტროლს უწევდა აღმოსავლეთი და ცენტრალური ეგრისის დამაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ გზას.

როგორც უკვე აღინიშნა, ხუნწის ციხე მცირე ზომის ბორცვზეა აგებული, თუმცა ფორტიფიკატორებს ტერიტორია ისე შეურჩევიათ, რომ ციხის ტერიტორიიდან სამ მხარეს ვრცელი ტერიტორიების ვიზუალური კონტროლია შესაძლებელი:

1. აღმოსავლეთით კარგად მოჩანს 3 კმ-ში მდებარე მაღალი ბორცვი, რომელზეც მარტვილის მონასტერია განთავსებული. მარტვილის მონასტრის ტერიტორიის ადრეული ისტორია ცალკე კვლევის საგანია და წინამდებარე ნაშრომის საზღვრებს სცდება, თუმცა მხოლოდ შენიშვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ მონასტრის ტერიტორიაზე დაკვირვება აშკარად იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ აქ მონასტრის დაარსებამდე სამოსახლო, სამლოცველო და/ან ეგებ სასიმაგრო სისტემაც არსებულიყო. ულრუბლო ამინდის დროს ხუნწის ციხისგან აღმოსავლეთით 18 კმ-ში კარგად ჩანს ეგრისის სამეფოს დედაქალაქ ნოქალაქევი-არქეოპოლისის ციტადელი და მისი კოშკები, რაც მეციხოვნეებს ცეცხლისა და კვამლის მეშვეობით სასიგნალო-საგანგაშო კომუნიკაციის საშუალებას მისცემდა.

2. ხუნწის ციხისგან დასავლეთით კარგად მოჩანს 2-3 კმ-ში მდებარე მდ. ცხენისწყლის ვიწრო და დაკლაკნილი ხეობა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქ გამავალი გზის როგორც ვიზუალური, ისე ფიზიკური კონტროლის საშუალებას იძლეოდა. კიდევ უფრო შორს კი 25 კმ-ში მდებარე ხვამლის მთა მოჩანს.

3. ციხიდან სამხრეთით იშლება მდინარე ცხენისწყლისა და აბაშის ორმდინარეთის ვრცელი ხედი. შესაბამისად, ხუნწის ციხიდან მოხირისის ქვეყნისა და ცენ-

ტრალური ეგრისის ვაკე ტერიტორიების ვიზუალური კონტროლი საკმაოდ ვრცელ არეალზე (დაახ. 15-20 კმ) იყო შესაძლებელი.

ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალი ციხესიმაგრეები ჩვენ მიერ შედგენილი ფუნქციური კლასიფიკაციით სამ ძირითად კატეგორიაში ერთიანდება: 1. ხეობის გზის ჩამკეტი, 2. საგუშაგო-სასიგნალო და 3. ადმინისტრაციულ-საბაზო დანიშნულების (მურლულია 2013b: 165). საინტერესოა, რომ ხუნწის ციხე, თავისი მდებარეობის, მასშტაბისა და გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზის მიხედვით, შესაძლოა, ზემოთ ჩამოთვლილ სამივე ფუნქციას ასრულებდა: 1. ზემოთ მოცემული მსჯელობით სრულიად აშკარაა, რომ ციხის უმთავრესი დანიშნულება სამხრეთ-ჩრდილოეთისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულების გზების ჩამკეტვა, დაცვა და კონტროლი იყო; 2. ციხისთვის შერჩეული ტერიტორია მეციზოვნებს საშუალებას აძლევდა, ერთდროულად სამი მიმართულებით საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაეზევერათ და ამასთანავე კავშირი ჰქონდათ სხვა სიმაგრეებთან (მაგ. ნოქალაქევი-არქეოპოლისთან); 3. ციხის ზომებიდან გამომდინარე (60 მ X 120 მ) აშკარაა, რომ ის რიგითი საგუშაგო-სასიგნალო ან მხოლოდ ხეობის ჩამკეტი სიმაგრე არ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ფორტიფიკატორები მცირე ზომის ციხის აშენებით შემოიფარგლებოდნენ. ასეთები კი ისტორიული ეგრისის ტერიტორიაზე მრავლად არის გამოვლენილი, მაგალითად, კოტიანეთის, სქურის, ეკისა და სხვა ციხეები. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ხუნწის ციხე ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სიმაგრე იყო. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არქეოლოგიურ მონაპოვრებში აშკარად ჭარბობს სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ტარა, ხოლო სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ციხე არც რომელიმე დიდებულის რეზიდენცია იქნებოდა და არც მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური გაცვლის ადგილი. უფრო საფიქრებელია, რომ ხუნწის ციხე, თავისი ზომებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღემდე შესწავლილი ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და გეოგრაფიული მახასიათებელების ანალიზის საფუძველზე აშკარაა, რომ ხუნწის ციხე ეგრისის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ამასთანავე არსებული მონაცემების მიხედვით, მოსაზრება ხუნწის ციხისა და აგათია სქოლასტიკოსის ონოგურისის იგივეობის შესახებ სრულიად სარწმუნოდ მიგვაჩინა.


## აპედათი

ციხე მდებარეობს მდ. აბაშის წყლის აუზში, დაბა მარტვილიდან სამხრეთ-დასავლეთით 7 კმ-ზე, სოფ. აბედათის მთიან ნაწილში, უნაგირა მთის სამხრეთ კალთებზე (GPS კოორდინატები: N42 25.400 E42 17.064. სიმაღლე: 372 მ.).

ციხეზე არქეოლოგიური გათხრები 1985 წელს დაწყებულა. ეს ციხე რამდენიმე წლით ადრე ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით აღმოუჩენიათ ნოქალაქევის

ექსპედიციის წევრებს. პროფ. პ. ზაქარაიას ციხის პირველივე დათვალიერებისას, ის ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში ნახსენებ ონოგურისის ციხესთან გაუიგი-ვებია. შემდგომ წლებში ეს მოსაზრება ქართულ ისტორიოგრაფიაშიც დამკვიდრა, თუმცა უკანასკნელ წლებში სრულად იქნა უგულებელყოფილი, რაზეც ვრცლად ზემოთ ვისაუბრეთ, ხუნძის ციხის აღნერისას.

ციხეს ჩრდილოეთიდან მთა ეკვრის. სიმაგრე ფრონტით სამხრეთ-დასავლეთის-კენაა მიმართული. კომპლექსი ძლიერ არის დაზიანებული და მთლიანი გეგმა არ იკითხება, თუმცა ჩანს, რომ ციხე საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მისი ზომებია: ჩრდილოეთის გალავანი – 68 მ, აღმოსავლეთის – 82 მ და დასავლეთის – 63 მ (სურ. 62). ციხის შიდა ტერიტორიაზე სულ ცოტა სამი არქეოლოგიური ფენა იკვეთება – ადრეელინისტური ხანიდან XVIII ს.-მდე (ზაქარაია 2002: 80-81).



62. აბედათის ციხის გეგმა

მთლიანად ციხე ორი გალავნისგან შედგება. მათგან მთავარი, რომელმაც დღემდე მოაღწია, ეზოს 10-12 მ სიმაღლის კედლებით შემოსაზღვრავს (სურ. 63). ციხის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი გალავნები ერთმანეთთან მართი კუთხით იკვეთება, ხოლო დასავლეთის კედელი მომრგვალებულია და ირიბად მიმავალ სამხრეთის გალავანს უერთდება.

ციხეს სამხრეთ და აღმოსავლეთ მხრიდან მეორე გალავანი ეკვრის, რომელიც მთის რელიეფზეა აშენებული და ფერდობს მიჰყვება. ეს კედელი გამაგრებულია კონუსური კონტრფორსებით. ამ გალავანში ჩართულია კვადრატული ფორმის კოშკი. ის სამ- ან ოთხსართულიანია და ზემოთ ვიწროვდება. კედლებში კარი არ ჩანს, გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია, კოშკს შესასვლელი ზემოთ, გზის დონეზე ჰქონოდა (ზაქარაია 2002: 80). განხილული გალავანი და კოშკი, ისევე, როგორც მთლიანად ციხე IV-VI სს.-ით არის დათარიღებული (ზაქარაია 2002: 80).



**63. აბედათის ციხე. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან**

ძეგლზე სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენებია გამოვლენილი. მათგან გამოირჩევა პირველი ციხის გალავანი, ჩრდილოეთ ხაზზე ჩატანებული ჭიშკრით. ამ ციხის კედლების ნაშთი აღმოსავლეთით და სამხრეთით გვიანდელი გალავნის ქვეშ გადის. ახალი ციხე ორი ნაწილისაგან შედგებოდა. მას ჭიშკარი სამხრეთის მხრიდან ჰქონდა გაჭრილი. ამ ციხის გალავნების დასავლეთ ხაზზე, ჩრდილოეთ მონაკვეთში, გამოვლენილია სამსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა და კოშკი (ზაქარაია 2002: 80).

ციხის ეზოს აღმოსავლეთ მონაკვეთში გამოვლენილია საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც XI ს-ით თარიღდება (ზაქარაია... 1991: 229-231). თუმცა ეგრისის სამეფოს სხვა ციხეების ანალოგებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აბედათის ციხეში IV-VI სს-შიც იქნებოდა ეკლესია.

ციხის ორივე პერიოდის მშენებლობაში გამოყენებულია ნატეხი ქვა, ზოგიერთ მონაკვეთზე – თლილი.

აბედათის ციხის დანიშნულების განსაზღვრისათვის, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს მის მდებარეობას. პ. ზაქარაიას მიერ ციხის ონოგურისთან გაიგივებით მისი ფუნქციის განსაზღვრაც მოხდა – ონოგურისის ციხე არქეოპალისის (ანუ ნოქალაქევის) აღმოსავლეთ მისადაგომებს იცავდა. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება მცდარია. როგორც უკვე აღინიშნა, ციხის ტერიტორიაზე IV-VI სს.-ის არქეოლოგიური მასალა ძალზე მწირია და ამ მხრივ, მისი პიზანტიური წერილობითი წყაროების მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტ ინოგურისთან გაიგივება საეჭვოა. გარდა ამისა, აბედათის ციხის გარშემო რელიეფზე დაკვირვება აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ ციხის მთავარი ფუნქცია უნაგირა მთაზე არსებული სამხრეთ-ჩრდილოეთი მიმართულების ვიწრო გადასასვლელის ჩაკეტვა უნდა ყო-

ფილიყო (სურ. 54). იმავდროულად აბედათის ციხე საკმაო მანძილით არის დაშორებული იმერეთიდან (ისტორიული მოხირისის რეგიონიდან) არქეოპოლისისაკენ მიმავალ გზას და, შესაბამისად, აბედათის ციხიდან არქეოპოლისის აღმოსავლეთ მისადგომების დაცვა გაჭირდებოდა.

## კვაუთი

კვაუთის ციხე სენაკის რაიონის სოფ. ლექაძამის უბან კვაუთის ცენტრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კმ. დაშორებით, ერთ-ერთი მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს (GPS კოორდინატები: N42 25.157 E42 15.365. სიმაღლე: 326 მ.). ძეგლს ჩრდილოეთიდან მთა ებჯინება, ხოლო დასავლეთით 1.5 კმ-ში მდ. ტეხური ჩამოედინება. ციხის სამხრეთ მხარეს იშლება ხედი კოლხეთის დაბლობისკენ.

XX საუკუნის 80-იან წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის ექსპედიციის სამუშაო ჯგუფმა (დ. ლომიტაშვილი, ე. კოკაია, გ. გაბისონია და სხვ.) სენაკის რაიონში დაზვერვითი სამუშაოებისას სოფ. ლექაძამეს უბან კვაუთში აღნიშნული ციხის ნანგრევებს მიაკვლია, რომელიც ზედაპირულად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით ადრეული შუა საუკუნეების ძეგლად მიიჩნია. თუმცა იმ დროისათვის ძეგლის აღნუსხვა, ჩახაზვა ან ფოტოგრაფირება ვერ მოხერხდა.


2008 წელს საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით სენაკის რაიონის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების პასპორტირებისა და დაცული ზონების ფორმირების დროს სამუშაო ჯგუფმა: დ. ლომიტაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი), ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურლულია, ივ. ყენია, ნ. ნოზაძე, თ. ითაშვილი, შ. ხეცურიანი ხელახლა მოინახულა კვაუთის ციხის ნანგრევები და სრულად აღწერა ის (იხ. „სენაკის მუნიციპალიტეტის დაცული ზონები – II ეტაპი“, მყარი ხელნაწერი ვერსია – საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ნოქალაქევის ფონდი).

ციხე სრულად არის დანგრეული. გალავნების მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე ჭიშკართან და აღმოსავლეთ დაბოლოებაზე 4 მ-ს აღწევს. ხოლო ციხის შიგნით მდგარი ეკლესიის მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე დასავლეთ კედელზე 6 მ-ია.

ციხის ამშენებლებს მის აგებამდე დამრეც ფერდობზე ჰორიზონტალური პლატფორმის მოსაწყობად საკმაოდ დიდი რაოდენობის მიწა მოუჭრიათ, შედეგად ფერდობზე ტერასის მსგავსი სივრცე შეიქმნა (ზომები: 50 მ X 100 მ), რომელსაც ჩრდილოეთი მხრიდან მიწის მოჭრის შედეგად წარმოქმნილი პიტალი კლდე მოექცა, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან ბუნებრივი ციცაბო ფერდობი შენარჩუნდა, რაც ციხის მიუვალობისთვის მეტად ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა.

კომპლექსი შედგება ციხისა და მასში მდგარი დარბაზული ეკლესიისგან. ციხე გაშლილია დას.-აღმ.-ის ხაზზე (სიგრძე 95 მ, სიგანე 45 მ), აქვს ოვალური ფორმა და როგორც აღინიშნა, ჩრდილოეთი მხრიდან ციცაბო კლდეზეა მიბჯენილი, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან კლდის ქვით ნაშენი გალავნები შემოსაზღვრავს (სურ. 64).

კედლები უმეტესად რიგების დაცვის გარეშეა ნაგები, სადუღაბე მასალად გამოყენებულია კირი. კლდის ქვა გამოყენებულია კედლების საპირე წყობისთვის, ხოლო მათ შორის კირის დუღაბთან ერთად ჩაყრილია სხვადასხვა ტიპის ქვა. საპირე წყობაში გვხვდება სხვადასხვა ზომის (10 სმ-იდან 1 მეტრამდე) კლდის ფლეთილი ქვა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორი რიგების არარსებობისა და სხვადასხვა ზომის საპირე ქვების მიუხედავად, ციხის გალავნების ფასადები მაინც შთამბეჭდავად გამოიყრება. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას კარიბჭისა და ციხის აღმოსავლეთ გალავნის შესახებ, რომლებიც ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი.



64. კვაუთის ციხის გეგმა

ციხეს ჭიშკარი დასავლეთით აქვს გაჭრილი. ამშენებელს მისი გამაგრებისთვის განსაკუთრებით მიუქცევია ყურადღება: კარიბჭის ადგილას მას გალავნის პერპენდიკულარული და ერთმანეთის პარალელური ორი დამატებითი კედელი აუგია. თითოეულის სიგრძე 5.5 მეტრს აღწევს და ჭიშკრის შესასვლელთან ერთგვარ დერეფანს ქმნის, რომლის ნახევარიც ციხის გარეთ გადის, ხოლო მეორე ნაწილი ციხის შიგნით ხვდება. ჭიშკრის შემორჩენილი ნაშთები გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ მისი სიგანე 3.5 მეტრი იყო. პერპენდიკულარული კედლებით წარმოქმნილი შვერილი კუთხეები დასასვლელის (გარეთა) მხრიდან გამაგრებული იყო ორი მომრგვალებული ფორმის კონტრფორსით (სურ. 65). საფიქრებელია, რომ ჭიშკრის ირგვლივ წარმოქმნილი დერეფნის მსგავსი სივრცის (ზომები 3.5 მ X 5.5 მ) თავზე მოწყობილი იქნებოდა მეორე სართული, რომელიც კოშკის როლს შეასრულებდა და სადაც გუშაგები იქნებოდნენ განლაგებული. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ჭიშკრის ჩრდილოეთით მდებარე კონტრფორსი, რომელიც სიმაღლეში მატებასთან ერთად სამხრეთისკენ, ანუ ჭიშკრის მიმართულებით, იხრება და თაღოვანი

გადახურვის შთაბეჭდილებას ქმნის, რაც, სავარაუდოდ, აუცილებელიც იქნებოდა მეორე სართულის გასამართავად. საინტერესოა, რომ ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული დერეფნის ტიპის ჭიშკრები საფორტიფიკაციო არქიტექტურაში მეტად გავრცელებული იყო, სადაც, როგორც წესი, დერეფანს ქმნიდა ან ორი კოშკი, რომლებიც ჭიშკარს გვერდებიდან ამაგრებდა, ან ორი ერთმანეთის პარალელური და ჭიშკრის პერპენდიკულარული კედელი (Winter 1971: 207-208).

კვაუთის ციხის კარიბჭის შემთხვევაში ჩვენ გვხვდება დერეფნის ფორმის შესასვლელი და სავარაუდოდ, ჭიშკრის ზედა საგუშაგო, რაც თავისთავად იმდროინ-დელი მსოფლიო არქიტექტურული ტრადიციების ცოდნასა და გამოყენებას უნდა გულისხმობდეს. თუმცა არ ჩანს კოშკების კვალი, რაც, სავარაუდოდ, იმით აიხსნება, რომ კვაუთის ციხის მასშტაბები არ ქმნიდა კოშკების აგების აუცილებლობას და შეზღუდული ფართობიც არ იძლეოდა ორი დიდი ზომის კოშკის ასეთ პატარა ფართობზე აშენების საშუალებას. ჭიშკრის მისადგომების მხოლოდ პარალელური გალავნებით გამაგრება მიღებული წესი იყო ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, მაგალითად, კვაუთის ციხის მსგავსი ჭიშკრებია გამოვლენილი ძველ ბერძნულ ქალაქ აკრაგასში (სიცილია) და ციხესიმაგრე გორგისში (თან. საბერძნეთი, პელოპონესის პროვინცია, არკადიის მხარე) (Winter 1971: 212).



65. კვაუთის ციხის ჭიშკარი

ჭიშკარს ჩრდილოეთით ციხის გალავანი აგრძელებს, რომელიც მცირე მომრგვალებით ოდნავ დამრეც ფერდობზე ადის და 23 მეტრის გავლის შემდეგ კლდის პირს პერპენდიკულარულად უერთდება.

კარიბჭიდან სამხრეთით გალავანი წრიულად უხვევს აღმოსავლეთისკენ. ამ ადგილის გასამაგრებლად ამშენებლებს გალავანზე ხუთი ნახევარწრიული კონტრფორსი მიუდგამთ, მათ შორის ინტერვალები 1-იდან 3 მეტრამდე მერყეობს და

თითოეულის დიამეტრი საშუალოდ 1.5 მეტრია. უნდა ითქვას, რომ არც ერთ კონტრფორსს გალავნის წყობასთან ორგანული ბმა არ აქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მოგვიანებით მიუშენებიათ. გამომდინარე იქიდან, რომ ციხის ჭიშკრი-დან სამხრეთ-დასავლეთი კუთხის მომრგვალება ოთხიოდე მეტრში იწყება, მისი სანგრევი მანქანებისგან დაცვა განსაკუთრებით გაჭირდებოდა. როგორც ჩანს, ციხის ამ ნაწილში კონტრფორსების მოგვიანებით მიშენება კონკრეტული გარე-მოებებიდან გამომდინარე მოხდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქ-ციულად გალავნისა და კონტრფორსების ბმა იმდენად სუსტია, რომ ერთ-ერთი მათგანი გალავნის გარე წყობას სრულად არის მოცილებული (40 სმ-ით) და იქვე მიწაზე დევს. მნახველს შეიძლება დარჩეს შთაპეჭდილება, რომ ეს კონტრფორსები მხოლოდ ციხის ვიზუალური მხარის გასაუმჯობესებლად აუგიათ.

სამხრეთი გალავნი უკიდურესი აღმოსავლეთ კონტრფორსის შემდეგ ორად იყოფა. ერთი, ჩრდილოეთით გაგრძელებული კედელი ციხის ტერიტორიაზე შე-დის, მომრგვალებულად უხვევს ჩრდილოეთისკენ, ანუ კლდისკენ და ციხის შუა-გულში მდგარი ეკლესის აღმოსავლეთით 15 მეტრში მიწაში იკარგება. შესაძლოა, დავუშვათ, რომ ეს ციხის პირველი გალავნი იყო, რომელმაც მეორე (გარე) გალავ-ნის აგების შემდეგ ფუნქცია დაკარგა. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ კვაუთის ციხის სიგრძე თავდაპირველად დაახ. 60 მეტრი იყო. თუმცა ასევე შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ციხის შიდა სივრცის გამოსაყოფად აშენებული კედელი და გარე მთავარი გალავნის თანადროულია.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან ორად გაყოფილი გალავნის გარე, სამ-ხრეთი გაგრძელება სწორხაზოვნად მიემართება აღმოსავლეთისკენ, 70 მეტრის გავლის შემდეგ კი მომრგვალებულად უხვევს ჩრდილოეთით და საკმაოდ დამრეც ფერდობს მიჰყვება კლდის კიდემდე, თუმცა კლდესთან შეერთებამდე გალავნი წრიულად უხვევს ციხის შიდა, დასავლეთ მხარეს, 5 მეტრის გავლის შემდეგ კვლავ ჩრდილოეთისკენ უხვევს და 10 მეტრში 90°-იანი კუთხით კლდეს ებჯინება.

ციხის ცენტრალურ მონაკვეთში (აღმ. გალავნიდან 50 მ, დას. გალავნიდან 30 მ) მთავარანგელოზის სახელობის დიდი (ზომები 8.55 მ X 11.5 მ) ეკლესია დგას, რო-მელიც დარბაზული ტიპის ნაგებობაა მომრგვალებული აფსიდით (სურ. 66). ტა-ძარს სამი კარი ჰქონია ჩატანებული დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან. სამივე მათგანი თაღით მთავრდებოდა. ეკლესის ოთხივე კედელში გაჭ-რილი ყოფილა სარკმლები, თითო-თითო დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადების შუა ნაწილებში, ორ-ორი კი სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე, სულ 6 სარკმე-ლი. ყველა მათგანს წაგრძელებული ფორმა აქვს. სარკმლებს გეგმაში ტრაპეციის ფორმა აქვს და გარეთკენ ვიწროვდება.

ტაძარი ნაგებია კლდის ქვით, რიგების მკაცრი დაცვით (სისწორისათვის რი-გებს შორის კირის დუღაბთან ერთად ჩატანებულია კლდის ქვის ანატკეცები). სა-კურთხეველში ტაძარს ჩატანებული აქვს სამი ნიშა. ეკლესის მორღვეული ჰქონ-და სახურავი და თაღები, ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების შუა ნაწილები (ადგილობრივთა გადმოცემით, კედლები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, XX ს.-ის 20-იან წლებში, დაანგრიეს. დღეისათვის ტაძარი აღდგენილია). თითქმის სრულად იყო შემორჩენილი ტაძრის დასავლეთი ფასადი, რაც გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ ეკლესის სიმაღლე მინ. 8.5 მეტრს აღწევდა და ის ორ-

ფერდა (დაახ. 45°-იანი ქანობის) სახურავით იყო გადახურული. აღმოსავლეთ კედლის პერანგი ადგილობრივი შირიმის ტიპის ქვითაა ნაშენი. საკურთხეველში ამბიონად გამოყენებით ნალის ფორმის ქვა. საკურთხევლის დანარჩენ სივრცესთან შედარებით ერთი საფეხურითაა აწეული. ტაძრის შემორჩენილი კედლების ქვეზე გვხვდება სხვადასხვა ორნამენტისა და ბუნებრივი საღებავების კვალი. თუმცა ჩანს, რომ ისინი (ქვები) ტაძრის განახლების შემდეგ მეორადად არის გამოყენებული. სავარაუდოდ, ეკლესიის პირველი სამშენებლო ფენა, რომელიც გეგმის დონეზე იკითხება, ციხის თანადროული (IV-VI სს.) უნდა იყოს. ეკლესიის კედლებში ფრაგმენტულად შემორჩენილი XI-XII სს.-ის ორნამენტი გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდში ეკლესია განუახლებიათ, ხოლო მესამე სამშენებლო პერიოდი გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება (XVI–XVIII სს.).



**66. კვაუთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია აღდგენამდე**

კვაუთის ციხის მშენებლობის ტექნოლოგია და გეგმარების ტიპი გვაფიქრებინებს, რომ ის ადრეული შუა საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს. ყველა მისი თანადროული ძეგლის – შეეფის, საკალანდარიშვილოს, აბედათის, ნოქალაქევისა და ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალი სხვა ციხეების (ზაქარაია... 1991: 126-164; ლომიტაშვილი 2003: 218-232) – მსგავსად, კვაუთის ციხის მშენებლობისასაც საპირე წყობაში მხოლოდ კლდის ფლეთილი ქვებია გამოყენებული, ხოლო კედლების შუა ნაწილები სხვადასხვა ტიპის ქვით არის ამოვსებული. სადუღაბე მასალად ყველგან კირია გამოყენებული.

ასევე იდენტურია კვაუთისა და დანარჩენი ციხეების ფორმები, რომლებიც უმეტესად მომრგვალებულ-ოვალურია (მაგ.: კოტიანეთი, საკალანდარიშვილი, მენჯი) (ზაქარაია... 1991: 137, 151; ლომიტაშვილი 2003: 211, 216-218). სხვა ციხეების მსგავსად, კვაუთის ამშენებელსაც გონივრულად გამოუყენებია იქ არსებული რელიეფი და სალი კლდე ციხის ჩრდილოეთ კედლად გამოუყენებია. სახასიათოა ის ფაქტიც, რომ კვაუთის ციხიდან ძირითადად მხოლოდ ერთი, სამხრეთის მიმართულებით შეიძლება ვრცელი ტერიტორიების ვიზუალური კონტროლი, ანუ ციხის გარშემო ყველა მიმართულებით ღია სივრცე არ იშლება, მსგავსად სხვა ციხეებისა – აბედათის, შხეფის, სორტის (ზაქარაია... 1991: 130; ლომიტაშვილი 2003: 212-214).

კვაუთის ციხის ტიპოლოგიური მახასიათებლები და მშენებლობის ტექნოლოგია გვაფიქრებინებს, რომ ის ეგრისის სამეფოს სხვა ციხეების თანადროული უნდა იყოს და ზოგადად IV-VI სს.-ით უნდა თარიღდებოდეს. ამასვე ადასტურებს ციხის ტერიტორიაზე, მის სამხრეთ კედელთან აღმოჩენილი აღრეული შუა საუკუნეების ხანის ნითლად გამომწვარი კერამიკული ჭურჭლის (ქვევრი, ქოთანი) ნატეხები.

სტრატეგიული თვალსაზრისით კვაუთის ციხეს მეტად საინტერესო ადგილ-მდებარეობა აქვს. ის მდებარეობს ეგრისის სამეფოს დედაქალაქ ნოქალაქევი-არქეოპოლისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 კმ-ში ერთ-ერთი მთის სამხრეთ კალთაზე და მისგან სწორედ ნოქალაქევისკენ და ზოგადად კოლხეთის დაბლობის-კენ იშლება ვრცელი ხედვის არე. საინტერესოა, რომ კვაუთის ციხის სამხრეთ-დასავლეთით შესაძლებელია მდ. ტეხურის ხეობის სოფ. ლეძაძამეში გამავალი 6 კმ-იანი მონაკვეთის ვიზუალური კონტროლი. ასევე კვაუთიდან კარგად ჩანს ნოქალაქევის ნაქალაქარის ჩრდილოეთით 800 მეტრში მდებარე ერთ-ერთი მთის წვერი, რომელიც, ფაქტობრივად, ნოქალაქევის ციტადელის შემაღლების ჩრდილოეთ გარძელებას წარმოადგენს. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ამ ორ ციხეს შორის კავშირის დამყარება კვამლის ან კოცონის მეშვეობით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.

კიდევ უფრო საინტერესოა კვაუთის ციხის კომპლექსის მდებარეობა მარტვილის რაიონის სოფ. აბედათში მდებარე ციხესთან მიმართებაში, რომელიც კვაუთის აღმოსავლეთით 2,3 კმ-ში იმავე მთის ასევე სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. საგულისხმოა, რომ განლაგების მიხედვით კვაუთისა და აბედათის ციხეები იდენტურია – ორივე სამხრეთით გაშლილი ტერიტორიების საკონტროლებლად უნდა ყოფილიყო აგებული. ასევე სავარაუდოა, რომ შესაძლებელი იქნებოდა მათ შორის კვამლის ან კოცონის მეშვეობით ურთიერთობა.

გამომდინარე იქიდან, რომ კვაუთის ციხე მეტად მაღალ მთაზეა აშენებული, მის სიახლოეს რაიმე მნიშვნელოვანი გზის არსებობა ნაკლებად წარმოსადგენია. შესაბამისად, შეიძლება დავუშვათ ვარაუდი იმის შესახებ, რომ კვაუთის ციხე, ეგრისის სამეფოს ზოგიერთი სხვა ციხესიმაგრის მსგავსად (ოცინდალე, ჯახუთი), კარგად დაცულ გამაგრებულ პუნქტს – რეზიდენციას წარმოადგენდა, რომელიც წაკლებად იღებდა მონანილეობას ქვეყნის თავდაცვაში, თუმცა იქიდან საკმაოდ ვრცელი ტერიტორიების დაზევრვა იყო შესაძლებელი. ამ მოსაზრებას ციხის ზომები, კარგად მოწყობილი ჭიშკარი და ციხის შუაში მდებარე ეკლესის ნაშთიც ადასტურებს.

## კოტიანეთი


ქ. სენაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 12 კმ-ზე მდებარეობს სოფ. კოტიანეთი, სოფელს ჩრდილოეთიდან მთები ეკვრის. ერთ-ერთი მთის ქიმზე დგას პატარა ზომის ციხე, რომელიც კოტიანეთის ციხის სახელწოდებით არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ციხე დიდ შემაღლებაზე არ მდებარეობს, მისგან სამხრეთით საკმაოდ დიდი ტერიტორიის დაზერვაა შესაძლებელი (GPS კოორდინატები: N 42°20'30.18" E 42° 9'51.84". სიმაღლე: 163 მ.).

ციხეს უნდა მოვალის ფორმა აქვს, მისი ზომებია: სიგრძე – 20.1 მ, სიგანე – 14.5 მ. ციხის კომპლექსი გალავნის, კოშკისა და მცირე ზომის ეკლესიისგან შედგება. გალავანს გარს ეკვრის ღრმა და განიერი ხელოვნური თხრილი. ციხესთან ახლოს აღმოჩენილია ძველი საურმე გზა (ლომიტაშვილი 2003: 211).

ციხის ჩრდილოეთ ნაწილში ეზო იყო მოწყობილი, აღმოსავლეთ მონაკვეთში კი კოშკი და ეკლესია მდებარეობდა (სურ. 67). კოშკი გეგმით კვადრატს უახლოვდება (4 მ X 3.7 მ). მისგან მხოლოდ მეორე სართულის ძირი და სარდაფი შემორჩა. საფიქრებელია, რომ შესასვლელი მეორე სართულზე იქნებოდა. ასევე დანგრეულია ციხის 1 მ სისქის გალავანი. სამშენებლო მასალად კოშკზეც და გალავანზეც კლდის სხვადასხვა ზომის ფლეთილი და გათლილი ქვაა გამოყენებული.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე ეკლესიას აქვს დათმობილი. ის მცირე ზომის (6.1 მ X 8.2 მ) დარბაზული ტიპის ნაგებობაა და სავარაუდოდ, გარნიზონისთვის იყო განკუთვნილი (ზაქარაია... 1991: 138; ლომიტაშვილი 2003: 211).

ციხე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან მიუდგომელი ქარაფითაა შემოსაზღვრული. დანარჩენ პერიოდზე გალავნები 4 მ სიღრმისა და 9-10 მ სიგანის თხრილით არის შემოფარგლული (ლომიტაშვილი 2003: 211-212).



67. კოტიანეთის ციხის გეგმა

ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალა მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. ერთადერთი უბანი, სადაც ძირითადად ადრეული შუა საუკუნეების ხანის კერამიკული მასალა (IV-VI სს.-ის სუფრისა და სამზარეულოს კერამიკული ჭურჭელი) აღმოჩნდა, ციხის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთია (ლომიტაშვილი 2003: 212). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ციხემ ეგრისის სამეფოს დაცემის შემდეგ ფუნქცია დაკარგა (ზაქარაია... 1991: 138).

კოტიანეთის ციხის მთავარი ფუნქცია ნოქალაქევისა და სორტის სიმაგრეებს შორის არსებული ტერიტორიის ვიზუალური გაკონტროლება უნდა ყოფილიყო. იმავდროულად კოტიანეთის ციხეს თავის სიახლოვეს (უნაგირა მთის თხემზე) გამავალი გზის უსაფრთხოებაზე და საჭიროების შემთხვევაში ჩაკეტვაზე უნდა ეზრუნა.

## სორტი

ქ. სენაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 კმ-ზე მდებარე სოფ. სორტის მომიჯნავე მთის ერთ-ერთ ქიმზე დგას მცირე ზომის ციხე, რომელსაც პირობითად სორტის ციხე ეწოდება. (GPS კოორდინატები: N 42°19'21.16,, E 42° 9'6.74,, სიმაღლე: 124 მ.).

ციხე ოციოდე წლის ნინ არის აღმოჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები ჯერ არ ჩატარებულა, მისმა აღმოჩენამ მეტი სიცხადე შეიტანა ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის თავდაცვითი სისტემის სრულად წარმოდგენაში, რაზეც უფრო კრიტიკულად ქვემოთ ვიღაპარა კეთილგანვითარება.

ციხე თითქმის საძირკვლამდეა დანგრეული. მთელი ფართობი ბუჩქნარითა და ჩამონგრეული ნაყარი ქვებითაა დაფარული. ზედაპირული დაზვერვებით ძეგლზე იკვეთება გალავნებისა და კოშკის ნაშთები. ასევე აშკარად ჩანს ციხის გარშემო შემოვლებული თხრილისა და მინაყრილის კვალი.

ციხის ტერიტორიაზე მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა იქნა აღმოჩენილი – ძვ. ნ. III ს.-ის სინოპური ამფიონის ყურის ფრაგმენტები. მიუხედავად იმისა, რომ ეს აღმოჩენა ზედაპირულია, შესაძლებელია, დავუშვათ, რომ ციხის სიახლოვეს ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში გადიოდა სავაჭრო გზა. ძეგლზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა – ქოთნების, დოქების, ქვევრებისა და ამფიორების ნატეხები უმტესად ადრეული შუა საუკუნეებით (IV-VI სს.) თარიღდება, რის საფუძველზეც მთლიანად ციხე ზოგადად IV-VI სს.-ით თარიღდება (ლომიტაშვილი 2003: 215).

სორტის ციხეს შუალედური ადგილი ეჭირა კოტიანეთისა და შეეფის ციხეებს შორის და შესაბამისად, მისი დანიშნულება ამ ორი ციხისთვის სიგნალის გადაცემა უნდა ყოფილიყო. იმავდროულად, კოტიანეთის ციხის მსგავსად სორტის ციხეს თავის სიახლოვეს გამავალი (დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულების) გზა უნდა გაეკონტროლებინა, რომელიც უნაგირა მთის დასავლეთ და აღმოსავლეთ ქედებს ერთმანეთთან აკავშირებდა.

## შეცი

ქ. სენაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე მდებარეობს უბანი შეცი, ამ უბნის ჩრდილოეთით ნახევარ კილომეტრში, ერთ-ერთი მთის მაღალ ქიმზე მდებარეობს მოზრდილი ციხე, რომელიც საისტორიო წყაროებში შეცის (შეცის) სახელით არის ცნობილი (სურ. 68). ამ ციხიდან სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით საჟმაოდ დიდი მანძილის დაზვერვაა შასაძლებელი (GPS კოორდინატები: N 42°17'32.73" E 42° 6'41.36". სიმაღლე: 155 მ.).



68. შეცის ციხის საერთო ხედი სამხრეთიდან

შეცის ციხეზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ოთხი სამშენებლო ფენაა გამოვლენილი, თუმცა არც ერთი მათგანი ბოლომდე არ იკითხება (ზაქარაია... 1991: 139). ციხეს წაგრძელებული გეგმა აქვს (55 მ X19 მ). მას ერთადერთი მისადგომი აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონდა, რომელიც 10 მ. სიგრძის გალავნით გადაუკეტიათ და ჭიშკარიც ამ მხარეს ჩაუყოლებიათ. ციხის შიგნით სხვადასხვა დონეზე სამი ეზო იყო მოწყობილი. ძეგლზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ ციხეზე თავდაპირველად გალავანთან ერთად მხოლოდ ერთი სწორკუთხა კოშკი იდგა.

ეს გალავანი გარშემო უვლიდა მოგვიანო პერიოდში აშენებულ კოშკს, რომელიც ძველი, IV ს.-ის დასაწყისის კოშკის ნანგრევებზე აუშენებიათ. ასევე IV ს.-ის მეორე ნახევრით არის დათარიღებული მეორე კოშკიც (ზაქარაია... 1991: 141-142). ეს, მეორე კოშკი ჩართულია გალავანში, რომელიც უმეტესად მთიან რელიეფზე დგას, თუმცა გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე კედლის სუბსტრუქცია ძალიან დაბლა იწყება. გალავანი აღმოსავლეთ პერიოდში სწორედ მიემართება, ასევე გრძელდება სამხრეთ მონაკვეთზეც, თუმცა იქ კედლი მცირედ უხვევს.

ჩრდილოეთის გალავანი კი ირიბად მიემართება, კოშკთან მკვეთრად უხვევს და სამხრეთის ხაზს უერთდება (სურ. 69).


გალავანი რამდენიმეჯერ ყოფილა დანგრეული და აღდგენილი – სამხრეთ და ჩრდილოეთ ქვედა ნაწილები ადრინდელია (IV ს.), ზედნაშენი კი გვიანდელ შუა სა-უკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. ამას მოწმობს გალავნის ზედა ხაზებში დატოვებული სათოფეები, რომელთა ფორმა და რაოდენობა XVI-XVIII სს.-ის ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი (ზაქარაია... 1991: 143). ასევე ადრეული უნდა იყოს აღმოსავლეთი გალავანიც.

ციხის ეზოში ორი კოშკი დგას, ერთი მათგანი, რომელსაც გადაჭრილი პირამიდის ფორმა აქვს, ჩრდილოეთ გალავანზეა მიბჯენილი, ოთხსართულიანია და ადრეულია. მეორე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე ცილინდრული, ორსართულიანი კოშკი კი XVI-XVII სს.-ის უნდა იყოს (ზაქარაია... 1991: 144-146).

ციხის ეზოს აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული იყო დარბაზული ტიპის ეპლესია, რომელიც ჩრდილოეთ გალავანზეა მიდგმული. მთლიანად ეზო 33 მ სიგრძის და 18 მ სიგანის იყო.

ციხის კომპლექსს სამხრეთ მხრიდან ციცაბო ფერდობი ეკვრის და მიუდგომელია, დანარჩენი სამი მხრიდან კი ციხეს ხელოვნური თხრილი ჰქონდა შემოვლებული.

შეეფის ციხის მთავარი დანიშნულება მის სიახლოეს გამავალი გზების გაკონტროლება და დაცვა უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ციხის ზომებიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ის ოცინდალეს, აბედათის და მენჯის ციხეების მსგავსად რომელიმე მთავრის რეზიდენციაც იქნებოდა. ასევე, საკმაოდ დიდი ფართობის შიდა ტერიტორიის გამო, საფიქრებელია, რომ ომიანობის დროს ციხის შიგნით მის გარშემო მცხოვრები მოსახლეობაც შეაფარებდა თავს, თანაც საკმაოდ დიდ რაოდენობით.




69. შეეფის ციხის გეგმა

## საკალანდარიშვილო

ქ. სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მთა, რომელზეც გაშენებულია ციხე (GPS კოორდინატები: N42 17.080 E42 04.716. სიმაღლე: 190 მ.). მის ახლოს მდებარეობს ქალაქის გარეუბანი „საკალანდარიშვილო“. სწორედ ამ უბნის სიახლოვემ განაპირობა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ციხე საკალანდარიშვილოს სახელით დამკვიდრდა (ზაქარაია... 1991: 150).

ციხის კომპლექსი შედგება ორი გალავნისა და კოშკისგან (სურ. 70). ერთი კედელი კოშკის შესასვლელს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრავდა, ხოლო მეორე გალავანი კოშკს წრიულად ეკვროდა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან (გალავნის ზომები: 23 მ X 26 მ).



70. საკალანდარიშვილოს ციხის გეგმა

კოშკს ციხის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ეკავა. მისი გარე ზომებია 7.0 მ X 7.2 მ. კოშკის აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები ძალზე დაზიანებულია. თავიც მონგრეულია. ამიტომ სართულიანობა ვერ დგინდება. კოშკში შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან მეორე სართულზე უნდა ყოფილიყო (ზაქარაია... 1991: 152).

გალავანი კოშკზე მეტად არის დანგრეული. მისი კედლები კოშკის მსგავსად ჰორიზონტალური რიგების დაცვით არის ამოყვანილი. კოშკის ფასადები უხეშად გათლილი კირქვითაა მოპირკეთებული. გალავნის მოპირკეთებაც ანალოგიურია, თუმცა იქ უფრო დიდი ზომის ქვებია გამოყენებული. კოშკიც და გალავანიც კირის დუღაბზეა ნაშენები (სურ. 71).

ციხეს ჩრდილოეთიდან ქარაფი შემოსაზღვრავს, დანარჩენი სამი მხრიდან კი ხელოვნური თხრილი ეკვრის (სიღრმე 4-6 მ, სიგანე 8-10 მ).

ციხის სტილისტური და არქეოლოგიური შესწავლა ადასტურებს მის მსგავსებას ეგრისის სამეფოს IV-VI სს.-ის სხვა ციხეებთან. ამდენად, ამ ძეგლის დათარიღებაც იმავე პერიოდით არის შესაძლებელი (ზაქარაია... 1991: 150; ლომიტაშვილი 2003: 217).




71. საკალანდარიშვილოს ციხის საერთო ხედი სამხრეთიდან

საკალანდარიშვილოს ციხე შუალედური პუნქტი იყო მენჯისა და შეეფის ციხეებს შორის. ციხიდან კარგად ჩანს ჩრდილო-აღმოსავლეთით 2.8 კმ-ში მდებარე შეეფის ციხე. საფიქრებელია, რომ საკალანდარიშვილოს ციხეს კვამლის ან ცეცხლის მეშვეობით კავშირი ექნებოდა დასავლეთით 4.7 კმ-ში მდებარე მენჯის ციხესთანაც.

## მენჯი

ქ. სენაკიდან ჩრდილოეთით, დაბა მენჯთან, უნაგირა მთა მკვეთრად უხვევს ჩრდილ-დასავლეთით და მენჯის გადასასვლელთან მთავრდება. სწორედ უნაგირა მთის ამ სამხრეთ დაბოლოებაზეა აღმართული მენჯის ციხე (GPS კოორდინატები: N42 16.917 E42 01.268. სიმაღლე: 79 მ.). კომპლექსს სამხრეთიდან და დასავლეთიდან ციცაბო ფერდობი შემოფარგლავს, ხოლო ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან უნაგირას მთის კალთები ეკვრის. ძეგლზე ჯერჯერობით მხოლოდ ზედაპირული დაზერვითი სამუშაოებია ჩატარებული და შედეგად საინტერესო მასალებია მოპოვებული.

ციხე თითქმის სრულად არის დანგრეული. სამხრეთ ნაწილში გალავნები შემორჩენილია დაახ. 2 მეტრის სიმაღლეზე. ციხეს წაგრძელებული ოვალური ფორმა აქვს (ზომები: 22 მ X 46 მ) და გაშლილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე (სურ. 72). კომპლექსი შედგება: კლდის ქვით ნაგები 1 მ სისქის გალავნისგან, რომლის საპირე წყობაში რიგები დაცული არ არის; დასავლეთ გალავანში ჩადგმული მართკუთხა კოშკისგან; ციხის აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი მცირე დარბაზული ეკლესისგან და გალავნებს დასავლეთ და აღმოსავლეთ მხრიდან შემოვლებული 4 მ სიგანის ხელოვნური თხრილისგან.



72. მენჯის ციხის გეგმა

ციხის ჭიშკარი გაჭრილი უნდა ყოფილიყო დასავლეთ გალავანში, კოშკის სამხრეთით, თუმცა მისი ზომები და ფორმები ზედაპირული დაზვერვით არ დგინდება. ციხის ჩრდილოეთ პერიმეტრზე გალავნის კვალი არ ჩანს. გალავნის სავარაუდო ადგილას იკვეთება 0.5 მ სიმაღლის ბორცვი, რომელიც დასავლეთით კოშკს უერთდება. ციხის სამხრეთ პერიმეტრზე გალავნების ხაზი სრულად ფიქსირდება, საშუალოდ 2 მეტრის სიმაღლეზე.

ციხის კოშკი შემორჩენილია 1 მ-მდე სიმაღლეზე. ზომები: 6.70 მ (სამხ.-ჩრდ.) X 8.10 მ (დას.-აღმ.). შიგნიდან მთელ პერიმეტრზე შემოუყვება 40 სმ-ზე გამოწეული ბაზისი. კედლების სისქე 1.50-1.60 მ-ია. სავარაუდოდ, კოშკს შესასვლელი უნდა ჰქონოდა პირველი სართულის დონეზე აღმოსავლეთ მხრიდან. კოშკის საპირე წყობები ნაგებია კარგად გათლილი სწორკუთხა კლდის ქვით, რიგების დაცვით, კირის დუღაბზე.

ციხის ეკლესია დარბაზული ტიპისაა (ზომები: 5.70 მ X 8.00 მ). ეკლესის დარბაზი აფსიდიანად გარე სწორკუთხედშია მოქცეული. ტაძარს 1.20 მ სიგანის კარი მხოლოდ დასავლეთის მხრიდან ჰქონდა ჩატანებული. ტაძარი ნაშენი იყო კლდის კარგად გათლილი ქვებით, ასევე ჩანს მოგვიანო (X-XII სს.) გადაკეთებების კვალი, რის თქმის საფუძველაც გვაძლევს ტაძრის გარშემო გამოვლენილი ფრესკის ანაბეჭდიანი ბათქაშები და განვითარებული შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ორნამენტიანი საპირე ქვის ფრაგმენტები. ერთ-ერთი ორნამენტიანი ქვა შემორჩენილია in situ მდგომარეობაში ტაძრის შესასვლელის მარცხენა (ჩრდილოეთ) მხარეს. ტაძარს სამხრეთ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლებში ჩატანებული აქვს სამი სარკმელი, რომლებიც შიგნიდან გარეთ ვიწროვდება.

საფიქრებელია, რომ მენჯის ციხეს კავშირი უნდა ჰქონოდა საკალანდარიშვილოს ციხესთან. იმავდროულად, ის უნაგირა მთის თავდაცვითი ხაზის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ პუნქტს ნარმოადგენდა და ამ მიმართულებიდან ნოქალაქევის „ქვეყნისკენ“ მიმავალ მგზავრსა თუ მოიერიშეს, უპირველეს ყოვლისა, სწო-

რედ მენჯის ციხის გუშაგები დააფიქსირებდნენ და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციას უფრო ჩრდილოეთით სხვა ციხეებს გადასცემდნენ. საფიქრებელია, რომ მენჯის ციხეს კავშირი ექნებოდა მისგან ჩრდილოეთით 6 კმ-ში მდებარე ეკის ციხესთანაც. ორივე ეს ციხე მდ. ცივის აუზშია აგებული და სავარაუდოდ, ამ მდინარის გასწვრივ არსებული გზის უსაფრთხოებაზეც ისინი იზრუნებდნენ.

## ვკი

ციხე მდებარეობს სენაკის რაიონში, სოფ. ეკის სამხრეთ შესასვლელთან, სენაკი-ჩხოროწყუს გზის დასავლეთით მდებარე მთის ნერზე, ქ. სენაკის ჩრდილოეთით 8.5 კმ-ში (GPS კოორდინატები: N42 19.568. E42 03.950. სიმაღლე: 111 მ.).

ციხე აუშენებიათ 40 მეტრის სიმაღლის მთაზე. მთას ოთხივე მხრიდან ციცაბო კალთები აქვს, განსაკუთრებით კი სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. სწორედ ამ მხრიდან 500 მეტრის მოშორებით მთას გარშემო უვლის მდინარე ცივი. შესაბამისად, სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეებიდან ციხეზე მოხვედრა მეტად რთული იქნებოდა. სიმაგრესთან ყველაზე ადვილი მისადგომი ჩრდილოეთის მხრიდან არის, თუმცა მოირიშებს ციხემდე მიღწევა ამ მხრიდანაც გაუჭირდებოდათ დამრეციფერდობის გამო. ციცაბო კალთების დაძლევის შემდეგ გალავნებამდე მისაღწევად მტერს ციხის გარშემო გათხრილი ხელოვნური თავდაცვითი თხრილის გადავლაც მოუწევდა. ეს თხრილი სიმაგრეს ოთხივე მხრიდან შემოუყვება. დღეისათვის მისი სიღრმე 1 მეტრია, ხოლო სიგანე 4 მ., თუმცა საფიქრებელია, რომ თავის დროზე ის უფრო ღრმა იქნებოდა. თავდაცვითი თხრილის საერთო სიგრძე 270 მეტრს აღწევს, ხოლო დიამეტრი 93-99 მეტრს).

ციხე შედგება გალავნებისა და შიგნით მდგარი ერთი კოშკისგან. კოშკი ოთხკუთხა ფორმისაა. გარე ზომები: 9.5 მ (დას.-აღმ.) X 12.0 მ (ჩრდ.-სამხ.), შიდა 6.30 მ X 9.0 მ. ყველაზე უკეთ კოშკის სამხრეთი კედელია შემორჩენილი. ის სიმაღლეში 7.5 მ-ს აღწევს (სურ. 73). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოშკი 2-სართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. იმავე სამხრეთი კედლის ინტერიერში იკვეთება ორი ფოსო, რომლებიც, სავარაუდოდ, სართულშუა კოჭოვანი გადახურვისათვის იყო განკუთვნილი. კოშკის პირველ სართულზე შესასვლელი აღმოსავლეთ კედლები უნდა ყოფილიყო გაჭრილი. ამ ნაწილში იკვეთება შესასვლელი ღიაბის პროფილი. კოშკის კედლების სისქე 2 მეტრს აღწევს.

გალავნები ციხის ტერიტორიის მხოლოდ ორ მონაკვეთზეა შემორჩენილი – კოშკის სამხრეთით და ჩრდილოეთით. ორივე მათგანი დას.-აღმ. ორიენტაციისაა. ხოლო დასავლეთით და აღმოსავლეთით მინაზე იკვეთება ბორცვები, რომლებიც, სავარაუდოდ, დანგრეული გალავნების კონტურები უნდა იყოს. საერთო ჯამში, ციხეს ნრიული გარშემონერილობა უნდა ჰქონოდა, ხოლო მის შუაში ოთხკუთხა კოშკი იდგა (სურ. 74). კოშკის სამხრეთი შემორჩენილი გალავნის მონაკვეთის სიგრძე 8 მეტრია და 1 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, ხოლო ჩრდილოეთით შერჩენილი მონაკვეთის სიგრძე 2.75 მ-ია. ორივე მონაკვეთის კედლების სისქეები იდენტურია – 1.20 მ. გალავნების ძლიერ დაზიანების გამო, სამნუხაროდ, არ დგინდება, რომელ მხარეს იყო ციხის მთავარი შესასვლელი.




**73. ეკის ციხის კოშკი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან**

ქართულ თუ უცხოურ (ბიზანტიურ) წერილობით წყაროებში ეკის ციხის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. შესაბამისად, ძეგლის დათარიღებისთვის გადამწყვეტი როლი ციხის სამშენებლო ტექნიკისა და მის ტერიტორიაზე ზედაპირულად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ანალიზს ეკისრება.

ციხე ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით. საპირე წყობა ამოყვანილია კარგად გათლილი კირქვით, კირის დუღაბზე, რიგების დაცვით. ფასადებს შორის ჩაყრილია სხვადასხვა სახეობის ქვა კირხსნართან ერთად. საფასადე ქვების ზომები  $0.15 \times 0.20$  მ-იდან  $0.30 \times 1.0$  მ-მდე მერყეობს. განსაკუთრებით დიდი ზომის ქვებია გამოყენებული მიწის დონეზე. კოშკისა და გალავნის კედლებს გარედან ძირზე შემოუყვება 20 სმ სიგანისა და 40 სმ სიმაღლის „ცოკოლი“. ეკის ციხის კედლების წყობა ძალზე ნააგავს საკალანდარიშვილოსა და კოტიანეთის ციხეებისას. ეკის ციხის ტერიტორიაზე ზედაპირული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა რამდენიმე კერამიკული ნატეხი, რომლებიც წარმოდგენილია ქოთნისა და დოქის ფრაგმენტებით. ეს კერამიკული მასალა, კეცის მიხედვით, ზოგადად IV-VI სს.-ით თარიღდება და სრულად შეესაბამება ციხის სამშენებლო-საფორტიფიკაციო სტილს (საშენი მასალა, წყობა, შემადგენლობა – კოშკი, გალავნები, თხრილი, რელიეფი).

ეკის ციხე ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის ქვესისტემის შემადგენლობაში შედიოდა და მისი მთავარი ფუნქცია იყო გარშემო ტერიტორიების ვიზუალური კონტროლი და სიგნალის გადაცემა. ციხეს სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო მდებარეობა აქვს. მისი კოშკიდან ყველა მიმართულებით საკმაოდ ვრცელი ტერიტორიების დაზვერვაა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთითა (5 კმ) და სამხრეთ-დასავლეთით. ეკის ციხის სამხრეთ-დასავლე-

თით 6 კმ-ში მდებარეობს ეგრისის სამეფოს ცენტრალური სექტორის კიდევ ერთი ციხე – მენჯი. საფიქრებელია, რომ ეკის ციხის კოშკის ზემოდან შესაძლებელი იქნებოდა მენჯის ციხის დანახვა, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ტოპორუკებზე და აეროფოტოებზე დაკვირვება, სადაც კარგად ჩანს, რომ ამ ორი ციხის კოშკებს შორის ვაკე ადგილებია და შესაბამისად, მათ შორის ხედვის არეს არც ერთი მთა ან გორა არ ეფარება. ასევე საფიქრებელა, რომ ეკის ციხეს ვიზუალური კავშირი ჰქონდა მის ჩრდილო-დასავლეთით 6,5 კმ-ში მდებარე გალმა საჯიჯაო-ხორშის ციხესთან, თუმცა ამის გადაჭრით თქმა ძნელია.



74. ეკის ციხის გეგმა

## 6. ნოველები

სოფელ ნოველების (ქართულად „ნაციხარის“) ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ერთ-ერთ მაღალ გორაკზე შემორჩენილია ქვის კედლის მცირე ფრაგმენტები, რომლებიც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ერთ დროს აქ ციხე უნდა ყოფილიყო (GPS კოორდინატები: N42 19.862 E41 57.879. სიმაღლე: 143 მ.). ამის დამადასტურებლად უპირველესად თავად სოფლის სახელწოდება „ნოველები“ გამოდგება. ადგილი, სადაც ციხე უნდა მდგარიყო, დაახ. 100 მ<sup>2</sup>-ს იკავებს და სამი მხრიდან ციცაბო კალთებით არის შემოსაზღვრული. გორაკის წვერამდე მიღწევა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ იმხრიდან ვინწრო გზით არის შესაძლებელი.


როგორც უკვე აღინიშნა, სამნუხაროდ, ციხის კედლების მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია შემონახულია, მათგან ყველაზე დიდი 2 მეტრი სიგრძისა და 1.50 მეტრი სიმაღლისაა. გორაკის წვერის ფართობიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ციხე პატარა ზომის იქნებოდა და საგარაუდოდ, სორტის ციხის ან ნასკალუს კოშკის ანალოგს წარმოადგენდა, რომლის მთავარი დანიშნულებაც სიგნალის მიღება და გადაცემა იყო.

ნოჯიხევის ციხის ტერიტორიიდან დიდი სივრცეები იზვერება ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი – სამხრეთით, სადაც 180°-იანი ხედვის კუთხეა. შესაბამისად, ამ ციხიდან შესაძლებელი იქნებოდა სიგნალის გადაცემა არაერთი სხვა ციხისათვის. პროგრამა Google Earth-ში დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ნოჯიხევი ერთგვარად სხვა ციხეების შუაგულშია მოქცეულია. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 5.7 კმ-ში მდებარეობს ხორშის ციხე; ჩრდილო-დასავლეთით 5.5 კმ-ში ჯახუთის ციხე; დასავლეთით 7.5 კმ-ში მარხომერის ციხე; აღმოსავლეთით 8 კმ-ში ეკის ციხე და სამხრეთ-აღმოსავლეთით 7 კმ-ში მენჯის ციხე. ძნელი სათქმელია, მოხერხდებოდა თუ არა ნოჯიხევიდან ზემოთ ჩამოთვლილი ხუთივე ციხის დანახვა და მათთვის სიგნალის გადაცემა, თუმცა ციხის მდებარეობიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, რომ ის სამეფოს ამ მონაკვეთში გამავალი გზებისა და იქ მდებარე ციხეების ცენტრში მდებარეობდა და შესაბამისად, მეტად ხელსაყრელი ადგილი იყო გზებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ვიზუალური კონტროლისათვის.

## გაღმა საჯიჯაო/ხორში

ციხე მდებარეობს ქ. სენაკის ჩრდილოეთით 15 კმ-ზე, სოფ. ხორშისა და გაღმა საჯიჯაოს საზღვარზე, მდინარეების ზანისა და ხობისწყლის შესართავთან, მდ. ზანის მარჯვენა შემაღლებულ ნაპირზე (GPS კოორდინატები: N42 22.245 E42 00.583. სიმაღლე: 54 მ.). ციხე საფუძვლიანად არის დანგრეული, თუმცა მაინც იკვეთება გალავნებისა და კოშკის ნაშთი, რომლებიც კირის დუღაბზე რიყისა და კლდის ფლეთილი ქვით არის ნაგები.

კოშკი ციხის დასავლეთ ნაწილშია განლაგებული და გალავანზეა მიბჯენილი (სურ. 75). ციხე ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მდინარეებით იყო შემოსაზღვრული, დანარჩენი ორი მხრიდან კი მას განიერი ხელოვნური თხრილი იცავდა.



**75. ხორშის ციხის გეგმა**

ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები ჯერ არ ჩატარებულა. ზედა-პირული დაზვერვებით ძეგლზე მოძიებულ იქნა ადრეული შუა საუკუნეების ხანის ქვევრების ნატეხები, რის გამოც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ციხე IV-VI სს.-ს განეკუთვნება. ამას ადასტურებს ძეგლის არქიტექტურაც (ლომიტაშვილი 2003: 210).

ციხის მთავარი ფუნქცია მდინარეების ზანისა და ხობისწყლის გასწვრივ გამა-ვალი გზების კონტროლი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე, შესაძლოა, ციხეს ვიზუ-ალური კავშირი ჰქონდა მისგან დასავლეთით 8 კმ-ში მდებარე ჯახუთის ციხესთან.

## მაჩვენერი

ციხე მდებარეობს ხობის რაიონის სოფ. პირველი მაისის აღმოსავლეთ ნაწილში, უბან მაჩხომერში (GPS კოორდინატები: N42 20.595 E41 52.564. სიმაღლე: 99 მ.). ციხე აგებულია მცირე, ნაგრძელებული ფორმის მთის წვერის აღმოსავლეთ მონაკვეთზე. ციხის გარშემო არსებულ გეოგრაფიულ გარემოზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მთას გარშემო 300-500 მ რადიუსში წრიულად შემოუყვება ასევე მცირე სიმაღლის (30-50 მ) მთები, ასე რომ ციხის მისადგომები ყველა მხრიდან ბუნებრივადაა დაცული. ამ სივრცეში მოხვედრა ყველაზე ადგილად დასავლეთის მხრიდან არის შესაძლებელი, სადაც ორ მთას შუა ბუნებრივი გასასვლელია. ციხეს დასავლეთით 1 კმ-ში ჩამოუდის მდ. მუნჩია.


ციხეზე ყველაზე მარტივად მოხვედრა დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან არის შესაძლებელი. ხოლო სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მთის კალთები შედარებით ციცაბოა და ამ მხრიდან ციხემდე მიღწევა ძნელია.

ციხე ძლიერ არის დანგრეული და მისი სრული გეგმარების დადგენა ჭირს. შე-მორჩენილია მხოლოდ მისი დასავლეთი გალავნი, ასევე ამ გალავნის სამხრეთით და ჩრდილოეთით ორი კოშკის ნამთებიც, რომლებიც 1-2 მ. დონემდეა დანგრეული. გალავნის ხაზი სიგრძეში სრულად არის შემორჩენილი და 22.5 მეტრს აღწევს, სისქე – 1.10 მ-ს. ჩრდილოეთ დაბოლოებაზე ეს გალავნი ერთვის ციხის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის კოშკის დასავლეთ კედელს, ანუ ფაქტობრივად, კოშკის ეს კედელი დასავლეთი გალავნის ჩრდილო ნაწილის ფუნქციასაც ასრულებს. დასავ-ლეთი გალავნის სამხრეთი დაბოლოება კი 100°-იანი კუთხით მომრგვალებულად უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და 5.70 მ-ის გავლის შემდეგ მიწაში იკარგება. ციხის შიდა ეზო დახლოებით 3000 მ² ფართობს იკავებს.

ციხის ჩრდილო-დასავლეთი კოშკი ოთხკუთხა ფორმისაა, თუმცა მისი კედლები სხვადასხვა სიგრძისაა და შესაბამისად, კოშკს მართკუთხა ფორმა არ აქვს. ზომები: ჩრდილოეთი კედელი – 5.70 მ, აღმოსავლეთის – 5.30 მ, სამხრეთის – 5.30 მ, და-სავლეთის – 5.50 მ. ეს კოშკი 1 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი, კედლების სისქე 1.10 მ-ს აღწევს. კოშკის აღმოსავლეთ კედლიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან 90 სმ-ში) გამოდის ჩრდილოეთი გალავნი, რომელიც 4 მეტრის გავლის შემდეგ 20°-ით უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და 3 მეტრში მიწაში იკარგება.

ციხის შემორჩენილი, სამხრეთ-დასავლეთი მომრგვალებული კუთხის, სამხრე-თით (ანუ ციხის ტერიტორიის გარეთ) 5 მეტრში იკვეთება მართკუთხა ფორმის

ნაგებობის კვალი. ეს, სავარაუდოდ, სამხრეთ-დასავლეთი კოშკი უნდა ყოფილიყო, რომელიც გალავანს გარედან ჰქონდა მიღმული. დღეისათვის ამ კოშკისგან შემორჩენილია სამხრეთის 5.70 მ. სიგრძის კედელი და მისი კუთხეებიდან ჩრდილოეთისკენ (გალავნისკენ) მიმავალი 2 კედელი (სურ. 76).




76. მაჩხომერის ციხის ტოპო-გეგმა

ზემოთ აღნიშნული კოშკებისა და გალავნის გარდა, 2010 წელს ციხის შიდა ტერიტორიის დათვალიერების დროს მის აღმოსავლეთ ნაწილში მიწის დონეზე დავაფიქსირეთ კიდევ ერთი ნაგებობის კვალი, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო ეპლესია ან რაიმე სხვა დანიშნულების ნაგებობა, იქვე მრავალად ეყარა ლარიანი და გვერდებაკეცილი კრამიტისა და აგურის ნატეხები.

როგორც უკვე აღინიშნა, მაჩხომერის ციხისგან შემორჩენილია მხოლოდ დასავლეთი გალავანი და ორი კოშკი, ხოლო დანარჩენი (სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი) ნაწილები სრულად არის დანგრეული, ისე, რომ კედლების კვალი მიწის დონეზეც კი არ იკითხება, შესაბამისად, ციხის სრული მოხაზულობის დასადგენად ვიხელმძღვანელეთ მთის წვერის კონტურებით, იმ ვარაუდით, რომ გალავნები სწორედ მთის წვერის კიდეებზე იქნებოდა აგებული.

2015 წელს მაჩხომერის ციხეზე მცირე მასშტაბის სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიცია ჩატარდა რ. პაპუაშვილის ხელმძღვანელობით. დაზვერვების შედეგად გამოვლინდა სამშენებელო კერამიკა, რომელიც ზოგადად V-VII სს.-ით დათარიღდა. 2018 წელს დაიწყო მაჩხომერის ციხის ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიება (ექსპედიციის ხელმძღვანელი – ნ. პაპუაშვილი), რომელიც დღემდე გრძელდება (პაპუაშვილი... 2019: 66-67; პაპუაშვილი... 2020: 129-138; პაპუაშვილი... 2021: 126-128; პაპუაშვილი 2022).

ექსპედიციამ ციხის ტერიტორიაზე განმინდა ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში არ-სებული კირხსნარიანი იატაკი, ჩრდილოეთი კედლის 20-მეტრიანი მონაკვეთი, სა-დაც სავარაუდო სალოცავის ნაშთები დააფიქსირა. კულტურულ ფენებში გამოვ-ლინდა დიდი რაოდენობით სამშენებლო კერამიკა, მრავალფეროვანი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, მინისა და ლითონის (ბრინჯაო, რკინა) ნაწარმი (პაპუაშვილი... 2019: 66-70). აღნიშნული არქეოლოგიური მასალის ზოგადი ქრონოლოგია V-VII სს.-ში თავსდება და კარგად შეესაბამება ციხის გალავნების თარიღს. 2019 წელს ჩატარებული კამპანიის დროს მაჩხომერის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თითქმის სრულად განმინდა ნინა წელს გამოვლენილი ნაგებობა – ტაძარი (ზომები: 12 მ X 20 მ), სადაც დაფიქსირდა დარბაზი, კორიდორი, აკლდამა და ნართექსი (სურ. 77). ექსპედიციამ მიაკვლია ქვასა და თიხაზე ამოკანრულ რამდენიმე ბერ-ძნულ ნარწერასაც (პაპუაშვილი 2019: 3-13; Chitaia... 2020: 169-179; Papuashvili... 2020: 121-134;).



77. მაჩხომერის ციხის ტაძრის გეგმა\*

უკვე აღვნიშნეთ, რომ მაჩხომერის ციხეს 300-500 მეტრის რადიუსში მცირე მთები აკრავს გარს, თუმცა, ამის მიუხედავად, ციხიდან ყველა მიმართულებით შესაძლებელია მეტ-ნაკლებად ვრცელი არეალის დაზვერვა: დასავლეთით ვრცელი ხედი იშლება შავი ზღვის სანაპირომდე, ჩრდილოეთით 1.5 კმ-ში მოჩანს მთები, რომელზეც ნასკალუს საგუმბაგო კოშკია გამოვლენილი. ციხის აღმოსავლეთითა და სამ-

\* მაჩხომერის ციხის ტოპო-გეგმა და ტაძრის გეგმა მოგვაწოდა ისტორიის დოქტორმა რევაზ პაპუაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ხრეთით კი შესაძლებელია მდ. ხობისწყლის ქვედა წელის დაზვერვა, რომელიც ციხეს აღმოსავლეთიდან 2 კმ-ში, ხოლო სამხრეთიდან 5 კმ-ში ჩამოუდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში მდ. ხობისწყალსა და მდ. ჭანისწყალზე, რომლებიც ერთმანეთს მაჩხომერის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით 4 კმ-ში უერთდება, მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო-სტრატეგიული დანიშნულების გზები გადიოდა, რასაც ამ ორი მდინარის გასწვრივ სხვადასხვა მონაკვეთზე აღმოჩენილი არაერთი ციხესიმაგრე ადასტურებს – სქური, ლესალე, ჭაქვინჯა და ძველი ხიბულა მდ. ჭანისწყალზე, ხომაკირდეს, ხორშისა და ჯახუთის ციხეები კი მდ. ხობისწყალზე.

მოუხედავად იმისა, რომ მაჩხომერის ციხე ხობისწყლის აუზთან ახლოს მდებარეობს, ჩვენი აზრით, ამ ციხის მთავარი ფუნქცია მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიების ვიზუალური კონტროლი უნდა ყოფილიყო. როგორც უკვე აღინიშნა, მაჩხომერისაგან ჩრდილოეთით მაღალ მთაზე მდებარეობს ნასკალუს საგუშავო კოშკი, რომელიც, თავის მხრივ, მისგან ჩრდილოეთით 1.1 კმ-ში მდებარე ყურუმულის ციხიდან შეძლებდა სიგნალის მიღებასა და გადაცემას მაჩხომერის ციხისათვის. ასევე, სიგნალის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა უკუმიმართულებით – მაჩხომერი-ნასკალუ-ყურუმულია, მით უმეტეს, რომ მაჩხომერის ციხის სამხრეთი კოშკიდან შესაძლებელი იქნებოდა მდ. ხობისწყლის ქვემო წელისა და მასზე გამავალი გზის კონტროლიც. ციხის ჩრდილო-დასავლეთი კოშკი კი, უპირველს ყოვლისა, სწორედ ნასკალუს საგუშავოსთან ვიზუალური კავშირის დამყარებისთვის იქნებოდა განკუთვნილი.

ამასთანავე, ციხის ზომებიდან და იქ გამოვლენილი არქეოლოგიური თუ არქიტექტურული ობიექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე სრულიად აშკარაა, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს სამეფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-აღმინისტრაციულ ცენტრთან.

## ნასკალუ

მდებარეობს სოფ. პირველი მაისის ჩრდილოეთ მონაკვეთში, ჯახუთის უბანში, მთის წვერზე, რომელსაც ნასკალუ ჰქვია (სავარაუდოდ, მეგრულად ნიშნავს ადგილს, სადაც ერთ დროს სკა იყო). მთიდან დასავლეთით 600 მ-ში ჩამოედინება მდ. მუნჩია (GPS კოორდინატები: N42 21.505 E41 52.883. სიმაღლე: 168 მ.).


ნასკალუს „ჯიხა“ არანესიერი წრის ფორმის ნაგებობაა. ზომები: გარე დიამეტრი – 7.30 მ, შიდა – 4.30 მ (სამხ.-ჩრდ. ხაზზე). მინიმალური გარე დიამეტრი – 6.80 მ, შიდა – 4.80 მ (დას.-აღმ.), კედლის სისქე – 1.0 მ-1.5 მ (სურ. 78).

ნაგებობა თავისი ფორმითა და ზომით ძლიერ წააგავს კოშკს. მის გარშემო რაიმე სახის სხვა ნაგებობის ნაშთს ვერ მივაკვლიერთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს საგუშავო კოშკთან. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ კოშკი მეტად მაღალ და რთულად მისასვლელ მთაზეა აგებული. კოშკის ზომებიდან გამომდინარე, ის ვერ იქნებოდა რომელიმე მთავრის რეზიდენცია, რომელიც შეიძლება დაცვის მიზნით ძნელად მისადგომ ადგილას აეშენებინათ, როგორც, მაგალითად, ოცინდალეს ციხე. ასევე ნასკალუს კოშკი, მისი მიუდგომელი მდებარეობიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა საბაჟო პუნქტი, რომელსაც

კონტროლი უნდა გაეწია მის სიახლოვეს მოძრავი სავაჭრო ქარავნებისთვის. შესაბამისად, რჩება ერთადერთი ვარიანტი, რომ ეს საგუშაგო პუნქტია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მის ჩრდილოეთით 1.1 კმ-ში მდებარე ყურუმულისა და სამხრეთით 1.7 კმ-ში მდებარე მაჩხომერის ციხეებს.

ნასკალუს კოშკი დღეისათვის ძლიერ არის დანგრეული. ყველაზე უკეთ შემორჩენილია მისი ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი 1 მ. სიმაღლეზე კოშკის კედლები ნაშენებია უხეშად გათლილი კირქვისგან, რიგების დაცვის გარეშე, კირის დუღაბზე. კოშკის შიდა სივრცე მთლიანად ამოვსებულია ჩამონგრეული ქვებით, ნაშალი ქვები დიდი რაოდენობით ყრია კოშკის გარეთაც.

სამწუხაროდ, კოშკის ტერიტორიაზე კერამიკული ნატეხების აღმოჩენა არ მოხერხდა. ჩვენი აზრით, კოშკის დათარიღებისთვის გასათვალისწინებელია როგორც მისი სამშენებლო ტექნიკა (კირქვა კირის დუღაბზე), ისე მისი მდებარეობა – გამომდინარე იქიდან, რომ კოშკი თავისი მდებარეობით დაკავშირებულია მაჩხომერისა და ყურუმულის ციხეებთან, მისი ქრონოლოგია შესაძლოა განისაზღვროს ამ ორი ციხის კონტექსტში, რომლებიც, თავის მხრივ, კარგად თარიღდება IV-VI სს.-ით.




78. ნასკალუს კოშკის გეგმა

## ყურუმულია

ციხე მდებარეობს ხობის რაიონის სოფ. პირველი მაისის უბან ყურუმულიაში, ქვის თანამედროვე კარიერთან, მდინარეების მუნიციპალიტეტისა და ჩხაის შეერთების ადგილზე; მდ. მუნიციპალიტეტის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ მცირე, მაგრამ მეტად ციცაბო და მაღალ ბორცვზე (GPS კოორდინატები: N42 22.072 E41 52.795. სიმაღლე: 80 მ.). ციხის ტერიტორიას სამი მხრიდან 50-100 მეტრის რადიუსში მცირე მთები ეკვრის გარს, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთით იშლება ვიწრო ხედი მთებს შორის, ამ მხარეს ვრცელი ტერიტორიების დაზვერვაა შესაძლებელი შავ ზღვამდე.

ციხის ასაშენებლად მეტად მოხერხებული ადგილია შერჩეული. ბორცვს ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან მდ. ჩხაია ჩამოუდის, ხოლო აღმოსავლეთიდან – მდ. მუნჩია. თავად ბორცვიც, როგორც უკვე აღინიშნა, ყველა მხრიდან მეტად ციცაბოა. მეტ-ნაკლებად ადვილად ციხეზე მოხვედრა შესაძლებელია სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან, თუმცა აქაც საკმაოდ დამრეცი ფერდობის ავლა საჭირო.



79. ყურუმულიას ციხის გეგმა


ბორცვის თავზე შემორჩენილია ოთხკუთხა ფორმის ნაგებობის ნაშთი (სურ. 79). როგორც უკვე აღინიშნა, მის გარშემო ციცაბო კალთებია და იმ შემთხვევაში, თუ ის ციხის კოშკია, მაშინ ციხის გალავნები ბორცვის ძირში უნდა ყოფილიყო აშენებული, რაც მეტად საინტერესო სურათს იძლევა – გამოდის, რომ ციხის კოშკსა და გალავნებს შორის სიმაღლეში სხვაობა დაას. 20 მეტრს აღწევდა, რაც ასეთი მცირე ფართობის ციხისთვის მეტად საკვირველია. შესაძლოა, დავუშვათ, რომ ციხე მხოლოდ მისი შემორჩენილი, ბორცვის წვერზე მდგარი ოთხკუთხა ნაგებობისგან შედგებოდა და მის გარშემო დამატებითი გალავანი არ იყო აშენებული.

შემორჩენილი ნაგებობა ძლიერ არის დაზიანებული – აღმოსავლეთი კედელი სრულად არის დანგრეული, ისე, რომ მისი კვალი მინის დონეზეც არ იკითხება, დანარჩენი კედლებიც ნაწილობრივ არის შემორჩენილი 2-7 მეტრის სიმაღლეზე. ნაგებობის სავარაუდო ზომებია: 8.5 მ (სამხ.-ჩრდ.) X 10 მ (დას.-აღმ.). კედლის სისქე 1.50 მ-ს აღწევს. საინტერესოა, რომ კედლების როგორც საფასადო წყობა, ისე მათი შიდა სივრცეები ნაშენებია მხოლოდ კირქვით კირის დუღაბზე. საკვირველია, რადგან ციხიდან 50-ოდე მეტრში მდინარე ჩამოედინება და შესაძლებელი იქნებოდა რიყის ქვის გამოყენებაც. უნდა ვიფიქროთ, რომ ქვას ციხის მშენებლები ადგილზევე (ციხის ბორცვზე) მოიპოვებდნენ და შესაბამისად მდინარიდან რიყის ქვის ამოტანა აღარ დასჭირდათ. საფასადე წყობა ნაგებია რიგების დაცვით, კარგად გათლილი კირქვით. ზოგ შემთხვევაში რიგებში (ერთის გამოტოვებით) მართკუთხა ფორმის ქვებია დაწყობილი ვერტიკალურად, რაც კედლებს ორიგინალურ შესახედაობას საძლებელი გადასცემის შედეგია.

კოშკის შიდა ფართობი მთლიანად მიწით და ჩამონერეული კედლებითაა ამოვ-სებული. დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში იკვეთება ქვებით ამოშენებული ნახევარწრიული ფორმის 60 სმ სიგანის თაღები, რომლებიც დღეისათვის მიწიდან 50-60 სმ სიმაღლეზე ფიქსირდება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა დღემდე მიწის ზემოთ შემორჩენილი კედლები კოშკის მეორე სართულის ნაშთები იყოს, ხოლო გამოვლენილი თაღები პირველ სართულზე – შესასვლელი კარების ზედა ნაწილები.

ყურუმულის ციხე IV-VI სს.-ში უნდა იყოს აგებული. ამის თქმის საფუძველს იძლევა ციხის მდებარეობა და სამშენებლო ტექნიკა, რაც ზოგადად ეგრისის სამუფლოს ციხესიმაგრებისთვის არის სახასიათო. სოფ. პირველი მაისის მკვიდრს, არმაზ ბუკიას, რამდენიმე წლის წინ ციხის ტერიტორიაზე აღმოუჩენია რკინის ისრის-პირები (ჩიტაა 2007: 90), რომლებიც IV-VI სს.-ით თარიღდება და ამჟამად ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. გარდა ამისა, ციხის გარშემო (50-100 მ რადიუსში) არსებულ ყანებში ვლინდება აღრეული შუა საუკუნეების ხანის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები.

ყურუმულის ციხის ფუნქცია ადვილი დასადგენია მისი მდებარეობიდან გამომდინარე. ციხე მდ. მუნჩის ვიწრო ხეობის სამხრეთ-დასავლეთ გამოსასვლელს კეტავდა და აკონტროლებდა. ამ ხეობას ზემოთ (ჩრდილოეთი) თუ ავუყვებით, მოვხვდებით სოფ. აბასთუმანში. საინტერესოა, რომ დღემდე ყურუმულის ციხიდან სოფ. აბასთუმნამდე ორი ერთმანეთის პარალელური გზა გადის – ერთი მდ. მუნჩის ხეობაში და მეორე მის გვერდითა (დასავლეთ) ხეობაში. საბოლოოდ, ორივე ეს ხეობა გამოდის და იშლება სწორედ ყურუმულის ციხესთან, გამომდინარე აქედან, ეჭვგარეშეა, რომ ეს ციხე ამ ორ ხეობაზე მდებარე გზას კეტავდა.



80. ყურუმულის ციხის კედლების საფასადე წყობა

საგულისხმოა, რომ ხეობის ჩაკეტვისა და კონტროლის გარდა, ყურუმულიის ციხეს უნდა შეეთავსებინა საგუშაგო-სათვალთვალო ციხის ფუნქციაც. როგორც მაჩხომერის ციხისა და ნასკალუს კოშკის განხილვისას აღინიშნა, მაჩხომერის ციხიდან სიგნალი გადაეცემოდა ნასკალუს კოშკს და ამ უკანასკნელიდან კიდევ უფრო ჩრდილოეთით ყურუმულიის ციხეს, ან უკუმიმართულებით – ყურუმულია-ნასკალუ-მაჩხომერი. სავარაუდოა, რომ უფრო ეფექტურად სწორედ ეს უკანასკნელი მიმართულება იმუშავებდა – ყურუმულიის სიახლოვეს ხეობიდან გამოსული მტრის მოძრაობისა და მისი სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში სავარაუდო მოხვედრის შესახებ ინფორმაცია ყურუმულიის ციხიდან, შეიძლებოდა, გადაეცათ ნასკალუს კოშკის გუშაგებისთვის, ხოლო ამ უკანასკნელთ – მაჩხომერის ციხის მეციხოვნეებისთვის.

## პასუთი

ციხე მდებარეობს სოფ. პირველი მაისის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში არსებულ უბან ჯახუთში, ერთ-ერთი მაღალი ბორცვის ჩრდილოეთ დაბოლოებაზე, ადგილობრივი მკვიდრის, თენგიზ კვიკვინიას ეზოში (GPS კოორდინატები: N42 21.560 E41 54.600. სიმაღლე: 70 მ.).


ციხემდე მიღწევა მხოლოდ დასავლეთიდან არის შესაძლებელი. დანარჩენი სამი მხრიდან ციხის ტერიტორიას ციცაბო ფერდობი და ხევი აკრავს გარს, რაც ამ მხარეებიდან ციხემდე მიღწევას, ფაქტობრივად, გამორიცხავს.

ციხის უმეტესი ნაწილი დანგრეულია. შემორჩენილია ორი კოშკისა და გალავნის ნაშთები. გალავანი გეგმაში წრიული ფორმისაა, მის დასავლეთ მონაკვეთში ჩაშენებული ყოფილა კოშკი, ისე, რომ მისი უმეტესი ნაწილი გარეთ არის დარჩენილი (სურ. 81). კოშკი მართულთა ნაგებობაა – შემორჩენილია მისი ჩრდილო, სამხრეთი და დასავლეთი კედლები (3-4 მეტრის სიმაღლეზე), ხოლო აღმოსავლეთი კედელი მორღვეულია, კოშკის შიდა სივრცე ამოვსებულია ჩამონგრეული კედლების ფრაგმენტებით. კოშკის გარე ზომებია 8.5 მ (სამხ.-ჩრდ.) X 10 მ (დას.-აღმ.). კოშკი ნაგებია უხეშად გათლილი კირქვით, კირის დუღაბზე. კირქვა გამოყენებულია, როგორც საფასადე, ისე შიდა რიგების ამოსაყვანად. კოშკის ძლიერ დაზიანების გამო კედლების სისქე არ დგინდება.

ციხის გალავნის ბოლოები აღნიშნულ კოშკს ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში ერთვის. კოშკის ჩრდილოეთი კედლიდან გამომავალი გალავნი (ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან 3.20 მ-ში) მიემართება ჩრდილოეთისკენ მცირე დახრილობის დაღმართზე, 9 მეტრის გავლის შემდეგ ეს კედელი  $20^{\circ}$ -ით უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, 17 მეტრის გავლის შემდეგ კი  $80^{\circ}$ -ით უხვევს და  $13.5$  მეტრის სიგრძეზე მიემართება აღმოსავლეთისკენ. აქ აღნერილი გალავნის მონაკვეთი ნაშენებია კლდის ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე. კედლის სისქე 1 მ-ია. აღნერილი გალავნის პირველი 9 მეტრი მინის დონეზეა დანგრეული, ხოლო დანარჩენი ნაწილი 0.5 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

გალავნის ზემოთ აღნერილი ნაწილი ციხის დასავლეთი ნაწილის ერთადერთი მონაკვეთია, საიდანაც შესაძლებელი იყო ციხეზე მოხვედრა. შესაბამისად, ციხის ეს მონაკვეთი გამაგრებული იყო ორი კოშკით (იხ. ქვემოთ) და აღნერილი გალავნით.

განსხვავებული სურათია ციხის გალავნების ჩრდილო-აღმოსავლეთ აღმოსავლეთ და სამხრეთ პერიმეტრზე – აქ ციხის შიდა ეზოს შემოსასაზღვრად გამოყენებულია დიდი ზომის ნახევარწრიული კლდის ქვის ლოდები. ასეთი ლოდების რიგი იწყება ზემოთ აღნერილი გალავნის 13.5 მ-იანი მონაკვეთის აღმოსავლეთ დაბოლოებიდან, აქედან ლოდების რიგი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ტეხილი ხაზით და 28.5 მეტრის გავლის შემდეგ მთის წვერის აღმოსავლეთ კიდესთან წყდება. ზედაპირული დაკვირვებით ჩანს, რომ ამ მონაკვეთზე მიწა მორღვეულია და შესაბამისად, იქ მდგარი ლოდები ხევშია ჩაცვენილი. ამ ლოდების გალავნის ჩაქცეული მონაკვეთი მთის წვერის მთელ აღმოსავლეთ კიდეს მიჰყვება 21 მეტრზე და ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან გრძელდება დასავლეთისკენ 39 მეტრზე – ამ მონაკვეთზეც გალავნის კედლები დიდი ლოდებით არის ნაშენები. კედლის ეს ნაწილი ზემოთ აღნერილი დასავლეთი კოშკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს უერთდება აღმოსავლეთიდან.



### 81. ჯახუთის ციხის გეგმა

ცალკე უნდა განვიხილოთ ჯახუთის ციხის აღმოსავლეთ მონაკვეთის კედლების სამშენებლო ტექნიკა. პირველ რიგში, ყურადღებამისაქცევია შუა საუკუნეებისთვის სრულიად უცხო სამშენებლო ნესი, როდესაც კედლების ამოსაყვანად მშენებლები დიდი ზომის ლოდებს იყენებენ. ლოდები საკმაოდ სქელია (20-30 სმ), ხოლო ფორმით ნახევარწრეს უახლოვდება – ასეთი ფორმაცი, რა თქმა უნდა, გამოთლის შედეგად არის მიღებული. საერთო ჯამში ეს ლოდები ასე შეიძლება აღინიშნოს: 2-3-4 მეტრის სიგრძის, 1.5 მ სიმაღლისა და 30 სმ სისქის ნახევარწრიული ფილები, რომლებიც ვერტიკალურად არის დაყენებული ერთმანეთის გასწვრივ (სურ. 82). ზოგიერთ შემთხვევაში ეს ფილები ერთმანეთზე მიტყუპებულადაც დგას, რაც კედლის სისქეს დაახ. ნახევარ მეტრამდე ზრდის.

როგორც უკვე აღინიშნა, მშენებლობის ასეთი ნესი (დიდი ზომის ფილები) სრულიად უცნობია დასავლეთ საქართველოს ძეგლებისთვის, განსაკუთრებით

კი შუა საუკუნეების პერიოდისათვის. თუმცა ციხის ტრადიციული ტექნიკით ნაშენი დასავლეთი კოშკი გვაფიქრებინებს, რომ საქმე შუა საუკუნეების ციხესთან გვაქვს.

დღეს გადაჭრით ვერ ვიტყვით, რატომ გამოიყენა ციხის ამშენებელმა ასეთი დიდი ზომის ფილები ციხის ეზოს შემოსასაზღვრად, მით უმეტეს, რომ როგორც ჩანს, ეს ფილები დამუშავებულია და მისი ფორმები (ნახევარწრიული) ბუნებრივად არ უნდა იყოს წარმოშობილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ზომის ფილების მოტანა სხვა, თუნდაც ახლო მანძილიდან მეტად გაჭირდებოდა. შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ლოდები იქვე ადგილზე, მთის ნვერზეა მოჭრილი ბუნებრივი ქანებიდან. რაც შეეხება ამ ფილების დანიშნულებას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მწკრივში დალაგებული ეს ფილები თავის დროზეც ერთ რიგად იქნებოდა დაწყობილი და მათი ნრიული ფორმიდან და სისქიდან გამომდინარე, მასზე მეორე რიგად სხვა ფილები ვერ დალაგდებოდა.



**82. ჯახუთის ციხე. ნახევარწრიული ფორმის ქვის ლოდი**

შესაბამისად, საფიქრებელია, რომ „ფილების კედელს“ მხოლოდ და მხოლოდ ღობის ფუნქცია ექნებოდა, ანუ თუ დავუშვებთ, რომ ციხის ამშენებლებმა ტრადიციული კედლების აშენებაზე უფრო იოლად ასეთი ფილების გამოყენება მიიჩნიეს, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ეს ფილები უბრალოდ ციხის იმ ტერიტორიის შემოსაფარგლად გამოიყენეს, საიდანაც ციხეზე მოხვედრა შეუძლებელი იქნებოდა – როგორც უკვე აღინიშნა, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ მხრიდან ციხის ტერიტორიას ციცაბო ხევები და ფერდობი ეკვრის გარს, – სწორედ ამ პერიმეტრზე ფიქსირდება „ფილების კედლები“, ხოლო ციხის დასავლეთი მონაკვეთი საგანგებოდ ყოფილა გამაგრებული ორი კოშკით და კირის დუღაბზე ნაშენები კლდის ფლეთილი ქვის გალავნით.

ზემოთ ნახსენები მეორე კოშკი ციხის მთავარი კოშკისგან დასავლეთით 4 მეტრში მდებარეობს. ის ძლიერ, მიწის დონეზეა დანგრეული და შესაბამისად, ფორმების დადგენა ჭირს. სავარაუდოდ, კვადრატული ფორმის უნდა ყოფილიყო (7 მ X 7 მ). საინტერესოა, რომ მისი აღმოსავლეთი კედელი და პირველი კოშკის დასავლეთი კედელი ერთმანეთთან შეერთებულია 80 სმ-იანი სისქის კედლით. სამწუხაროდ, კოშკის ძლიერი დაზიანების გამო ზუსტად ვერ ვიტყვით, რა დანიშნულებით აშენდა ეს კოშკი პირველი კოშკისგან 4 მეტრში და რა ფუნქციას ასრულებდა.

ჯახუთის ციხეს მეტად სტრატეგიული ადგილი უკავია. მთის ძირში, რომელზეც ციხეა აშენებული, ერთმანეთს უერთდება ორი დიდი მდინარე – ხობისწყალი და ჭანისწყალი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ორი მდინარის აუზში არაერთი ციხესიმაგრეა გამოვლენილი (სქური, ლესალე, ჭაქვინჯა და ძველი ხიბულა მდ. ჭანისწყალზე, ხომავირდეს და ხობის ციხეები კი მდ. ხობისწყალზე) და შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ძველ დროში ორივე მდინარის გასწვრივ სამეფოსთვის მეტად მნიშვნელოვანი გზები გადიოდა, რომლებიც შესაძლოა, სწორედ ჯახუთის ციხის სიახლოვეს, ამ ორი მდინარის შეერთების ადგილას, კვეთდა ერთმანეთს და შემდეგ უფრო სამხრეთით გრძელდებოდა. ციხიდან საკმაოდ ვრცელი ტერიტორიების ვიზუალური კონტროლია შესაძლებელი როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთით, ისე სამხრეთით, ანუ სწორედ აღნიშნული ორი მდინარის აუზებისკენ. რაც კიდევ უფრო ამყარებს იმ არგუმენტს, რომ ჯახუთის ციხიდან რომელიდაც მნიშვნელოვანი გზის კონტროლი ხორციელდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხის ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ, ყველაზე უკეთ დაცულ ნაწილში მიწის დონეზე იკითხება კიდევ ერთი ნაგებობის კვალი (დაახლოებითი ზომები 7 მ X 9 მ), რომელიც შეიძლება სასახლე ან ეკლესია იყოს (ნაგებობის ნაშთი დას.-აღმ. ორიენტაციისაა), რაც გვაფიქრებინებს, რომ ციხე შესაძლოა, რომელიმე მთავრის რეზიდენციაც ყოფილიყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხედრო-საფორტიფიკაციო თვალსაზრისით, ციხე ისეთ მიუვალ ადგილას არის აშენებული, რომ იქიდან შეუძლებელი იქნებოდა ბარში მოძრავი მტრის რაზმის შეჩერება ან წინააღმდეგობის განევა. ჯახუთის ციხის ამშენებელმა აქცენტი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მის მიუვალობასა და დაცულობაზე გააკეთა და არა რომელიმე გზის ჩაკეტვაზე ან მტრის შეფერხებაზე.

## პველი ხიბულა


ციხე მდებარეობს ხობის რაიონის სოფ. ძველი ხიბულის ცენტრში, ერთ-ერთი მაღალი ბორცვის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, მდ. ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე (GPS კოორდინატები: N42 26.586 E41 58.824. სიმაღლე: 127 მ.).

ციხეზე მოხვედრა მხოლოდ დასავლეთიდან არის შესაძლებელი, დანარჩენი სამი მხრიდან მას ციცაბო ფერდობები ეკვრის გარს.

აღნიშნული ბორცვის ზედაპირი მოსწორებულია. მისი ფართობის უმეტესობა მოქცეულია გვიანდელი შუა საუკუნეების რიყის ქვით ნაგებ გალავანში. ხოლო ბორცვის უკიდურეს აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, სადაც მცირედ შემაღლებული ტერა-

საა მოწყობილი, დგას კლდის ქვით ნაგები ოთხკუთხა კოშკი, რომელსაც გარშემო უვლის იმავე სამშენებლო მასალით ნაგები წრიული გალავანი (ციხის საერთო ზომები: 40 მ X 65 მ). ციხის ტერიტორიაზე მინიმუმ 60 რი სამშენებლო ფენა იკვეთება (სურ. 83). ზემოთ ნახსენები რიყის ქვის გალავანი ძლიერ არის დანგრეული – მისი ჩრდილოეთი პერიმეტრი 1 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, სამხრეთის კი მთლიანად ჩაქცეულია ფერდობში, ისე, რომ კედლის მოზრდილი ფრაგმენტები (4-5 მ) ფერდობის ძირში ყრია. რაც შეეხება ამ გალავნის დასავლეთ მონაკვეთს, ის სრულად არის დანგრეული და მისი კვალი არც ბორცვის კიდეზე და არც ფერდობზე არ ჩანს. გალავანი ნაგებია რიყის ქვებით კირის დუღაბზე, კედლის სისქე 1.10 მ-ს აღნევს.

გალავნის შიგნით მოქცეულია იმავე ტექნიკით ნაშენები ორი ნაგებობის კვალი. ერთი მათგანი ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს და ნარმოადგენს თაღოვანი გადახურვით შესრულებულ ერთოთახიან წაგრძელებული ფორმის ნაგებობას (5.90 მ X 10 მ), სავარაუდოდ, სასახლეს. ციხის ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კი დას.-აღმ. ორიენტაციის ნაგებობის მცირე ნაშთია შემორჩენილი (ჩრდილოეთი კედლი, დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლების ფრაგმენტები), რომელიც შესაძლოა ეკლესია იყოს. როგორც უკვე აღინიშნა, ზემოთ აღნერილი რიყის ქვით ნაგები გალავანი და მის შიგნით მოქცეული ორივე ნაგებობა, სამშენებლო ტექნიკიდან გამომდინარე, გვიანდელი შუა საუკუნეებით (XVI-XVIII სს.) თარიღდება.



83. ძველი ხიბულის ციხის გეგმა

ჩვენი საკვლევი თემისათვის უფრო მეტად ყურადღებამისაქცევია ბორცვის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე შემორჩენილი კოშკი გალავნით, რომლის სამშენებლო ნყობა სწორედ IV-VI სს. უნდა განეკუთვნებოდეს.

აღნიშნული კომპლექსი (კოშკი და გალავნი) ნაგებია კარგად გათლილი საშუალო ზომის (40 სმ X 60 სმ, 50 სმ X 80 სმ) კლდის კვადრებით. ერთი შეხედვით, ეს სამშე-

ნებლო მასალა თავისი სტრუქტურით შირიმის ქვას მოგვაგონებს (ის მეტად მყიფეა), მაგრამ წონით აშკარად აღემატება შირიმის ქვას და შესაბამისად, სავარაუდოდ, საქმე უნდა გვქონდეს გამოქარულ კლდის ქვასთან. კოშკი მართკუთხა ფორმისაა და ორიენტირებულია სამხ.-დას. – ჩრდ.-აღმ. ხაზზე, ზომები: 7 მ X 7.60 მ. კოშკი ზედა სართულებზე ოდნავ ვიწროვდება. სიმაღლეში ის 7 მეტრს აღწევს და საფიქრებელია, რომ სამსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. კოშკის შიდა სივრცე დღეისათვის ქვებით არის ამოვსებული. შესასვლელი იყითხება ჩრდილო-დასავლეთი კედლის ზედა და ბოლოებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოშკს დამატებული აქვს რიყის ქვის რიგები, რაც გვიანდელ მშენებლობას უნდა წარმოადგენდეს (XVI-XVIII სს).



**84. ძველი ხიბულის კოშკი და გალავანი. ხედი დასავლეთიდან**

აღნერილ კოშკს ჩრდილო, დასავლეთ და სამხრეთ მხრიდან 7-8 მეტრის რადიუსში გარს ეკვრის იმავე ტექნიკით ნაშენები წრიული გალავანი, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ 2 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, თუმცა საფიქრებელია, რომ აშენების დროს მას მეტი სიმაღლე ექნებოდა (სურ. 84). ისევე როგორც კოშკს, ამ გალავანსაც რიყის ქვის კედელი აქვს დაშენებული. გალავნის კედლების სისქე 1.5 მ-ს აღნევს. გალავნის შემორჩენილი ნაწილის სიგრძე 26.50 მ-ია.

ძველი ხიბულის ციხის ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის პრიორიტეტს მისი სამშენებლო ტექნიკა, გეგმარება და მდებარეობა წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, ციხეზე ორი სამშენებლო ფენა ფიქსირდება – ერთი გვიანდელი შუა საუკუნეების, რომელიც რიყის ქვის გალავნით, სასახლისა და, სავარაუდოდ, ეკლესიის ნაშთით არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე – ბორცვის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი საშუალო ზომის კვადრებით ნაგები კოშკი წრიული გალავნით. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალ ერთ-ერთი ციხე. მისი სამშენებელო ტექნიკა, გეგმარება (წრიული გა-

ლავანი, შუაში მდგარი ოთხკუთხა კოშკით) და მდებარეობა (მთის ქიმზე, ძნელად მისადგომ ადგილას, საიდანაც ვრცელი ტერიტორიების დაზვერვაა შესაძლებელი) სწორედ ეგრისის სამეფოს ციხეებისთვისაა სახასიათო. მაგალითისათვის შეიძლება და დავასახელოთ კოტიანეთის, ეკის, სქურისა და სხვა ციხეები.

ძველი ხიბულის ციხის ფუნქციის განხაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მისი მდებარეობა: ის აშენებულია ერთ-ერთი მაღალი ბორცვის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე და შესაბამისად, მისი საკონტროლო არეალიც ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ვრცელდება. აქვე ყურადსალებია ის ფატი, რომ მთას, რომელზეც ციხე მდებარეობს, აღმოსავლეთიდან 700 მეტრში ჩამოუდის მდინარე ჭანისწყალი, რომელიც როგორც ჩანს, ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი საგზაო არტერია იყო. ამის თქმის საფუძველს იძლევა ამ მდინარის მიმდებარედ გამოვლენილი რამდენიმე ციხესიმაგრე: სქური, ლესალე, ჭაქვინჯა, ძველი ხიბულა და ჯახუთი (ეს უკანასკნელი მდ. ჭანისწყლისა და ხობისწყლის შესართავთან მდებარეობს). აღნიშნული გზა, სავარაუდოდ, გადმოდიოდა სვანეთიდან, მდ. ჭანისწყლის სათავიდან მოყოლებული ვიწრო ხეობით და გამოდიოდა სქურის ციხესთან, შემდეგ კი მიემართებოდა სამხრეთ-დასავლეთისკენ. ამ მიმართულებით გზის უსაფრთხოებას ზემოთ ჩამოთვლილი ციხეები უზრუნველყოფდნენ. აქვე გამორიცხული არ არის, რომ ძველი ხიბულის ციხიდან კვამლისა და ცეცხლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა სიგნალის გადაცემა ჩრდილოეთით ჭაქვინჯის ციხისთვის და სამხრეთით ჯახუთის ციხისთვის, რაც ამ ციხეებში მდგარ გარნიზონებს მტრის შემოსევის შემთხვევაში დროს მისცემდა მოსამზადებლად და იმავდროულად მშვიდობიანი მოსახლეობის გასახიზნად ან ციხეში შესავყანად (ძველი ხიბულიდან ჭაქვინჯამდე და ჯახუთამდე მანძილი შესაბამისად 7 და 10 კმ-ია, რაც გაშლილი რელიეფის პირობებში, სავარაუდოდ, იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ამ ციხეებს შორის კავშირი დამყარებულიყო).

## ლესალე

ციხე მდებარეობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ ლესალეში, თანამედროვე სასაფლაოს გორაზე (GPS კოორდინატები: N42°39'35.04" E 42° 6'24.75". სიმაღლე: 316 მ.).

წლების მანძილზე სასაფლაოს ტერიტორიზე შეიმჩნეოდა გალავნების ნაშთები. 2013 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ციხეზე გეოფიზიკური სამუშაოები ჩაატარა. შედეგად მიწის ქვეშ სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები დაფიქსირდა.

2014 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის უნივერსიტეტის საერთო ექსპედიციის შედეგად ციხის ტერიტორიაზე IV-VI კულტურული და სამშენებლო ფენები გამოვლინდა და სიმაგრის ქრონოლოგიაც შესაბამისი პერიოდით განისაზღვრა. ექსპედიციის პირველადი დასკვნებით ციხეს უკავია 2 ჰა-მდე ფართობის ტერიტორია, სადაც გალავნებთან ერთად დიდი რაოდენობით იკვეთება სხვა ნაგებობების ნაშთები. კერძოდ, ექსპედიციამ ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გაწმინდა მართკუთხა კოშკი, რომე-

ლიც თითქმის საძირკვლამდეა დანგრეული. კედლის მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე 1.30 მ-ია, კედლების სისქე 2.10-2.30 მ-ია, ნაგებია ნახევრად დამუშავებული ქვებით, რიგების დაცვის გარეშე. სადულაბე მასალად გამოყენებულია კირსნარი.

ციხის სამხრეთ გალავანთან გაიწმინდა კიდევ ერთი კოშკი ან სათავსი, რომელიც გალავნის კედელს ჩრდილოეთიდან აქვს მიშენებული. ეს კოშკიც მიწის დონეზეა დანგრეული. მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე 1.15 მ-ია აღნევს. საფასადე წყობა ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით, რიგების დაცვით. სადულაბე მასალად აქაც კირხსნარია გამოყენებული.

თხრილებში დიდი რაოდენობით სხვადასხვა ფორმისა და ზომის (სამკუთხა, ოთხკუთხა) აგურები, ლარიანი და გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტები გამოვლინდა. ასევე, კულტურულ ფენებში აღმოჩნდა IV-VI სს.-ის კერამიკული ჭურჭლის (დერგები, ქოთნები, დოქები) ფრაგმენტები (ლესალეს არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში 2014: 1-6).

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, საბჭოთა კავშირის დროს ბულდოზერის მუშაობის შედეგად ციხის უმეტესი ნაწილი განადგურებულა. ამასთან, ციხეზე მოქმედებს სასაფლაო, რაც დამატებით აზიანებს მიწის ქვეშ არსებულ კულტურულ და სამშენებლო ფენებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ციხე მდ. ჭანისხულის მარჯვენა შემაღლებულ სანაპიროზე მდებარეობს. ის შუალედური რგოლი იყო სქურისა და ჭაქვინჯის სიმაგრეებს შორის. ამასთანავე, ციხის ზომებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრსაც წარმოადგენდა.

ლესალეს ციხეზე არქეოლოგიური გათხრები 2019 წელს განახლდა. მომავალი კვლევა-ძიების შედეგები სამომავლოდ მეტ ინფორმაციას მოგვცემს ციხის გეგმა-რებისა და დანიშნულების შესახებ.


## შაქვინჯა

ციხე მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯიხაშვარში, მის სამხრეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთ მაღალ პორცვზე (GPS კოორდინატები: N42 30.462 E42 00.786. სიმაღლე: 237 მ.).

ჭაქვინჯის ციხე საფუძვლიანად არის შესწავლილი. იქ არქეოლოგიური გათხრები 1968-69 წლებში აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ აწარმოა პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. შედეგად შესწავლილ იქნა ძეგლის არქეოლოგიური და სამშენებლო ფენები, დადგინდა ციხის გეგმარება, მისი განვითარების ეტაპები და ქრონოლოგია.

როგორც არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, ციხის ის ნაწილი, რომელიც დღემდეა შემორჩენილი და მთის წვერზე დგას, ციტადელს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი ნაწილი ვრცელდება ციტადელის ჩრდილო-დასავლეთით და გაშენებულია ცვალებად რელიეფზე (სურ. 85). ციტადელის ჩრდილო გალავნის ცენტრალური ნაწილიდან, იქ, სადაც შესასვლელია, გამომავალი კედელი ფერდობზე ეშვებოდა და 50 მეტრის გავლის შემდეგ ოთხკუთხა კოშკით ბალოვდებოდა. ამ კედლის პარალელუ-


რად ციხის შიდა ტერიტორიაზე გამოვლენილია გვირაბი, რომელიც ციტადელს და აღნიშნულ კოშკს ერთმანეთთან აკავშირებდა. კოშკის დასავლეთი კედლიდან და-სავლეთით კიდევ ერთი კედელი გამოდიოდა, რომელიც 40 მეტრის გავლის შემდეგ ისევ ჩრდილო-დასავლეთით უხვევდა და ფერდობს აუყვებოდა. ეს მონაკვეთი 150 მეტრზე გრძელდება და ბოლოვდება მართკუთხა ფორმის კოშკით. აღნიშნული გა-ლავნები და კოშკები მხოლოდ ფრაგმენტულად არის გამოვლენილი და ციხის ჩრდი-ლო-აღმოსავლეთი კონტურიც ამ ფრაგმენტებით იკვრება, ხოლო ციხის დასავლეთ გაყოლებაზე გალავნები სრულად არის დაკარგული და შესაბამისად, ამ ხაზის ზუსტი მიმართულების დადგენა ჭირს. პ. ზაქარაიას დაკვირვებით, ციხის დასავლეთი გალა-ვანი, სავარაუდოდ, მიემართებოდა რელიეფის კონტურების გასწვრივ, ასე რომ ის ერთმანეთთან აერთებდა ციხის ჩრდილოეთ მართკუთხა კოშკის სამხრეთ-დასავ-ლეთ კუთხეს და ციტადელის უკიდურეს სამხრეთ კუთხეს (ზაქარაია 1980: სურ. 4).



85. ზაქვინჯის ციხის გენ-გეგმა

ციხის აღნიშნული მონაკვეთი, ანუ ე. წ. „ქვედა ციხე“, არქეოლოგიური და სამშე-ნებლო ფენებით XVI ს.-ით თარიღდება (ზაქარაია 1980: 32) და შესაბამისად, ჩვენი საკვლევი თემის ქრონოლოგიას ცდება.

ზაქვინჯის ციხის ციტადელზე (სურ. 86), რომელიც მთის წვერზეა განლაგებუ-ლი, ხუთი სამშენებლო ფენა ფიქსირდება: IV-V სს.-ის (გალავნები და კოშკები), IX-XI სს.-ის (პალატი), XIII-XIV სს.-ის (ეკლესია), XV-XVI და XVII სს.-ის (გალავნები და კოშკები) (ზაქარაია 2002: 91-93).



86. ჭაქვინჯის ციხის ციტადელის გეგმა

როგორც სამშენებლო ტექნიკის ანალიზმა აჩვენა, IV-V სს.-ში აშენებული გალავნები მოიცავდა მთის წვერის დასავლეთ ნაწილს. დღეისათვის ციხის ამ ნაწილში გამოვლენილია კარგად გათლილი ქვებით ნაგები გალავანი, რომელიც გვიანდელ შუა საუკუნეებამდე ციტადელის ჩრდილოეთ გალავნის ფუნქციას ასრულებდა. ამ კედლებზე გვიანდელი ხანის დანაშენებიც არის შემორჩენილი, რომლებიც წვრილი ქვით არის ნაშენი და კირითათა ნალესი. IV-V სს.-ის ფენას უნდა განეკუთვნებოდეს ციხის N2, N3 და N4 კოშკები, რომლებშიც ასევე შეინიშნება ადრეული ფენები. ამასთან, გამოვლენილია N4 კოშკის სამხრეთი კედლიდან ამავე მიმართულებით გამავალი კედლის ნაშთი, რომელიც პირვანდელი ციხის დასავლეთი გალავანი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ამ პერიოდის სამხრეთი გალავნის ნაშთი შემორჩენილი არ არის, სავარაუდოდ, ის ადრეული ჩაიქცა დამრეც ფერდობში (სურ. 87). აქვე უნდა ითქვას, რომ უკვე IV-V საუკუნეებში ჭაქვინჯის ციხის გალავნები ძირითადად დღემდე შემორჩენილი ციტადელის კონტურებს იმეორებდა, ანუ ამავე პერიოდში მომხდარა ციხის გაზრდა აღმოსავლეთის მიმართულებით (ზაქარაია... 1991:155).

ციხის ციტადელი სიგრძეში დაახ. 100 მეტრს აღწევს – მისი საერთო ფართობი მეოთხედ ჰექტარს შეადგენდა. როგორც უკვე აღინიშნა, ციხის ციტადელში არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია პალატი და ეკლესია. პალატი სამხრეთ გალავანთან მდებარეობს, ეს არის დას.-აღმ. ორიენტაციის მართკუთხა ნაგებობა (შიდა ზომები: 7.6 მ X 13.2 მ), რომელსაც შესასვლელი ჩრდილოეთიდან ჰქონია. შიდა სივრცის ცენტრში შემორჩენილია ორი სვეტი, რომლებზეც აღბათ თაღები გადადიოდა – პალატი ორსართულიანი მაინც იქნებოდა. არქეოლოგები მას IX-X სს.-ით ათარიღებენ (ზაქარაია 1980: 35). ციხის ეკლესია ციტადელის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში დგას. ეს არის მცირე ზომის (შიდა ფართობი აფსიდის ჩათვლით 8 მ<sup>2</sup>-ია) დარბაზული ეკლესია, ის გარედან ქვის კვადრებით ყოფილა შემოსილი, სამხრეთის ფასადზე დეკორატიული თაღებიც არის გამოყენებული. ეკლესია XIII-XIV სს.-ის მიჯნით თარიღდება (ზაქარაია 1980: 36-39).

ჭაქვინჯის ციხისთვის მის ამშენებლებს ისეთი ადგილი შეურჩევიათ, რომ იქი-დან საკმაოდ დიდი ფართობების დაზვერვაა შესაძლებელი ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით ვრცელი ხედვის არეა აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებებით. ციხიდან მოჩანს როგორც ჩხოროწყუს, ისე ხობისა და ზუგდიდის რაიონების დიდი ნაწილი. სამხრეთით მდ. ჭანისწყლის აუზის დაახ. 20 კმ-იანი მონაკვეთის ვიზუალური კონტროლია შესაძლებელი სოფ. ჭკადუაშიდან სოფ. ხიბულამდე.



**87. აერო-ფოტო – ჭაქვინჯის ციხის ციტადელი**


ერთი პერიოდის ციხესიმაგრების, ჭაქვინჯისა და სქურის, შესწავლის შემდეგ 1970-80-იან წლებში პ. ზაქარაიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ორი ციხე მდ. ჭანისწყლის აუზში იმისთვის აშენდა, რომ იქ გამავალი რომელილაც მნიშვნელოვანი გზის უსაფრთხოება უზრუნველეყო (ზაქარაია 1980: 28-29). იქვე მკვლევარი დასძენს, რომ სამწუხაროდ, ასეთი ტიპის ჯაჭვი არ შეინიშნება მდ. ენგურისა და ხობისწყლის აუზებში. თუმცა შემდგომ კვლევებში (ზაქარაია... 1991: 156-158) აღნიშნავს მდ. ენგურის შუა წელზე მდებარე სათანჯოს ციხეს, მაგრამ სამწუხაროდ, გამოჩენილ მკვლევარს მეტი ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილი მდინარეების აუზებში მდებარე ციხეებზე არ გააჩნდა. დღეისათვის კი, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, არაერთი ციხეა ცნობილი როგორც ხობისწყლის, ისე ჭანისწყლის ველებზე: სქური, ლესალე, ჭაქვინჯა და ძველი ხიბულა ჭანისწყალზე, ხომაკირდე და ხოში ხობისწყალზე და ჯახუთის ციხე ამ ორი მდინარის შეერთების ადგილას. ამ ციხეთა გამოვლენა და შესწავლა კიდევ უფრო ამყარებს იმ არგუმენტს, რომ აღნიშნულ მდინარეებზე მნიშვნელოვანი გზები გადიოდა. ჭაქვინჯის ციხეს, მისი მდებარეობიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველეყო მდ. ჭანისწყლის აუზში გამავალი გზის მინიმუმ 10-12 კმ-იანი მონაკვეთის უსაფრთხოება და ვიზუალური კონტროლი.

## ხომაკირდე

ციხე მდებარეობს დაბა ჩხოროწყუს სამხრეთ ნაწილში, უბან „გარახაში“. ადგილს, სადაც ციხე დგას, ადგილობრივები ხომაკირდეს უწოდებენ, რაც მეგრულად ხურმის ხეს ნიშნავს (GPS კოორდინატები: N42 29.779 E42 07.897. სიმაღლე: 244 მ.).

ციხე, ჩრდილო-სამხრეთის ორიენტაციით, აგებულია წაგრძელებულ გორაზე (სურ. 88). მიუხედავად იმისა, რომ გორა არც ისე მაღალია, მას აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან გარს ციცაბო კალთები აკრავს, ხოლო დასავლეთით ციცაბო ხევია და შესაბამისად, ამ მხრიდან ციხეზე მოხვედრა შეუძლებელი იქნებოდა.

ციხის ჩრდილო-დასავლეთით 500 მეტრში ჩამოედინება მდინარე ოჩხომური. ყველაზე ადვილი მისადგომი ციხის ტერიტორია ჩრდილოეთის მხრიდანაა და სავარაუდოდ, სწორედ აქ იქნებოდა ციხის მთავარი შესასვლელი. ბორცვის წვერი ამ მიმართულებით კიდევ უფრო ჩრდილოეთისკენ გრძელდება 300 მ-ზე და უერთდება მეორე გორაკს, სადაც გვიანდელი შუა საუკუნეების (XVI-XVIII სს.) ეკლესიის ნანგრევები აღმოჩნდა.



88. ხომაკირდის ციხის გეგმა

ციხეს ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან გარს ეკვრის ხელოვნური თავდაცვითი თხრილი, რაც ციხეზე მოხვედრას ამ მხარეებიდან კიდევ უფრო გაართულებდა. თხრილი 3 მ სიგანისა და 1.5 მ სიღრმისაა, თუმცა ციხის ფუნქციონირების დროს მისი სიღრმე მეტი იქნებოდა. თხრილის შიდა კიდესა და ციხის გალავნებს შორის დაშორება 7-10 მეტრია. მისი სიგრძე 120 მეტრს აღწევს.

ციხე ძლიერ არის დანგრეული, თუმცა მისი ფორმების დადგენა მაინც ხერხდება. საერთო სიგრძე 39 მეტრია (ჩრდ.-სამხ.), სიგანე – 19 მეტრი. ციხე შედგება ორი კოშკისა და გალავნისგან. ერთი კოშკი ციხის ჩრდილოეთ კუთხეში მდებარეობს და გალავნებშია ჩაშენებული (სურ. 89).



**89. ხომაკირდის ციხის ჩრდილოეთ კოშკი. ხედი ჩრდილოეთიდან**

საფიქრებელია, რომ ის ციხის შესასვლელთან იდგა და ჩრდილოეთ მისადგომებს აკონტროლებდა, ჭიშკართან მოახლოებული მოიერიშების მოგერიებაც ძირითადად ამ კოშკიდან უნდა მომხდარიყო. კოშკი ძლიერ არის დაზიანებული, მისი მაქსიმალური სიმაღლე 2 მეტრს აღწევს. გარედან ის კვადრატული ფორმისაა ( $7.5 \text{ მ} \times 7.5 \text{ მ}$ ), ხოლო შიდა ზომები და ფორმები არ დგინდება – კოშკის კედლები შიგნით არის ჩაქცეული. სავარაუდოდ, კოშკის შიდა ზომები  $3.00 \text{ მ} \times 3.50 \text{ მ}$  უნდა ყოფილიყო. კოშკი ორიენტირებულია სამხ.-აღმ.-იდან ჩრდ.-დას.-კენ. კონსტრუქციულად ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩრდ.-აღმ. კედელია, რომელიც 2 მეტრის სიმაღლეზე შემორჩია. ის, ფაქტობრივად, ციხის გარეთ გადიოდა და შესაბამისად, მტრის იერიშის გასაძლებად მისია სისქე  $2.5 \text{ მ} \times 2.5 \text{ მ}$  აღწევს, მაშინ როდესაც იმავე კოშკის სხვა კედლები  $2 \text{ მ} \times 2.5 \text{ მ}$  სისქისაა. კოშკის შემორჩენილ სიმაღლეზე არც ერთ კედელზე არ შეიმჩნევა კარის ღიობის კვალი, შესაბამისად, საფიქრებელია, რომ კოშკში შესასვლელი მეორე სართულის დონეზე იქნებოდა.

მეორე კოშკი ციხის სამხ-აღმ. ნაწილში დგას. ის ორიენტაციით პირველი კოშკის იდენტურია, თუმცა მცირე სხვაობაა ზომებში –  $7 \text{ მ}$ . (სამხ-აღმ. – ჩრდ-დას. ხაზზე)  $7.5 \text{ მ} \times 7 \text{ მ}$  (სამხ.-დას. – ჩრდ.-აღმ. ხაზზე). შიდა ზომები:  $3 \text{ მ} \times 3.5 \text{ მ}$ , კედლის სისქე  $2 \text{ მ}$ . ეს კოშკი მხოლოდ  $1.5 \text{ მ}$  მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

სამწუხაროდ, ციხის გალავნის უმეტესი ნაწილი დღეისათვის სრულად განადგურებულია. შემორჩენილია გალავნის მხოლოდ ოთხი მცირე ფრაგმენტი: ორი

მათგანი ჩრდილოეთ კოშკის კედლებიდან გამოდის – ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის შუიდან, მის პერპენდიკულარულად მიემართება აღმოსავლეთით, თუმცა მხოლოდ 1 მეტრის სიგრძეზე გრძელდება და შემდეგ მიწაში უჩინარდება (სურ. 90). ჩრდილოეთი კოშკიდან მეორე კედლი გამოდის დასავლეთ კუთხიდან სამხრეთის მიმართულებით და მხოლოდ 70 სმ-ზე გრძელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გალავნის ეს მონაკვეთი (დასავლეთის) სრულად ჩაქცეულია ხევში. გორის ამ მონაკვეთს დღემდე ეტყობა მიწის საქმაოდ დიდი მასივის ადგილიდან დაძვრისა და მოწყვეტის კვალი – კლდე ვერტიკალურად არის გაშიშვლებული. გალავნის დასავლეთი, ჩაქცეული კედლის მონაკვეთი 35 მ სიგრძის მაინც უნდა ყოფილიყო, ანუ ციხის დასავლეთი გალავანი დღეისათვის სრულად დაკარგულია.



**90. ხომაკირდის ციხის ჩრდილოეთ კოშკიდან გამომავალი გალავნის ფრაგმენტი**

კიდევ ერთი შერჩენილი მონაკვეთი სამხ.-აღმ. კოშკის აღმოსავლეთით მდებარეობს და 11 მეტრის სიგრძეზე გრძელდება სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით, მისი დანარჩენი ნაწილები კი მიწაში იკარგება. სავარაუდოდ, ეს ციხის აღმოსავლეთ გალავანს წარმოადგენდა. ციხის კედლების მეოთხე შერჩენილი ნაწილი გორის წვერის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დგას, დასავლეთ-აღმოსავლეთის ორიენტაციით და მხოლოდ 8 მეტრის სიგრძისაა. გალავნის გამოვლენილი ოთხივე მონაკვეთი ერთი სისქისაა – 1.40 მ. გამოვლენილი კედლების გარდა, ციხის აღმოსავლეთ ფერდობზე მივაკვლიერ დაგორებულ კედლის ფრაგმენტებს, რომლებიც, როგორც ჩანს აღმ. კედლის ნაწილები იყო. გორის წვერის სამხრეთ

დაბოლოებაზე კი იკვეთება ამობურცული ხაზები, რომლებიც, სავარაუდოდ, გალავნის კონტურებია.

ხომაკირდეს ციხის კოშკები ნაგებია კარგად გათლილი საშუალო ზომის კირქვის კვადრებით, რიგების დაცვით, კირის დუღაბზე (სურ. 89). საპირე წყობას შორის ჩაყრილია სხვადასხვა ტიპის ქვა კირხსნართან ერთად. იმავე ტექნოლოგიით არის ნაგები გალავნებიც, თუმცა შედარებით მცირე ზომის გათლილი კლდის ქვით. გამომდინარე იქიდან, რომ ხომაკირდეს შესახებ წერილობით წყაროებში ინფორმაცია არ მოპოვება, ციხის დათარიღებისას უმთავრესი მნიშვნელობა სწორედ სამშენებლო ტექნიკას ენიჭება, რომელიც IV-VI სს.-ის ეგრისის სამეფოს საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის ტრადიციების ანალოგიურია. ციხის დათარიღებისთვის ასევე მნიშვნელოვანია მისი მდებარეობა, რელიეფთან მიმართება, თავდაცვითი თხრილის არსებობა, კოშკების განაწილება, კედლის სისქეები და სხვა სახასიათო დეტალები, რომლითაც ხომაკირდე IV-VI სს.-ის არაერთ ციხეს-თან ავლენს საერთოს.

ხომაკირდეს ციხის გარშემო ტერიტორიებზე დაკვირვების შემდეგ ცხადი ხდება, რომ ციხის ორივე კოშკის აგება საჭირო გახდა ციხის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით საკმაოდ ვრცელი (4-10 კმ) ტერიტორიების გასაკონტროლებლად. მზიან ამინდში ციხიდან შესაძლებელი იქნებოდა მდ. ხობისა და მდ. ოჩხომურის ველების, მათ შორის ტერიტორიებისა და მათზე გამავალი გზების კონტროლი. ასევე საინტერესოა, რომ ხომაკირდეს ციხის ჩრდილოეთით 4.5 კმ-ში მდებარეობს სოფ. ჯუმითი, სადაც, ადგილობრივების გადმოცემით, ერთ-ერთ გორაზე ციხის ნაშთები უნდა ყოფილიყო. გორის მონაცემებისას გაირკვა, რომ იქ მართლაც ყოფილა რაღაც ნაგებობა, რომელიც წლების წინ ადგილობრივ მოსახლეობას მოუშლია ტერიტორიის სათესად გამოყენების მიზნით. რა თქმა უნდა, გადაჭრით ვერ ვიტყვით, იდგა თუ არა სოფ. ჯუმითის ამ მონაცემთზე ციხე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აეროფოტოგადაღებებზე და ტოპორუკებზე კარგად ჩანს, რომ ამ ორ წერტილს შორის (ხომაკირდე-ჯუმითი) ვიზუალური კავშირის ქონა სრულიად შესაძლებელი იქნებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ხომაკირდეს ციხე ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაცემთის თავდაცვით ქვესისტემაში შედიოდა და მისი ერთ-ერთი უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი რგოლი იყო, რომელსაც, თავის მხრივ, შესაძლოა კავშირი ჰქონოდა სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ციხეებთან (ნაფიჩხოვო, კურზუ, ოცინდალე).

## თავი VI

### ნოქალაქევი-არქეოლოგისის გამაზრების სისტემა და მისი როლი სამაცოს თავდაცვით სისტემაში

#### ნოქალაქევი-არქეოლოგისის ფერილოგითი ფუაროვანის მიმოხილვა და შესხავლის ისტორია

ნოქალაქევის ნაქალაქარი წერილობით წყაროებში პირველად VI ს.-ის ბიზანტიელ ავტორებთან მოიხსენიება, რომლებიც მას არქეოპოლისს („ძველ ქალაქს“) უწოდებენ. იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) ე. წ. „ნოველაში“ ლაზიკაზე საუბრისას არქეოპოლისი მოხსენიებულია, როგორც „უდიდესი და ძველი“ სიმაგრე (იუსტინიანე 1965: 33-36). განსაკუთრებული ისტორიული ღირებულების ინფორმაციას არქეოპოლისის შესახებ გვაწვდის VI ს.-ის ორი სხვა ავტორი – პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი, რომლებიც ბიზანტია-ირანის ბრძოლების აღწერისას არქეოპოლისის როლზე მოგვითხრობენ. ამ ავტორთა გადმოცემით, სპარსთა სარდალს მერმეროეს ორჯერ უცდია მთელი თავისი ლაშქრითა და საბრძოლო სპილოებით არქეოპოლისის აღება, მაგრამ უშედეგოდ (პროკოპი კესარიელი 1965: 188-194; აგათია სქოლასტიკოსი 1965: 30). ასევე 555 წელს სასტიკად მარცხდება არქეოპოლისის მისადგომებთან სპარსელი სარდლის ნახორაგანის ერთ-ერთი რაზმი (აგათია სქოლასტიკოსი 1965: 91-95). ეს ცნობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი თემისთვის, რადგანაც აქ კარგად ჩანს, რა ძლიერი საფორტიფიკაციო სისტემა ჰქონდა არქეოპოლის. მისი აღების ცდა სამჯერვე უშედეგოდ დასრულდა სპარსელთათვის. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მაშინ, როცა თითქმის მთელი ლაზიკა, პეტრის, მოხირისის, ქუთაისის, ვარდციხეს, შორაპნისა და სკანდის ციხეების ჩათვლით, სპარსელების კონტროლს ექვემდებარება, გაერთიანებული ლაზები და ბიზანტიელები თავგამოდებით იცავენ ამ ერთ ციხე-ქალაქს. აქედან ნათლად ჩანს, რა დიდი სტრატეგიული როლი ენიჭებოდა არქეოპოლისს ეგრისის სამეფოს ერთიან თავდაცვით სისტემაში. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს პროკოპი კესარიელი, როდესაც აღნიშნავს, რომ არქეოპოლის „არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“ (პროკოპი კესარიელი 1965: 182).

ნოქალაქევის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქართული წერილობითი წყაროებიც. XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის თანახმად, ძვ. წ. IV ს.-ის ბოლოს ქართლის მეცე ფარნავაზის მოკავშირემ, ერისთავმა „ქუჯიმ აღაშენა ციხე-გოჯი“ (ლეონტი მროველი 1955: 24). ნოქალაქევში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი სამოსახლო, მრავალფეროვანი კერამიკული ნანარმი და ვრცელი სამარვანი აშკარად მოწმობს ძვ. წ. III-I სს. ნოქალაქევში დიდი და მნიშვნელოვანი დასახლების არსებობას, თუმცა ჯერ არ გამოვლენილა ამ პერიოდის ციხესიმაგრის სამშენებლო ფენები, რომლებიც ნოქალაქევში ქალაქის არსებობას დაადასტურებდა.

XI ს.-ის ავტორის ჯუანშერის ცნობით, VII ს.-ის 30-იან წლებში არაპი სარდალი მურვან-იბნ-მუჰამედი („მურვან ყრუ“) ქართლის დარბევის შემდეგ ეგრისში გადა-

ვიდა და სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა“ (ჯუანშერი 1955: 235). თითქმის იმავე შინაარსის ინფორმაცია დაცულია XII ს.-ის ნაწარმოებში „დავით და კონსტანტინეს წამება“, სადაც ავტორი წერს, რომ მურვან ყრუმ „დაიპანაკა ქალაქსა ჯიხან-ქუჯისასა“ (ქართული პროზა, I, 1981: 177), ანუ ციხეგოჯში. ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს, რომ ციხეგოჯი ააშენა ერისთავმა ქუჯიმ, დაანგრიო მურვან ყრუმ და იქვე ამატებს: „ან არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1955: 777). ვახუშტი ბატონიშვილის ამ ცნობას სრულად შეესაბამება ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი გვიანდელი სამშენებლო ფენები, რომლებიც დადიანების პერიოდით (XVI-XVIII ს.ს.) თარიღდება და რამდენიმე მცირე მასშტაბის ნაგებობითა და მიშენებით არის ნარმოდგენილი.

ნოქალაქევის ნაქალაქარის შესწავლით პირველად XIX ს.-ის 30-იან წლებში უცხოელი მოგზაური დიუბუა დე მონპერე დაინტერესდა, რომელმაც ნოქალაქევში მოგზაურობის შემდეგ მისი აღნერილობაც დაგვიტოვა (Dubois 1839). მის შემდეგ ნოქალაქევში ჩასულა ა. მურავიოვი, რომელიც იმავე ნაგებობებს აღნერს, რომლებსაც დიუბუა (Muraev 1848). ასევე საინტერესო მარი ბროსეს აღნერილობა, რომელიც ბევრ შემთხვევაში მისი წინამორბედების იდენტურია (Brosset 1851). XIX ს.-ის 50-იან წლებში ნოქალაქევს ეწვია პ. იოსელიანი, შემონახულია მისი აღნერილობაც (Иоселиани 1850). 1900 წელს ნოქალაქევი დაუთვალიერებია თ. უორდანის, რომელიც ნაქალაქარს ერისთავ ქუჯის ციხეგოჯთან აიგივებს (უორდანია 1900). 1903 წელს კი ნოქალაქევში იმოგზაურა ცნობილმა სიძველეთმცოდნემ კ. განმა. იგი ვრცლად მიმოიხილავს უცხოურ და ქართულ წყაროებს ნოქალაქევის შესახებ, ადარებს ნაქალაქარის არსებულ მდგომარეობას დიუბუას დროინდელს და გამოაქვს დასკვნა, რომ ძეგლი კიდევ უფრო მეტადაა განადგურებული (Гах 1907).

პირველი არქეოლოგიური გათხრები ნოქალაქევის ნაქალაქარზე XX ს.-ის 30-იან წლებში ჩატარდა, როდესაც, განათლების სახალხო კომისარიატის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი ბიზანტინისტი-არქეოლოგი, ფრანგურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალფონს მარია შნაიდერი. გერმანელ მეცნიერს ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელობა დაეკისრა, ველზე მას ახლდნენ გ. გოზალიშვილი და ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური სამუშაოების საერთო ხელმძღვანელობა დაევალა სპეციალურად შექმნილ კომისიას ივ. ჯავახიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, გ. ნიორაძის, ს. ყაუხეჩიშვილისა და სხვათა შემადგენლობით. ექსპედიციამ 1930 წლის დეკემბრიდან 1931 წლის იანვრის ჩათვლით იმუშავა. გათხრების შედეგები გამოქვეყნდა გერმანულ სამეცნიერო ჟურნალში: „Forschungen und forschritte 1931“. გარდა ამისა, შემონახულია გ. გოზალიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის როგორც საველე დლიური, ისე მოხსენებითი ანგარიში, სადაც აღნერილია ნოქალაქევში ნარმოებული სამუშაოები, გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ძეგლზე გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალასთან და მათ თარიღებთან დაკავშირებით. მკვლევრებს ქალაქის ქრონოლოგია შემდეგი სახით აქვთ განსაზღვრული:

1. ადრერომაული ციხე-დარბაზი პატარა სამოსახლოთ;
2. IV ს.-ის შუა ხანებში დიდი ქალაქისა და ციხესიმაგრეების გაშენება;
3. VI ს.-ის დამლევს ქალაქის დანგრევა მიწისძვრით და მეორე კედლის აშენება;

4. VIII ს.-ის დამდეგს, შიდა კოლხეთში ბიზანტიური მართველობის გადავარდნის შემდეგ, იღვიძებს ადგილის ძევლი სახელწოდება; მურვან ყრუს შემოსევის დროს ქალაქი გაძარცვეს, მაგრამ ზღუდები არ დანგრეულა (ყაუხჩიშვილი 1948: 197).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი ქრონოლოგია უზუსტოა და შემდგომ წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ეს თარიღები მნიშვნელოვნად შეცვალა.

სამზუხაროდ, 1930-31 წლების განათხარი მასალიდან, გარდა ოქროს მონეტების განძისა (სურ. 91) და ერთი შვეულკიდიანი ყურებიანი ქოთნისა, ჩვენამდე სხვა არქეოლოგიურ მონაპოვრებს არ მოულწევია.

1946 წლის თებერვალში ნოქალაქევი დაზვერა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. საქ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 6. ხოშტარიას (ხელმძღვანელი), ი. ციციშვილისა და ი. გრძელიშვილის შემადგენლობით. 1948 წელს ი. გრძელიშვილმა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ნოქალაქევის ნაქალაქარის გეოლოგიური პირობების, მშენებლობის ტექნიკისა და ქრონოლოგიის ზოგიერთ საკითხს ეხება (გრძელიშვილი 1948: 323-328).



91. 1930-31 წლებში ნოქალაქევში აღმოჩენილი ბიზანტიის იმპერატორ მაკრიკ ტიბერიუსის (682-702 წწ.) ოქროს მონეტები

1968 წელს ნოქალაქევის ნაქალაქარზე დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა და-სავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. გრიგოლიას (ხელმძღვანელი), გ. ფხავაძის, მ. ბარამიძისა და გ. ლორთქიფანიძის შემადგენლო-ბით, რომლებსაც შიდა ციხის ტერიტორიაზე საცდელი თხრილები გაუჭრიათ, სა-დაც ელინისტური ხანის ფენები დაუფიქსირებით (გრიგოლია... 1973: 36).

იმავე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნოქალაქევი 1972 წელს კიდევ ერთხელ დაზვერა. ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, ამ წელს ჩატარებული სამუშა-ოების ანგარიშიც გამოქვეყნებულია (გრიგოლია... 1972: 29-31).

1973 წლიდან ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრების წარმოება დაიწყო ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ პროფ. პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. ნაქალაქარზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოებისა და გამოვლენილი მასალის შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად იბეჭდებოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კრებულში „საქართველოს სა-ხელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“ (სსმაე).

1973 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა დასახელებული გამოცემის (სსმაე) IV წიგნში, სადაც განხილულია I აბანოს ტერი-ტორიაზე წარმოებული გათხრები და გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები. ამ წელს ექსპედიციას სამუშაოები ჩაუტარებია ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე, სადაც ადგილობრივი და იმპორტული წარმოების ამფორების, ქვევრების, ანტე-ფიქსების, კალორიფერების ნამტვრევები გამოვლინდა. მოპოვებული არქეოლო-გიური მასალა ზოგადად IV-VIII სს.-ით დათარილდა (ზაქარაია... 1975: 102-103).

1974-1975 წლებში ნოქალაქევში წარმოებული საველე სამუშაოების მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა სსმაე-ს V კრებულში. ამ ორი წლის განმავლობაში ექსპე-დიციას აღმოუჩენია 8 ცალი მონეტა, რომელთა შესწავლის შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ ნოქალაქევში მიმოქცევაში ყოფილა გვიანრომაული და ადრები-ზანტიური მონეტები. იმავე პერიოდში გამოვლენილა წელშეზნექილი ამფორების ის ტიპი, რომელიც მანამდე IV ს.-ის ბოლოთი დათარილებული ურეკის სამარხიდან იყო ცნობილი (ზაქარაია 1977: 105-106).

1976-1977 წლებში წარმოებული სამუშაოები აღწერილია იმავე გამოცემის VI წიგნში. საანგარიშო პერიოდში გათხრები წარმოებდა სასახლის ტერიტორიაზე, ასევე ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აბანოსა და გვირაბს შორის მონაკვეთზე და ზედაციხეზე, სადაც 22 ცალი წელშეზნექილი ამფორა გამოვლინ-და – ისინი ორ რიგად ელაგა ციტადელის ზღუდეში არსებული სათავსის იატაკზე (ზაქარაია 1978: 78-80).

1978-1979 წლების მუშაობის ანგარიში დაიბეჭდა სსმაე-ს VII წიგნში. ამ პერი-ოდში არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარებდა ნაქალაქარის ქვედა ტერასა-ზე, ჭიშკრის მიდამოებში, გალავნების აღმოსავლეთის გაყოლებაზე. დაიწყო დი-დი ზომის ნაგებობის გათხრები, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მეფეთა I სასახლის სახელით არის ცნობილი. ამ ნაგებობის ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალა მცირე რაოდენობით გამოვლინდა (ზაქარაია 1977).

1980-1981 წლებში წარმოებული სამუშაოების ანგარიში გამოქვეყნებულია სსმაე-ს VIII წიგნში, სადაც ძირითადად მოცემულია ნაქალაქარის ციტადელში ჩა-ტარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში (ზაქარაია 1986: 88-89).

1981 წელს გამოიცა კრებულ „ნოქალაქევი-არქეოპოლისის“ | ტომი, სადაც თავ-მოყრილია გათხრების პირველ ხუთ წელინადს (1973-1977) გამოვლენილი არქეოლოგიური, არქეოტექტურული, ანთროპოლოგიური და სხვა მასალები. ამ კრებულში განსაკუთრებული ყურადღება ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოვის ლოკალიზაციისა და მისი შესწავლის ისტორიის საკითხებს ეთმობა (ლომოური 1981: 18-76).

1987 წელს გამოვიდა კრებულ „ნოქალაქევი-არქეოპოლისის“ II ტომი, სადაც მიმოხილულია 1978-1982 წლებში ნოქალაქევსა და მის შემოგარენში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები. ამავე კრებულში დაიბეჭდა ჩვენი ნაშრომისთვის საინტერესო სტატია „ნოქალაქევის გამაგრების სისტემა“, სადაც ავტორი (პ. ზაქარაია) ვრცლად საუბრობს ნაქალაქარის საფორტიფიკაციო ნაგებობებსა და მათ ქრონოლოგიაზე (ზაქარაია 1987: 136-186). ამ სტატიის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვიღაცარავთ.


კრებულ „ნოქალაქევი-არქეოპოლისის“ III ტომი 1993 წელს გამოქვეყნდა. მასში მიმოხილულია ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1983-1989 წლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგები. ნაშრომში შევიდა დ. ლომიტაშვილის სტატია „სტრატიგრაფია ნოქალაქევის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხედვით)“. მასში ლაპარაკია 1983 წელს აღმოჩენილ ზოომორფულ კერამიკულ ქანდაკებებზე, რომლებიც ძვ. წ. VIII-VII სს.-ით თარიღდება. ამ ქანდაკებების აღმოჩენამ და საერთოდ ნოქალაქევში ძვ. წ. VIII-VII სს.-ის კულტურული ფენის დაფიქსირებამ ძეგლის ქვედა ქრონოლოგიაში კორექტივები შეიტანა (ლომიტაშვილი 1993: 147-157). ამავე გამოცემაში შევიდა ბ. ლორთქიფანიძის სტატია „ქალაქის გარეგნული სახე“, რომელშიც ავტორი მიმოხილავს ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილ არქეიტექტურულ ძეგლებს და გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ქალაქის გალავნების სამხრეთი ხაზის ქრონოლოგიის შესახებ (ლორთქიფანიძე 1993: 176-199).

1991 წელს პ. ზაქარაიასა და თ. კაპანაძის თანაავტორობით გამოიცა წიგნი „ციხეგოვიარქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება“, რომელშიც ვრცლად არის განხილული ნოქალაქევის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო სისტემა, მოცემულია სამშენებლო ფენების ქრონოლოგია და დაწვრილებით არის აღნერილი ნაქალაქარზე გამოვლენილი თითოეული საფორტიფიკაციო ნაგებობა.

2001 წლიდან ნოქალაქევში მუშაობა გააგრძელა ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ექსპედიციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი 2001-2013 წლებში – პროფესორი დავით ლომიტაშვილი; 2014 წლიდან ექსპედიციის ხელმძღვანელი – ნ. მურდულია), რომელშიც საქართველოს მხრიდან ჩართულია საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ხოლო დიდი ბრიტანეთიდან სხვადასხვა წლებში მონაწილეობას იღებდნენ ოქსფორდის, კემბრიჯის, საუთჰემპტონის, ბრედფორდისა და ვინჩესტერის უნივერსიტეტების სტუდენტები და სპეციალისტები. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ექსპედიციაში საველე არქეოლოგიური პრაქტიკა 200-ზე მეტმა ქართველმა და უცხოელმა სტუდენტმა გაიარა. 2014 წელს ოქსფორდში ბრიტანული არქეოლოგიური ანგარიშების სერიით გამოიცა ნაშრომი, რომელიც ნოქალაქევში 2001-2010 წლებში ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ეძღვნება.

## ნოქალაქევი-არქეოპოლისის საფორტიფიკაციო ნაგებობები

ბიზანტიურ ავტორებთან არქეოპოლისის შესახებ დაცული ცნობები სრულად შეესაბამება ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალას. არქიტექტურული ძეგლების უმეტესობა, რომლებიც ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის აღმოჩენილი, IV-VI საუკუნეებით თარიღდება. ეს პერიოდი სამეცნიერო ლიტერატურაში არქეოპოლისის ქალაქობის ხანად არის მიჩნეული (ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ).




92. ნოქალაქევის გენ-გეგმა

ნაქალაქარი ტეხურის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, იქ, სადაც მდინარე კლდოვანი ნაპირებიდან გამოდის და მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთით. შედეგად ქალაქს სამი მხრიდან – ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან – მდინარე შემოსაზღვრავს, ამასთან ერთად ნაქალაქარის ჩრდილოეთი და დასავლეთი მონაკვეთები უნაგირას მთის ციცაბო ფერდობებით არის გარშემოტყული, ხოლო სამხრეთიდან ქალაქს 20-25 მეტრის სიგანის დამრეცი ფერდობი და მდინარე ეკვრის. ამდენად, ქალაქი სამი მხრიდან ბუნებრივად იყო შემოსაზღვრული. მხოლოდ აღმოსავლეთი მონაკვეთი იყო დაუცველი, შესაბამისად, ქალაქის ეს ნაწილი საგანგებოდ იყო გამაგრებული.

ქალაქი რთულ რელიეფზე იყო გაშენებული – ქვედა (მთავარი) ნაწილი მდ. ტეხურის სანაპიროდან ჩრდილოეთით 20-25 მეტრით დაშორებულ ვაკეს მოიცავდა; მის ჩრდილოეთით დამრეცი ფერდობზე განლაგებული იყო შუა ციხე; ამ ფერდობის თავზე გაშლილი პლატო კი ქალაქის ციტადელს ეკავა. არქეოპოლისის ფართობი 15 ჰა-ს აღწევდა და მთელ პერიმეტრზე გალავნებით იყო შემოსაზღვრული, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 3 კმ-ს უდრიდა (სურ. 92).

როგორც ჩანს, არქეოპოლისის ამშენებლებმა სწორედ რთული რელიეფის გამო შეარჩიეს ეს ადგილი ეგრისის სამეფოს დედაქალაქის ასაშენებლად და ქალაქი ისე დააგეგმარეს, რომ მტრისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელი ყოფილიყო ქალაქის სამი მხრიდან აღება. მათ გაუთვალისწინებიათ ქალაქისთვის წყლის აუცილებლობაც და სამხრეთი გალავნის დასავლეთ მონაკვეთში მდინარეზე ჩასასვლელი გვირაბი გაუჭრიათ (სურ. 93-95).



93-95. ნოქალაქევის გვირაბი. სამდინარო კარი\*, ინტერიერი და ზედა კარი

\* გვირაბის სამდინარო კარის ფოტოს ავტორი: ი. ყენია.

ქალაქის ყველაზე უკეთ დაცული და უსაფრთხო ნაწილი ქვედა ტერასის და-სავლეთი სექტორი იყო. ქალაქის ამ მონაკვეთს ფერდობიდან მცირე ზომის ციხე გადმოჰყურებდა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში IV ს.-ით არის დათარი-ლებული (ზაქარაია 1987: 140). ამ ციხის შემორჩენილი კედლები 3-იდან 10 მეტ-რამდე სიმაღლისაა, ციხეს სამხრეთ კედლები ჩატანებული აქვს ქვედა ქალაქთან დამაკავშირებელი ერთადერთი კარი.

ამ ციხიდან გალავნები ორ მხარეს – ჩრდილო-აღმოსავლეთით ციტადელისკენ და დასავლეთით მდინარისკენ მიემართება. დასავლეთით მიმართული კედელი 70 მეტრში ჯერ მკეთრად უხვევს სამხრეთით, შემდეგ გვირაბს გადაივლის და აღმო-სავლეთისკენ ტრიალდება. ამ გალავნის სიგანე ერთი მეტრია და ისევე, როგორც მცირე ციხე, ნაშენებია ფლეთილი ქვით, რიგების დაუცველად.


ქალაქის გალავნების სამხრეთის ხაზზე, სამეფო აბანოდან სამოქალაქო აბა-ნომდე, განსხვავებული სურათია. ამ მონაკვეთზე გამოვლენილია ორი, ერთმანე-თის პარალელური, კედლის ნაშები. მათგან შიდა კედელი 160 სმ სისქისაა, გარე – 120 სმ-ის. ორივე მათგანი ფლეთილი ქვით არის ნაშენები, თუმცა გარე კედლის საფასადო წყობა უფრო დახვეწილია. პროფ. პ. ზაქარაიას მოსაზრებით, შიდა კე-დელი IV ს.-ის დასაწყისში უნდა იყოს აშენებული, ხოლო გარე – „დაახლოებით ასი-ოდე წლის შემდეგ“ (ზაქარაია... 1991: 18).

სამოქალაქო აბანოდან სამხრეთ-აღმოსავლეთ კოშკამდე კვლავ ორი პარალე-ლური კედელი გადის, მათგან შიდა კედლის სისქე 227 სმ-ია, გარესი – 90 სმ. პირ-ველი (შიდა) ნაგებია საკმაოდ დიდი ზომის უფორმო ქვებით, ხოლო მეორე (გარე) – კლდის ფლეთილი და რიყის ქვით. ამ ორი კედლიდან ისტორიის დოქტორი ბ. ლორ-თქიფანიძე, გარე კედელს სამშენებლო ტექნიკისა და მისი სისქის (90 სმ) გამო, გვიანდელი ფეოდალური ხანით ათარიღებს (ლორთქიფანიძე 1993: 183), თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებს პ. ზაქარაია და თვლის, რომ ე. წ. „გარე კედელი“ ადრე-ულია, ქალაქობის დროინდელი და მდებარეობდა შიდა მხარეს, ხოლო გარე გალა-ვანი, მისი მოსაზრებით, უფრო სამხრეთით ნაწილობრივ გამოვლენილი კედელია, რომლის სიგანეც 160-165 სმ-ს აღწევდა (ლორთქიფანიძე 1993: 183, სქოლიო).

განხილული მონაკვეთის აღმოსავლეთი გაგრძელებაზე დგას კოშკი, რომელშიც შვიდი თუ რვა სამშენებლო ფენაა დაფიქსირებული (სურ. 96). აქ ჯერ გალავანი ყო-ფილა, რომელშიც ჭიშკარი იყო გაჭრილი, ამის მერე მასზე კოშკი მიუშენებიათ, მის სამხრეთ კედელშიც ჭიშკარი ჩაუტანებიათ. შემდგომ ხანებში კოშკი რამდენჯერმე დანგრეულა და აღუდგენიათ (ზაქარაია 2002: 73-74). ამ მონაკვეთზე გამოვლენი-ლი არქეოლოგიური მასალა ზოგადად IV-V სს.-ით თარიღდება, რის გამოც კოშკი VI ს.-ის დასაწყისის მშენებლობად არის მიჩნეული (ზაქარაია 1987: 143).

კოშკის აღმოსავლეთით, ნაქალაქრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხემდე, კვლავ ორი პარალელური კედელი მიემართება, რომლებიც ერთმანეთზეა მიტყუპებული. მათგან შიდა IV ს.-ის მშენებლობას განეკუთვნება, გარე კი V ს.-ისას (ზაქარაია... 1991: 20).

ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე ქალაქის დაცვის საკვანძო პუნ-ქტი ყოფილა, რადგანაც ის სამხრეთ-აღმოსავლეთ, ყველაზე ადვილად მისადგომ მონაკვეთს აკონტროლებდა. აქ გამოვლენილია 3 თუ 4-სართულიანი კოშკი, სა-დაც, სავარაუდოდ, ქალაქის ციხისთავის საცხოვრებელიც უნდა ყოფილიყო (ზა-ქარაია... 1991: 23-24).



96. ნოქალაქევის ნაქალაქარის სამხრეთ ჭიშკრისა და კოშკის გეგმა

ამ კუთხიდან გალავნები მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთით, მიუყვება ქალაქის აღმოსავლეთის ხაზს, ადის ფერდობზე და უერთდება დასავლეთიდან ციტადელისკენ ამომავალ კედელს. ქალაქის ეს მხარე, როგორც უკვე ითქვა, ვაკე ადგილას იყო განლაგებული და შესაბამისად, მტრისთვის ყველაზე ადვილად მისადგომიც იქნებოდა. ამიტომ ქალაქის აღმოსავლეთი მონაკვეთი საგანგებოდ, სამი ერთმანეთის პარალელური, 1.60, 2.00 და 2.50 მ სისქის კედლით იყო გამაგრებული (სურ. 97).



97. ნოქალაქევის ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნები და ჭიშკრები

სწორედ ამ გალავნებში იყო განთავსებული ქალაქის მთავარი (საპარადო) შესასვლელი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან არქეოპოლისი ეგრისის სამეფოს დედაქალაქი და მეფეთა რეზიდენცია იყო, ამ ქალაქს, ძლიერი თავდაცვითი სისტემის გარდა, მეფისა თუ სხვა წარჩინებული სტუმრებისთვის საზეიმო შესავლელიც სჭირდებოდა – სწორედ ეს დანიშნულება უნდა ჰქონოდა არქეოპოლისის აღმოსავლეთ ჭიშკრებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ქალაქის აღმოსავლეთ მონაკვეთს სამი გალავანი იცავდა. მათგან შიდა ორი IV და V საუკუნეებში შენდება, ხოლო მესამე გარე კედელი V-VI სს.-ის მიჯნაზე უნდა აშენებულიყო (ზაქარაია 1987: 171, 175). ეს კედელი იწყება გალავნების სამხრეთ ხაზის აღმოსავლეთ ბოლოში, 50 მეტრის გავლის შემდეგ უხვევს ჩრდილოეთით, გაივლის აღმოსავლეთის ხაზს, თუმცა ჭიშკრის გავლის შემდეგ წყდება, ასიოდე მეტრის შემდეგ კვლავ იწყება და ფერდობს აპყვება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. სამასიოდე მეტრის გავლის შემდეგ მკვეთრად უხვევს ჩრდილო-დასავლეთისკენ და ციტადელს ებჯინება. აღმოსავლეთ მონაკვეთზე პირველი და მეორე გალავნები ერთმანეთისგან 1 მ-ით არის დაშორებული და ორივე 20-40 სმ-ის თლილი ქვებითაა ნაშენები, ხოლო მესამე კედელი, რომელიც შუა (მეორე) გალავნისგან 6 მ-ით არის დაშორებული და 2.5 მ. სისქისაა, ორივე მხრიდან თეთრი კირქვითაა მოპირკეთებული. ქვების გარე პირის სიგანე 50-იდან 150 სმ-მდე მერყეობს. მოსაპირკეთებელ ქვებს შორის კედელი ამოვსებულია სხვადასხვა სახეობის ქვით, კირის დუღაბზე).

როგორც აღინიშნა, ეს გალავანი ციტადელთან წყდება. ციტადელი გაშლილია მაღალი მთის პლატოზე და გეგმით სამკუთხაა. მისი გალავნები ჩრდილოეთ და დასავლეთ მონაკვეთებზე 120-140 სმ სისქისაა, სამხრეთის კი 160 სმ-მდე აღნევს. ციტადელს ორი შესასვლელი ჰქონდა – სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ კუთხეებში. გალავნებში ჩართული იყო სამი კოშკი – ორი დიდი (აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში) და ერთი პატარა (სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში). მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩრდილო-დასავლეთის კოშკი, ე. წ. „ჯიხა“, რომლის სამშენებლო ფენებიც IV, V და VI სს.-ით თარიღდება (ზაქარაია 2002: 78). მისი ზომებია 10 მ X 20 მ. ამ კოშკიდან შესაძლებელი იყო სამხრეთით კოლხეთის დაბლობის, ჩრდილოეთითა და დასავლეთით – ტეხურის ვინწრო და ღრმა ხეობის, ხოლო აღმოსავლეთით – აბაშის ხეობისა და მისი მხარის ვიზუალური კონტროლი.

ნოქალაქევის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო ნაგებობების აღწერის შემდეგ გვინდა განვიხილოთ ძვ. წ. I ს.-ში მოღვაწე რომაელი არქიტექტორის, ვიტრუვიუსის ტრაქტატი „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი არქეოპოლისის აშენებამდე დაახ. 500 წლით ადრე შექმნილი, მასში მოცემული სამშენებლო სტანდარტები, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, უმეტესად შემდეგი პერიოდის არქიტექტურაშიც იყო გამოყენებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ვიტრუვიუსი იულიუს კეისართან მუშაობდა, სამხედრო მანქანების შესაკეთებლად და ასაგებად. ასევე, თავისივე ნაშრომიდან ირკვევა, რომ ვიტრუვიუსს ურთიერთობა ჰქონია რომის იმპერატორ ოქტავიანესთან (Витрувий 1936: 5-6).

ვიტრუვიუსის ნაშრომი განსაკუთრებით იმ ხალხებისა და ქვეყნების არქიტექტურის ისტორიის შესწავლისთვის არის მნიშვნელოვანი, რომლებსაც რომისა და

მოგვიანებით ბიზანტიის იმპერიებთან ინტენსიური პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები ჰქონდათ. ცხადია, მათ შორის იყო ლაზიკის სამეფოც. როგორც აღინიშნა, არქეოპოლისი IV და V საუკუნეებში ეგრისელებს უნდა აეშენებინათ, თუმცა ხუროთმოძღვრები აუცილებლად გაითვალისწინებდნენ იმ სამშენებლო ტრადიციებსა და სტანდარტებს, რომელიც იმდროინდელ მსოფლიოში არსებობდა. იმავეს თქმა შეიძლება ნოქალაქევის VI ს.-ის გალავანზეც, რომელიც, ჩვენი მოსაზრებით, პირადად ბიზანტიელების დაკვეთით აშენდა. ამდენად, ნოქალაქევის ნაქალაქარის გამაგრების სისტემის შედარება ვიტრუვიუსის თხზულებაში მოცემულ სამშენებლო სტანდარტებთან, ვფიქრობთ, ძეგლის ახლებურად დანახვის საშუალებას მოგვცემს.

თავის ნაშრომში ვიტრუვიუსი ლაპარაკობს ბერძნულ და რომაულ სამშენებლო ტრადიციებზე და იქვე აფექსირებს თავის აზრს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას ერთიორად ზრდის. თხზულებაში ვრცლად არის განხილული მშენებლობის სხვადასხვა ტიპი; სამშენებლო ტექნიკა და მასალა; ტაძრების, თეატრების, აბანოების აგების წესები; ავტორს ცალკე წიგნი აქვს დათმობილი სამშენებლო და საბრძოლო მანქანების შექმნის წესების აღწერისთვის.

თხზულების პირველივე წიგნში ვიტრუვიუსი საგანგებოდ ეხება ქალაქზე გამავალი გზების საკითხს და აღნიშნავს, რომ საკვების მარაგით ქალაქის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს „ან გაყვანილი გზებით, ან სანაოსნო მდინარეებით, ან საზღვაო ნავსადგურებით“ (Витрувий 1936: 32). ჩამოთვლილი სამი საკომუნიკაციო საშუალებიდან არქეოპოლისს ორი ჰქონდა. ცხადია, შუა ეგრისში მდებარე ქალაქს საზღვაო ნავსადგური ვერ ექნებოდა. რაც შეეხება სამდინარო მისასვლელს, აქ ყურადღებას იქცევს ნაქალაქარის სამხრეთი გალავანის დასავლეთ მონაკვეთში ჩატანებული გვირაბი, რომელიც ქვედა ქალაქიდან მდ. ტეხურზე ჩადის. ეს არის 40 მეტრის სიგრძის, მაღალი, განიერი და არქიტექტურულად დახვენილი ნაგებობა. ის ნაწილობრივ კლდეშია გაჭრილი, დანარჩენი ქვის დიდი ზომის კვადრებით არის ნაგები. გვირაბს თაღოვანი გადახურვა აქვს, რომელშიც დღის სინათლის შესასვლელად დატოვებული ყოფილა სანათური ნახვრეტები. ცხადია, ასეთი მაღალი საინჟინრო დონით ნაგები გვირაბი მხოლოდ წყლის ამოსატანად არ იქნებოდა გამიზნული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გვირაბი ქალაქის სამდინარო ჭიშკარი უნდა ყოფილიყო (ზაქარაია... 1991: 36). ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში მდ. რიონი და მისი შენაკადები სანაოსნო იყო. მართალია, იმ პერიოდის წერილობითი წყაროები ნაკლებ ინფორმაციას გვაწვდიან ამაზე, მაგრამ XVII ს.-ში მდ. ტეხური სანაოსნო რომ იყო, ამას ადასტურებს პავლე ალეპოელის ცნობა, სადაც ნერია: „არის ექვსი დიდი მდინარე, რომელზედაც დასცურავენ ხომალდები: პირველი მდინარე კოდორი, მეორე ღალიძე, მესამე ენგური, მეოთხე ხობი, მეხუთე ტეხური, მეექვსე – ცხენისწყალი“ (ბერიძე 1981: 114). საფიქრებელია, რომ თუ XVII საუკუნეში პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებულ ოდიშის სამთავროში მდინარეებს სანაოსნო იყენებდნენ, მაშინ ეგრისის ძლიერების ხანაში ტეხურს აუცილებლად ექნებოდა სანაოსნო მდინარის დატვირთვა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ არქეოპოლისი ქვეყანასთან ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობებს სამდინარო გზითაც ამყარებდა.


ვიტრუვიუსი თავის ნაშრომში ცალკე ეხება სახმელეთო გზებს და აღნიშნავს, რომ „პირველ რიგში საჭიროა იმაზე ზრუნვა, რომ თავდასხმისას კედელთან მისას-ვლელი არ იყოს ადვილი, ამისათვის ის შემოტარებული უნდა იქნეს ხრამის ნაპირზე, ისეთი გათვლით, რომ კარისკენ მიმავალი გზები მიემართებოდნენ არა პირდაპირ, არამედ მარცხნიდან. თუკი ეს ასე გაკეთდა, გამოვა, რომ მოიერიშები კედლისკენ მოქცეულები იქნებიან ფარით დაუცველი მარჯვენა მხრით.“ (Витрувий 1936: 32).

აქ ვიტრუვიუსი გულისხმობს იმას, რომ ჯარისკაცებს, როგორც წესი, ფარები მარცხენა ხელში ეჭირათ, ხოლო მარჯვენა მხარი დაუცველი რჩებოდათ, შესაბა-მისად, როდესაც მონინააღმდეგები ჭიშკარს მარცხენა მხრიდან მიადგებოდნენ, ქალაქის დამცველები უფრო ადვილად შეძლებდნენ მტრის მოგერიებას.

გალავნისა და ჭიშკრის ასეთი განლაგება უცხო არ უნდა ყოფილიყო არქე-ოპოლისის ფორტიფიკაციორებისთვის: ნაქალაქარის სამხრეთ გალავანში გამოვ-ლენილი ჭიშკრისაკენ გზა მდინარის პარალელურად, დამრეც ფერდობზე, ხრამის პირზე, მარცხენა მხრიდან მიდიოდა. სავარაუდოდ, სწორედ ამ კარიბჭეზე უნდა ლაპარაკობდეს პროკოპი კესარიელი არქეოპოლისის აღწერისას: „ერთი კარი აქვს ქვემთ, სერის ძირისკენ რომ გადის; ის მართალია მიუწვდომელი არაა, მაგრამ მისკენ რომ ადიხარ დაბლობის მხრით, ის ადგილი სწორი არ არის“. (პროკოპი კესა-რიელი 1965: 190). ჩანს, პროკოპის დროს, ისევე როგორც დღეს, სამხრეთ კარის-კენ ვინწრო გზა ადიოდა, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავდა ამ მხრიდან ქალაქის დიდი ძალებით აღებას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ არქეოპოლისის ამშენებ-ლებს სამხრეთ გალავანში ჭიშკრის ჩაყოლებისას არსებული გეოგრაფიული სი-ტუაციით უსარგებლიათ და მისასვლელი მარცხენა მხრიდან, „ხრამის ნაპირზე“ გაუკეთებიათ.

განსხვავებული სურათია ნაქალაქარის აღმოსავლეთ I და II ჭიშკრებთან. რო-გორც ზემოთ აღინიშნა, ქალაქის ეს მხარე ვაკე ადგილას მდებარეობს და მტრის-თვის ადვილი მისადგომიც ჰქონდა, მაგრამ ეს, როგორც უკვე ითქვა, არქეოპო-ლისის დედაქალაქობით აიხსნება. ასეა თუ ისე, IV და V საუკუნეებში აშენებული აღმოსავლეთის გალავნები და ჭიშკრები, ქალაქის სამხრეთის ხაზთან შედარებით, მტრისთვის დიდ დაბრკოლებას, ალბათ, არ ნარმოადგენდა. თუმცა ქალაქის ეს სუსტი მონაკვეთი VI ს.-ის დასაწყისში საფუძვლიანად გადაკეთდა. იგულისხმება 2.5 მ სისქის კვადროვანი გალავნის მშენებლობა, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს, ადრე არსებული ორი კედლის პარალელურად, აშენდა. ძველი ჭიშკრების ადგილას ახალ გალავანს კოშკის ფორმის შვერილი გაუკეთეს, რომელშიც ჩრდი-ლოეთის მხრიდან ჭიშკარი გაჭრეს. შედეგად ძველი და ახალი ჭიშკრები ერთმანე-თის პერპენდიკულარულად განლაგდა (სურ. 98).

სამეცნიერო ლიტერატურაში ჭიშკრების ასეთი განლაგება ლოგიკურად არის ახსნილი – თუ მტერი შეძლებდა კვადროვან გალავანში არსებული ჭიშკრის შიგ-ნით შეღწევას, მოხვდებოდა მეტად ვიწრო, 6 მეტრის სიგანის სივრცეში, რომელ-საც მეორე და მესამე (კვადროვანი) გალავნები შემოსაზღვრავდა, შედეგად მტრის ჯარი ამ ვიწრო ადგილას თავისუფლად მანევრირებას ვერ შეძლებდა, მით უმეტეს, რომ „ქალაქის დამცველები მას სამი მხრიდან – კვადროვანი გალავნიდან, ძველ ნა-ჭიშკრალზე მიდგმული კოშკიდან და ძველი გალავნიდან მოიგერიებდნენ“ (ლორ-თქიფანიძე 1993: 188).



98. ნოქალაქევის ნაქალაქარის აღმოსავლეთ ჭიშკრების გამაგრების სქემა

ამდენად, ჭიშკრების გონივრული განლაგება ქალაქის გალავნების აღმოსავლეთ მონაკვეთს საგრძნობლად აძლიერებდა. აქვე საყურადღებოა ერთი ფაქტი – ახალი ჭიშკარი, როგორც აღინიშნა, კვადროვანი გალავნის შვერილი ნაწილის ჩრდილოეთ მხარეს იყო განთავსებული, შედეგად ქალაქის აღმოსავლეთ მისადგომებთან მისულ მტერს ჭიშკართან მიახლოება მოუწევდა არა პირდაპირ, არამედ ჩრდილოეთის მხრიდან, ანუ მტრის ჯარის ის ნაწილი, რომელსაც ჭიშკარი უნდა აეღო, გალავნების პარალელურად, კედელთან მარჯვენა დაუცველი მხარით უნდა განლაგებულიყო, რაც ქალაქის დამცველებს მოწინააღმდეგის მოგერიებას გაუადვილებდა.

როგორს ჩანს, ვიტრუვიუსის მოსაზრება, რომ ქალაქისკენ მისასვლელი მარცხენა მხრიდან უნდა მიღიოდეს, გამოყენებული იყო არქეოპოლისის სამხრეთი ჭიშკრის გამართვისას, აღმოსავლეთ მონაკვეთში კი, ვაკე ადგილმდებარეობის გამო, ქალაქის მესამედ ამშენებლებმა, რადგანაც გზის მიმართულება ხელს არ უნყობდათ, ორიენტაცია შეუცვალეს კარიბჭეებს – შედეგად მტერი იძულებული იყო, ქალაქის კედლებს მარჯვენა მხრით მისდგომოდა.


ქალაქისკენ მიმავალ გზებზე მსჯელობის შემდეგ ვიტრუვიუსი გალავნებისა და კოშკების აშენების წესების განხილვაზე გადადის. მისი აზრით, ქალაქის გალავნები ისეთი სისქის უნდა გაკეთდეს, რომ მასზე გამავალმა ორმა შეიარაღებულმა თავისუფლად შეძლოს ერთმანეთისთვის გვერდის ავლა (Витрувий 1936: 32). ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი კედლების უმეტეს მონაკვეთში, იქ, სადაც მტრისგან იერიშის მიტანა იყო შესაძლებელი, გალავნების სისქე 1.60 მ-ზე ნაკლები არსად არ არის. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, IV ს.-ის გალავანი 1.60 მ სისქის იყო, V ს.-ის – 2.00 მ-ის, ხოლო მესამე, VI ს.-ის, 2.5 მ-ს აღწევდა. ცხადია, ასეთი სისქის გალავნებზე გარნიზონს სწრაფი მანევრირება არ უნდა გასძნელებოდა. ამასთანავე, საფიქრებელია, რომ I და II გალავნები თანაბარი სიმაღლის იქნებოდა და მათ შორის ფიცარნაგი იყო მოწყობილი.

კოშკების აღწერისას ვიტრუვიუსი აქცენტს აკეთებს მათ ფორმებსა და ინტერვალებზე. მისი მოსაზრებით, პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ კოშკები გალავნების გარეთ იყოს გამოწეული, რათა ყველა მხრიდან გაადვილდეს მოიერი-შეების მოგერიება. კოშკებს მომრგვალებული ან მრავალკუთხოვანი ფორმები უნდა ჰქონდეს, ნინააღმდევ შემთხვევაში, ოთხუთხა კოშკებს სხვადასხვა საბრძოლო მანქანით ადვილად მოუნგრევენ კუთხეებს (Витрувий 1936: 32-33).

ნოქალაქევის ნაქალაქარზე გალავნების მთელ პერიმეტრზე კოშკები კედლების გარეთ არის გამოწეული. მიუხედავად იმისა, რომ ვიტრუვიუსი უფრო პრაქტიკულად მომრგვალებულ ან მრავალკუთხოვან კოშკებს მიიჩნევს, ნაქალაქარზე ოთხკუთხა ფორმებს ვხვდებით. ძნელი სათქმელია, რატომ ააგეს არქეოპოლისის ფორმტიფიკატორებმა მხოლოდ ოთხკუთხა კოშკები, რომელთა დაცვაც გაცილებით რთული იქნებოდა, ვიდრე მრგვალის ან მრავალკუთხოვანის. ოთხკუთხა კოშკების აშენება შეიძლება ნოქალაქევში არსებული რთული რელიეფით აისხნას, რომელზეც არქეოპოლისი იყო გაშენებული, რის გამოც საფიქრებელია, რომ კედლის სანგრევი მანქანები იქ გამოუსადეგარი იქნებოდა – ცხადია, ეს არ ეხება ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხისა და აღმოსავლეთ ჭიშკრის კოშკებს, რომლებიც ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე იყო განლაგებული. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრებების აბსოლუტურ უმრავლესობას სწორედ ოთხკუთხა კოშკები აქვს. კოშკებზე ლაპარაკისას ვიტრუვიუსი ცალკე აღნიშნავს, რომ მათ შორის ინტერვალები ისრის ფრენის მანძილს არ უნდა აღემატებოდეს, რათა სხვადასხვა სასროლი იარაღით შესაძლებელი იყოს მტრის მოგერიება როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან (Витрувий 1936: 32-33). ნოქალაქევის ნაქალაქარზე კოშკებს შორის სხვადასხვა სიგრძის ინტერვალებია – დაშორებები 50-იდან 150 მეტრამდე მერყეობს. ქალაქის ქვედა მონაკვეთში, სადაც მტერს იერიშის მიტანა ყველაზე ადვილად შეეძლო, კოშკებს შორის დაშორება 100 მეტრს არ სცილდება. ცხადია, შუა საუკუნეებში არსებული სატყორცნი იარაღები და პირველ რიგში, მშვილდით გატყორცნილი ჭურვი და/ან ისარი თავისუფლად დაფარავდა 70-100 მეტრს. თუ არქეოპოლისის კოშკებს შორის ინტერვალების მაქსიმალურ სიგრძეს, 150 მეტრს, ავიღებთ და გავითვალისწინებთ იმას, რომ ორ კოშკს შორის ტერიტორია ორივე მათგანიდან კონტროლდებოდა, ანუ შესაძლებელი იყო ჯვარედინი სროლის ნარმოება, გამოვა, რომ ერთი კოშკიდან ნასროლ ისრებს მაქსიმუმ 75 მეტრის რადიუსის ტერიტორია უნდა დაეფარა, რაც ადრეულ შუა საუკუნეებში არსებული სასროლი იარაღით სავსებით შესაძლებელი იყო (სურ. 99).

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რომაელი არქიტექტორის, ვიტრუვიუსის ნაშრომში „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ მოცემული სამშენებლო სტანდარტები არქეოპოლისის სამივე მშენებლობისას, უმეტეს შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება VI საუკუნეში აგებულ კვადროვან გალავანს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ არქეოპოლისის მესამე გალავანი ბიზანტიელების აშენებული უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ ადრეული შუა საუკუნეების ხანის ციხე-ქალაქებიდან ნოქალაქევი-არქეოპოლის ერთ-ერთი უძლიერესი და სრულიად უნიკალური საფორმტიფიკაციო სისტემა ჰქონდა (მურლულია 2008: 20-28).



99. ნოქალაქევის ნაქალაქარის აღმოსაფერთ სექტორის გამაგრების სქემა

## ნოქალაქევი-არქოროლისის მშენებლობის ძრობობის

როგორც ზემოთ ითქვა, ნოქალაქევის ნაქალაქარზე ქალაქობის დროინდელი სამი სამშენებლო ფენაა გამოვლენილი – IV ს.-ის დასაწყისის, V ს.-ის დამდეგისა და VI სს.-ის მიჯნის ან VI ს.-ის დასაწყისის.

ნოქალაქევში პირველი მშენებლობის IV ს.-ის დამდეგს დაწყება რამდენიმე ფაქტორით აიხსნება:

III-IV სს.-ის მიჯნაზე რომის იმპერია სუსტდება და ალარ შესწევს ძალა, კონტ-როლი დააწესოს იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებზე, მათ შორის ლაზიკაზე. IV ს.-ის დასაწყისიდან ეგრისში ალარ დგანან რომაული გარნიზონები, ლაზიკის მეფე-თა დამოკიდებულება იმპერიაზე ფორმალურ ხასიათს იძენს. ლაზები არც ხარეს უხდიდნენ და არც მათ ლაშქრობებში იღებდნენ მონაწილეობას. ერთადერთი ვალ-დებულება, რომელიც ლაზებს ჰქონდათ, ჩრდილოეთის საზღვრების მომთაბარე ტომებისგან დაცვა იყო. ეს კი, პირველ რიგში, ლაზების ინტერესებში შედიოდა (ლომოური 1968: 75-77). სწორედ ამ დროიდან იწყებს ეგრისის სამეფო გაძლი-ერებას და შესაბამისად, ახალი დედაქალაქის შენებაც ამ პერიოდში შეიძლებოდა დაწყებულიყო. ამ მოსაზრებას ამყარებს ძეგლზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალაც და I სამშენებლო ფენაც, რომელიც III-IV სს.-ის მიჯნით თარიღდება (ლო-მოური 1981: 33).

ასევე, თავისი მიზეზები ჰქონდა სამეფოს მთავარი ქალაქის ქვეყნის შიდა ნა-წილში დაარსებას. აქაც რამდენიმე ფაქტორი იკვეთება:

6. ლომოურის მოსაზრებით, III-IV სს.-ში მომთაბარე ტომთა გააქტიურებამ და ქვეყანაში ზღვიდან არაერთგზის შემოჭრამ აიძულა ეგრისის მმართველები, სამე-ფოს ცენტრი საზღვრებისგან მოშორებით, ქვეყნის შუაგულში, უფრო დაცულ და იმავდროულად სტრატეგიულად გამართლებულ ადგილას აეშენებინათ (ლომოუ-რი 1981: 33).

ვფიქრობთ, სამეფოს ცენტრის ზღვისგან მოშორებით დაარსება არა მხოლოდ მომთაბარე ტომებისგან მოსალოდნელი საფრთხით იყო განპირობებული, არამედ რომის იმპერიისგან დამოუკიდებლობის შენარჩუნების სურვილითაც იქნებოდა გამოწვეული. ცხადია, ისედაც დასუსტებულ იმპერიას ლაზიკის შიდა რეგიონების კონტროლი უფრო გაუჭირდებოდა, ვიდრე სანაპირო ზოლის – როგორც პოლიტი-კური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ეგრისის მთავარი ქალაქიდან (არ-ქეოპოლისიდან) შესაძლებელი ყოფილიყო ქვეყნის კონტროლი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნოქალაქევი და მისი რეგიონი გაშლილია კოლხეთის დაბლობი-სა და სერებად დანაწევრებული პლატოს შესაყარზე. ამდენად, საფიქრებელია, რომ არქეოპოლისიდან ერთდროულად ჩრდილოეთით მაღალმთიანი რეგიონების, სამხრეთით კი კოლხეთის დაბლობისა და ე. წ. „მოხირისის მხარის“ კონტროლიც ადვილად მოხერხდებოდა. ცხადია, არქეოპოლისის დედაქალაქობა თავისთავად გულისხმობდა ამ ქალაქთან ახლოს მნიშვნელოვანი გზების არსებობას. ამას ადას-ტურებს ნაქალაქარზე აღმოჩენილი ქალაქობის დროინდელი (IV-VI სს.) იმპორტუ-ლი ნაწარმის რაოდენობაც. ცნობილია, რომ ეგრისის სამეფოზე მთავარი სავაჭრო

არტერია ნოქალაქევის სამხრეთით, მდ. რიონის მიდამოებში გადიოდა – ფაზისის, ვარდციხეს, დიმის, შორაპნის გავლით. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უფრო ადრეულ პერიოდში, მდ. რიონის ქვემო წელის ძლიერ დაჭაობების გამო, სახმელეთო გზა ქ. ფაზისიდან აღმოსავლეთით, რიონის ჩრდილოეთით, სწორედ ნოქალაქევის, შემდეგ კი ხონის გავლით გადიოდა. პირველად ეს მოსაზრება გამოთქვა კ. განმა, რომელსაც დას. საქართველოში უმოგზაურია და ნოქალაქევი-ხონის გზაზე უნახავს ბამბუას ხიდი, რომელსაც მკვლევარი ძვ. წ. I ს.-ში მოღვაწე რომაელი სარდლის – პომპეუსის სახელს უკავშირებს (GaH 1907: 12-143). იგივე ხიდი უნახავს ნ. ბერძენიშვილსაც და ისიც პომპეუსის ლაშქრობასთან აიგივებს მას (ბერძენიშვილი 1975: 461). შესაძლებელია, დავუშვათ, რომ ანტიკურ ხანაში და მერეც მართლაც არსებობდა ასეთი გზა, რომელზეც იბერიიდან ფაზისში მიმავალმა პომპეუსმაც გაიარა.

საფიქრებელია, რომ ეგრისის სამეფოს ახალი დედაქალაქისთვის ადგილის შერჩევისას, სტრატეგიულ და პოლიტიკურ მხარეებთან ერთად, გათვალისწინებული იქნებოდა მისი ეკონომიკური პრივილეგიებიც. როგორც აღინიშნა, ეგრისის სამეფოს მთავარ მაგისტრალს ფაზისი-ვარდციხე-დიმნა-შორაპნის ხაზი წარმოადგენდა, თუმცა ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობაში მჭიდროდ უნდა ყოფილიყო ჩართული არქეოპოლისიც. პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზიკის მინა საკმაოდ მნირ მოსავალს იძლეოდა, განსაკუთრებით უვარვისი, ამ მხრივ, სკანდისა და შორაპნის მხარეები იყო, სადაც, პროკოპის თქმით, „არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც რამ სიკეთე“ (პროკოპი კესარიელი 1965: 96). მაგრამ ის სხვაგვარად აღნერს ე. წ. „მოხირისი მხარეს“ – „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ და-სახლებულ სოფელს. კოლხეთის მინა-წყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ“ (პროკოპი კესარიელი 1965: 194). ცხადია, ეს რეგიონი, რომელიც მოიცავდა თანამედროვე ქუთაისის, ბალდათის, ვანის, სამტრედიის, აბაშისა და მარტვილის რაიონების ვაკე ნაწილს (ლომოური 1973: 164), უშუალოდ ემიჯნებოდა ნოქალაქევს და შესაბამისად, დედაქალაქის საჭირო პროდუქტით სწრაფად მომარაგებას ადვილად უზრუნველყოფდა.

V ს.-ის ეგრისის სამეფოს ძლიერება და რომის იმპერიისგან დამოუკიდებლობა V საუკუნეშიც გრძელდება. პროკოპი კესარიელის ცნობით, ამ პერიოდში ლაზიკის მეფეს საკუთარი ვასალები ჰყავს – აბაზების, სკვიმნიისა (ლეჩხუმი) და სვანთა ტომები (პროკოპი კესარიელი 1965: 126-127, 133). ქვეყნის ასეთი სიძლიერე აისახა არქეოპოლისზეც – V ს.-ის დასაწყისში იქ ახალი მშენებლობა მიმდინარეობს. ძნელი სათქმელია, რით იყო გამოწვეული ეს მშენებლობა – ქალაქის დანგრევით თუ უბრალოდ ეგრისის სამეფოს გაძლიერებით, როცა შესაძლებელი იქნებოდა დიდი მასშტაბის მშენებლობების წარმოება. ისტორიულ წყაროებში არავითარი ცნობა არ არის შემონახული არქეოპოლისის IV ს.-ის ბოლოს ან V ს.-ის დასაწყისში დაგრევის შესახებ. არსებობს მხოლოდ ერთი ცნობა, რომელიც IV ს.-ის 70-იან წლებში ჰუნების მიერ ჩრდილო კავკასიის ზეკარებით სამხრეთის ოლქებზე თავდასხმებს ეხება (Кудրავცევ 1956: 786). წყაროთა სიმურის გამო ვერ ვიტყვით, აქვს თუ არა ჰუნთა ამ თავდასხმებს რაიმე კავშირი ლაზიკასთან და მის დედაქალაქთან. ძნელი

სათქმელია, არქეოპოლისი IV ს.-ის 70-იან წლებში ჰუნებმა დაანგრიეს თუ არა. ამ ცნობის დასამტკიცებლად არც სხვა წერილობითი წყაროები და არც ნაქალაქარზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა არაფერს გვეუბნება. ამდენად, ამ ეტაპზე უფრო სავარაუდოა, რომ V ს.-ის დასაწყისში არქეოპოლისის გასაძლიერებლად დამატებითი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა და ქალაქი კიდევ ერთი გალავანით შემოისაზღვრა.

V ს.-ის 70-იანი წლებიდან ეგრისის სამეფო დასუსტებული ჩანს – VI ს.-ის ისტორიკოსის მენანდრეს (ცნობით, იმ პერიოდში სვანეთს ლაზიკისგან დამოუკიდებლობა მოუპოვებია (მენანდრე 1936: 225).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეგრისის სამეფოს ასეთი დასუსტება შეიძლება დაკავშირებული იყოს ვახტანგ გორგასლის მიერ ქართლის გაძლიერებასა და მის ლაშქრობასთან დასავლეთ საქართველოში. ჯუაშერის ცნობით, ლეონ I-ის მეფობის დროს (457-474), დაახლოებით V ს.-ის 70-იან წლებში, ვახტანგ მეფემ „სამ წელ ნარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი, ვიდრე ციხე-გოჯამდე“ (ჯუაშერი 1955: 157). როგორც უკვე აღინიშნა, ჯუანშერის ამ ცნობას, შესაძლოა, კავშირი ჰქონდეს პრისკე პანიონელთან დაცულ ინფორმაციასთან იმის შესახებ, რომ V ს.-ის 60-იან წლებში სვანები ლაზებს აჯანყებიან. სვანებს მხარს იბერიელები და სპარსელები უჭერდნენ (პრისკე პანიონელი 1962: 261-262). თუ ეს ორი ცნობა ერთსა და იმავე ამბავს გადმოგვცემს, მაშინ სრულიად რეალურია, რომ V ს.-ის დაახ. 70-იან წლებში ვახტანგ გორგასალმა ციხეგოჯი დაიპყრო. მით უმეტეს, რომ ეს მეტ-ნაკლებად შეესაბამება ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილ სამშენებლო ფენებს, რომლის მიხედვითაც, ქალაქი V ს.-ის დამლევს მომხდარმა ტრაგედიამ შეინირა (ზაქარაია... 1991: 39).

V-VI სს.-ის მიჯნაზე ან VI ს.-ის დასაწყისში არქეოპოლისში კიდევ ერთ ფართო-მასშტაბიან მშენებლობას ეყრება საფუძველი – ეს თარიღი ემყარება ნოქალაქევში გამოვლენილ არქიტრავის განმტკირთავ ქვას და მასზე გამოკვეთილ წრეში ჩახატულ ჯვარს, რომელიც კვადროვანი გალავნის აღმოსავლეთ შვერილ ნაწილში არსებულ სამხრეთ კუტიკარზე იქნა დაფიქსირებული. პროფ. პ. ზაქარაიას მოსაზრებით, წრეში ჩახატული ჯვრისა და არქიტრავის დათარიღება V ს.-ის დასასრულით შეიძლება, რადგანაც სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ის აღმოსავლეთ საქართველოში პირველად V ს.-ის ბოლოს ვრცელდება და მომდევნო პერიოდში მას იშვიათად მიმართავენ. პ. ზაქარაია მიიჩნევს, რომ გამოვლენილი ჯვრის მიხედვით მთლიანად კვადროვანი გალავნის დათარიღებაა შესაძლებელი (ზაქარაია 1987: 171; ზაქარაია... 1991: 49) და იქვე აღნიშნავს, რომ ეს პერიოდი (V ს.-ის ბოლო) ეპრისის ძლიერების ხანა (ზაქარაია 1987: 175). როგორც ზემოთ აღინიშნა, V ს.-ის 70-იანი წლებიდან ლაზიკა სუსტდება, რაც სვანეთის დაკარგვაში გამოიხატა და შესაძლებელია ვახტანგ გორგასლის ლაშქრობითაც იყო განპირობებული, ამდენად, საფიქრებელია, რომ იმ პერიოდში ეგრისის სამეფოს არ ექნებოდა საჭირო რაოდენობის სახსრები ისეთი დიდმასშტაბიანი მშენებლობისთვის, როგორც ნოქალაქევის ნაქალაქარის მესამე კვადროვანი გალავანია.

რაც შეეხება წრეში ჩახატულ ჯვარს, მართალია, ის აღმოსავლეთ საქართველოში პირველად V ს.-ის დასასრულს ჩნდება, მაგრამ შესაძლოა, დასავლეთ საქართველოში ამ ტიპის ჯვარი შედარებით მოგვიანო პერიოდში გავრცელებულიყო.

არქეოპოლისის მესამე გალავნის აშენების თარიღის დასადგენად მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის პროკოპი კესარიელი: მას შემდეგ, რაც ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა და ირანის მეფემ ხოსრო I ანუშირვანმა 532 წელს ე. წ. „უვადო ზავი“ დადეს, იუსტინიანე ზავის იმედად არ დარჩენილა და ომის სამზადისას მიჰყო ხელი. მან დამატებითი ჯარები ჩააყენა ეგრისში და ციხე-ქალაქების გამაგრებას შეუდგა, კერძოდ, განახლდა ლაზიკის დედაქალაქი არქეოპოლისი (ლომოური 1973: 251) – ეს უნდა მომზდარიყო VI ს.-ის 30-იან წლებში. შეიძლება, არქეოპოლისის გამაგრებაში ე. წ. „კვადროვანი გალავნის“ აგება იგულისხმებოდეს. ვფიქრობთ, ამაზე უნდა მიუთითებდეს ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი სამშენებლო წყობები. როგორც ზემოთ აღინიშნა, არქეოპოლისის გალავნების პირველი და მეორე კედლები IV ს.-ისა და V ს.-ის დასაწყისით თარიღდება; ორივე ნაშენებია 20-40 სმ სიგრძე-სიგანის ფლეთილი ქვით; მცირე განსხვავებაა კედლების სისქეში – პირველი 1.60 მ-ია, მეორე – 2.00 მ. სრულიად განსხვავებულია მესამე გალავნის როგორც ზომები, ისე წყობა და საშენი მასალა – ამ კედლის ორივე მხარე მოპირკეთებულია 50-150 სმ სიგანის კირქვით, მოსაპირკეთებელ ქვებს შორის კედელი ამოვსებულია სხვადასხვა ქვით, კირის დუღაბზე. კედელი 2.5 მ სისქისაა. აქ გვინდა მოვიყვანოთ პ. ზაქარაიას მიერ გამოთვლილი კვადროვანი კედლების სავარაუდო ფართობი – ამ გალავნის სიგრძე 1 კმ-ს აღემატება, მისი სისქე ყველაზე 2.5 მ-ია, თუ კედლების საშუალო სიმაღლედ 8 მეტრს ავიღებთ, გამოვა, რომ ამ კედლის აშენებისას შესრულებული იყო 20000 მ<sup>3</sup> ქვის სამუშაო. ასევე საინტერესოა მოსაპირკეთებლად გამოყენებული თლილი ქვების საერთო ფართობი – იმავე ზომების გათვალისწინებით გამოვა 16000 მ<sup>2</sup> (ზაქარაია 1987: 161 – სქლილი). ვფიქრობთ, ასეთი მასშტაბური სამუშაოების ჩატარება ეგრისისას სამეფოში V-VI მიჯნაზე, როდესაც ქვეყანა, წინა პერიოდთან შედარებით, დასუსტებული იყო, შეუძლებელი იქნებოდა. ეს მხოლოდ გარეშე ძალების დახმარებით თუ მოხდებოდა. ამ შემთხვევაში ასეთ „დამხმარედ“, პირველ რიგში, ბიზანტია და კერძოდ, იმპერატორი იუსტინიანე უნდა მოვიაზროთ.

რაც შეეხება ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილ პირველ და მეორე გალავნებს – ისინი ლაზების აშენებული უნდა იყოს, რადგანაც IV-V სს.-ში ეგრისისას სამეფო დამოუკიდებელია და თავად შესწევს ძალა, ანარმოოს მშენებლობები, თუმცა არა ისეთი დიდი მასშტაბის, როგორიც არქეოპოლისის მესამე კვადროვანი გალავნი იყო (მურლულია 2007: 68-73).

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართული ნერილობითი წყაროები ნოქალაქევის ნაქალაქარის საბოლოო დანგრევას არაბი სარდლის, მურვან ყრუს, ეგრისში ლაშქრობას უკავშირებენ. ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი IV-VI სს.-ით თარიღდება. ამის გამო ჯერ კიდევ ვ. ლექვინაძემ და ლ. ხვედელიძემ ივარაუდეს, რომ VI ს.-ის დასასრულიდან ციხეგოჯმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა (Леквинадзе... 1981: 147-148).

ამ საკითხს მოგვიანებით რამდენჯერმე შეეხო დ. ლომიტაშვილი. ის დაეთანხმა ვ. ლექვინაძესა და ლ. ხვედელიძეს, რომ VI ს.-ის დასასრულიდან ქალაქმა ფუნქცია დაკარგა. მეტიც, მისი აზრით, არქეოპოლისმა იმავე პერიოდში არსებობა რეალურად შეწყვიტა და მურვან ყრუს მიერ მისი დანგრევა სიმართლეს არ შეესაბამება.

მან მოიხმო ამ მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტებიც: 1. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი კულტურული ფენები და მასალა უმეტესად IV-VI სს.-ით თარიღდება; 2. ბიზანტიური წერილობითი წყაროები არქეოპოლისს (იმავე ციხეგოჯს) მხოლოდ IV-VI სს.-ის მოვლენების აღნერისას იხსენიებენ. მომდევნო საუკუნეებში კი არქეოპოლისი არც ერთ წყაროში არ ფიგურირებს; 3. ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნის ერთ-ერთ კოშკი 1930-1931 წლებში აღმოჩნდა მავრიკ ტიბერიუსის (582-602) სახელზე მოჭრილი 23 ცალი ოქროს მონეტა (სურ. 91), რაც, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ კოშკი აღნიშნულ პერიოდში დაინგრა და შემდეგ აღარ აღდგენილა; 4. ნაქალაქარის ციტადელის შესასვლელში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ერთად დანყობილი 22 წელშეზნექილი ამფორა (სურ. 100), რომელთა ქრონოლოგია IV-VI სს.-ით განისაზღვრება. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ციტადელს VII ს.-ის შემდეგ ფუნქცია დაკარგული ჰქონდა (ლომიტაშვილი 2003: 218-232). ზემოთქმულიდან გამომდინარე, დ. ლომიტაშვილი მურვან ყრუს მიერ ციხეგოჯის შემუსვრასა და დანგრევას ეჭვეჭვეშ აყენებდა. თუმცა უკანასკნელ გამოკვლევაში, რომელშიც კვლავ ადასტურებს საქალაქო ცხოვრების დაცემას VI-VII სს.-ის მიჯნაზე, ციხეგოჯის დანგრევას ისევ მურვან ყრუს ლაშქრობას უკავშირებს (ლომიტაშვილი 2014: 83, 85). რასაც ჩვენ სრულად ვეთანხმებით.



**100. ნოქალაქევის ნაქალაქარის ციტადელში გამოვლენილი წელშეზნექილი ამფორები**

არქეოლოგიური მასალის სიმცირე და ქალაქთმშენებლობის ტემპების მკვეთრი დაცემა აშკარად მიუთითებს VII ს.-იდან საქალაქო ცხოვრების მკვეთრ დაღმასვლაზე. თუმცა ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ირან-ბიზანტიის ომმა VI ს.-ში შეაფერხა ვაჭრობის განვითარება. ამას არ შეიძლება, გავლენა არ მოეხდინა ეგრისის სავაჭრო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამას დაცემატა ისიც, რომ 60-იან

წლებში, ომის დასრულების შემდეგ, სავაჭრო ურთიერთობა აღდგა ნისიბინ-დარის სექტორში (История Византии 1967: 344). ეს ნეგატიურად იმოქმედებდა ვაჭრობის ინტენსიურობაზე სამხრეთ კავკასიის შემოვლით გზაზე, რაც კარგად ჩანს ამ დროის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალაშიც (ვრცლად ნოქალაქევის დანგრევის თარიღის შესახებ იხ. ლორთქიფანიძე ბ., მურლულია ნ., 2015, გვ. 202-213). მასზე დაყრდნობით ნ. აფხაზავა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ VI ს.-ის მეორე ნახევრიდან სუსტდება ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა, ერთი მხრივ, ბიზანტიასა და აღმოსავლეთ საქართველოს და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის (აფხაზავა 1979: 207-210). ამასთანავე, აღნიშნულ პერიოდში მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში მასობრივად მიმდინარეობდა ქალაქების გასოფლურების პროცესი.

ნოქალაქევი-არქეოპოლისის გამაგრების სისტემა არა მხოლოდ ქალაქის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, არამედ თავისი ძლიერი საფორტიფიკაციო მონაცემებითა და გეოგრაფიული მდებარეობით ქვეყნის საერთო თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი რგოლი იყო. ამის დასადასტურებლად შეიძლება კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ნოქალაქევის ნაქალაქარის ციტადელის მთავარი კოშკი „ჯიხა“, რომლიდანაც შესაძლებელი იყო სამხრეთით – კოლხეთის დაბლობის, ჩრდილოეთითა და დასავლეთით – მდ. ტეხურის ხეობის, ხოლო აღმოსავლეთით – მდ. აბაშის ხეობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების სრული ვიზუალური კონტროლი.

ამდენად, საფიქრებელია, რომ არქეოპოლისის მთავარი კოშკიდან შესაძლებელი იქნებოდა სამეფოში არსებული გზების დიდი ნაწილის გაკონტროლება, რაც ქვეყნის მმართველებს (რომელთა რეზიდენციაც არქეოპოლისი იყო) სამეფოში მტრის შემოსვლის შემთხვევაში გარკვეულ დროს მისცემდა იმისთვის, რომ ქალაქი იერიშის მოსაგერიებლად მოემზადებინათ და ამასთანავე, მტრის შემოსვლა ეცნობებინათ არქეოპოლისის გარშემო მდებარე იმ ციხეებისთვის, რომლების-თვისაც კვამლის ან ცეცხლის საშუალებით შესაძლებელი იყო სიგნალის გადაცემა.

არქეოპოლისის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში ბიზანტიური წერილობითი წყაროების ცნობებიც ადასტურებს. გარდა იმისა, რომ პროკოპი კესარიელი პირდაპირ აღნიშნავს, რომ არქეოპოლისი „არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“ (პროკოპი კესარიელი 1965: 182), როგორც უკვე აღინიშნა, ბიზანტია-ირანის ომების დროს (542-562 წწ.) გაერთიანებული ბიზანტიელები და ლაზები, რომლებიც სხვა ციხე-ქალაქებს თვითონვე ანგრევენ, რათა ისინი ირანელებმა არ დაიკავონ, არქეოპოლისის გამაგრებასა და უსაფრთხოებაზე საგანგებოდ ზრუნავენ. ვფიქრობთ, არქეოპოლისის ასეთი განსაკუთრებული დაცვა მხოლოდ ამ ქალაქის უსაფრთხოებაზე ზრუნვით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. საფიქრებელია, რომ არქეოპოლისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების კონტროლი ჩრდილო-დასავლეთ ეგრისის კონტროლსაც ნიშნავდა, ანუ შეიძლება დავუშვათ, რომ არქეოპოლისი წარმოადგენდა მთავარ სამხედრო ბაზას ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონების გასაკონტროლებლად. ამდენად, ვფიქრობთ, რომ დღევანდელ სოფ. ნოქალაქევში არსებულ მა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა განაპირობა კიდეც ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქის სწორედ ამ ადგილს დაარსება.

## თავი VII

### ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემა ადგილობრივ, რეგიონულსა და გლობალურ კონფერენციალი

#### ადგილობრივი კონფერენცია

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეგრისის სამეფოს პერიოდის ორმოც-დაათზე მეტი სიმაგრის გამოვლენა აშეარად მიუთითებს იმაზე, რომ მათი აშენება ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბებასთან იყო დაკავშირებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ახლად ჩამოყალიბებული სამეფოს მესვეურებმა ძლიერი თავდაცვითი სისტემა შექმნეს, რომელსაც სამეფოს უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვითი სისტემის შექმნა თავისთავად მიუთითებს ცენტრალიზებული ხელისუფლების ძლიერებაზეც, სადაც, როგორც ჩანს, კარგად განვითარებული სახელმწიფო აპარატი მოქმედებდა. ამაზე მიანიშნებს აგათია სქოლასტიკოსიც. მისი თქმით, ლაზებს „რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 50-51).

სამეფოში ჩამოყალიბებულ ძლიერ თავდაცვით სისტემას ქვეყნის სტაბილური განვითარებისათვის საციფოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სისტემის გამართულობაზე იყო დამოკიდებული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარედან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება.

უბირველეს ყოვლისა, სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალ სიმაგრეებს ქვეყნის შიგნით არსებული დასახლებული პუნქტების, რეგიონებისა და გზების უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნათ. ეს ეხება ყველა ტიპის სიმაგრეს – ქალაქს, დიდი თუ მცირე ზომის ციხესა და კოშკს. მათი საერთო დანიშნულება ის იყო, რომ მშვიდობიანობის დროს მათ ქვეყნის დასახლებული პუნქტები მარბიელი რაზმებისა და მძარცველთა ჯგუფების თავდასხმებისაგან უნდა დაეცვათ.

ეგრისის ქალაქები სამეფოს მოსახლეობის, დოკლათისა და სიმდიდრის კონცენტრაციის მთავარი პუნქტები იყო. შესაბამისად, ასეთი ქალაქების აღებისა და გაძარცვის მაღალი რისკი არსებობდა და მათი გამაგრება აუცილებელი იყო. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორებიც იყო ვარდციხე-როდოპოლისი, ქუთაისი და ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ და შესაბამისად, ისინი სამედიდო იყო გამაგრებული.

ქალაქებთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა დიდი ციხესიმაგრეების გამაგრებასაც, რომლებიც, როგორც წესი, სამეფოს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრებიც იყო და იქიდან იმართებოდა კონკრეტული რეგიონი. ამ პუნქტების დაცვა იქ მსხდომი დიდებულების პირად ინტერესებში შედიოდა, რადგან ისინი ადმინისტრაციულ ცენტრებთან ერთად რეზიდენციებსაც წარმოადგენდა. ამასთანავე, ასეთ დიდ სიმაგრეებს ომიანობის დროს მოსახლეობა

აფარებდა თავს. იქვე ინახებოდა საქონელიც და პროდუქტიც. ისეთი სიმაგრეები, რომლებიც სამეფოში გამავალი გზების სიახლოვეს იყო აგებული (შორაპანი, შეეფი და სხვ.), ამ გზების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა – ამ ციხებიდან უნდა მომხდარიყო გზებზე მოძრავი სავაჭრო ქარავნებისა და სხვა მგზავრების დაცვა მარპილი რაზმებისაგან. ამასთანავე, ასეთ სიმაგრეებს, სამეფოს მთავარ სავაჭრო პუნქტებთან (ქალაქებთან) ერთად, უნდა გაეკონტროლებინათ სავაჭრო ქარავნები და მგზავრები, შეემოწმებინათ მათი სანდოობა, აეკრიფათ ბაჟი. სავარაუდოდ, მათ სიახლოვეს გამართული იქნებოდა მგზავრების მოსასვენებლი ადგილებიც.

სამეფოს შიდა უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მცირე ზომის სიმაგრეებსაც. ასეთი სიმაგრეების დიდი რაოდენობით არსებობა, მით უმეტეს, როდესაც ისინი ცენტრალური ხელისუფლების ან მისი ერთგული დიდებულების მიერ იმართებოდა, ზოგადად ხელს უწყობდა სამეფოს უსაფრთხოებას. სამეფოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან რეგიონში და სტრატეგიული გზის სიახლოვეს 5-10 კმ-ის ინტერვალით გამაგრებული პუნქტის არსებობა ძარცვისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენდა.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება მშვიდობიანობის დროს ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა იყო. რაც სამეფოში არსებული დასახლებული პუნქტების (ქალაქების, დაბების, სოფლების) და გამავალი გზების დაცვას სხვადასხვა მარპილი ლაშქრისა და მძარცველთა ჯგუფებისაგან და იმავდროულად ბაჟის აკრეფასაც გულისხმობდა (მარგიშვილი 2008: 171). ჩვენი აზრით, ციხეთა სიმრავლეც სწორედ ამ გარემოებით იყო განპიროებებული და მათ, როგორც გამაგრებულ პუნქტებს, დიდი მასშტაბის ბრძოლების დროს ფუნქცია, ფაქტობრივად, არ ექნებოდათ. ამის თქმის საფუძველს იძლევა წერილობით წყაროებში დაცული ცნობები იმ სიმაგრეთა შესახებ, რომლებიც რეალურად მონაწილეობდნენ ბიზანტია-ირანის ომების სხვადასხვა ეპიზოდში. მათი საერთო რაოდენობა კი ორ ათეულს არ აღემატება. საფიქრებელია, რომ ასეთი ტიპის ბრძოლების დროს ერთი დიდი სიმაგრის (მაგ. შორაპნის, შეეფის, წებელდის და სხვ.) დაკარგვა ან დაუფლება ავტომატურად გულისხმობდა მის გარშემო მდებარე მცირე ზომის სიმაგრეების დათმობა/დაუფლებასაც (მარგიშვილი 2008: 171).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბევრი სიმაგრე სულაც არ გულისხმობდა სამეფოს ძლიერ თავდაცვით სისტემას, არამედ მათი რაოდენობა ფეოდალური სისტემის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, ანუ თითოეულ მცირე თუ დიდ მინათმფლობელს საკუთარი სიმაგრე პქნდა და ის, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ განკარგულებაში არსებული მიწების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა (მარგიშვილი 2008: 169-173). ცხადია, შეუასუკუნებში ნებისმიერ სამეფოში იდგა ფეოდალური დაქსაქსულობის პრობლემა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ წერილობით წყაროებში არ მოიპოვება არც ერთი მნიშვნელოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ ეგრისის სამეფოში ძლიერი ფეოდალური დაქსაქსულობა იყო. 6. ბერძენიშვილიც მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ის ეგრისში ციხესიმაგრეთა ინდივიდუალურ მფლობელებს რეალურად ვერ ხდავდა (ბერძენიშვილი 1990: 514).

## რეგიონული კონტექსტი

ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემის რეგიონულ კონტექსტში განხილვისათვის აუცილებელია ეგრისის სამეფოს მეზობელ რეგიონებში, ანუ მთლიანად კავკასიაში, იმ დროისათვის არსებული მდგომარეობის გაანალიზება. სამხრეთ-დასავლეთიდან სამეფოს ჭანები ესაზღვრებოდნენ, რომელიც, პროკოპი კესარიელის თანახმად, „არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უნდესებენ მათ მღვდელმსახურებს. ისინი ისწრაფვიან ორივესთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ და ყოველთვის თანხმდებიან ხოლმე მიაცილონ ერთი მხრიდან მეორესთან მიმავალი მოციქულები“ (პროკოპი კესარიელი 1965: 125). მოყვანილი ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ ეგრისის სამხრეთ-დასავლეთით კეთილმეზობლურად განწყობილი ჭანები მოსახლეობდნენ და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი გარკვეულწილად ლაზების მორჩილებაშიც კი იყვნენ. იმავეს თქმა არ შეიძლება ეგრისის სამეფოს დანარჩენი მეზობლების შესახებ: ჩრდილოეთიდან ეგრისს ჩრდილოკავკასიელი მომთაბრე ტომები ჰყავდა მეზობლად, აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი – ქართლის სამეფო, რომელიც სპარსეთის პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდიდა და შესაბამისად, სათუოა, რომ ეგრისისა და ქართლს კეთილმეზობლური ურთიერთობები ჰქონიდათ ერთმანეთთან. ყოველ შემთხვევაში, წერილობით წყაროებში მათ შორის უფრო მეტად მტრულ ურთიერთობებზეა აქცენტი გაკეთებული, ვიდრე მეგობრულზე. გავიხსენოთ V ს.-ში დაწყებული დავა სვანეთის გამო და ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა ეგრისში. კიდევ უფრო დამძიმდებოდა მდგომარეობა VI ს.-იდან, როდესაც ირანმა ქართლში მეფობა გააუქმა და თავისი ნდობით აღჭურვილი პირი დააყენა ქართლის მმართველად (523 წ.).

ლაზთა მეფეებისათვის სამეფოს თავდაცვითი სისტემის რეგიონულ პოლიტიკასთან მორგება უთუოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სტრატეგიული ამოცანა იყო, განსაკუთრებით კი იმ დროს (IV-V სს.), როდესაც სამეფოს რეალურად ლაზები მართავდნენ და რომი და შემდგომში ბიზანტია შიდა კრიზისის გამო ვერ ახერხებდა ეგრისის სამეფოს ვერც გაკონტროლებას და ვერც მისი ტერიტორიების დაცვას. სწორედ ამ პერიოდზე მოდის ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანა და შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროისათვის ეგრისის მესვეურები განსაკუთრებით იზრუნებდნენ სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრების დაცვა-გამაგრებაზე. როგორც კვლევამ აჩვენა, სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი და აღმოსავლეთი რეგიონები საგანგებოდ იყო გამაგრებული არაერთი ძლიერი ციხესიმაგრით და იქიდან ქვეყანაში შეღწევა საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა. მით უმეტეს, რომ ჩრდილო-დასავლეთიდან სამეფოს ცენტრალურ ნაწილს ეგრისისა და კოდორის ქედები, ხოლო აღმოსავლეთიდან ლიხის ქედი იცავდა. ასევე საკმაოდ ძლიერი თავდაცვითი ხაზი იცავდა სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ გადმოსასვლელებს (მდ. ხანისწყალზე – დიმი და ვარდციხე-როდოპოლისი). სამხრეთიდან კი, როგორც უკვე აღინიშნა, ეგრისის სამეფოს საკმაოდ მაღალი და ძნელად გადასალახი მესხეთის ქედი ესაზღვრებოდა და იქ მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემის შექმნა აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ეგრისი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე კარგად გამაგრებული სამეფო იყო. რეგიონში არსებული სახელმწიფოებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად სამეფოში საგანგებოდ იყო გამაგრებული ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრები, რაც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. რომ არა მძლავრი სასიმაგრო სისტემა, ეგრისის სამეფო მუდმივად იქნებოდა თავდასხმის ობიექტი როგორც ჩრდილო კავკასიაში მოსახლე მომთაბარე ტომების, ისე აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მოსაზღვრე ქართლის სამეფოსთვის.

## გლობალური პონტექსტი

მიუხედავად იმისა, რომ IV-VI სს.-ში ეგრისის სამეფო მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა და ხშირ შემთხვევაში ბიზატიასთან შეუთანხმებლადაც მოქმედებდა, ის მაინც გლობალურ პოლიტიკაში იყო ჩართული და შესაბამისად, ეგრისის მმართველებს იმ გეოპოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით უწევდათ მოქმედება, რომელიც იმ დროისათვის არსებობდა კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთში და ზოგადად მთელ რომის/ბიზანტიისა და სპარსეთის იმპერიებში.

ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის მხოლოდ ადგილობრივი (დას. საქართველო) ან რეგიონული (კავკასია) პოლიტიკის კონტექსტში განხილვა მართებული არ იქნება. ჯერ კიდევ ძვ. წ. I ს.-იდან, მას შემდეგ, რაც კოლხეთი რომის იმპერიამ დაიმორჩილა, დასავლეთი საქართველო, განსაკუთრებით კი მისი ზღვისპირა რეგიონები, რომის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებში მოექცა. მალევე, ახ. წ. I-II სს.-ში, რომმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მძლავრი სასიმაგრო სისტემა, ე. წ. „პონტოს ლიმესი“ ან „კავკასიის საზღვარი“ შექმნა და იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრები საბოლოოდ გაამაგრა. როგორც ვარაუდობენ, ეს სისტემა კავშირში უნდა ყოფილიყო იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრის მთლიან თავდაცვით სისტემასთან, რომელიც კაპადოკიასა და სამხრეთ შავიზღვისპირეთს მოიცავდა. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განთავსებული სიმაგრეები კი ამ სისტემის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთს წარმოადგენდნენ (ფიფია 2005: 87).

როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, ეგრისის სამეფოს წარმოშობას და მის მიერ დამოუკიდებლობის მიღწევას დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ. ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ რომის იმპერიას არათუ არ ანუხებდა ეგრისის დანინაურება, არამედ ხელსაც აძლევდა მისი განვითარება და გაძლიერება და მეტიც, მხარს უჭერდა ამ პროცესს. მიზანი კი ეგრისის მესვეურების მიერ ჩრდილოეთ კავკასიიდან არსებული გადმოსასვლელების დაცვა იყო, რაც რომის აღმოსავლეთ პროვინციებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა. როგორც ჩანს, იმ დროისათვის (III-IV სს.) რომის იმპერიას ამ პრობლემის გადაჭრა საკუთარი ძალებით არ შეეძლო და სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრების დასაცავად ეგრისს იყენებდა. პროკოპი კესარიელიც

აღნიშნავს, რომ „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხერი“ (პროკოპი კესარიელი 1965: 94). მართლაც, ჩვენ სრულად ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ეგრისის სამეფოში (და ზოგადად დასავლეთ საქართველოში) რომისაც და ბიზანტიასაც სხვა გლობალურ ინტერესებთან ერთად, ყველაზე მეტად ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელების დაცვა და გაკონტროლება აინტერესებდა და როგორც ჩანს, ამ ინტერესს ლაზები აკმაყოფილებდნენ კიდეც. ამ გადმოსასვლელების დაცვა ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ნებისმიერი, დიდი თუ მცირე სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პრიორიტეტი იყო. სწორედ ამ გლობალური ინტერესების დაცვას ემსახურებოდა ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვითი სისტემა და მასში შემავალი ციხესიმაგრეები, რომლებიც ჩრდილო კავკასიიდან გადმომავალ გზებს კეტავდნენ და ამით, პირველ რიგში, ეგრისის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, გლობალური კონტექსტით კი, რა თქმაუნდა, რომისა და ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებსაც უზრუნველყოფა დახმარებას.

ამა თუ იმ სახელმწიფოს სტრატეგიული როლის შესახებ საინტერესო კონცეფცია აქვს ჩამოყალიბებული დ. ახვლედიანს. ის, სამხედრო თეორეტიკოსების, ა. მაკინიკოლისა და ბ. ლიდელ-ჰარტის მოსაზრებებზე დაყრდნობით, ქვეყნის სამხედრო სტრატეგიას სამ ძირითად მიმართულებაში ათავსებს: 1. დიდი სტრატეგია – ნაციონალური და ზენაციონალური მიზნის განხორციელების იდეა; 2. სტრატეგია – დიდი სტრატეგიისათვის აუცილებელი სამხედრო საქმის ორგანიზება და განხორციელება; 3. ტაქტიკა – კონკრეტულ ადგილას და კონკრეტული სამხედრო მოქმედებების დროს მოწინააღმდეგებზე უპირატესობის მოპოვება (ახვლედიანი 2004: 43). დ. ახვლედიანის აზრით, ეგრისის „დიდი სტრატეგია“ კავკასიონის ხაზის გამაგრება იყო (ახვლედიანი 2004: 47). უდავოდ საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებაა. ცხადია, რომ ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემა გლობალურ კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კავკასიონის გამაგრებას ემსახურებოდა. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან არსებული გადმოსასვლელების დაცვა რომი/ბიზანტიისა და კოლხეთი/ეგრისის დიდ სტრატეგიას (ნაციონალურ მიზანს) ნარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც ბიზანტიელებმა ეგრისში მეფობა გააუქმეს და იქ პატრიკიოსებს ნიშნავდნენ, იმპერიამ თავად დაიწყო ეგრისის სამეფოს ციხეების გამაგრებაზე ზრუნვა და ამ შემთხვევაში აღარ კმაყოფილდებოდა ლაზების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელების დაცვით. საინტერესო ცნობაა დაცული თეოფილაქტე სიმოკატასთან, რომლის თანახმადაც, VI ს.-ის 80-იანი წლების ბოლოსათვის ეგრისში მშვიდობა სუფევდა და „თვითმპურობელმა (მავრიკიმ), ჩვეულებისამებრ, ოქრო გაგ ზავნა ჯარისათვის დასარიგებლად“ (თეოფილაქტე სიმოკატა 1961: 20). ამ ცნობის მიხედვით შეკარა ხდება, რომ ბიზანტიის იმპერატორ მავრიკ ტიბერიუს (582-602) ეგრისში ჩაყენებული ჯარისათვის ოქრო (ფული, ხელფასი) გაუგზავნია. ეს ცნობა მით უფრო საინტერესოა იმ ფონზე, რომ ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1930-31 წლებში ჩატარებული გათხრების დროს ერთ-ერთ კოშკში მავრიკ ტიბერიუსის სახელზე მოჭრილი 23 ცალი ოქროს მონეტა აღმოჩნდა, რაც თეოფილაქტე სიმოკატას ცნობის ფაქტობრივი დადასტურებაა და რაც მთავარია, ვიცით, რომ VI ს.-ის ბოლოსათვის არქეოპოლისში ბიზანტიური

გარნიზონი მდგარა, რომელიც ხელფასს იმპერატორისაგან იღებდა და არა ადგი-ლობრივი მმართველებისაგან.

ეგრისის სამეფოს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა VI ს.-ში ბიზანტია-ირანის ხანგრძლივი ომის წარმოების მთავარი მიზეზი გახდა. ლაზმა მოციქულებ-მა დეტალურად ჩამოუთვალეს ხოსროს ის უპირატესობები, რომლებსაც სპარსე-ლები მიაღწევდნენ ეგრისის ხელში ჩაგდებით: „ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო, გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაფუძნავო ისიც, რომ თქვენზე იქნება დამო-კიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწანყალი“ (პროკოპი კესარიელი 1965: 81). მოყვანილი ფრაგმენტიდან აშკარა ხდება, რომ სპარსეთს ეგრისის ხელში ჩაგდებით ეკონომიკური და სამხედრო გავ-ლენის გაფართოების შესაძლებლობა ეძლეოდა. შავი ზღვის მეშვეობით ის საფ-რთხეს შეუქმნიდა ბიზანტიას და იმავდროულად სავაჭრო არეალსაც გააფართო-ებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეგრისი ბიზანტია-ირანის სტრატეგიული გეგმების მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. მათ შორის ბრძოლა მთელ ახლო აღმოსავლეთში მიმ-დინარეობდა და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა კაპადოკიისა და სომხეთის ტერიტორიების დაუფლებას ენიჭებოდა, ვინაიდან სწორედ იქ გადიოდა მსოფლიო სავაჭრო მაგისტრალის ძირითადი ხაზი. ამიტომაც ბიზანტია-ირანის ბრძოლებში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა ქ. დარის, სატალისა და ნისიბინის დაუფლებას.

ბიზანტია-ირანს შორის კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში წარმოებულ ბრძოლებს სამი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: 1. ორ იმპერიას შორის არსებულ სა-საზღვრო ტერიტორიებზე ბუფერული ზონის შექმნა. 2. დასავლეთისა და აღმო-სავლეთის დამაკავშირებელი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალების გაკონტროლება და 3. კავკასიონის გადმოსასვლელების გაკონტროლება.

სწორედ ბუფერული ზონის ფუნქციას ასრულებდა ეგრისის სამეფო IV სა-უკუნიდან VI ს.-ის პირველ ნახევრამდე, ვიდრე ლაზებმა ქვეყანაში სპარსელები არ შეიყვანეს. ლაზიკა ბიზანტიის დამცავ ქვეყანას წარმოადგენდა როგორც ჩრდი-ლოეთიდან (მომთაბარე ტომები), ისე აღმოსავლეთიდან (ქართლი, სპარსეთი) მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ. სწორედ ამ დამცავი ზოლის მოშლას მოჰყვა დიდი ომიანობა ეგრისში. თუ ბიზანტია ეგრისს დაკარგავდა, მის აღმოსავლეთ პროვინციებსა და თავად დედაქალაქსაც დიდი საფრთხე მოელოდა. სწორედ ამი-ტომ ომის დაწყების წინ იუსტინიანე დიდმა სავანგებოდ გაამაგრა ეგრისში არსე-ბული ციხესიმაგრეები და იქ ბიზანტიური გარნოზინი ჩააყენა. საბოლოოდ, ლა-ზებმა ჯერ კიდევ ომის მსვლელობისას აირჩიეს ბიზანტიელების მოკავშირეობა და გუბაზ მეფის მოკვლის შემდეგაც კი არ შეუცვლიათ პოლიტიკური ორიენტაცია, რაც, ცხადია, ბიზანტიას ხელს აძლევდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეგრისის მე-ფეებმა კარგად იცოდნენ ეგრისის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ცდილო-დნენ, ეს ფაქტორი გამოეყენებინათ როგორც სპარსეთთან, ისე ბიზანტიისათან მოლაპარაკებების წარმოებისას. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ გუბაზ I-ის ვიზიტი კონსტანტინოპოლიში, როდესაც ის სამეფო სასახლეში მიდიურ წესზე ჩატმული მივიდა, რითაც, ფაქტორივად, ბიზანტიის სამეფო სახლს მიანიშნებდა,

რომ მას ნებისმიერ დროს შეეძლო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა და სპარსელების მხარეს გადასვლა. ცხადია, ასეთი გზავნილი ყურადსალები იქნებოდა ბიზანტიულებისათვის. შესაძლოა, სწორედ ამით უნდა აიხსნას კონსტანტინოპოლის კარისკაცების კეთილგანწყობილი ქცევა გუბაზ მეფის მიმართ (პრისკე პანიონელი 1961: 259).

კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სამი ძირითადი სავაჭრო გზა გადიოდა: 1. ახლო აღმოსავლეთში – კაპადოკიისა და სომხეთის გავლით. 2. ამიერკავკასიაში – ეგრისისა და ქართლის გავლით და 3. ჩრდილოეთ კავკასიაში – ყირიმიდან კასპიის ზღვამდე. ამ სამი მაგისტრალიდან ყველაზე მოსახერხებელი პირველი იყო, რომელიც უმოკლეს და კარგად მოწყობილ გზას წარმოადგენდა სავაჭრო ქარავნებისათვის (ფიფია 2005: 165). ყველაზე სახიფათო და შესაბამისად, ნაკლებად დატვირთული კი ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალი გზა იყო, სადაც უმართავი მომთაბარე ტომები სახლობდნენ და ქარავნების გაძარცვის რისკი ძალიან მაღალი იყო. დიდი დატვირთვა ჰქონდა ამიერკავკასიაში ეგრისისა და ქართლის გავლით მიმავალ მაგისტრალს, რომელიც ანტიკური ხანიდან არსებობდა. სტრაბონის თანახმად, არსებობდა სავაჭრო გზა, რომელიც შავი ზღვის, მდინარეების რიონისა და მტკვრის, კასპიის ზღვის გავლით ინდოეთს უკავშირდებოდა (ლორთქიფანიძე 2010: 97-102). ცხადია, ეს გზა მოქმედებდა ეგრისის სამეფოს პერიოდშიც და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ არტერიას წარმოადგენდა. პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ ლაზები „მუდამ ანარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას“ (პროკოპი კესარიელი 1965: 73). ეგრისის შავიზღვისპირა და შიდა ქალაქების უმეტესობაში (აფსაროსი, პეტრა, ზიგანეოსი, პიტიუნტი, სებასტოპოლისი, წებელდა, არქეოპოლისი, ქუთაისი, როდოპოლისი, შორაპანი) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მრავლად არის გამოვლენილი შავი ზღვის ქალაქებიდან მომდინარე იმპორტული მასალა, რაც ფაქტობრივი დადასტურებაა იმისა, რომ შავიზღვისპირა ქალაქებს შორის მიმდინარე ვაჭრობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ეგრისის სამეფოს შიდა ქალაქებიც, რომლებიც, როგორც ჩანს, დანარჩენ სავაჭრო ცენტრებთან სამდინარო და სახელეთო გზებით იყვნენ დაკავშირებული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც ეგრისზე გადიოდა, სომხეთის ქ. არტაშატს და ქ. სებასტოპოლისს აკავშირებდა ერთმანეთთან. ეს არის IV ს.-ის ანონიმი ავტორის მიერ შესრულებულ რუკაზე (თაბულა Peutingeriana) დატანილი გზა, რომელიც ეგრისის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთი-საკენ სერავდა. საფიქრებელია, რომ ის სებასტოპოლისიდან უფრო ჩრდილოეთი-თაც, სავაჭრო თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი რეგიონისაკენ – ყირიმისკენაც ვრცელდებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეგრისის სამეფო მდებარეობდა მეტად ხელსაყრელ ადგილას როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე სავაჭრო თვალსაზრისით და შესაბამისად, ის მუდმივად იყო ჩართული გლობალურ პოლიტიკაში. ეგრისის სამეფოს ტერიტორიის ფლობა, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა სპარსელებისათვის, განსაკუთრებით კი ბიზანტიულებისათვის. შესაბამისად, სამეფო არსებული ერთიანი თავდაცვითი სისტემა გლობალური

პოლიტიკის გათვალისწინებითაც იყო დაგეგმილი: შავიზღვისპირა ქალაქები ჯერ კიდევ რომაული ხანიდან იცავდა რომისა და შემდგომში ბიზანტიის აღმოსავლეთ საზღვრებს და იმავდროულად, მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტებსაც წარმოადგენდა. ჩრდილო-დასავლეთ თავდაცვით ხაზში გაერთიანებული ციხესიმაგრეები ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებს ჩრდილოკავკასიელი მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან იცავდა. მნიშვნელოვან გზაჯვარედინებზე დაარსებული და კარგად გამაგრებული ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა სავაჭრო ურთიერთობები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან, იმავდროულად კარგად ორგანიზებული და დაცული საქალაქო ცენტრები და გზები ვაჭრებისათვის ხელ-საყრელ პირობებს ქმნიდა ქარავნების ეგრისის სამეფოზე გასატარებლად.

# პირითადი დასკვნები

## 1.

ეგრისის სამეფოს ისტორიისა და მისი თავდაცვითი სისტემის მრავალწლიანი კვლევის შემდეგ პირველად მოხდა დასავლეთ საქართველოში დღემდე გამოვლენილი IV-VI სს.-ით დათარიღებული ციხესიმაგრების ერთად შესწავლა. ბოლო 15 წლის განმავლობაში წარმოებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად მოხერხდა ყველა ორმოცდათამდე ძეგლის მონახულება (აფხაზეთში მდებარე სიმაგრეების გარდა). ოცინდალეს, ხომაკირდეს, კურზუს, ნაფიჩხოვისა და ხუნწის ციხეები პირველად ჩვენ მიერ იქნა შესწავლილი. ასევე ეგრისის სამეფოს ძლიერების პერიოდს მივაკუთვნეთ მანამდე სხვა ან საეჭვო ქრონოლოგიის ისეთი სიმაგრეები, როგორებიცაა ნასკალუ, ყურუმულია, მაჩხომერი, ჯახუთი, ძველი ხიბულა და შუხუთი. შესაბამისად, აღნიშნული სიმაგრეები პირველად იქნა განხილული ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ერთიან კონტექსტში.

საბოლოო ჯამში, ძეგლების მონახულების შემდგომ მოხერხდა ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალი ციხესიმაგრეების ერთიანი მეთოდიკით შესწავლა, რაც, თავის მხრივ, მულტიდისციპლინურ კვლევას გულისხმობდა. წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალების, ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებისა და ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის შედეგად განისაზღვრა თითოეული ძეგლის დაარსების მიზეზები, ამოცანები და კონკრეტული ადგილი ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში.

## 2.

ეგრისის სამეფოს ციხესიმაგრეების კვლევისას პირველად იქნა გამოყენებული ლანდშაფტის არქეოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები. შედეგად შესაძლებელი გახდა თითოეული ძეგლის ზუსტი მდებარეობისა და აბსოლუტური სიმაღლის განსაზღვრა და მათი გლობალურ კოორდინატთა ბადეზე განთავსება. GPS მონაცემების შეჯერებითა და შემდგომში მათი GIS და Google Earth პროგრამები განთავსებით შესაძლებელი გახდა თითოეული სიმაგრის გარემოზე დაკვირვება, მათი სიმაღლეების შედარება და მათ შორის სავარაუდო კავშირების დადგენა, რამაც საბოლოოდ საინტერესო შედეგები მოგვცა სიმაგრეთა განლაგებისა და სასიგნალო სისტემის პრინციპების კვლევისათვის. გარდა ამისა, ძეგლების ფოტოები, მათი გეგმების ნახაზები, GPS კოორდინატები და აბსოლუტური სიმაღლეები შესწავლილი ძეგლების მონაცემთა ბაზებში განთავსების შესაძლებლობას იძლევა, სადაც ძეგლების შესახებ დეტალური ინფორმაცია იქნება დაცული. ასეთი ტიპის მონაცემთა ბაზების მომხმარებლები შეიძლება იყვნენ: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურის განყოფილებები და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები.

### 3.

სანგრძლივი კვლევის შედეგად შემუშავდა შესასწავლი ციხესიმაგრეების ქრონოლოგიური, ტიპოლოგიური და ფუნქციური კლასიფიკაცია. ქრონოლოგიური კლასიფიკაციით ციხესიმაგრეები სამ ძირითად ჯგუფში გაერთიანდა: 1. ანტიკური პერიოდიდან დაარსებული ციხესიმაგრეები, რომლებმაც ეგრისის სამეფოს პერიოდშიც არ დაკარგეს თავიანთი დანიშნულება; 2. უშუალოდ ეგრისის სამეფოს ძლიერების დროს დაარსებული სიმაგრეები, რომელთა ზოგადი ქრონოლოგია IV-VI სს.-ით განისაზღვრება და 3. სიმაგრეები, რომლებმაც ეგრისის სამეფოს დაცემის შემდეგაც განაგრძეს არსებობა და ნაწილს გვიანდელ შუა საუკუნეებამდეც არ დაუკარგავს თავისი დანიშნულება.

ტიპოლოგიურად ციხესიმაგრეები გაერთიანდა 4 ჯგუფში:

1. მცირე სიმაგრე მხოლოდ გალავნით (კოშკის, თავდაცვითი თხრილისა და სხვა ნაგებობების გარეშე);
2. მცირე სიმაგრე გალავნით, კოშკით, თავდაცვითი თხრილითა და ეკლესიით (აქ, თავის მხრივ, ერთიანდება სხვადასხვა ტიპის ციხეები – კოშკთან და გალავანთან ერთად ზოგიერთს აქვს მხოლოდ ეკლესია და ზოგიერთს მხოლოდ თავდაცვითი თხრილი ან ორივე კომპონენტი ერთად);
3. დიდი ზომის სიმაგრეები გალავნებით, კოშკებით, ეკლესიებით, თავდაცვითი თხრილებითა და სხვა ნაგებობებით (აქაც შესაძლებელია, რომ ზოგიერთ ციხეს არ ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე კომპონენტი);
4. ციხე-ქალაქები გალავნებით, კოშკებით, ეკლესიებითა და სხვა ნაგებობებით (სასახლე, აბანო, გვირაბი და სხვ.).

სიმაგრეების დანიშნულების კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა მათი ფუნქციური კლასიფიკაციის ჩამოყალიბება, ესენია:

**ხეობის გზის ჩამოყეტი ციხე.** ასეთი სიმაგრის ფუნქცია მისი მდებარეობიდან გამომდინარეობდა. როგორც წესი, ასეთი ციხეები იგებოდა სხვადასხვა ხეობის ბოლოში, მთისა და ბარის შესაყართან, ასე რომ ხეობაში მომავალ მტერს გავაკებამდე ციხის გავლა მოუწევდა.

**საგუშაგო-სასიგნალო ციხე.** მისი მთავარი დანიშნულება, საჭიროებისამებრ, მოკლე მანძილზე (მაქსიმუმ 5-7 კმ) ინფორმაციის გადაცემა იყო. ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში გაერთიანებულ ციხესიმაგრეთა დიდი ნაწილი სწორედ საგუშაგო-სასიგნალო დანიშნულების იყო.

**ადმინისტრაციულ-საბაჟო დანიშნულების ციხეები** ქვეყნის უმთავრესი პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული ცენტრები იყო. მიუხედავად იმისა, რომ ყოფით დანიშნულებასთან ერთად დიდი იყო თავდაცვითი ფუნქციებიც, უფრო მართებული იქნება, თუ მათ ციხე-ქალაქებს უუწოდებთ.

### 4.

ნაშრომში ახლებურად იქნა წარმოჩენილი ეგრისის სამეფოს ერთიან თავდაცვით სისტემაში შემავალი ქვესისტემების რაოდენობა და მდებარეობა. წერილობითი წყაროების მონაცემების, ციხესიმაგრეთა მდებარეობისა და მათი დანიშ-

ნულების ანალიზით განისაზღვრა თითოეული ქვესისტემის მოქმედების არეალი, წარმოშობა-განვითარებისა და დანიშნულების დაკარგვის მიზეზები. ასევე, მათი ადგილი და როლი ქვეყნის საერთო თავდაცვით სისტემაში. შედეგად სულ 7 ქვესისტემა გამოიყო:

**1. შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრების ხაზი** – ამ ხაზში შავიზღვისპირა გამაგრებული პუნქტები ერთიანდებოდა. ყველა მათგანი საპორტო პუნქტს წარმოადგენდა (ანაკოფიის გარდა) და შესაბამისად, მათი მთავარი დანიშნულება ზღვიდან შემოსული სავაჭრო ხომალდების მიღება, მათი უსაფრთხოების დაცვა და ზღვიდან მოსალოდნელი თავდასხმის განეიტრალება იყო.

**2. სამხრეთ სექტორის გამაგრების ხაზი** – მასში გაერთიანებული სიმაგრეები მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე არსებულ მდინარეების ხეობებს უნევალნენ კონტროლს.

**3. სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა** – ეს სისტემა მდ. ხანისწყლის განვრივ მდებარეობდა და აერთიანებდა ორ ციხეს: ვარდციხე-როდოპოლისსა და დიმს. მათი ძირითადი დანიშნულება სამეფოში სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან არსებული მნიშვნელოვანი გადმოსასვლელის ჩაკეტვა და კონტროლი უნდა ყოფილიყო. ეს გზა Tabula Peutingeriana-ზეც არის დაფიქსირებული და როგორც ცნობილია, ქ. არტაშატს ოძრხესა და ზეკარის ულელტეხილით ეგრისთან აკავშირებდა.

**4. აღმოსავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა** – მოიცავდა ლიხის ქედის დასავლეთ კალთებს. მასში ერთიანდებოდა სკანდისა და შორაპნის ციხეები, შესაძლებელია, რომ ამ სისტემის ნაწილი ყოფილიყო მნიშვნელოვანი გადმოსასვლელის კეტავდა.

**5. მოხირისის „ქვეყნის“ გამაგრების ქვესისტემა** – როგორც სახელიდან ჩანს, მოხირისის „ქვეყნის“ საზღვრებს და იქ გამავალ სავაჭრო გზებს იცავდა. ტერიტორია მოიცავდა დღევანდელი წყალტუბოს, ქუთაისის, ზესტაფონის, ხონისა და სამტრედიის რაიონების ვაკე ნაწილებს.

**6. ჩრდილო-დასავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა** – ეს სისტემა ეგრისისა და კოდორის ქედების სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე აგებულ სიმაგრეებს მოიცავდა. თითოეული მათგანი ამ ქედებიდან გამომავალი მდინარეების ხეობებზე იყო განთავსებული და სამეფოს ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ იყო მიმართული.

**7. ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების ქვესისტემა** – რაოდენობრივად ყველაზე მეტ სიმაგრეს (20) აერთიანებდა, მათ შორის სამეფოს დედაქალაქ ნოქალაქევი-არქეოპოლისს. აღნიშნული ქვესისტემა დღევანდელი სამეგრელოს რეგიონს მოიცავდა და მრავალფეროვანი ლანდშაფტით ხასიათდებოდა. შესაბამისად, ის, რელიეფის გათვალისწინებით, რამდენიმე თავდაცვით ხაზს მოიცავდა: უნაგირა მთის, ურთის მთის, მდინარეების – ხობისწყლისა და ჭანისწყლის აუზების თავ-დაცვით ხაზებს.

## 5.

ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული ნოქალაქევის ნაქალაქარის, როგორც ეგრისის სამეფოს დედაქალაქის, ადგილი და როლი სამეფოს თავდაცვით სისტემაში. ნოქალაქევი-არქეოპოლისის გამაგრების სისტემა, უმეტეს შემთხვევაში, იმდროინდელ მსოფლიოში დადგენილი სამშენებლო ნორმების დაცვით იყო შექმნილი, რაც დასტურდება ძვ. წ. I ს.-ის რომაელი ავტორის ვიტრუვიუსის ნაშრომში „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ მოცემული სამშენებლო რეკომენდაციებითა და სტანდარტებით. შესაბამისად, ეგრისის სამეფოს დედაქალაქს კავკასიის მასშტაბით სრულიად უნიკალური საფორტიფიკაციო სისტემა ჰქონდა. ასევე, არქეოლოგიური მონაცემების, წერილობითი წყაროებისა და ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა ნოქალაქევის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობისა და ნგრევის სამივე ეტაპის ქრონოლოგია. ამასთანავე, აღნიშნული ეტაპები კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან და პირებთან იქნა დაკავშირებული.

## 6.

განისაზღვრა ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ადგილი და როლი ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური პოლიტიკის კონტექსტში. შედეგად ცხადი გახდა, რომ სამეფოს თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ქვესისტემები და ციხესიმაგრეები სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნის რეალიზაციისათვის შეიქმნა.

**ადგილობრივი კონტექსტი.** ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება მშვიდობიანობის დროს სამეფოს ეფექტური მართვისათვის ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა იყო, რაც გულისხმობდა სამეფოში არსებული დასახლებული პუნქტებისა (ქალაქების, დაბების, სოფლების) და გამავალი გზების დაცვას სხვადასხვა მარბიელი ლაშქრისა და მძარცველთა ჯგუფებისაგან და იმავდროულად ბაჟის აკრეფასაც. ჩვენი აზრით, ციხეთა სიმრავლეც სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული და მათ, როგორც გამაგრებულ პუნქტებს, დიდი მასშტაბის ბრძოლების დროს ფუნქცია, ფაქტობრივად, არ ექნებოდათ.

**რეგიონული კონტექსტი.** ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემა, ადგილობრივ (ქვეყნის შიდა) ინტერესებთან ერთად, მორგებული იყო სამეფოს რეგიონულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ანუ უშუალოდ კავკასიაში არსებულ პოლიტიკურ გარემოზე. ეგრისი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე კარგად გამაგრებულ სამეფოს წარმოადგენდა. რეგიონში არსებული სახელმწიფოებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად სამეფოში საგანგებოდ იყო გამაგრებული ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრები, რაც, რა თქმა უნდა, არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. რომ არა მძლავრი სასიმაგრო სისტემა, ეგრისის სამეფო მუდმივად იქნებოდა თავდასხმის ობიექტი როგორც ჩრდილო კავკასიაში მოსახლე მომთაბარე ტომების, ისე აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მოსაზღვრე ქართლის სამეფოსათვის.

**გლობალური კონტექსტი.** ეგრისის სამეფო მდებარეობდა მეტად ხელსაყრელ ადგილას როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე სავაჭრო თვალსაზრისით და შესაბამისად, ის მუდმივად იყო ჩართული გლობალურ პოლიტიკაში. ეგრისის სამეფოს ტერიტორიის ფლობა, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი ფაქტორი იყო სპარსელებისათვის, განსაკუთრებით კი ბიზანტიულებისათვის. შესაბამისად, სამეფოში არსებული ერთიანი თავდაცვითი სისტემა გლობალური პოლიტიკის გათვალისწინებითაც იყო დაგეგმილი. შავიზღვისპირა ქალაქები ჯერ კიდევ რომაული ხანიდან იცავდა რომისა და შემდგომში ბიზანტიის აღმოსავლეთ საზღვრებს და იმავდროულად მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტებსაც წარმოადგენდა; ჩრდილო-და-სავლეთ თავდაცვით ხაზში გაერთიანებული ციხესიმაგრეები ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებს ჩრდილოკავკასიელი მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან იცავდა; მნიშვნელოვან გზაჯვარედინებზე დაარსებული და კარგად გამაგრებული ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა სავაჭრო ურთიერთობები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან, იმავდროულად კარგად ორგანიზებული და დაცული სავაჭრო ცენტრები და გზები ვაჭრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა თავიანთი ქარავნების ეგრისის სამეფოზე გასატარებლად.

# **THE FORTIFICATION SYSTEM OF THE KINGDOM OF LAZIKA (EGRISI) IN THE 4<sup>th</sup>-6<sup>th</sup> CENTURIES AD**

## **SUMMARY**

### **ABSTRACT**

This work presents main results of the complex investigation of the West Georgian late Roman – early medieval fortifications. The author developed chronological, typological and functional classification of more than 50 fortifications of the Lazika Kingdom. This research enables new conclusions to be drawn on the quantity and location of the subsystems of the Lazikan fortification systems. The author examined the role and place of the fortification system in local, regional and global political contexts. As a result, the article demonstrates that the defensive lines of the kingdom, and its subsystems and castles, were constructed in support of several political and economic aims.

### **INTRODUCTION**

The kingdom of Colchis collapsed in the 1st century BC as a result of the Mithridatic wars and the campaign of Pompey the Great (106-48 BC) in the Caucasus. The former territory of Colchis was added to the province of Pontus and later (63 AD) united into the province of Galatia.

Several small kingdoms emerged in West Georgia during the 1<sup>st</sup> – 2<sup>nd</sup> centuries. Arrian of Nicomedia (The counsel of Emperor Hadrian (117-138) in Cappadocia), during his trip around the east coast of the Black Sea, mentioned several tribes in the territory between Trapezunt and Sebastopolis: Colchians, Sans, Makrones, Heniochs, Dzidrits, Lazs, Apsilians, Abasgians, and Saniges. Those tribes were ruled by kings, though they were vassals to the Roman Emperor. In the 2<sup>nd</sup> -3<sup>rd</sup> centuries AD there appears to have been a struggle for precedence between the West Georgian tribes. The Laz triumphed and in the end of 3<sup>rd</sup> century they became the most powerful kingdom of West Georgia.

At the end of 3<sup>rd</sup> – beginning of 4<sup>th</sup> century, the Roman empire was weakened by the growth of foreign powers (Goth and Hun attacks on Roman territory; and the strengthening of Persia and its occupation of Iberia, Armenia and Albania) and lost control of its eastern provinces, including the West Georgian kingdoms. There were no Roman troops on the east Black Sea coast from the beginning of the 4<sup>th</sup> century, and the vassal relationship between Rome and Egrisi became very formal in character. In this period the Laz appear to have opportunistically annexed the neighbouring

tribes – Apsilians, Abasgians and Saniges. The Laz also annexed Svania and Rachalchkhumi at the end of 4<sup>th</sup> century. So, from the 3<sup>rd</sup> century, the Laz annexed all neighbouring tribes one at a time; uniting West Georgia and creating the new Kingdom of Lazika (Egrisi).

The rulers of the newly founded kingdom took responsibility for the defence of their borders. Its geopolitical location meant that Lazika faced a number of threats – from the Roman (later Byzantine) Empire in the west; Sassanid Persia from the east; and nomadic warrior tribes from the north – and consequently the rulers of the kingdom organised strong lines of fortification along their borders.

A significant number of early medieval castles (4<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries) were discovered and studied by archaeological survey and excavation in West Georgia in the 20<sup>th</sup> century. Research on these castles produced interesting results, demonstrating that most of them had been founded by the kingdom of Lazika (Egrisi). In studying these monuments Prof. Parmen Zakariaia concluded that the Lazikan Kingdom had a very organized, unified fortification system during the 4<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries.

More than 50 fortifications (4<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries) were studied, recorded and discovered in West Georgia by the author, building on the previous work of other scientists and adding previously unknown sites.

## **CLASSIFICATION OF THE FORTIFICATIONS OF THE KINGDOM OF LAZIKA (EGRISI)**

As a result of this large-scale survey, the author was able to develop a chronological, typological and functional classification of the fortifications. The chronological classification of the castles includes three categories:

1. Castles which had been founded in the antique period and which continued to be maintained during the Laz kingdom;
2. Castles which had been founded during the period of the Laz kingdom, largely between the 4th-6th centuries;
3. Castles which retained their role and importance after the fall of Lazika, until the late middle ages (17<sup>th</sup>-18<sup>th</sup> century).

Typologically, there are four general categories of Lazikan castles:

1. Small castles with fortified walls (but lacking a tower, ditch and other buildings);
2. Small castles with fortified walls, ditch and a church (there are also subcategories: e.g. castles with only a tower, church or ditch; or with only two of them);
3. Large castles with fortified walls, towers, churches, ditches and other buildings (sites had some or all of these components);
4. Fortified towns with walls, towers, churches and other buildings.

The fortifications of Lazika had three main functions:

1. The function of gorge-road blocking castles was connected to their location. Most of them were built at the end of gorges, at the junction of uplands and plains, meaning that an invader had to pass those castles before entering the plain – the most populated and important parts of the country;
2. The Post-Signal castles were built close (max. 5-7 km) to each other in order to pass information by smoke or fire. Most castles of the kingdom had a Post-Signal function;
3. Administrative-Custom house fortresses were the most important political and economic centres of the kingdom and had two functions. It was necessary for merchants and envoys to reach them easily, while at the same time they had to have strong fortification to defend against attack. For this reason it would be more accurate to consider them fortified towns or cities.

## THE SUBSYSTEMS AND FORTRESSES OF THE LAZIKAN DEFENSIVE LINES

This research enables new conclusions to be drawn on the quantity and location of the subsystems of the Lazikan fortification systems. The author studied their functionality; their intended purpose; and the reasons behind their fall, according to the historical sources and other evidence. The author defined the importance of each subsystem in terms of the overall fortification system of the kingdom, and the castles were categorised into seven fortification subsystems:

1. The Black Sea coastal defensive line. The coastal castles and seaports were grouped as one fortification line. Their main function was to control and defend the merchant vessels arriving into the kingdom;
2. Southern defensive line was located along the line of the Meskheti ridge. The castles of that defensive line were used to control the river gorges on the northern slope of the ridge;
3. Southeastern defensive line was situated along the River Khaniscq'ali gorge and included the castles of Dimi and Vardtsikhe. The main function of those castles was to control and block the road coming from the southeast of the kingdom.
4. Eastern defensive line covered the west slopes of the Likhi ridge, and included the castles at Shorap'ani and Sk'ande, which controlled the eastern border of the kingdom.
5. „Mokhiris,” defensive section defended and controlled the cities and roads situated in the economic centre of the kingdom – Mokhiris. This territory covered most of the modern region of Imereti.
6. Northwestern defensive line was situated on the southwest slopes of the Kodori and Egrisi ridges. The main function of the castles of the northwest defensive line was to control the passes along the river gorges of those ridges.

7. Central defensive section. This grouping of 19 castles included the capital city of Lazika – Nokalakevi-Archaeopolis. This defensive section was situated in the modern region of Samegrelo and covered a variety of topographies, meaning that it incorporated several inner defensive lines: e.g. Unagira ridge, Urt'a ridge, and the basins of the Khobistsqali and the Tchanistsqali rivers.

## THE FORTIFICATION SYSTEM OF THE KINGDOM OF LAZIKA-EGRISI IN A LOCAL, REGIONAL AND GLOBAL CONTEXT

The author examined the role and place of the Lazikan fortification system in local, regional and global political contexts. As a result, it can be demonstrated that the defensive lines of the kingdom, and its subsystems and castles, were constructed in support of several political and economic aims.

**Local context.** One of the most important objectives of the fortification system was to maintain the kingdom's security in times of peace. During large-scale military operations, many castles did not serve a useful function. However, when the kingdom was peaceful they protected borders, roads, and populated places from bandits or small military incursions; and controlled trade within the kingdom. This appears to be the most plausible explanation for why most of the castles were built near the overland and river routes; and why they were not mentioned in the extant historical sources that describe military action in Lazika.

**Regional context.** The fortification system of the kingdom was constructed not only for local interests, but also to defend regional security in a time of instability. With threats to the region coming from the nomadic tribes to the north, Iberia (East Georgia) to the east, and Persia to the southeast, the rulers of Egrisi were forced to invest in the security of their borders. As a result, the northern, eastern and southern borders of the kingdom had very strong defensive lines, making Egrisi one of the best-protected kingdoms in the region. Without this Egrisi would have been subjected to constant threat from the north (nomadic tribes) and the southeast (Iberia and Persia).

**Global Context.** Lazika-Egrisi was situated in a key strategic location, both politically and economically, making it inevitable that it would play a part in global politics. Possession of the territory of Egrisi was a priority for both the Persian and, particularly, the Byzantine Empire and, as a result, the fortification system of the kingdom adapted to reflect global political interests. The Black Sea coastal fortifications protected Roman and Byzantine Empires' eastern borders and, at the same time, they were important trade centres of the Black Sea. The castles of the northwest fortification subsystem protected the eastern provinces of Byzantium from the attacks of nomadic tribes from the North Caucasus. The trade centres of Egrisi, located in the important junctions of trade routes, provided international trade with Eastern and Western countries. The well-protected roads and trade centres (towns) of the kingdom attracted foreign merchants who chose to bring their caravans through the territory of Egrisi.

## გამოყენებული ცყაროებისა და ლიტერატურის სია

1. აპრამიშვილი თ., ნოქალაქევისა და ნიჯიხევის მონეტები, ნოქალაქევი-არქეოპოლისი II, თბ., 1987, გვ. 274-285;
2. აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1936, გვ. 23-187;
3. ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1965, გვ. 1-29;
4. ანჩაბაძე გ., მდინარეების „ეგრისწყლისა“ და „დრაკონის“ იდენტიფიკაციისათვის, კრებული – ქართველები და აფხაზები, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2009, გვ. 223-229;
5. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ბერძენი მწრელების ცონებები საქართველოს შესახებ, V, (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა), თბ. 1983;
6. ასლანიშვილი ლ., ქვის ბირთვები, გონიო-აფსაროსი IV, ბათუმი, 2004, გვ. 152-154;
7. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, ტ. I, თბ., 1963;
8. აფაქიძე ა., ძველი ქალაქი – არქეოპოლისი ნოქალაქევი, ძეგლის მეგობარი, №19, თბ., 1969, გვ. 10-15;
9. აფაქიძე ა., „დიდი პიტიუნტი“ – არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975, გვ. 13-123;
10. აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ოთ., მასალები დიოსქურია-სეპასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. მაცნე, №3, 1965, 104;
11. აფხაზავა ნ., ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ. 1979;
12. აპრამიშვილი თ., ნოქალაქევისა და ნიჯიხევის მონეტები, ნოქალაქევი-არქეოპოლისი II, თბ., 1987, გვ. 274-285;
13. აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1936, გვ. 23-187;
14. ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1965, გვ. 1-29;
15. ანჩაბაძე გ., მდინარეების „ეგრისწყლისა“ და „დრაკონის“ იდენტიფიკაციისათვის, კრებული – ქართველები და აფხაზები, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2009, გვ. 223-229;

16. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ბერძენი მწრელების ცონებები საქართველოს შესახებ, V, (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებელები დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა), თბ., 1983;
17. ასლანიშვილი ლ., ქვის ბირთვები, გონიო-აფსაროსი IV, ბათუმი, 2004, გვ. 152-154;
18. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, ტ. I, თბ., 1963;
19. აფაქიძე ა., ძველი ქალაქი – არქეოპოლისი ნოქალაქევი, ძეგლის მეგობარი, №19, თბ., 1969, გვ. 10-15;
20. აფაქიძე ა., „დიდი პიტიუნტი“ – არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975, გვ. 13-123;
21. აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ოთ., მასალები დიოსქურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. მაცნე, №3, 1965, 1041. ახვლედიანი დ., კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ. ნ. V-II სს-ში. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2004;
22. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. სანქტ-პეტერბურგი, 1878. თარგმანი არჩილ ტოტოჩავასი, გამ. „საბჭოთა აჭარა“ 1987;
23. ბერაძე თ., ეგრისი ძველი და ახალი ერის მიჯნაზე, სამეგრელო-კოლხეთი-ოდიში. თბილისი-ზუგდიდი 1999, გვ. 92-122;
24. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ. 1964, გვ. 11-18
25. ბერძენიშვილი ნ., სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966;
26. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975;
27. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, II გამოცემა, თბ., 1990;
28. ბერძნიშვილი მ., ქ. ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969;
29. ბოგვერაძე ა., ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ., II, თბ., 1973, გვ. 246-296;
30. ბოგვერაძე ა., პრისკე პანონელის ერთი ცნობის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1976, გვ. 191-192;
31. ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, 1979;
32. ბრაგვაძე ზ., არქეოლოგია, თბ., 2012;
33. ბურჭულაძე რ. „ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან“, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. თბ., 2002, ტ. XIII;
34. გამსახურდია თ. ამიერკავკასიის უძველესი სავაჭრო გზების შესახებ, საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე, X. 1,3. 1966, გვ 761-766;
35. გამყრელიძე გ., ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ. 1982;
36. გამყრელიძე გ., ბიოგეოგარემოს ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, სამეგრელო, კოლხეთი ოდიში, თბილისი-ზუგდიდი, 1999;

37. გამყრელიძე გ., კოლხეთი, კულტურულ-ისტორიული ნარკვევები, თბ., 2002;
38. გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982;
39. გოზალიშვილი გ., „რამდენიმე სიტყვა ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრების დაწყებაზე“, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, თბ., 1981;
40. გოლაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991;
41. გრიგოლია გ., ოქროპირიძე ნ., ჯაფარიძე ვ., წირდვავა ვ., ჩართოლანი შ., დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის ჩატარებული მუშაობის შედეგები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1972 წ., თბ., 1972, გვ. 29-31;
42. გრიგოლია გ., ფხავაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ., დას. საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. მუშაობის ანგარიში. მსკა, V, თბ., 1973, გვ. 36;
43. გრიგოლია გ., ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხი // სიგკ.- თბ., 1989, ტ. 7, გვ. 37-81;
44. გრიგოლია გ., ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბ., 1994;
45. გრიგოლია გ. ეგრისის სამეფოს სტრატეგიული ცენტრების (ნესოსი, ტელეფისი) ლოკალიზაციისათვის, არქეოლოგიური კრებული, I, თბ. 1994 წ. 112-140;
46. გრძელიშვილი ი. ნოქალაქევის ციხე-ქალაქის მშენებლობის გეოლოგიური პირობებისა და ტექნიკის ზოგიერთი საკითხი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ., 1948, ტ. IX, №5, გვ. 323-328;
47. გრძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. III, თბ., 1973;
48. დიდი პიტიუნტი, I. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, თბ., 1975წ;
49. დიდი პიტიუნტი, II. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, თბ., 1977წ;
50. დიდი პიტიუნტი, III. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, თბ., 1979წ;
51. ელიავა გ., აბაშიასა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირშესანიშნაობანი, თბ., 1971;
52. ელიავა გ., სენაკის რაიონს ტოპონიმიკა, თბ., 1989;
53. ევერილი პ., მარტერი ფ., ლომიტაშვილი დ., მურდულია ნ., არქეოპოლისის ტოპოგრაფია. ნოქალაქევის მრავალფენიანი ძეგლის GPS კვლევა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. II (47-B), თბ., 2011, გვ. 102-115;
54. ზაქარაია პ., საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები. საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამაგრცელებელი საზოგადოება. თბ., 1960;
55. ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., ჭაქვინჯის და გუდავას 1968-1969 ექსპედიციის წინასწარი ანგარიში. კრ. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ. 1971;

56. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები. თბ., 1973;
57. ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., გუდავაში 1971 ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. კრ. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ. 1974;
58. ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., ნოქალაქევის ექსპედიციის 1973 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე, თბ., 1975, IV, გვ. 102-103;
59. ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ., ნაქალაქარის ექსპედიციის 1974-75 წ. მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე, თბ., 1977, V, გვ. 105-106;
60. ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ., ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1976-77 წლებში ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე, თბ., 1978, VI, გვ. 78-80;
61. ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ., კაპანაძე თ., ნაქალაქარის ექსპედიციის 1978-79 წ. მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე, VII, თბ., 1980;
62. ზაქარაია პ., ჭაქვინჯა, თბ., 1980;
63. ზაქარაია პ., ნოქალაქევში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ტ. I, თბ. 1981, გვ. 77-119;
64. ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ., ციხეგოვი-ნოქალაქევი, თბ., 1984 (რედ. პ. ზაქარაია);
65. ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე, იაშვილი მ., ზამთარაძე მ., კაპანაძე თ., ნოქალაქევის ექსპედიციის 1980-81 მუშაობის ანგარიში, VIII, სსმაე, თბ., 1986, გვ. 88-89;
66. ზაქარაია პ., ნოქალაქევში 1978-1982 წწ. ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ტ. II, თბ., 1987, გვ. 47-86;
67. ზაქარაია პ., ნოქალაქევის გამაგრების სისტემა, ნოქალაქევი-არქეოპოლისი II, თბ., 1987, გვ. 136-186;
68. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოვი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991;
69. ზაქარაია პ., ნოქალაქევში 1983-1988 წწ. ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში; ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ტ. III, თბ., 1993, გვ. 13-89;
70. ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთის დაცვის სისტემა, „სამეცნიერო, კოლხეთი-ოდიში“, თბილისი-ზუგდიდი 1999, გვ. 256-275;
71. ზაქარაია პ., ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., არმოური ნ., კოლვინი ი. ახლადაღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ბერძნულ-წარწერიანი ქვაჯვარი ნოქალაქევი-არქეოპოლისიდან, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის შრომები, ტ. IV, თბ. 2002., გვ. 50-55;
72. ზაქარაია პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, თბ., 2002;
73. ზოსიმე, გეორგიკა I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოს-

ცეს და განმარტებები დაურთეს ალექსანდრე გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1961, გვ. 70-117;

74. თეოფანე ჟამთაალმწერელი, გეორგიკა IV, ნაკვეთი I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1941, გვ. 264-270;

75. იაშვილი მ., ზაქარაია პ., შეცვის ციხე, ნოქალაქევი-არქეოპოლისი II, თბ., 1987, გვ. 190-200;

76. ინაიშვილი ა., ბათუმის ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1965., გვ. 69-75

77. ინაიშვილი ა., ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბ., 1971;

78. ინაიშვილი ა., პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, , თბ., 1974. გვ. 118-153;

79. ინაიშვილი ნ., ციხისძირის გვაინანტიკური ხანის აბანოები. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVII, თბ. 1988. გვ. 118-148;

80. ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ. ნ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993;

81. ინგოროვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954;

82. იუსტინიანეს ნოველები, გეორგიკა II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1965, გვ. 30-37;

83. კაკაბაძე ს., საისტორიო კრებული, ტ. III, თბ., 1928;

84. კალანდაძე ა., საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 16-24;

85. კალანდაძე ალ., სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1954;

86. კალანდაძე ზ., გურიის ადრე და შუა ფეოდალური ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, გურია I, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1996, გვ. 118-125;

87. კახიძე ა., მამულაძე შ., სამხრეთ კარიბჭესა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995–1999 წლებში ნარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები; გონიო-აფსაროსი IV, ბათ., 2004;

88. კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, XVIII, 1989;

89. კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, თბ., 1961;

90. ლანჩავა ო., ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში (IV-X სს.), ქუთაისი, 1996;

91. ლანჩავა ო., ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი, 2007;

92. ლანჩავა ო., ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი, 2015;

93. ლანჩავა ო., ნონა ქარციძე – უქიმერიონი – „ციხექალაქი წყალწითელა“. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები, ტ. XIX. 2009 6;

94. ლეთოდიანი დიმ., აფხაზეთის, აფშილეთის, სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს. თბ., 1991;
95. ლეთოდიანი დიმ., ძიებანი, თბ., 2003;
96. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., ტ. 1, 1955;
97. ლესალეს არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის ჩაბარებული გამოუცემელი ანგარიში), 2014;
98. ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., ნოქალაქევის ნაქალაქარის პერიოდიზაცია, ძეგლის მეგობარი, №2, თბ., 1989, გვ. 25-28;
99. ლომიტაშვილი დ., სტრატიგრაფია ნოქალაქევის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხედვით, ნოქალაქევი-არქეოპოლისი III (რედ. პ. ზაქარაია), თბ., 1993, გვ. 147-156;
100. ლომიტაშვილი დ. ცენტრალური ეგრისი ახ.ნ. IV-VI საუკუნეებში /ნოქალაქევის არქეოლოგიური მასალების მიხ-ით / საკანდიდ. დისერტ., თბ., 1990;
101. ლომიტაშვილი დ., ქოლვინი ი., არმოური ნ., ადრექრისტიანული ძეგლი ნოქალაქევ-არქეოპოლისში, არქ. კვლევის ცენტრის ქრისტ. არქეოლ. VI კონფერენცია, თბ., 2002, გვ. 13-16;
102. ლომიტაშვილი დ.ა., ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII – ახ. წ. VI ს.ს. (ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი), დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003;
103. ლომიტაშვილი დ., ნოქალაქევი I, ძვ.წ. VIII-VII სს. განვითარების I ფაზა, კრებული – სიახლენი უძველეს კოლხეთზე, თბ., 2010 (ქართული და ინგლისურ ენებზე), გვ. 49-54;
104. ლომიტაშვილი დ., მურღულია ნ., კვაუთის ციხის კომპლექსი. კულტურულ-საისტორიო ძიებანი. გვ. 187-195. თბ., 2010;
105. ლომიტაშვილი დ., ნოქალაქევის ნაქალაქარი. IV-VI სს-ის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ. 2014;
106. ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ბ., ევერილი პ, ქოლვინი პ., ხუნწის ციხე, იბერია-კოლხეთი. საქართველოს კლასიკური და ადრე-მედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი. №13, 2017, გვ. 99-111;
107. ლომოური ნ. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1958, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 99-118;
108. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968;
109. ლომოური ნ., დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში, საქართველოს იტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ. 1973, გვ. 159-188;
110. ლომოური ნ., ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტ. ნარკვევი) ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ტ. I, თბ., 1981, გვ. 42-77;

111. ლომოური ნ., ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ტ. II, თბ., 1987, გვ.17-44;

112. ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989;

113. ლომოური ნ., საქართველოსთან პოლიტიკური ვითარების გარკვევისათვის (V საუკუნის მეორე ნახევარი), – ხსმ6, IX, 2004, გვ. 7-14;

114. ლომოური ნ., საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა, ნაწილი I (IV-IX სს.); თბილისი, 2011;

115. ლორთქიფანიძე ბ., ქალაქის გარეგნული მხარე, ნოქალაქევი-არქეოპოლისი III, თბ., 1993; გვ. 176-199;

116. ლორთქიფანიძე ბ., ომიანობა V ს-ის შუახანების ეგრისში და ნოქალაქევის ბაზილიკა, ძეგლის მეგობარი, №3 (102), თბ., 1998, გვ 44-46;

117. ლორთქიფანიძე ბ., კოკაია ე., VII-VIII ს.ს. ეგრისის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ნოქალაქევში გამოვლენილი ორი ნივთის მიხედვით, ძეგლის მეგობარი, №4 (107), თბ., 1999, გვ. 29-34;

118. ლორთქიფანიძე ბ., ლომიტაშვილი დ., მურვან-ყრუს ლაშქრობა ციხეგოჯში წერილობითი წყაროების მიხედვით, თსუ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო შრომები, ტ. III, თბ., 2001, გვ.26-33;

119. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ. სვანეთი ბიზანტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში V-VI საუკუნეებში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. V (50-BB), თბ. 2014, გვ. 95-116;

120. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი (ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ციხეგოჯი-ნოქალაქევის შესახებ), საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. VI (51-BBB), 2015, გვ. 202-213;

121. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. 2017 წელს ხუნწის ციხეზე შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. კრებული: „2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“. თბ., 2018ა, გვ. 47- 51;

122. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ევერილი პ., ქოლვინი ი. სად მდებარეობდა ეგრისის ციხესიმაგრე ონოგურისი?, არქეოსპექტრი №1, თბ., 2018ბ, გვ.80-100;

123. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ., ნინიაშვილი თ., ალანია დ. ხუნწის ციხეზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბ., 2019, გვ. 44-50;

124. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ., ნინიაშვილი თ., ალანია დ., ხუციშვილი ნ. ხუნწის ციხეზე 2019 წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. 2019 წელს ჩატარებული არქეოლო-

გიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბ., 2020. გვ. 34-40;

125. ლორთქიფანიძე ბ., მურლულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ., ნინიაშვილი თ., ალანია დ., ხუციშვილი ნ., დისამიძე ნ. ხუნწის ციხეზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბ., 2021. გვ. 81-88;

126. ლორთქიფანიძე გ., სამხედრო საქმის ისტორიისათვის ანტიკური ხანის კოლხეთში, თსუ შრომები, ტ. 205, თბ., 1975, გვ. 95-107;

127. ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991;

128. ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963;

129. ლორთქიფანიძე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 372-506;

130. ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, 1979;

131. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიური შესწავლისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, № 6, თბ., 1960;

132. ლორთქიფანიძე ოთ. მიქელაძე თ. ფასისის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა. სამეცნიერო სესია მიძღვნილი ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი, მოხსენება. თბ., 1973;

133. ლორთქიფანიძე ოთ., ბიჭვინტის შიდაციხის XIII ნაკვეთის არქეოლოგიური გათხრები და იქ აღმოჩენილი არქიტექტურული კომპლექსი, დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975, გვ. 183-198;

134. ლორთქიფანიძე ოთ., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002;

135. ლორთქიფანიძე ოთ., ძველი საქართველო [კოლხეთი და იბერია] სტრაბონის გეოგრაფიაში, ახალი კომენტარები, თბ., 2010;

136. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1914;

137. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992;

138. მარგიშვილი ს., შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში, ნაწილი I, თბ., 2008;

139. მარუაშვილი ლ., ლიხის ქედი, ქსე, ტ., 6, თბ., 1983ა, გვ. 271;

140. მარუაშვილი ლ., მესხეთის ქედი, ქსე, ტ., 6, თბ., 1983ბ, გვ. 602;

141. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., ტ. 1, 1955;

142. მელითაური კ., ადრეფეოდალური რუსთავის ციხის კონსტრუქციები, „ძეგლის მეგობარი“, № 51, თბ. 1979;

143. მელიქიშვილი გ., საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 500-569;

144. მენანდრე პროტიქტორი, გეორგიკა III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1936, გვ. 202-251;

145. მინდორაშვილი დ., პეტრა-ციხისძირში 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების წინასწარი ანგარიში. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის ჩაბარებული გამოუცემელი ანგარიში). 2017;

146. მიქელაძე თ., კოლხეთის ადრერეკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985;

147. მინიშვილი მ., ციხესულორის ნაციხარზე წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, ვანი II, თბილისი, 1976;

148. მინიშვილი მ., 1973 წელს ციხესულორის ნაციხარის თხრის ანგარიში, ვანი III, თბილისი, 1977;

149. მურლულია ნ., ნოქალაქევი-არქეოპოლისის მშენებლობის ქრონოლოგია, კავკასიის მაცნე, ტ. 16, თბ., 2007, გვ. 68-73;

150. მურლულია ნ., ნოქალაქევი-არქეოპოლისის გამაგრების სისტემა, ამირანი XX, თბილისი-მონრეალი, 2008, გვ. 20-28;

151. მურლულია ნ., ნაფიჩხოვო და კურზუ – ეგრისის სამეფოს პერიოდის ორი ახალი ციხე ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონებიდან, ამირანი, ტ. 23, თბ., 2011, გვ. 58-71, <http://www.caucasology.com/amirani23/murgulia.djvu>;

152. მურლულია ნ., ევრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემა IV-VI საუკუნეებში (კვლევის მეთოდები), სემ მოამბე, ტ. II (47-B), თბ., 2011, გვ. 135-147;

153. მურლულია ნ., ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI სს-ში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). სადოქტორო ნაშრომი არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2013ა;

154. მურლულია ნ.; ეგრისის სამეფოს ციხეების კლასიფიკაცია. ჟურნალი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. IV (48-B), თბ. 2013ბ გვ. 159-169;

155. მურლულია ნ., ლომიტაშვილი დ. ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI ადგილობრივ, რეგიონულსა და გლობალურ კონტექსტში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. VII (52-B), 2016, გვ. 262-272;

156. მუსხელიშვილი ლ. ნოქალაქევის დღიური 1930.XII.28-1931.1.28. /№23/. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, II, თბ., 1987, გვ. 289-304;

157. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1977;

158. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980;

159. მუსხელიშვილი დ., საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003;

160. მუსხელიშვილი დ., საქართველო IV და V ს-ის პირველ ნახევარში, საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. II, თბ., 2012, გვ. 7-48;

161. მშვილდაძე მ., ადრეული ქრისტიანობა საქართველოში, თბ., 2008;

162. ნიკოლაიშვილი ვ., ბიჭვინთის ნაქალაქარის XIX ნაკვეთზე 1967-70 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975, გვ. 161-181;
163. ნინიძე დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (მითითებები სალექციო კურსისათვის), თბ., 2005;
164. პაპუაშვილი ნ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველ მაისში „მაჩხომერის“ გორაზე 2022 წ. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების VI ეტაპის ანგარიში (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის ჩაბარებული გამოუცემელი ანგარიში), ხობი-თბილისი, 2022;
165. პაპუაშვილი ნ., პაპუაშვილი რ., ჩიტაია გ. მაჩხომერის გორაზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, „2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბ., 2019, გვ. 66-70;
166. პაპუაშვილი ნ., პაპუაშვილი რ., ჩიტაია გ. 2019 წელს მაჩხომერის მთაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. „2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბ., 2020, გვ. 129-138;
167. პაპუაშვილი ნ., პაპუაშვილი რ., ჩიტაია გ., ნასყიდაშვილი დ. „მაჩხომერის“ გორაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში „2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბ., 2021, გვ. 126-128;
168. პრისკე პანიონელი, გეორგიკა I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალექსანდრე გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1961, გვ. 249-263;
169. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1965, გვ. 38-234;
170. ქორდანია თ., ციხე ქუჯისა, ანუ ციხე-გოჯი, ერთი უძველესთა ნიშანთაგანი საქართველოს სიძველეთა, ივერია, 1900, №№192, 193;
171. სადრაძე ვ., ვაშნარი „სპონიეთი“-„გურიანი“. 2003;
172. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 2001;
173. სიხარულიძე ი., „უხევმერიონის“ ადგილმდებარეობა (წინასწარი ცნობა), ძეგლის მეგობარი, № 21, თბ., 1970;
174. სიხარულიძე ი., ასკანის ციხე, ქსე, ტ. I, თბ., 1975, გვ. 634;
175. სურგულძე აბ. ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის, ჭორობი, 1983 № 5;
176. ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 670-719;
177. ფაილოძე ა. მატიანე ხონისა, ნაწილი მეორე, ბათუმი. 2003;
178. ფიფიძე კ., რომი და აღმოსალეთ შავიზლვისპირეთი I-II სს. თბ., 2005;

179. ფუთურიძე რ., ბიჭვინთის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975, გვ. 127-158;
180. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., ტ. 1, 1955;
181. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., ტ. 2, 1959;
182. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., ტ. 4, 1973;
183. ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1981, გვ. 169-182;
184. ყაუხჩიშვილი თ. ბერძნული წარნერები საქართველოში. თბ. 1951;
185. ყაუხჩიშვილი ს. ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში, გეორგია, III, 1936, 301-320;
186. ყაუხჩიშვილი ს., ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, ნ. I, თბ., 1948;
187. ყაუხჩიშვილი ს., რას მოგვითხრობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964;
188. შნაიდერი ა.მ., არქაიოპოლისი /ნოქალაქევი/, უურნ. Forsihungen und Fotschritte 1931, №27, გვ.354-355 /თარგმანი შესრულებულია ნ.ლომოურის მიერ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, თბ., 1981, გვ.240-242;
189. შპაიდელი მ. კავკასიის საზღვარი II საუკუნეები. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. „მაცნე“, ისტორიის... სერია, I, თბილისი 1985. გვ. 134-140;
190. ჩაკვეტაძე ვლ., გეგუთის ციხე-დარბაზი, თბ., 1958;
191. ჩიტაად გ., ფოთისა და ხობის ეპარქია, ისტორიული ძეგლები. თბ.. 2007;
192. ჩიხლაძე ვ., ნასოფლარი დიდლვაბუნა, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის II კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2003, გვ. 51-54;
193. ცქიტიშვილი გ., ანტიკური ხანის შორაპანის საერისთაოს საკითხისათვის. სიგპ, II, თბ. 1964;
194. ჭუმბურიძე მ., ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. ნ. I-VIII სს.). დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ქუთაისი, 2009;
195. ჯავახიშვილი ივ., მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. თბ., 1946;
196. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979;
197. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1983;
198. ჯანაშია ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962;
199. ჯანაშია ს., შრომები I, თბ., 1949;
200. ჯანაშია ს., შრომები II, თბ., 1952;
201. ჯანაშია ს., შრომები III, თბ., 1959;
202. ჯანაშია ს., შრომები V, თბ., 1987;
203. ჯაფარიძე ვ. წებელდური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, II. თბილისი 1979, გვ 78-89;

204. Жафаридзе З., Гардзиниев Нажаевская, тб., 1989;
205. Жафаридзе З., Абдигуцуро Бабиев Шораканис (Сараканис) Абагло Аргеомонгой-ри Монастырь, Аргеомонгой, тб., 1990;
206. Жафаридзе З., Альбомы архитектуры Аргеомонгой-ри Северной Осетии и Кабардии в Аргеомонгойской архитектуре Кабардии Кабардино-Балкарии и Северной Осетии (Северной Осетии), Курчеджанов, VI, тб., 1999;
207. Жафаридзе З., Гоголевские А.Б. I-VIII ысы. Материалы по археологии Северной Осетии [Аргеомонгой-ри Гагаевской, Гагаевской], тб., 2006;
208. Жидлакадзе Л., Архитектура и археология Кабардии Кабардино-Балкарии и Северной Осетии, Курчеджанов, Кабардино-Балкария, 1997;
209. Анчабадзе З. В. История и культура древней Абхазии. изд. „Наука., Москва 1964;
210. Анчабадзе З. В. Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959;
211. Апакидзе Д. Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа. Тб., 1991;
212. Бартольд В.В. Работы по истории Кавказа и Восточной Европы, Общие работы по истории Средней Азии. Сочинения. Т. II. Часть I. М., 1963
213. Витруций, Десять книг об архитектуре, пер. Ф.А. Петровского, т.1, М., 1936;
214. Воронов Ю. Н., Археологическая карта Абхазии, Сух., 1969;
215. Воронов Ю.Н. тайна Цебелдинской долины, М. 1975;
216. Воронов Ю. Н. Бгажба О.Х., Крепость Циблиум-один из узлов кавказского лимеса Юстинианской эпохи. ВВ, 1987, т. 48. стр. 116-135;
217. Всемирная история, т. II, 1956;
218. Гамкрелидзе Г. А., К Археологии долины Фазиса. ТБ., 1992;
219. Ган К., Экскурсия в Накалакеви летом 1903 г., Известия Кавк. отделения импер. московского археол. об-ва, вып. II, 1907;
220. Джапаридзе В. Археологические раскопки и разведки в Эгрисе, ПАИ в 1982 году. ТБ. 1985;
221. Иоселиани П., города существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850;
222. История Византии, т. I. М., 1967;
223. Кекавмен, Советы и рассказы, поучения византийского полководца XI века, Подготовка текста, введение, перевод с греческого и комментарий Г. Г. Литаврина. Санкт-Петербург, 2003;
224. Кудрявцев О.В. Аланы. Борьба аланов с гуннами, Всемирная история, т. II, М., 1956, с. 783-786;
225. Леквинадзе В.А материали по монументальному строительству в Лазике, 1961, ssmm, XXII;
226. Леквинадзе В.А, Оборонительные сооружения Себастополиса СА, 1, 1966, 203-209;


227. Леквинадзе В.А Об однои Византиискои крепости, сообш. АН ГССР, X L VII, 2, 1967, 505-510;
228. Леквинадзе В.А, По поводу Анакопийской крепости, Вестник Музея Грузии, т. XXV-B, 1968, 89-104;
229. Леквинадзе В.А, Понтийский Лимес, ВДИ, №2, 1969;
230. Леквинадзе В.А. Раннесредневековые памятники Вашнари. СА №3, 1972;
231. Леквинадзе В.А. О построиках Юстиниана в западной Грузии, Византийский временник. 34, М. 1973, 171-181;
232. Леквинадзе В. А., Хведелидзе Л. Массовые археологические находки из раскопок в Нокалакеви. ნოქალაკევი-არქეოლოგია. I. გვ. 120-149. (რედ. პ. ზაქარაია), თბ., 1981;
233. Меликишвили Г. Т. К истории древней Грузии. Тбилиси 1959;
234. Мелитаури К. Н., Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, II, Тб., 1971;
235. Миллер А.А., Разведки на Черноморском побережье Кавказа в 1907 году, ИАК, т. 33., 1909. 71-102;
236. Муравьев А. Н., Грузия и Армения, ч. III, СПБ, 1848;
237. Сизов В. И. Восточное побережье Черного моря. Археологические экскурсии // Материалы по археологии Кавказа. М., 1889. II. 56-173;
238. Трапш М.М. Археологические раскопки в Анакопии в 1957-1958 гг. ВВ, 1961, т. XIX. стр. 260-282;
239. Шервашидзе Л. А., Соловьев Л. Н., Исследование древнего Себастополиса, «Советская археология», № 3, 1960, p171-179;
240. Bowden M. (Ed.), Unravelling The lanscape, GB, 1999;
241. Brogiolo G.P., Gauthier N., Christie N. (Ed.), Towns and their territories between late antiquity and the early Middle Ages, Brill, 2000;
242. Brogiolo G.P., Ward-Perkins B. (Ed.), The idea and ideal of the town between late Antiquity and the early Middle Ages, Brill, 199;
243. Brosset M., Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, SPB, 1851;
244. Brosset M., Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'en 1469 de J.C. Saint Petersburg: Académie impériale des sciences. 1851;
245. Campbell D.B., Roman Auxiliary Forts 27 BC – AD 378, Osprey publishing, 2009;
246. Chitaia G., Papuashvili R., Vinogradov A. A new complex of Greek inscriptions from Machkhameri fortress in Lazica. Zeitschrift fur Papyrologie und Epigraphik. 2020. Vol. 214. pp. 169-178;
247. Dubois De Montpereux F., voyage autur du Caucase, t. III, Paris, 1839;

248. Everill P., Lortkipanidze P., Murghulia N., Colvin I., Lomitashvili D. The lost fortress of Onoguris? Newly discovered sixth-century AD fortifications at Khuntsistsikhe, western Georgia. *Antiquity*, Volume 91, Issue 356, Cambridge University Press. Published online: 04 April 2017, e5;
249. Fedden R., The castles of the Crusaders. SAW, may/June, 1970, p. 20-25;
250. Fields N., *Ancient Greek Fortifications 500-300 BC*, Osprey publishing, 2006;
251. Foss C., *Ephesus After Antiquity: A Late Antique, Byzantine and Turkish City*, Cambridge University Press, New York, 1979;
252. Haldon J.F., *Byzantium at war: AD 600-1453*, Essential Histories, Osprey Publishing, 2002;
253. Martin-Hisard B., le roi Georgien Vaxtang gorgasal dans l'histoie et dans la legende, „Temps, memoire, tradition au moyen-age“, Marrseille, 1983;
254. Papuashvili, R., Intagliata, E.E., Naskidashvili, D. Excavations at Machkhomeri – Khobi Municipality. Preliminary report of the 2019 season. *Pro Georgia – Journal of Kartvelological Studies* 30, 2020. p. 121-134;
255. Winter F.E. *Greek Fortifications*, University of Toronto Press, 1971.

ნინა ყდაზე: ნოქალაქევის ნაკალაქარის გენ-გეგმა  
უკანა ყდაზე: ქუთაისის ნაკალაქარის ფოკო-გეგმა  
ყდის დიზაინი: ირაკლი გურიაშვილი



დაიბეჭდა სტამბა ფავორიტი სტილში  
საქართველო, თბილისი, ა. ენუქიძის ქ. №5



ნიკოლოზ მუროულია – არქეოლოგიის დოქტორი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ნოქალაჭვის ჭართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ლექციებს კითხულობს საქართველოს საპატიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭართულ უნივერსიტეტსა და ჭართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში.

მისი ავტორობით და თანაავტორობით გამოქვეყნებულია 45 სამეცნიერო პუბლიკაცია კოლხეთისა და ეგრისის ბსტორისა და არქეოლოგიის საკითხებზე. ასევე, რამდენიმე ნაშრომი სავალე არქეოლოგიის თანამეტროვე მეთოდიკებისა და გამოწვევიბის შესახებ.

X-XII კლასების საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის გრიფირებული სასკოლო და მეთოდური სახელმძღვანელოების თანაავტორი.